# კვირის პალიტრა

№ 31 (391) ◆ 5 – 11 აგვისტო. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „შევარდნაძეს შპს „საქართველოს“ დირექტორობა უნდა...“



როგორც კი ნაღდი პატრიოტები მოიცილეს თავიდან და ომში დაიგულეს, მთელი საქართველო გააპრივატიზეს. „შედეგად“ დღეს გაიძახიან, — ჩვენ ბიზნესი დავიწყეთ 1992, 1993 წლებშიო. ჯერ ერთი, რა გებიზნესებოდათ და მეორეც, რომელ ბიზნესზეა ლაპარაკი? ხომ ყველამ ვიცით, რა იყო ქართული ბიზნესი — გამოიტანდი, ვთქვათ, 10 და 100 ათასი დოლარის ეკვივალენტ კუპონის კრედიტს და შემდეგ მაკულატურად ქცეული კუპონებითვე ისტუმრებდი ვალს გვ.3

## რა ღირს დღეს ქურდად „კურთხევა“?

### საიდუმლო სამსახურის თანამშრომელი გულახდილად საუბრობს



### „ჩარჩოიანებმა“ ნუგზარ შევარდნაძისთვის ფულის „დანერვა“ გადაწყვიტეს...

გვ.11

რუსთავში, ქუთაისში, კახეთში კონკრეტული პიროვნებები ფულს იხდიან იმაში, რომ ქურდად „აკურთხონ“

ქურდებს ბევრი ხელისუფალი გამოუჭერიათ. დღეს, მოგეხსენებათ, თითქმის ყველა სახელმწიფო მოხელეს რაღაც ბიზნესი აქვს. მათგან 99%-ის მეწილეები ქურდები არიან. უფრო მეტს გეტყვით, ბევრმა საჯარო მოსამსახურემ თავისი ბიზნესი პირდაპირ „კანონიერ ქურდს“ ჩააბარა...

## პიტერ შოუს პოვნით შეიძლება კალაძის საქმეც გაიხსნას...



ბრიტანელ ბანკირს სიმამრი სახლს ედავება... გვ.5

## სამხედრო თემაზე:

### უკვე მივეჩვიეთ, მაგრამ მაინც რატომ გვბომბავთ?!

ჩვენ რატომღაც არ ვითვალისწინებთ მფრინავის ფსიქოლოგიას. თუკი პილოტმა ერთხელ მაინც იგრძნო მიწიდან ინტენსიური საზენიტო ცეცხლის საშიშროება, იგი მრავალჯერ დაფიქრდება, სანამ კიდევ ასე თავხედურად დაარღვევს უცხო ქვეყნის საჰაერო სივრცეს.

შეიძლება ელემენტარული ხერხით დავაფრთხოთ „აბეზარი“ რუსული აგრესორები... გვ.8

## მკითხველის პრემია გვ.35

### თქვენ ირჩევთ, ჩვენ ვაჯილდოებთ

## რას წერენ ჩვენზე:

### შევარდნაძემ რუსეთი შეურაცხყო...

გვ.14

ღმერთმანი, საკვირველია ამ კაცის საქმე: ამის შემდეგ რა ნამუსით ლაპარაკობს მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობის განმტკიცებაზე. არც იოცნებოს...

**იზვესტია რუ**



გვ.7

## „ქმის გადმოსვენებას ვცდილობდი მაშინ და ვის ეცეკვებოდა?..“

„ერთ-ერთი თავდამსხმელი ცნობილი მაროდიორია.

10-კაციანი ჯგუფი ჰყავს, რომელთაც პარტიზანებს ეძახის. სინამდვილეში კრიმინალები არიან.

ნადარეიშვილმა წინასწარ იცოდა, რაც მოხდებოდა...“

## ამბავი „ბაბაჯოსი“ და თეთნულდისა

მეორე დღესვე მოუტაცნია გოგო მანქანების ესკორტით. „ცხენითაც მოვიტაცებდი, მაგრამ ეგ კიდევ უფრო ძნელი იქნებოდა, მანქანაშიც ძლივს დავაკავეთ, ისე კიოდა და ილანძღებოდა, კინაღამ გადმოვაგდე, მაგრამ სიზმარი გამახსენდა და თავი შევიკავე.“



გვ.20

## „როგორი იარაღი გინდოდეს? გინდაც, პუშკა მოგცე?“



— ტროტილს დაჟე 200 გრამს ფეშქეშად გაძლევ, გჩუქნი რაღა, ცავატანემ...

სკოლის დირექტორმა დამარიგა, — სად უნდა მეპოვა იარაღის გამყიდველი... გვ.6

„ამ პასლედნი დროს სულ კლიენტები მოდიან და სულ ტროტილი, ტროტილი იძახიან. რა არი, ტო, შევარდნაძე ააფეთქოთ?

პასმიტაემ. ერთი მაკაროვი, თაზა ნომერი წაშლილია, რაფიკას ხათრით 400 დოლარი, ავტომატი აკაესის — 500, ლიმონკები ერთი შტუკა ეფ-1 იქნება 50 დოლარი, ერგედეს გრანატამიოტს 700 ზელიონი უნდა, აი სნაიპერი სულ ახალ-ახალი 2000 დოლარი მჭირდება. ახლა ჩოთქში ჩავიდეთ. აა, რამდენი გამოვიდა? ხო არი 4100 დოლარი. მაიტა ბე 1000 დოლარი. ერთ კვირაში მოხვალ, წაიღებ.“

## — ქართველი მსახიობი ისე თამაშობს, თითქოს ხვალ უნდა მოკვდეს

*რობერტ სტურუა*



თეატრში აუცილებლად დამყავს ვიღაც ადამიანი, რომელმაც ხელი უნდა მკრას და გამაღვიძოს, როცა დავიძინებ (და მე მეძინება ზუსტად მეათე წუთზე, იმის მიუხედავად, როგორიც არ უნდა იყოს სპექტაკლი), რადგან საშინლად ვხვრინავ. მეძინება როკ-კონცერტებზეც... როცა მოსკოვში სპექტაკლებზე დავდივარ, დამყავს ლიტერატურული ნაწილის გამგე, რომელიც ვერ ახერხებს ჩემს გამოღვიძებას, ვერ მარტყამს... გვ.16

## სად ნასულხართ, ბაჩლელებო?! გვ.12

რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დადუმებულ სივრცეს გასძახა: — ლელააა!!! კვირიააა!!! — ექო მთებს შეასკდა, ზარივით აწკრიალდა. იმ არემარეში ისეთი ყიჟინა გაისმა, თითქოს მთელი სოფელი დაჯარდა და ზარების რეკვის ხმებს გამოჰყვაო ფეხდაფეხ. ზურაბი კი გასძახოდა და გასძახოდა: — ლელააა, კვირიააა!!!

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი გრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## რუსებს არ ეზეიმებათ

საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკელებთან ერთად საზეიმოდ აღნიშნა პენტაგონის პროგრამა „წვრთნა და აღჭურვის" პირველი ეტაპის დასრულება. ცერემონიალს დაესწრნენ პრეზიდენტი შევარდნაძე, აშშ-ის ელჩი და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი... რუსეთის საელჩოს გარდა. მეტიც, რუსეთის საელჩომ სამხედრო ატაშეც კი არ მიავლინა საზეიმო ცერემონიალზე, რაც ევალებოდა დიპლომატიური პროტოკოლის თანახმად.

თუმცა რუსებს არც ეზეიმებათ. ედუარდ შევარდნაძემ ცერემონიალზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთთან გართულებული ურთიერთობის ფონზე, აშშ საქართველოს სტაბილურობის გარანტი იქნება. რაც შეეხება პენტაგონის პროგრამას, მეორე ეტაპი ქართველი ოფიცრების საშტაბო მომზადებას ითვალისწინებდა და 70 დღის მანძილზე მიმდინარეობდა. საქართველოს სამხედრო აკადემიაში, ამერიკელებმა კურსდამთავრებულ ოფიცრებს საპატიო სერტიფიკატები საზეიმო ვითარებაში გადასცეს. ახლა კი იწყება პროგრამის გადამწყვეტი ეტაპი, რომლის დროსაც გაწვრთნიან და შეაიარაღებენ კონტრტერორისტულ ქართულ ბატალიონებს (ვრცლად იხ. გვ. 8).

## „წვრთნების" გამო რეისი „გადაიდო"

გასულ კვირას, მოსკოვის „ვნუკოვოს" აეროპორტში, გაურკვეველი მიზეზით მთელი დღის მანძილზე დაკავებული ჰყავდათ „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც ასრულებდა ტრადიციულ რეისს — მოსკოვი-თბილისი. როგორც რუსეთის საავიაციო სამსახურები აცხადებდნენ, რეისი რუსეთის ტერიტორიაზე დაწყებული სამხედრო წვრთნების გამო დროებით გადაიდო. მაგრამ გაირკვა, რომ „წვრთნების" მიუხედავად, მოსკოვიდან ერევნისა და ბაქოს მიმართულებით შეუფერხებლად განახორციელეს რეისები სომხეთისა და აზერბაიჯანის ავიაკომპანიებმა. მოსკოვში გაგზავნილ „აირზენას" საპროტესტო ნოტებს რუსების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

„ვნუკოვოს" ხელმძღვანელობამ „აირზენას" თვითმფრინავს თბილისში გაფრენის ნებართვა გვიან ღამით მისცა.

## უშველის თუ არა „ფესვები" ქვეყანას?

ჟიული შარტავას ვაჟისა და მეგობრების ინიციატივით დაფუძნდა ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა სახელწოდებით „ფესვები". ორგანიზაციის მიზანია ქვეყანაში არსებული დაპირისპირებების მოგვარება და აღკვეთა. საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნების იდეა მსახიობსა და რეჟისორს გოგი ქავთარაძეს ეკუთვნის. „ფესვების" პირველი ყრილობა შემოდგომაზე გაიმართება. უკვე ცნობილია, რომ „ფესვებთან" ითანამშრომლებენ ნიკო ლეკიშვილი, ბაკურ გულუა და ბევრი სხვა „ცნობილი სახე".

## სახელმწიფო მინისტრმა ინვალიდები მიიპატიჟა

გამძაფრდა დავა-დაპირისპირება ინვალიდებსა და ხელისუფლებას შორის. ინვალიდთა რისხვა პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანამ და ინვალიდებისთვის გათვალისწინებული შეღავათების გაუქმებამ გამოიწვია. კანცელარიასთან გამართული რამდენიმედღიანი საპროტესტო აქცია იმით დასრულდა, რომ სახელმწიფო მინისტრმა ინვალიდები კანცელარიაში მიიპატიჟა და მათი თანდასწრებით ფინანსთა სამინისტროს „შეუტია". ჯორბენაძემ გოგიაშვილის უწყებას ორი დღე მისცა იმ რეკომენდაციების შესამუშავებლად, თუ როგორ შეუმსუბუქონ ყოფა ინვალიდებს. მოგვიანებით პროექტს მთავრობას წარუდგენენ განსახილველად.

## „უპრეცედენტო, სამარცხვინო დოკუმენტი"

1-ელ აგვისტოს გაიმართა აფხაზეთიდან დევნილი ლეგიტიმური უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია, სადაც დაითხოვეს დევნილი მინისტრთა კაბინეტი. თამაზ ნადარეიშვილის თქმით, იწყება ფართომასშტაბიანი მზადება პარტიზანული მოძრაობისა და აფხაზეთში ძალისმიერი გზით დაბრუნებისთვის. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 31 ივლისს მიღებულ მორიგ 28-ე რეზოლუციას აფხაზეთის შესახებ, თამაზ ნადარეიშვილმა „უპრეცედენტო სამარცხვინო დოკუმენტი" უწოდა. სესიას უსმენდა გარეთ შეკრებილი ათასობით ლტოლვილიც, რომლებმაც მხარი დაუჭირეს თამაზ ნადარეიშვილს და მოითხოვეს, რომ ასლან აბაშიძის ნაცვლად, პრეზიდენტმა თავის პირად წარმომადგენლად აფხაზეთის საკითხებზე მოლაპარაკებებში თამაზ ნადარეიშვილი დანიშნოს... (იხ. გვ. 7).

## დაფიქსირებულია ტიფის რამდენიმე შემთხვევა

საქართველოში ტიფის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. ეს ინფექციური დაავადება 70-იანი წლებიდან საქართველოში აღმოფხვრილად ითვლებოდა.

მარნეულის რაიონულ საავადმყოფოში გადაყვანილ ჰასანოვების ოჯახის წევრებს მუცლის ტიფი აღმოაჩნდათ. ინფექციონისტთა აზრით, ტიფის მიკრობის მატარებელი იყო ოჯახის დიასახლისი, რომელმაც ინფექცია სავარაუდოდ აზერბაიჯანიდან ჩამოიტანა.

ერთი ვერსიით კი, მარნეულის რაიონის იმ სოფელში, სადაც ჰასანოვები ცხოვრობენ, წელიწადია, რაც სასმელი წყალი ცისტერნებით მიაქვთ. მედიკოსების აზრით, დაბინძურებული და სანიტარულად დაუმუშავებელი ცისტერნით სხვა ოჯახებიც ისარგებლებდნენ. შესაბამისად, არ არის გამორიცხული ტიფის მიკრობით მათი ინფიცირებაც...

## როგორ „აორთქლდა" ზაიცევი

გრძელდება კიდევ ერთი რუსულ-ქართული სკანდალი სამხრეთ კავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბის თანამშრომლის, პოლკოვნიკ იგორ ზაიცევის გაუჩინარებასთან დაკავშირებით (ერთი ვერსიით, ზაიცევი უკანასკნელად სამარშრუტო ტაქსიში ნახეს, მეორე ვერსიით კი გვიან ღამით შტაბის შენობაში მისული „აორთქლდა"). რუსი მაღალჩინოსნების აზრით, ზაიცევი პანკისის ხეობაშია გატაცებული, რასაც კატეგორიულად უარყოფენ ქართველი ძალოვნები, რომლებიც აცხადებენ, რომ ზაიცევი საიდუმლო ინფორმაციებს არ ფლობდა და არც თანამდებობრივი მდგომარეობით წარმოადგენდა ვინმესთვის ინტერესის საგანს. ასეა თუ ისე, ამ ფაქტსაც, როგორც ჩანს, მოსკოვი კვლავ შევარდნაძეს და ჩეჩენ ბოევიკებს დააბრალებს...

## განცხადებამ ისტერია „შეარბილა"

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ დაწყებულ მორიგ ანტიქართულ ისტერიას ვაშინგტონი გამოეხმაურა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურად გაავრცელა განცხადება, რომ ქვეყნის მთავრობა ინფორმირებულია საქართველო-რუსეთის საზღვრის მახლობლად, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, ჩეჩენთა დაჯგუფებებსა და რუს სამხედროთა შორის მიმდინარე ბრძოლების თაობაზე... აშშ კვლავაც დაეხმარება საქართველოს საზღვრების დაცვა-გამაგრებაში, ხოლო რაც შეეხება პანკისის ხეობის პრობლემას, ეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობამ უნდა მოაგვაროს. აშშ კვლავაც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას, ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. ამ განცხადების შემდეგ ანტიქართული ისტერია რუსეთში „შერბილდა"...

## სამების ტაძარი 2004 წლისთვის დასრულდება

სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე ამავე ტაძრის მშენებლობის ფონდის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რკინაბეტონის ძირითადი სამუშაოები დასრულდა და მიმდინარეობს ტაძრის ბოლნისის ტუფით მოპირკეთება. მშენებლები ვარაუდობენ, რომ ჩუქურთმების, ორნამენტებისა და ფრესკების დასრულებას ორი წელიწადი დასჭირდება. ირაკლი ანდრიაძის განცხადებით, ტაძარი 2004 წლისთვის დასრულდება. არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის თქმით, ტაძარს დაახლოებით 450-მდე სხვადასხვა ორნამენტი დაამშვენებს. ტაძარს შეამკობენ მხატვრული რელიეფებით, კერძოდ, ტაძრის ზედა ნაწილზე მთავარანგელოზთა, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილზე იოანე ნათლისმცემლის რელიეფები გამოისახება.

## მშენებლობა გრძელდება

დიდი შეხლა-შემოხლა და მუშტი-კრივი გაიმართა ვაჟა-ფშაველას პროსპექტის №23 კორპუსის მობინადრეებსა და ერთ-ერთი კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომელს შორის. ამის მიზეზი გახდა კორპუსის სკვერში დაწყებული სამსართულიანი სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, რამაც მოსახლეობის რისხვა გამოიწვია. მშენებლობის დამკვეთმა მოჭადრაკე გიორგაძემ წესრიგის დასამყარებლად კერძო დაცვის სამსახური გამოიძახა. მოსახლეობა ამტკიცებს, რომ დაცვა ხელკეტებით დაერია ხალხს. მან არც ქალბატონები დაინდო... მოსახლეობა აცხადებს, რომ გიორგაძემ ნაკვეთი მათთან შეუთანხმებლად იყიდა 3 მილიონ ლარად...

მშენებლობა გრძელდება!

## ფრთხილად, სალმონელოზი მქვინვარებს

ადიგენის, ახალციხისა და ხაშურის საავადმყოფოებში ერთი და იმავე დაავადებითა და დიაგნოზით 170 ადამიანი მოხვდა. ისინი ადიგენის რაიონში ახლობლის წლისთავზე გაშლილ სუფრაზე მოიწამლნენ. თავდაპირველად ეგონათ, რომ მასობრივი მოწამვლა ლომონათმა გამოიწვია, მაგრამ მოგვიანებით ანალიზებით დადასტურდა, რომ სალმონელოზით იყვნენ მოწამლულნი, რომელიც დაავადებული ხორცის კერძისგან შეეყარათ. მათი მკურნალობის ხარჯები მთლიანად სახელმწიფომ აიღო. დაავადებულების უმეტესობა ქალები და ბავშვები არიან.

## ლიანა ისაკაძე „ღიმილის პრიზით" დააჯილდოეს

გერმანიიდან საქართველოში მცირე ხნით ჩამოსული სახელგანთქმული მევიოლინე და დირიჟორი ლიანა ისაკაძე, რომელმაც ბორჯომში გამართულ მუსიკალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის" პრეზიდენტმა ნანული შევარდნაძემ „ღიმილის პრიზით" დააჯილდოვა.

## „მამაცი მწყემსი" არ არსებობს?..

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა ოფიციალურად მოსთხოვა რუსულ მხარეს მწყემს ლევან თელიძის გადმოცემა. ეს ის თელიძეა, რომელმაც რუსეთის მასმედიის მტკიცებით, გააფრთხილა რუსი მესაზღვრეები ჩეჩენ ბოევიკთა რაზმის გადაადგილების შესახებ და რისთვისაც პრეზიდენტმა პუტინმა მამაცობისთვის... მედლითაც დააჯილდოვა! ქართული მხარე ეჭვობს, რომ მწყემსი ლევან თელიძე რუსების ფანტაზიის ნაყოფია და ასეთი პიროვნება არ არსებობს... საქართველოს საზღვართან მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო კი საქართველოს ძალოვანმა უწყებებმა საზღვრის გასამაგრებლად დამატებითი ღონისძიებები გაატარეს. სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან თავდაცვის სამინისტროსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ქვედანაყოფები. პრეზიდენტ პუტინს კი რუსეთის სახელისუფლებო შტოების პირველი პირები და გენერლები ოფიციალურად სთხოვენ პანკისის ხეობაში ცალმხრივი სამხედრო ოპერაციის განხორციელებას. ამ „იდეას" რუსეთის ტელევიზიით გამოსვლისას მხარი დაუჭირა თენგიზ კიტოვანმა...

## ცეესკო მზადაა

გადაწყდა, რომ 2 ივნისის არჩევნების ბიულეტენებს დადგენილი წესით გადაითვლიან. უზენაესმა სასამართლომ პარტია „სახალხოს" საკასაციო სარჩელი ხმების ხელახლა გადათვლის წესის შესახებ არ დააკმაყოფილა, — სარჩელში მოითხოვდნენ, რომ ხმების დათვლა ბიულეტენების აღრიცხვის შემდეგ მომხდარიყო... ახლა ცეესკო მზადაა ბიულეტენების გადასათვლელად და მიმდინარე კვირას ექვსი ვიდეოკამერის თანხლებით, საამისოდ საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში, დაიწყება ხმების გადათვლის „ისტორიული პროცესი". სავარაუდოდ, არჩევნების შედეგების გადასინჯვა-შემოწმებას ექვსი თვე დასჭირდება.

## მფრინავთა ასოციაცია ბრალს დებს

საქართველოს მფრინავთა ასოციაციამ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრ მერაბ ადეიშვილს სასამართლოში უჩივლა ამ დარგში „გატარებული დამანგრეველი რეფორმების გამო". ასოციაციის წევრები ადეიშვილს დილეტანტსა და საავიაციო საქმეში პროფანს უწოდებენ. მინისტრი უარყოფს ბრალდებებს და მის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას „დაკვეთას" უწოდებს. კონტროლის პალატის მასალების თანახმად კი ამ დარგში შექმნილი უმძიმესი ვითარება ტრანსპორტის სამინისტროსა და საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელთა არათანამიმდევრული პოლიტიკის შედეგია. სამოქალაქო ავიაციაში მომხდარ დარღვევებს ანტიკორუფციული საბჭო შეისწავლის.

## ჩუმად! ჩუმად! არვინ გაგვიგოს

„დიდი ამბები" ხდება ედპ-ის ოფისში, სადაც მაგრად დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები ხელისუფლების კრიმინალიზაციის წინააღმდეგ გაერთიანებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის (კონსულტაციებს არ ესწრებიან „ახალი მემარჯვენეები") და ჯერჯერობით ის არის ცნობილი, რომ 18 აგვისტოს, გია ჭანტურიას დაბადების დღეს, მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადებებით გამოსვლას აპირებენ ამ პარტიათა (ძირითადად ედპ, ნაციონალები, ჟვანიას გუნდი, ტრადიციონალისტები...) ლიდერები. მათი თქმით, 18 აგვისტოს შემდეგ პოლიტიკური სპექტრი ქვეყანაში ძირეულად შეიცვლება. წინასწარი ინფორმაციით, ისინი ოფიციალურად გამოაცხადებენ ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნის შესახებ...

## ფასები პრაქტიკულად განახევრდება

კომუნიკაციების ეროვნულმა მარეგულირებელმა კომისიამ და მისმა ხელმძღვანელმა ვახტანგ აბაშიძემ სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა ჩვენს მოსახლეობას. კომისიამ შეიმუშავა ნორმატიული აქტი, რომლის თანახმად საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრების ფასები მნიშვნელოვნად დაიწევს (პრაქტიკულად, განახევრდება); ანუ თუ აშშ-ში დარეკვა და ერთი წუთი საუბარი ღირს 1 ლარი, უახლოეს მომავალში 50 თეთრი და შეიძლება უფრო ნაკლებიც ეღირება. ასევე განახევრდება ფასები ევროპისა და რუსეთის მიმართულებითაც. ახლა სიტყვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროზეა, რომელმაც რეგისტრაციაში უნდა გაატაროს მარეგულირებელი კომისიის ნორმატიული აქტი და ფასდაკლებაც ავტომატურად მოხდება.

## „რაღაცების კეთება ვისწავლეთ..."

მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე დამსწრენი კორუმპირებულ მაღალჩინოსანთა გვარების დასახელებას ელოდნენ, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ! მინისტრებმა ექვსი თვის მუშაობის შედეგები ჩააბარეს პრეზიდენტს და დამსწრე საზოგადოებას, რომლის ნახევარსაც დარბაზში ეძინა ან თვლემდა. ამჯერად მინისტრებმა ერთმანეთის დადანაშაულებისგან თავი შეიკავეს. გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე კი (რომელსაც პოსტზე დამტკიცებისას პარლამენტში „ზომიერად კორუმპირებული პროკურორი" შეარქვეს) განსაკუთრებული ზომიერებით შეეხო ისეთ დელიკატურ თემას, როგორიცაა ქართველ კორუმპირებულ ჩინოვნიკთა და ზოგიერთი ბიზნესმენის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საქართველოდან გადაქაჩული ქონებისა და კაპიტალის ფაქტების გამოვლინება. გენპროკურორმა გვარების დასახელება მომავლისთვის გადადო.

სამაგიეროდ, გენპროკურორმა თავისუფალი მედიის წინააღმდეგ გაილაშქრა და ბრძანა, ძალოვანი უწყებების წინააღმდეგ შეგნებული პროვოკაციული კამპანიაა დაწყებულიო. მედია ნინო ბურჯანაძემ დაიცვა და განაცხადა, დესტაბილიზაციის საფრთხეს სიტყვის თავისუფლება კი არ ქმნის, არამედ ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის 54% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობსო... სამაგიეროდ, პრეზიდენტის თქმით, „მიუხედავად სირთულეებისა, ჩვენ უკვე ვისწავლეთ რაღაცების კეთება და ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ წინ!"

## სახელმწიფოს გამაგრება შეგვიძლია, თუ...

ძვირფასი ლითონების გადინების მუქ ფონზე ქართველ ბიზნესმენებს ამერიკიდან ორი ოთხ-ოთხ კილოგრამიანი პლატინისა და ოქროს ნაკეთობა გამოუგზავნეს. ერთი მათგანი „ხარისხის პლატინის ჯილდოა", ხოლო მეორე — „ხარისხის ოქროს ჯილდო". მართალია, თითოეულის განბაჟებაში 160 ლარი მოითხოვეს, მაგრამ შპს „ჟინერს" (ჟინვალჰესის მმართველ კომპანიას) და სიგარეტ „პირველის" მწარმოებელ კომპანია „სამგორი 94"-ს ამ თანხის გადახდა არ გასჭირვებიათ.

ეს ორი საწარმო საუკეთესო აღმოჩნდა მსოფლიოს 163 ქვეყნის იმ კომპანიათა შორის, რომლებიც ბიზნეზში წარმატებული საქმიანობით გამოირჩევიან.

ნიუ-იორკში, საერთაშორისო ორგანიზაცია „Business Initiative Directions"-ის სამიტის მიერ (რომლის მიზანია მსოფლიოში საუკეთესო კომპანიების გამოვლენა) ეს ქართული საწარმოების დაჯილდოების პირველი შემთხვევაა.

— ჩვენ საერთაშორისო ბიზნესს ვეპოტინებით, — აცხადებენ გამარჯვებული ქართული კომპანიების წარმომადგენლები, — ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს გამაგრება შეგვიძლია. ოღონდ, ხელისუფლებამ ჯერ თვითონ უნდა გვაცალოს გამაგრება!

## იუნესკოს ფესტივალის გამარჯვებული

12-29 ივლისს, რუსეთის ქალაქ სუზდალში, იუნესკოს ეგიდით გაიმართა მე-10 საერთაშორისო საიუბილეო კონკურს-ფესტივალი. საქართველოს სახელით ფესტივალზე სამკაციანი დელეგაცია გაიგზავნა. მათ შორის იყო რუსთავის ხელოვნების სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტი, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ცენტრთან არსებული ანსამბლ „რონდოს" სოლისტი ქეთი გომართელი. ფესტივალზე იგი სამი ნომრით წარდგა, თუმცა გამარჯვება რევაზ ლაღიძის „თბილისოთი" მოიპოვა. ქეთი გომართელი იუნესკოს სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

## პოლიციელი დანაშაულს აღიარებს

ნაძალადევის მეტროსთან მომხდარი შელაპარაკებისას პოლიციელმა 16 წლის ბიჭს ბაჩანა ხაჟალიას ტყვია დაახალა და მიიმალა. დაჭრილი უმძიმეს მდგომარეობაშია. მისმა ახლობელნათესავებმა და მეზობლებმა გამოძიებას ტენდენციურობა დასდეს ბრალად და ცოტნე დადიანის ქუჩა გადაკეტეს. დანაშაულში ეჭვმიტანილი გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის მე-9 განყოფილების თანამშრომელი გიორგი მეცხვარიშვილი პროკურატურაში არ ცხადდება, თუმცა წერილობით აღიარებს, რომ ხაჟალია სწორედ მან დაჭრა ტაბელური იარაღით. ხაჟალიას ახლობლების თქმით, მეცხვარიშვილი იმავე დღეს დააკავეს, მაგრამ მოგვიანებით პოლიციის საკნიდან ფარულად გააპარეს.



## პალესტინა დამოუკიდებლობით იმუქრება

იერუსალიმის უნივერსიტეტში პალესტინელი კამიკაძის მიერ განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, რასაც შვიდი ებრაელის სიცოცხლე ემსხვერპლა, ისრაელის ტანკები და ბულდოზერები მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროსა და ქალაქ ნაბლუსში შევიდნენ და მიწასთან გაასწორეს პალესტინელთა საცხოვრებელი სახლები, დააპატიმრეს ტერორიზმში ეჭვმიტანილი ათობით პალესტინელი. იასირ არაფატმა ისრაელის ქმედებას კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული უწოდა და პალესტინის დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაემუქრა ისრაელს...

## ოჰ, მუზავ, მუზავ!

თურქმენეთის პრეზიდენტმა და თურქმანბაშმა საფარ მურატ ნიაზოვმა თავის ერს ახალი საჩუქარი უძღვნა საკუთარ... ლექსთა კრებულის სახით, რომლის სახელწოდებაცაა „გულიდან ამოკრეფილი სიყვარულის ყვავილები". კრებულის წინასიტყვაობაში თურქმანბაში აღიარებს, რომ ბავშვობიდანვე ჩუმად წერდა ლექსებს და ახლა გამოაქვს იგი ერის სამსჯავროზე! თურქმენული კრიტიკა აღფრთოვანებით შეხვდა „შედევრს".

ფაქტია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობათა ნორმალიზებას არაფერი შველის. გაეროს უშიშროების საბჭოც, რუსეთის მცდელობებით, კვლავ არაფრისმომტან რეზოლუციებს იღებს აფხაზეთის შესახებ. უკვე რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი პირები და ყველა სახელისუფლებო შტოს ხელმძღვანელები გვემუქრებიან ინტერვენციით და იმავდროულად აშკარად და მრავალმნიშვნელოვნად გვაგრძნობინებენ — ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზებაც, „ძმობის“ განახლებაც და, რაც მთავარია, აფხაზეთის დაბრუნებაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ გეორგიევსკის ტრაქტატის ტიპის ახალი ხელშეკრულების დადების შემთხვევაშიო! იქნებ მსგავსი „ტრაქტატის“ დადებას დღესაც ბევრი ნატრობს საქართველოში, მაგრამ, საბედნიეროდ, ამერიკელები გვიდგანან დამოუკიდებლობის გარანტად... ეს რომ არა, ჩვენი აწეწილ-დაწეწილი ყოფისა და ქართული შინაპოლიტიკური დაპირისპირებების წყალობით, დიდი ხანია ხელი გვექნებოდა მოწერილი „ტრაქტატზე“. რადგან უსაფრთხოების ეს გარანტია გვაქვს, ხელისუფლებაც ადეკვატურად იქცევა შიდაპოლიტიკაში. მაგალითად, „შეიძლება“ 8 საათის მანძილზე მიმდინარეობდეს კორუფციასთან „მებრძოლი“ მთავრობის გაფართოებული სხდომა და უშედეგოდ მთავრდებოდეს. „შეიძლება“ გენერალური პროკურორი აცხადებდეს, მთავრობაში უამრავია ხალხი, რომლებიც რესტორნებს, კაზინოებს, ბანკებს, სასტუმროებსა და თვით კუნძულებსაც კი ფლობენ მსოფლიოს მრავალ კუთხეშიო და ამ ჩინოვნიკთა გვარებს არ ასახელებდეს და ა.შ. ამ და სხვა საკითხებზე მოსაზრებების გამოთქმა ვთხოვე პოეტ **დათო მაღრაძეს:**

— სათავე შექმნილი ვითარებისა და ყველა ჩვენი სატკივრისა, საქართველოსა და ქართველი ერისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებაშია. ამასთან, ჩვენი საზოგადოების ამ ყოფამდე მიყვანის მიზეზებზე სასაუბროდ ათვლის წერტილად მხოლოდ დღევანდელ, ან ბოლო წლებს ვერ ავიღებთ. გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, რაც მოხდა საქართველოში, ალბათ ურთულესი რამ იყო საიმისოდ, რომ ერს გაეძლო და თავისი სახე შეენარჩუნებინა. წარჩინებული ქართული საზოგადოება რამდენჯერმე გაანადგურეს ფიზიკურად, რაც უკვალოდ არ ჩაივლიდა და არც ჩაუვლია — განათლებულ ქართულ საზოგადოებას, რომელსაც უნდა წარემართა ქვეყნის ბედი, ანადგურებდნენ ფიზიკურადაც და სულიერადაც ასახიჩრებდნენ. შედეგად მივიღეთ დღევანდელი ქართული საზოგადოება — დაბეჩავებული, უხერხემლო და სწორედ ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამ საზოგადოების ბეჩავობითაა ნასაზრდოები და ამ უხერხემლობას პირადი სარგებლისთვის შესანიშნავად იყენებს. როდესაც უმეცარი იბარებს ძალიან საპასუხისმგებლო პოსტს, იქ უკვე ტრიალებს უბედურება და შეუძლებელია ქვეყნისათვის რაიმე სასიკეთო გაკეთდეს. საერთოდ, ყოველთვის იმდენს ბედავს ხელისუფლება, რამდენსაც საზოგადოება ამის საშუალებასა და ნებას მისცემს. ყოველივე ამის ფონზე, მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტი აცხადებს, — ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივდივართო. ეს ის განცხადებაა, რომელსაც მეათე წელიწადია ვისმენთ. დამადლებულია ის სტაბილიზაციაც, რომელიც დროშად აქვს ხელისუფლებას ატაცებული. რა სტაბილიზაციაზეა ლაპარაკი, როცა, მგონი, ლეკიანობაზე უარესი ხდება საქართველოში. ქვეყანას ჩამოჭრილი აქვს ტერიტორიები, არ ტარდება არანაირი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და „ხელთ გვაქვს“ ერთადერთი ლოზუნგი, რომ „ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივდივართ“. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ ვერანაირ წინსვლას. ასეთი განცხადებების კეთება კი, წესით და რიგით, შექმნილ სიტუაციაში ვერ უნდა გაბედოს პრეზიდენტმა. როდესაც ვერაფერს ართმევ თავს და არც იცი, როგორ გაართვა თავი, ბოდიში მაინც უნდა მოუხადო საზოგადოებას. პრეზიდენტს კი მხოლოდ ის შეუძლია, რომ შეთითხნოს „ხელმძღვანელი მუშაკის“ ტიპი, რომელსაც თანაბარი ინიციატივითა და წარმატებით გაუშვებს გნებავთ ეკონომიკაში, განათლებაში, ენერგეტიკაში და ა.შ.

— **თქვენც იყავით ამ ხელისუფლების წევრი, პარლამენტარი და თქვენი დაკვირვებით, რა წარმონაქმნია, ან რა მოვლენაა დღევანდელი ქართველი ჩინოვნიკობა?**

— ეს არის ზედაპირზე მოტივტივე ხალხი, რომლებსაც ძებნა არ სჭირდებათ საზოგადოებაში და, როგორც წესი, თვითონ სთავაზობენ ხოლმე საკუთარ თავს პირველ პირს. ამ შეთავაზებაში კი იგულისხმება ის, რომ ასეთი ადამიანები მიანიშნებენ შევარდნაძეს — მე შენი მიმდევარი და ნებისმიერი ბრძანების უსიტყვო შემსრულებელი ვარო! შევარდნაძე ცდილობს, თავისი სახელმწიფოებრივი წარუმატებელი საქმიანობა შენიღბოს რიტუალური გამარჯვებებით. აი, ამ რიტუალურ გამარჯვებებში დიდი ენთუზიაზმით ერთვება მთელი ჩინოვნიკური მასა და ეუბნება: ვთქვათ, დაინგრევა ძველი, არაჩვეულებრივი თბილისი, მაგრამ ჩვენ მათ ადგილზე ჩავდგამთ ყოვლად უსახურ კორპუსებს და ამას დავარქმევთ აღმშენებლობით პროცესს. თქვენც (შევარდნაძეს) შეგეძლებათ თქვათ, რომ მიდის აღმშენებლობა. იგივე ხდება ნებისმიერ დარგში, კატასტროფაა ყველგან. ვერ ვიტყვით, თუ ასე გავაგრძელებთ, დავიღუპებითო. ჩვენ უკვე დავღუპეთ ქვეყანა და ახლა იმის ძალისხმევა გვმართებს, თუ როგორ გავცოცხლდეთ და იმაზე ფიქრი, რა და როგორ გავაკეთოთ, რომ საქართველოს ისტორია არ დასრულდეს... შევარდნაძისეულ „აღმშენებლობისთვის“ ძალიან ნიშანდობლივია სახელმწიფო კანცელარიის, ანუ ცეკას ყოფილი შენობა, რომელიც თავისი ფორმით ძალადობაა კულტურაზე და თითქოს სოლოლაკის უმშვენიერესი არქიტექტურის ჯინაზეა ჩათხრილი ძველ უბანში. ამ შესანიშნავ არქიტექტურულ ანსამბლში შეჭრილი მოძალადე მაგონებს 30-იანი წლების ქართულ მწერლობაში მომხდარ ამბებს. როცა მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები გაანადგურეს ფიზიკურად, შემდეგ ცეკამ გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად „მავნებლების“ მოსპობით შეთხელებული მწერალთა რიგები უნდა შეევსოთ პროლეტარებით. მოწოდება იყო — პროლეტარები გავიწვიოთ მწერლობასა და ხელოვნებაშიო! მართლაც გაიწვიეს... აი, ასეთი რამ მოხდა სოლოლაკშიც, — დაანგრიეს არაჩვეულებრივი არქიტექტურული გარემო და პროლეტარი ჩასვეს იქ, მოერივნენ კულტურას! როგორი დისონანსიც შეიტანა ცეკა-კანცელარიის ამ შენობამ კულტურაში, თბილისის განაშენიანებაში, ზუსტად იგივე მოახდინა ჩვენი საზოგადოების სულიერებაში ამ შენობიდან გამოსულმა მსოფლმხედველობამ.



# „შევარდნაძეს შპს „საქართველოს“ დირექტორობა უნდა...“

— **ე.ი. შენობებიც ძალადობენ?..**

— სწორედაც... იქიდან იგივე ძალადობა და ცნობიერება წამოვიდა, ანუ რაც ფორმა აქვს, ის შინაარსი დევს, სადაც არც ადამიანები შეცვლილან დღემდე და არც მსოფლმხედველობა. შევარდნაძეს ემპირიული ცოდნა აქვს და სხვა გამოცდილება არ გააჩნია. მთელი თავისი ცხოვრებით ძირფესვიანად ჩადგმული იყო კომუნისტურ სისტემაში. იგი ინერციით მოდის და ცდილობს, როგორმე საბჭოთა კავშირი შეინარჩუნოს საქართველოში. იგივე საბჭოთა ხელისუფლება მუდამ ცდილობდა, როგორმე მოექრთამა არტისტული საზოგადოება. ეს მოქრთამვა კი ხდებოდა მატერიალურადაც, ყურადღების გამოჩენითაც, ჩინ-მედლებითაც, დანამუსებითაც... აი, ეს გრძელდება დღესაც საქართველოში და იმიტომ, რომ საბჭოური ცნობიერების ქართულ ხელისუფლებას, რომელმაც იცის, რომ არ ეკუთვნის ქვეყნის სათავეში ყოფნა, ყველაზე მძაფრად ეშინიათ არტისტული საზოგადოებიდან წამოსული შეფასებებისა. ეს არის აპრობირებული ქმედება, რომელიც დროში ასცდა დღევანდელ ეპოქას. შემორჩა პატარა ჯგუფი, პირობითად დავარქვათ მას არტისტული საზოგადოება და შემორჩა იგივე ხელისუფლება, იმავე სახელებითა და გვარებით, რომლებიც აღებ-მიცემობას, ყურადღებიანობას თამაშობენ. კალენდარი კი თავის გზით მიდის. ერთადერთი, მხოლოდ საბჭოთა კავშირს შეეძლო მისი „შეჩერება“ დედამიწის გარკვეულ მონაკვეთზე. დღეს ამუშავდა ეს კალენდარი და იმდენად მკაფიოა კონტრასტი დროსა და საქართველოს ხელისუფლების სახეს შორის, რომ დაიბნენ და არ იციან, რა გააკეთონ.

— **ვინ აგებს ყველაფერ ამაზე პასუხს — ხელისუფლება, საზოგადოება, თუ ორივე ერთად?**

— არანაირი ხელშეწყობა მეწარმეობას არა აქვს. ეკონომიკა არ ვითარდება, რაც უნდა იყოს კიდეც კორუფციასთან ბრძოლის უპირველესი შედეგი. ხელისუფლებაში და საზოგადოებაში გამჯდარია იდეფიქსი — თუ ხარ პრეზიდენტის მხარდამჭერი, ყველაფრის შინ წაღების, ან უცხოეთის ბანკებში გადაქაჩვის ნება გაქვს და ხელსაც ვერავინ გახლებს, რადგან დაგროვილი ქონებით რიტუალურ გამარჯვებებში მიიღებ მონაწილეობას, რასაც პრეზიდენტის მიერ „ქვეყნის აღმშენებლობის“ პროცესი ჰქვია, კორუმპირებული მდიდარი ჩინოვნიკები და მათთან კავშირით გამდიდრებული „ბიზნესმენები“ კი, იმდენად გაირყვნენ, რომ სიწმინდის და სისუფთავის ნაპერწკალიც არ დარჩათ და უბედურება ის არის, რომ ვერც აცნობიერებენ ამას. შედეგად, ისე არიან ტვინდაბნელებულები, რომ გადაწყვიტეს — ანგელოზებიც ილებენ ქრთამსო! მათ ჰგონიათ, ცოდვებს მონანიება არ სჭირდება და ამ ცოდვებს „აპრავებენ“, რეცხავენ და ეკლესიებს თავიანთ გვარსახელებს აწერენ. თვისტომთ ათეულ მილიონს ჰპარავენ, იქიდან 100 ლარს სადღაც მშენებლობაში დებენ და როგორც ქტიტორები, ისე გვევლინებიან. ანუ მიდის „ცოდვების გარეცხვა“ და მე ვსვამ კითხვას — შეიძლება კი ამას „აღმშენებლობა“ ეწოდოს?

— **მახსოვს, როდესაც მწერალმა რასპუტინმა ავადმყოფი ერი გვიწოდა და ასტაფიევმაც ჩაგვაზილა წიხლი, მთელი ქართული ინტელიგენცია ფეხზე დადგა; სავსე იყო ჟურნალ-გაზეთები საპასუხო სტატიებით! დღეს რუსეთის პროპაგანდა მათხოვარ ქვეყანას გვიწოდებს, პასუხს კი არავინ სცემს...**

— ინტელიგენცია პირობითი სახელწოდებაა. საქართველოში იყო არისტოკრატია, არაჩვეულებრივი საზოგადოება, რომელმაც ურთულეს ვითარებებში შეაძლებინა თავის ერს, რომ ფიზიკურადაც გადარჩენილიყო და სულიერადაც, შეენარჩუნებინა ტრადიციები და ნიშანთვისებები. შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ მე-19 საუკუნეში, როდესაც საქართველო დაპყრობილი იყო, ქართული საზოგადოება არსებობდა. დღეს კი, როცა დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტიკა გააჩნია ქვეყანას და გაეროს წევრია, ქართული საზოგადოება აღარ არის. მხოლოდ კუნძულ-ოაზისებადღაა შემორჩენილი აქა-იქ, ოჯახების სახით... რაც შეეხება რუსეთს. როდესაც დღევანდელი რუსეთის ხელისუფლება და პროპაგანდა მათხოვარს გვიწოდებს, ეს იგივეა, ყვავმა ყვავს რომ უთხრა, — შე შავოო! ზუსტად ჩვენნაირი პრობლემები აქვს რუსეთს. რა თქმა უნდა, შეურაცხმყოფელია და ხშირად ჩვენც ვაყენებთ ხოლმე შეურაცხყოფას. ამის დასტურია თუნდაც საქართველოს პარლამენტში რუსეთის მიმართ გამოთქმული ეპითეტები. ყვავები დგანან იქით-აქეთ და შავებს ეძახიან ერთმანეთს. ეს არის რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობა. მე არც ერთი ეთნოსი არ მძულს და საერთოდ არ შეიძლება ნორმალურ ადამიანს სძულდეს სხვა ერი. საუბედუროდ, ქართული პოლიტიკაა ის მიცვალებული, რომელსაც გამუდმებით უკეთებენ მაკიაჟს. პანაშვიდზე იტყვიან ხოლმე მიცვალებულზე — ცოცხალივით გამოიყურებაო. იგივე ითქმის ქართულ პოლიტიკაზეც: ჭირისუფლები სხედან შევარდნაძის თავკაცობით, წინ უდგათ კუბო — ქართული პოლიტიკითურთ და ვიშვიშებენ, თან თავს იმშვიდებენ — აგერ, ფერუმარილი, პუდრი-პომადა წავუსვით და კი ჰგავს ცოცხალსო! აი, ეს არის მთელი ჩვენი შინაპოლიტიკაც და საგარეო პოლიტიკაც, სადაც სხვები აკეთებენ ქართველების გასაკეთებელ საქმეს. უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენში პოლიტიკოსები არ არიან. როგორც შაირობაა სიბრძნის დარგი, ისე პოლიტიკაა სიბრძნის დარგი. დღევანდელი ქართველი პოლიტიკოსების სახით ჩვენ გვყავს და გვაქვს სიბრძნისგან დაცლილი პოლიტიკა და, შესაბამისად, მშრალი კარიერიზმი და კარიერისტები. პოლიტიკის სიბრძნე კი არსად უსწავლიათ ამ დალოცვილებს და როგორ, რა გზით გახდნენ ასეთი „ბრძენნი“? შედეგად, ვიმეორებ, სიბრძნეგამოცლილი მათი მოღვაწეობიდან გვყავნან ინტრიგანი კარიერისტები. სასაცილოა, რომ ბევრმა დაიწერა პროფესიად პოლიტიკოსი! არადა რა პოლიტიკოსები არიან, როცა ზოგი ბოტანიკოსია, ზოგი ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ზოგი საერთოდ უპროფესიოა. კომკავშირულ სამუშაოებზე იყვნენ, პარალელურად სადღაც დაუსწრებელზე ჩარიცხულნი, ჩათვლის წიგნაკს ვიღაცას გაატანდნენ და ნიშნებს ასე უწერდნენ და შეიძლება იმის თქმა, ეს ხალხი იმ საქმის პროფესიონალები არიან, რისი დიპლომებიც უდევთ შინ? აი, ამ კომკავშირელებმა მოახდინეს პროფესიონალიზმის სრული პროფანაცია. ასეთი ხალხით დახუნძლეს სახელისუფლებო შტოები. თელავში ხუმრობდნენ ჩემი მეგობრები: როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა და ნომენკლატურაც წავიდა, თანამდებობის პირებმა კაბინეტებიდან ჩამოხსნეს თავიანთი გვარ-სახელების აღმნიშვნელი „ტაბლიჩკები“, მაგრამ თურმე შეუნახავთო, როცა შევარდნაძე მოვიდა, ამაიღეს ის „ტაბლიჩკები“ და კვლავ გააკრესო, ზუსტად იგივე ხალხი დაჯდა კაბინეტებშიო. იგივეა ყველა კუთხესა და რაიონში.

**როდესაც ვერაფერს ართმევ თავს და არც იცი, როგორ გაართვა თავი, ბოდიში მაინც უნდა მოუხადო საზოგადოებას. პრეზიდენტს კი მხოლოდ ის შეუძლია, რომ შეთითხნოს „ხელმძღვანელი მუშაკის“ ტიპი,რომელსაც თანაბარი ინიციატივითა და წარმატებით გაუშვებს გნებავთ ეკონომიკაში, განათლებაში, ენერგეტიკაში და ა.შ.**

— **ბოლო დროს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზე მსჯელობა აფხაზეთიდან დევნილ ლეგიტიმურ ხელისუფლებასა და „ალორძინებას“ შორის მძაფრ და საშიშ დაპირისპირებაში გადაიზარდა. არ არსებობს ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ამ პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე. სად არის გამოსავალი?**

— მე მესმის აფხაზეთიდან დევნილებისა და თუ სახელმწიფომ მიიღო სერიოზული გადაწყვეტილება — კი, ბატონო. მაგრამ მე ომი დავიწყო, შენ შინ დარჩე, მესამემ „ბიზნესი“ გააჩაღოს ჩვენს ხარჯზე, მეოთხემ — საკუთარი მოღვაწეობის რეზონანსსა და აფიშირებაზე იზრუნოს და არა შედეგზე, მეხუთემ — პოლიტიკური კარიერა შეიქმნას თუნდაც ომის წაგებაზე და ა.შ. ასე ცალ-ცალკე მოფიქრებულ-გადაწყვეტილი არანაირი სიკეთის მომტანი არ არის და არც იქნება, რასაც ადასტურებს კიდეც აფხაზეთის თემაზე მძვინვარე შინაპოლიტიკური დაპირისპირებები, მუშტი-კრივი, ლანძღვა-გინება... ისმის კითხვა: საერთოდ არსებობს კი ერთიანი ქართული სახელმწიფო? ამასთან, როცა აფხაზეთს ვეხებით, სჯობს ხანდახან ჩვენს თავზეც ვილაპარაკოთ, რადგან როცა ყველაფერს მოწინააღმდეგეს აბრალებ, ეს ხელს გიშლის შენთვის სასიკეთო ობიექტური დასკვნის გამოტანაში. ახლა კი ისე გამოგვდის, რომ რაც თავს დაგვატყდა, ჩვენი უჭკუობის, ჩვენი სნეულების ბრალი კი არა, სხვისი ბრალია. აფხაზეთის მთელ ომში მხოლოდ ერთი ქართველი ბიჭიც რომ დაღუპულიყო, თუნდაც ერთი კაცის ხსოვნის პატივსაცემად არავის ჰქონდა უფლება, აფხაზეთში შესვლა გაელანძღა. ერთი კი არა, ათასობით ქართველი დაწვა აფხაზეთში და ასე ხელაღებით ლანძღოს საზოგადოებამ თავისი მეომრები, ნიშნავს იმას, რომ ამ საზოგადოებას გამარჯვება არ უწერია. ქვეყანა, რომელსაც თავისი ჯარისკაცი არ უყვარს, წყევლა-კრულვით აცილებს ომში და ომის შემდეგაც არ აკლებს ლანძღვა-გინებას ცოცხლებსაც და მკვდრებსაც, განწირულია დამარცხებისათვის. შეიქმნა ამაზრზენი გამოთქმა — ვინც კარგი იყო, ყველა დაიღუპა, ვინც გადარჩა, არ იყო კარგი(!). ე.ი. შენი ბრალია, რომ გადარჩი და არ მოკვდიო, ასეთი სიტუაცია შექმნეს, რაც ადასტურებს იმას, რომ ქვეყანას სძულს თავისი ჯარისკაცები და ამასაც ალბათ აქვს თავისი მიზეზი: ჩვენი ერის ძალიან მცირე ნაწილი წავიდა საომრად, ანუ აღმოჩნდა, რომ ძალიან ცოტა ქართველს შეუძლია სიცოცხლე შესწიროს სამშობლოს.

— **და ამ თავგანწირულთა გვერდით სხვებმა რაც მოიმკეს, ვნახეთ...**

— ზუსტად მანდ მივედით... ბევრმა ის მოახერხა, რომ როგორც კი ნაღდი პატრიოტები მოიცილეს თავიდან და ომში დაიგულეს, მთელი საქართველო გააპრივატიზეს. „შედეგად“ დღეს გაიძახიან, — ჩვენ ბიზნესი დავიწყეთ 1992, 1993 წლებშიო. ჯერ ერთი, რა გებიზნესებოდათ და მეორეც, რომელ ბიზნესზეა ლაპარაკი? ხომ ყველამ ვიცით, რა იყო ქართული ბიზნესი — გამოიტანდი, ვთქვათ, 10 და 100 ათასი დოლარის ეკვივალენტ კუპონის კრედიტს და შემდეგ მაკულატურად ქცეული კუპონებითვე ისტუმრებდი ვალს; ან, ვთქვათ, სახელმწიფოსა და ხალხის კუთვნილ ქონებას, ფულს გადაიტან საკუთარი შპს-ის ბალანსზე და ბიზნესიც აწყობილი გაქვს. ან, ბოლოს და ბოლოს, თითოეული მოქალაქის კუთვნილ ნედლეულს, ბუნებრივ სიმდიდრეს აიღებ და გაყიდი მხოლოდ შენ და კიდევ პატარა ჯგუფი. აღებულ ფულსაც ჩაიჯიბავ. აი, ეს არის ქართული ბიზნესი და სხვა ბიზნესი საქართველოში არ მინახავს, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ხოლო ვინც სხვაგან გამდიდრდა და დღეს აქ ჩამოვიდა, მათ ირგვლივ შექმნილი სიტუაცია ძალიან მაგონებს გოგოლის „რევიზორში“ გათამაშებულ სიუჟეტს. დიახ, ჩამოსულ მილიარდერებთან დასაახლოებლად ინტელიგენციის წარმომადგენლები ერთმანეთს ასწრებენ მლიქვნელობაში, რათა დაარწმუნონ ის კაცი საკუთარ მნიშვნელობაში, რომ საზოგადოება იმას კი არ სცემს პატივს, ვისაც შენ აფინანსებ, არამედ იმაზე მეტ პატივს მე მცემს, მე უფრო გჭირდები და ა.შ. აი, ამის დამტკიცებაში არის დღე და ღამ ეს ყოვლად უთავმოყვარეო, უღირსებო ხალხი. ერთადერთი, ვინც გამახარა და გამიჩინა იმედი, რომ ღირსებას ჯერ კიდევ სცემენ პატივს საქართველოში, გახლდათ არტისტი ნოდარ მგალობლიშვილი, რომელმაც „ღირსების ორდენზე“ უარი თქვა და ამიტომ სწორედ ნოდარ მგალობლიშვილი მგონია საქართველოში მართლა ღირსების ორდენის კავალერი. მისასალმებელია, რომ საქართველოში უყვართ წიგნი, რომ იმართება წიგნის ფესტივალები და ბედნიერი ვარ, ჩემმა ლექსების კრებულმა „ნიკალამ“ გაიმარჯვა ამ ფესტივალზე, სადაც ძალიან კარგი წიგნები გამოჩნდა უკვე.

— **დაბოლოს, გჯერათ, რომ ქვეყანა მალე დააღწევს ამ მდგომარეობას თავს, იპოვის გამოსავალს, ჩაატარებს ნორმალურ არჩევნებს და ნორმალურად გაუყვება ისტორიის გზას?..**

— არჩევნები ტექნოლოგიაა. შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ კიდევ კუნძულებივით შემორჩენილმა ზნემაღალმა და განათლებულმა ოჯახებმა, რომლებიც მატარებელნი არიან დიდი ქართული კულტურის ცნობიერებისა და მსოფლმხედველობისა, სამსჯავროდ ზედაპირზე ამოიტანონ ქვეყნის სატკივარი, მოაზროვნე ადამიანები, რომლებსაც შესაბამისი ცოდნა და რეპუტაცია აქვთ, დასხდნენ და დაიწყონ ფიქრი და მსჯელობა, როგორ ვუშველოთ ქვეყანას. თუ ეს მოხდა, ამოვცოცდებით იმ უფსკრულიდან, რომელშიც გადაგვჩეხა ხელისუფლებამ. ხოლო თუ კვლავ „ნაბიჯ-ნაბიჯ გაგრძელდა“ სვლა, როგორც ამას პრეზიდენტი გვიმტკიცებს, ისევ და ისევ ჩავიძირებით უფსკრულში. ჯერ პრინციპები უნდა დავნერგოთ, ვთქვათ, როგორი ქვეყანა გვინდა და შემდეგ — ვინც გინდა, ის მოვიდეს ხელისუფლებაში. ამ ხელისუფლებამ კი უნდა გამოაცხადოს, — ვერ გავართვით თავი ქვეყნის მართვას, ვართ უმწეონი და უსუსურებიო და უხმოდ წავიდეს. შემდეგ, უპირველესად უნდა მოვიდეს არა „ვინ“, არამედ „რა“, ანუ პრინციპები. ხოლო ამ „რას“ შემსრულებელს და შესრულებას ყოველდღიურად უნდა აკონტროლებდეს საზოგადოება, რათა ის „ვინ“ არ მიეცეს ცთუნებას — არ მოახდინოს ხელისუფლების უზურპაცია და ბოროტად გამოყენება. საქართველოში ბოლოს ყველა არჩევნები ბლეფი იყო. ან რა არჩევანზე შეიძლება ლაპარაკი, როცა გუბერნატორი, გამგებელი ინიშნება. ხოლო როცა ქვეყნის 1500-წლოვან დედაქალაქს ნებას არ აძლევ, აირჩიოს თავისი მერი, ვინა ხარ, რა უფლებით ახდენ ხელისუფლების უზურპაციას? თვითონ შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტს კი არ ჰგავს, არამედ მრჩება შთაბეჭდილება, რომ მას ჩამოყვანილ თუ მისივე, ადგილობრივ შექმნილ რამდენიმე გამდიდრებულ მდაბიოსთან ერთად შპს „საქართველოს“ დირექტორობა უნდა. მათ ცნობიერებაში სამშობლო გაუგებარი ცნებაა. მათ უნდა შეიგნონ, რომ საქართველოს ისტორია პროკურატურებსა და იზოლატორებში, ანუ გამოძალული ჩვენებებით არ იწერება. ისტორიას პირუთვნელი მემატიანე დაწერს და არა დაქირავებული გუნდრუკისმკევლები!

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# — გადაარქვან ამ ქუჩას ჩემი სახელი

## ინტერვიუ... აკაკი წერეთელთან



*თბილისის საკრებულოს არჩევნების დამთავრების შემდეგ დიდ ქართველ მგოსანს აკაკი წერეთელს ვთხოვე ეპასუხა ჩემს რამდენიმე კითხვაზე. შეხვედრა მისივე სახელობის სკვერში შედგა.*

— დიდო მგოსანო, ალბათ უკვე იცით, რომ დედაქალაქს ახალი საკრებულოს თავმჯდომარე ეყოლება.

— შევიტყვე და დიდი იმედი მაქვს. იქნებ ახალმა მაინც გამომახედოს თვალში.

**— წინასაარჩევნო ბატალიებს თუ ადევნებდით თვალს?**

— უნებლიეთ ჩემი „გამზრდელის“ სიტყვები მაგონდება — „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!..“ ერთადერთი, ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილის მადლიერი ვარ. ის რომ სამეგრელოში იყო, ჩემი რაჭაში მოგზაურობა მახსენდებოდა...

**— ყველაზე მეტად რაზე გტკივათ გული?**

— რომელი ერთი ჩამოვთვალო... ამ ქუჩისთვის ჩემი სახელის დარქმევა არავისთვის მითხოვია. მადლობელი ვარ, მაგრამ ახალი ყიზილბაშების კარვებით რომ დაიფარა აქაურობა, ეს რა საკადრისია. ახალი თავმჯდომარის სახელზე არზა მაქვს გამზადებული, გადაარქვან სახელი ამ ქუჩას, აიღონ ჩემი ძეგლი და მის ადგილას იმათი მონუმენტები დადგან, თავიანთი „წვლილი“ რომ შეიტანეს ამ ადგილის გაყიდვა-გაპარტახებაში...

**— თქვენი ძეგლის აქედან აღებას თქვენი თაყვანისმცემელი ხალხი არ დაუშვებს!**

— ხალხის ნება-სურვილს ვინლა უგდებს ყურს. გაიხედეთ, რა ხდება ირგვლივ. გული მტკივა... ყველაფერი მანქანებით და დუქან-დახლებითაა ჩახერგილი. გაწვალებულ ხალხს ფეხით გავლაც უჭირს. არავინაა განმკითხავი — ერთი მუჭა უსინდისო ადამიანები ლაფში სვრიან საქართველოს... ქალაქის მესვეურები მარტო დაპირებებით (ისიც არჩევნების წინ) იქცევენ თავს. ამის მიზეზი ფინანსური დეფიციტი კი არა, სინდისის დეფიციტია! ჩემი ბაში-აჩუკივით სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ერთი ჭაბუკიც არ ჩანს ირგვლივ...

**— განა დიდი ილია არ ბრძანებდა: „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“?**

— ილიაც დამიდასტურებდა, რასაც ახლა ვიტყვი — დამეკარგა იმ მომავლის იმედი, შვილო, და იცი, რატომ? ჩემი აქ, ამ სკვერში „გადმოსახლების“ მერე თბილისმა ოთხი თუ ხუთი „პატრონი“ გამოიცვალა, მდგომარეობა უფრო და უფრო აუტანელი გახდა. მახსოვს, როცა აქ ჩემი ძეგლი დადგეს, როგორი ლამაზი და მიმზიდველი იყო პარკი. მიხაროდა... ახლა აქაურობა ათასგვარი დანაშაულებრივი გარიგების ბუდედაა გადაქცეული, განმკითხავი არ ჩანს... წელან გამზრდელი ვახსენე. ამათ გამზრდელივით თავის მოკვლას კი არ ვთხოვ, არამედ დაპირებათა შესრულებას და ხალხის ბედ-იღბალზე ზრუნვას.

**— დიდო მგოსანო, იმედს ნუ დაკარგავთ, იქნებ გამოჩნდეს თქვენი ბაში-აჩუკის მსგავსი ჭაბუკი...**

— ღმერთმა გისმინოს, შვილო! ვითომ „კიდევაც დაიზრდებიან“?..

***დიდ მგოსანს ინტერვიუ ჩამოართვა „კვირის პალიტრის“ მკითხველმა შოთა ანდრიაძემ***



# წმიდა პანტელეიმონ მკურნალი

**9 აგვისტო**

**წმიდაო დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალო, ევედრე ღმერთსა განკურნებად სულთა და ხორცთა ჩვენთათვის...**

## „კვირის პალიტრის“ რედაქციას...

**— საყვარელო რედაქციავ, მითხარით როდის არის თქვენი დაბადების დღე...**

***15 წლის ქეთი***

**— ქეთი, „კვირის პალიტრა“ დაიბადა 1995 წლის 18 აპრილს.**

# ჩემო სიცოცხლევ, ახლა ასეთი დროა...

## (კარგად მოვკუნტავ ხელსა)

*— როგორ ცხელა! — წავეწუწუნე რუსთაველზე ჩამომჯდარ მათხოვარს და გადმობრუნებულ ქუდში 20-თეთრიანი ჩავუგდე. მან მოშვებული თმა-წვერიდან უკომენტაროდ შემომხედა. რასაკვირველია, თანაგრძნობა არც მე მჭირდებოდა, აი, გამოლაპარაკება კი ძალიანაც მსურდა. ამიტომ ჩანთა მოვქექე, კიდევ 20-თეთრიანი დავუმატე „ქრთამად“ და მის გვერდით ადგილი მოვითხოვე: — დავჯდები, რა!.. გამომეტყველება ახლა ნამდვილად შეეცვალა, დაკვირვებით შემათვალიერა (მგონი, მოვეწონე!), ერთადერთი ხელით იქაურობა მიწმინდ-მოწმინდა და რატომღაც ხალისიანად მითხრა: — ჰა, დაჯექი, დაისვენე...*

*მიწიდან ასე, 30 სმ სიმაღლის ფილაზე ჩამოვჯექი და მაშინვე მივიპყარი გამვლელთა ყურადღება.*



**— ხელს ხომ არ გიშლით?**

— არა, არა, იჯექი...

**— სხვა დროს აქ არ დამინახიხართ...**

— როგორ არა, კაი ხანია აქა ვზივარ. აი „პერერივზე“ გავდივარ ხანდახან.

**— რას ამბობთ, „პერერივიც“ გაქვთ?**

— ხო, აბა, რა!

**— ცოტა ფული გიყრიათ ქუდში, მეტი ვერ იშოვეთ?**

— ჰო, ცოტაა, დილიდან ასე, 5 ლარი შევაგროვე.

**— ცოლ-შვილს ინახავთ?**

— არა, მარტო ვცხოვრობ, ბინა მაქვს ნაქირავები, საღამოს ერთ ლარს ვაძლევ სახლის პატრონსა...

**— ისე, საიდან ხართ?**

— კახეთიდან ვარ — ლაგოდეხი, სოფელი ბაისუბანი.

**— ქართველი?**

— ქართველი ვარ, გვარად მენთეშაშვილი.

**— თუ სოფელში სახლი გაქვთ, აქ რატომ ზიხართ?**

— მარტო ვარ, გოგო, ცოლს გაცილებული... წამოვედი...

**— რატომ დაშორდით, რა დაგიშავათ?**

— ბოდიში შენთან და — მაიმუნობაზედა — კაცები მოჰყავდა სახლში. კიდე, მილიციის „ნასედკა“ იყო, ცხრაჯერ მილიცია დამაყენა ავტომატით.

**— ახლა სად არის?**

— მოკლეს.

**— რას ამბობთ?!**

— ხო. ბრადიაგებთან სვამდა. ფული რო შეუგულეს, ჩაარტყეს თავში და მოკლეს.

**— ვინ მოკლა, იცით?**

— სულ არ დევეძებ.

**— შვილები არ გყავთ?**

— შვილები კი. ორი გოგო გათხოვილია, უფროსი ბიჭიც „გათხოვდა“.

**— როგორ თუ გათხოვდა?**

— სვანეთში დეესიძა. უმცროსი ბიჭი კიდევ ბეთანიაშია, მოსწავლეა.

**— მერე, შვილები მათხოვრობას არ გიშლიან, ან ის პატარა მაინც არ გეცოდებათ?**

— ბარე ცხრაჯერ მითხრეს, ნუ მათხოვრობ, სახლს მიხედეო. მე კიდე ვუთხარი — სახლსა თქვენ მიხედეთ-მეთქი. თოხი არ მიყვარს. მე მუსიკა მიტაცებს...

**— ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი უცოლოდ, მთელი დღე ამ ჭუჭყში როგორ ძლებთ?**

— აბა, სად არის ჭუჭყი? მე ქალებს არ მივდევ, თუ ვნახავ გოგოს წესიერსა — ლტოლვილი მაწყობს — მოვკიდებ ხელსა და წავიყვან სოფელში.

**— იცნობთ ასეთ ვინმეს?**

— არა, ბატონო! რომ არ ვიცნობ, არც არავის ვთხოვ ამას. გოგო თუ გინდა, მისი სახელი უნდა იცოდე, გვარი უნდა იცოდე, ვინ არის უნდა გაიგო. აბა, უცნობი თუ წავიყვანე და მე სამუშაოდ გამოვედი, გამძარცვავს და წავა..

**— მერე რა გაქვთ გასაძარცვი? ბაღი თქვენ არ გექნებათ და ვენახი, არც ღვინო და არც ქვევრი...**

— ჰო, ქვევრი ცარიელია. სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, ყველაფერიცა მქონდა — ქვევრიც, ვენახიც, ძროხაცა მყავდა.

**— თუ გენატრებათ, იყოლიეთ ეგ ძროხა.**

— რას ამბობ, გოგო?! ძროხა რომ ვიყოლიო, იმას ხომ მოვლა უნდა?!

**— გეტყობათ, ჯდომა უფრო გიყვართ, ვიდრე შრომა, ძილიც გეყვარებათ.**

— არა, ძილი არა! აქ რომ დავიძინო, დრო გაცდება. ფულს ვინლა მომცემს?

**— ამ ჯანღონიან კაცს ფულს ტყუილად როგორ გაძლევენ?**

— ვეცოდები. აბა, ნახე (ჩემმა მათხოვარმა მეეზოვის ჟილეტი გაიხსნა, პერანგიც ზედ მიაყოლა და შიგნით ჩამოკიდებული მარცხენა ხელი მაჩვენა)! — აი, შიგნით ნაჭერი მაქვს ჩამოცმული, იმაზე კიდე ხელი მკიდია, ვითომ მტკივა.

**— ჰო, მეც ინვალიდი მეგონეთ, მაგრამ თუ ადგებით, ტყუილში მაშინვე გამოგიჭერენ.**

— ვერა, კარგად მოვკუნტავ ხელსა.

**— რით იკვებებით, რა გიყვართ?**

— აი, დეზერტირებში დავდივარ და მოხარშულ ხორცს ვყიდულობ. ახლა ისეთი დროა, წუწუნი არ შეიძლება. ასეა, ჩემო სიცოცხლევ, არავინ არ გეტყვის — მიირთვი, ჩემო ბატონოო, თუ რამეს ნახავ, ყველაფერი უნდა შეჭამო. ისე, ღორის ხორცი მიყვარს ძალიან.

**— სულ რუსთაველზე მათხოვრობთ?**

— არა. შაბათ-კვირას ფილარმონიასთან რომ ეკლესიაა, იქა ვზივარ.

**— ლურჯ მონასტერზე ამბობთ?**

— ჰო. იქ მამაოს ვუყვარვარ ძალიან.

**— სანთლებს თუ ანთებთ?**

— ჰო, გადავაგდებ პაპიროზსა და შევდივარ ეკლესიაში.

**— მერე? რაზე ლოცულობთ?**

— ძველებური დრო რომ დაგვიდგეს, მოვიდეს კომუნისტური პარტია, აღდგეს ლენინის ძეგლი, ნამგალი და ურო. მაფიებს — აი, ამათ, ეს სუპერმარკეტები რო აქვთ, კისერი მოეგრიხოთ.

**— მგონი, არ მოგწონთ სუპერმარკეტების პატრონები.**

— რათ უნდა მამეწონოს? იქ რომ დავჯდები, ეგენი წიხლით მაგდებენ, გამყიდველები — ქაფჩითა, დამლაგებლები კიდევ — პოლის ჯოხითა.

**— ალბათ ფიქრობთ, ეს რა ცხოვრებააო?**

— ეჰ, გინდა ვიფიქრო, ჩემი ფიქრით ეს ცხოვრება არ გამოსწორდება. ტყუილად რაზე უნდა დავიჩაგრო თავი და გულიც რაზე დავიავადმყოფო?

*რადგან ჩემი თანდასწრებით ქუდში ფულს აღარავინ უგდებდა, ჩემმა მათხოვარმა ლაპარაკი დამთავრებულად ჩათვალა და ხელი ჯენტლმენურად გამომიწოდა: — მალხაზი, ჩემო ბატონო, — ერთი სიტყვით, დამემშვიდობა. გვერდით ჩამოსაჯდომად აღარ მივუწვევივარ...*

***ეთერ ერაძე***

## დადასტურებული ჭორი

# დათო, ჰომპიერო და ამერიკელი ქალი



*ცხადია, ახალგაზრდა, მწერალს* ***დათო ტურაშვილს*** *კარგად იცნობთ და რახან ვახსენე, ალბათ მიხვდით, რომ რუბრიკის „მსხვერპლიც“ სწორედ ის გახლავთ. რაც მასზე გავიგე, ჩემთვისაც იმდენად მოულოდნელი და დაუჯერებელი აღმოჩნდა, რომ, რაღა დაგიმალოთ და კარგა ხანს გულიანად ვიცინოდი. თურმე ეს ჩვენი საყვარელი მწერალი საკმაოდ უცნაურ, თავისი პროფესიისთვის შეუფერებელ საქმიანობას ეწევა — არც მეტი, არც ნაკლები, დათო ტურაშვილი მეხანძრეც ყოფილა. თანაც როგორი — საკუთარი სახანძრო მანქანების არმიაც ჰყოლია, რომელიც თურმე ამერიკელ კონგრესმენებს უჩუქებიათ მისთვის აშშ-ში ბოლო ვიზიტის დროს. შემდეგ დათოს საკუთარი სახანძრო კომპანია „ტურალი“ დაუარსებია და აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქის ხანძარსაწინააღმდეგო კამპანიაში... მოკლედ, ამ მეტად დაუჯერებელი ამბის მოსმენის შემდეგ დათოს შევხვდი და უბრალოდ, გაგონილი ჭორად მოვუყევი. აი, მაშინ უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ ჭორში სიმართლის მცირე პროცენტი კი არადა... თუმცა, სჯობს ყველაფერი დათოსგან გაიგოთ:*

— ვის გაახსენდა ეს ამბავი, მიკვირს, თანაც ბევრმა არავინ იცოდა ამის შესახებ.

**— ე.ი. ჭორი კი არა, მართალია და მართლა მეხანძრე ხარ?**

— არა, რა მეხანძრე... ეგ ძველისძველი ამბავია. აღარც კი მახსოვდა.

**— მართლა გყავს საკუთარი სახანძრო მანქანები?**

— მყავდა, ოღონდ მხოლოდ ერთი მანქანა და ისიც სახანძრო დეპარტამენტს ვაჩუქე. თავის დროზე ის მანქანა მეც სხვამ მაჩუქა.

**— ამერიკელმა კონგრესმენმა?**

— არა. ამერიკელმა ქალმა, რომლის სახელი დღესაც არ ვიცი. მგონი, სულ პირველი ამერიკელი იყო, ვინც საქართველოში ჩამოვიდა. დროის მცირე მონაკვეთში მომიწია მასთან ურთიერთობა. მკითხა, რა გინდათ, რას მთხოვთ, რითი გაგიწიოთ დახმარებაო. ჩამეცინა. საერთოდ, მაშინაც და ახლაც სკეპტიკურად ვარ განწყობილი და არ მჯერა, რომ ვინმე აქ დასახმარებლად ჩამოდიოდეს. შინაური არ გეხმარება და უცხოელი რატომ მოიკლავს თავს!..

**— მოუკლავს და ეგ არის, მანქანა თუ გაჩუქა.**

— მოკლედ, მაშინაც ვიფიქრე, ეს რისი დამხმარებელია-მეთქი და ხუმრობით ვუთხარი, სახანძრო მანქანები არა გვყავს თბილისში, ცუდ დღეში ვართ-მეთქი. ერთი წლის შემდეგ, როცა ეს ამბავი აღარც კი მახსოვდა, ფოთიდან დამირეკეს — თქვენ სახელზე პორტში სახანძრო მანქანაა, ჩამოდით, განბაჟება გააკეთეთო. გადავირიე, თქვენ გიჟები ხომ არა ხართ, რა სახანძრო მანქანა-მეთქი. მეგონა, სათამაშოზე მელაპარაკებოდნენ. არა, კაცო! — ნამდვილი, ამერიკული სახანძრო მანქანააო. რას ვიზამდი, რად მინდოდა ამნაირი საჩუქარი. ავდექი და დავურეკე სახანძრო დეპარტამენტს — გასაჭირში ვარ, მანქანას მიხედეთ-მეთქი. იმათ კიდევ, გაიხარეს — აგაშენა ღმერთმა, ურმებით და სათლებით დავრბივართ ხანძრის ჩასაქრობადო... ახლა ის მანქანა ვაკის სახანძრო განყოფილების საკუთრებაა. შეიძლება ახლაც აწერია ამერიკული სერია და ნომერი.



**— თავად რით დაგაჯილდოეს ამ მშვენიერი საჩუქრისთვის?**

— რად მინდა მაგათი საჩუქარი, ოღონდ ცეცხლი ჩააქრონ და ნურავინ დაიწვება...

**— ისე, ხანძრის ჩაქრობის გამოცდილება თუ გაქვს?**

— კი. ბონდო შანიძის სახელობის პრიზი მაქვს მიღებული. ჩემს ბავშვობაში იყო ასეთი სახის ასპარეზობა სკოლებში — ვინ უკეთ ჩააქრობდა ხანძარს. ჰოდა, მაშინ ერთ-ერთი მაგარი მეხანძრე მეც ვიყავი.

*P.S. ალბათ, მართლა მაგარი მეხანძრე იყო დათო ტურაშვილი, თორემ თუნდაც ხუმრობით რამ ათქმევინა ამერიკელი მოწყალე ქალბატონისთვის — სახანძრო მანქანა მინდაო...*

***ეკა ლომიძე***



# პიტერ შოუს პოვნით შეიძლება კალაძის საქმეც გაიხსნას...

## ბრიტანელ ბანკირს სიმამრი სახლს ედავება...

*პიტერ შოუს გატაცების ირგვლივ ახალი დეტალები გამოიკვეთა. უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია უკვე ალაპარაკდა კრიმინალთა სამ ჯგუფზე, რომელთა შორის ერთი დამკვეთია, მეორე — შემსრულებელი, მესამე კი ფულის ამღები. უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსანი ხმამაღლა აცხადებს, რომ დამკვეთი „ამ შემთხვევაში“ მხოლოდ ქვეყნის დისკრედიტაციით არის დაინტერესებული და ფულის ინტერესი არ გააჩნია. ამ საქმის უშუალო გამომძიებელი გენერალური პროკურატურიდან გიორგი ნოზაძე პიტერ შოუს, კახა კალაძის ძმისა და ესპანელი ბიზნესმენების გატაცებას ერთმანეთთან აკავშირებს და, უახლესი ინფორმაციებიდან გამომდინარე, ფიქრობს, რომ სავარაუდოდ, ეს ერთი ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედებებია. თავის მხრივ, რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ პიტერ შოუს დღე-დღეზე გაათავისუფლებენ, თუმცა გენერალური პროკურატურის გამომძიებელი ამ აზრს არ ეთანხმება. შსს-ს კულუარებში კი ამბობენ, რომ მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ ჯერჯერობით პიტერ შოუს გამტაცებელთა მხრიდან არ არის მიღებული იმის გარანტია, რომ ოპერაციის ჩატარების შემთხვევაში მძევლის სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება.*

*ფაქტია, მინისტრის დაპირება — პიტერ შოუს უმოკლეს ხანში გავათავისუფლებთო, დაპირებად რჩება. არაერთი თავდასხმა, რომელიც თბილისში ჩამოსულ უცხოელებზე განხორციელდა, დღემდე გაუხსნელია და ბურუსით არის მოცული. მიმდინარე წლის ბოლო ოთხ თვეში უცხოელების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ფაქტებზე 20-მდე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელთაგან მხოლოდ სამი გაიხსნა. ჯერჯერობით საქმეს ვერც ღამის საათებში მოწყობილი რეიდები შველის და ვერც სამსახურიდან ხალხის გათავისუფლება.*

*„კვირის პალიტრა“ პიტერ შოუს საქმის ახალ დეტალებზე გენერალური პროკურატურის გამომძიებელს* ***გიორგი ნოზაძეს*** *ესაუბრა.*

**— ბატონო გიორგი, რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ პიტერ შოუს გათავისუფლება იყო დაგეგმილი, თუმცა გავიდა რამდენიმე დღე და ჩამიჩუმი არ ისმის. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ამ დროისათვის ზუსტი თარიღის დასახელება ძნელი იქნება, მაგრამ არის უკვე სერიოზული მონაცემები: თავდამსხმელთა ვინაობა ზუსტდება, ერთ-ერთი მათგანი კიდეც ამოვიცანით, მაგრამ მთლიან ჯგუფზე სრული ინფორმაცია ჯერ არ გვაქვს. ასე რომ, რის საფუძველზე გააკეთეს ეს განცხადება რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა, ვერ გეტყვით.

**— პიტერ შოუს გატაცების პირველივე დღიდან გავრცელდა ვერსია, რომ ეს იყო გაკოტრებული ბანკების შურისძიება. დღეისთვის რა ვერსიისკენ იხრება გამოძიება?**

— ვერსია არაერთია: შეიძლება ეს ქმედება მართლაც მის ფინანსურ საქმიანობას უკავშირდება, არ გამოვრიცხავთ თქვენ მიერ აღნიშნულ ვერსიასაც. თუმცა ჩვენ უფრო ვფიქრობთ, რომ ის თანხის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს და ასევე ვიხრებით იქითკენ, რომ ეს არის დესტაბილიზაციისა და საქართველოსთვის ავტორიტეტის შელახვის მცდელობა.

**— დღემდე პიტერ შოუს ოჯახში ან სამსახურში თუ იყო ანონიმური ზარები, თუ დასახელდა თანხა და ა.შ.**

— რამდენიმე ანონიმური ზარი იყო „აგრობიზნეს ბანკში“. ინკოგნიტომ განაცხადა, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია პიტერ შოუს გატაცებასთან დაკავშირებით. კონკრეტული თანხა არ დასახელებულა. რატომღაც ამბობენ, 2 მილიონი მოითხოვესო. არ ვიცი, ეს ვინ მოიგონა, როცა თითოეულ ზართან დაკავშირებით დეტალურად არის გამოკითხული ყველა ის პიროვნება, ვისაც ესაუბრნენ.

**— ალბათ ტელეფონები ისმინება...**

— წესით, უნდა ისმინებოდეს... კი, ოპერატიული მუშაობა მიმდინარეობს. შემიძლია ერთი გითხრათ — ის პიროვნება ამხილეს, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. იგი თაღლითი აღმოჩნდა და ცდილობდა თანხის გამოძალვას. როდესაც დააპატიმრეს, ასე თქვა: „არაფერი ვიცი, უბრალოდ, ფულის გამოძალვა მინდოდაო“. მარტო ეს ზარია გამოძიებისთვის ცნობილი, მეტი არანაირი კონტაქტი არ ყოფილა.

**— სხვათა შორის, როდესაც შოუ გაიტაცეს, სამართალდამცველთა მხრიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ კინოლოგიის სამსახურის ძაღლი დეპუტატ ლევან პირველის დაცვის ერთ-ერთი წევრის სახლთან მივიდა. თქვენი კომენტარი.**

— დიახ, მე თვითონ ვატარებდი დათვალიერებას და ძაღლი რამდენიმე ბინასთან გაჩერდა, მაგრამ რატომღაც მაინცდამაინც ლევან პირველის დაცვის წევრის ფაქტი გახმაურდა. ამაზე მიმდინარეობს მუშაობა. იმის დაზუსტებით თქმა, რომ ძაღლმა სუნით ვიღაცაზე მიიტანა ეჭვი, არ შეიძლება. ეს არის ოპერატიული მონაცემი, რომელიც გადამოწმებას საჭიროებს.

**— დაჰკითხეთ ის პირები, ვის სახლებთანაც გაჩერდა ძაღლი?**

— არა, ჯერ ამ პირების შესწავლა მიმდინარეობს.

**— რა შეგიძლიათ თქვათ, როგორც გამომძიებელმა — ეს საქმე ნაწილობრივ მაინც არის გახსნილი თუ არა?**

— მე პირადად საქმე მაშინ მიმაჩნია გახსნილად, როცა მტკიცებულებები იქნება მოპოვებული და სასამართლო ამას განიხილავს. ამ წუთში იმის თქმა, რომ ეს საქმე ბოლომდე გახსნილია, არ იქნება სწორი. მაგრამ ვერსიების დონეზეც აღარ ვართ, რაღაც მონაცემები გაგვაჩნია, რომელიც იმედს იძლევა. რამდენიმე საეჭვო პიროვნებაც გამოვლინდა. ისინი კრიმინალები არიან.

**— თბილისელები?**

— უფრო თბილისელები, თუმცა რამდენიმე არათბილისელიც არის. შემიძლია გითხრათ, რომ პიროვნებები, ვისზეც ჩვენ ვეჭვობთ, ადრეც მონაწილეობდნენ სხვა გატაცებებში. რაც შეეხება პიტერ შოუს, ის ევროპელი ბანკირია და, რა თქმა უნდა, იფიქრეს, რომ ბევრი ფული ექნებოდა. ისე, გულახდილად რომ გითხრათ, მისი ანგარიშები გადავამოწმე და დიდი ფული არ აქვს. ჩვენ ურთიერთობა გვაქვს ბრიტანეთის სპეცსამსახურებთან და საერთო აზრამდე მივედით, რომ ის დიდი თანხის გადამხდელი, მისი ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ არის.

მართალია, ვიღაცამ ის მდიდარ პიროვნებად ჩათვალა, მაგრამ რეალურად არ არის მდიდარი, ევროპის დონეზე საშუალო მაცხოვრებელია. მას ბრიტანეთის რამდენიმე ბანკში, მათ შორის, ოფშორულ ზონაში აქვს ანგარიშები, მაგრამ როგორც გითხარით, დიდი თანხა არა. თან ორჯერ იქორწინა და ორივე ოჯახს გაუყო ქონება; როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, დღესაც დავა აქვს სიმამრთან, რაღაც სახლს ედავებიან.

**— ესეც საინტერესო დეტალია. არ გიმუშავიათ იმ კუთხით, რომ შესაძლოა ეს გატაცება მის პირად ცხოვრებას უკავშირდებოდეს?**

— კი, ამ ვერსიაზეც ვიმუშავეთ. ინგლისში არც ისე დიდი ხნის წინ განქორწინდა, თბილისში ჰყავს მეუღლე, მართალია, რეგისტრირებული ქორწინება არ არის, მაგრამ შვილს გვარი მისცა...

**— სავარაუდოდ, სად ჰყავთ პიტერ შოუ — პანკისში, სვანეთში... ისე, ლაპარაკია წყნეთსა და საგურამოზეც...**

— არის რამდენიმე მონაცემი, მაგრამ ვერ დავაკონკრეტებ.

**— ამბობენ, რომ პოლიცია მონაწილეობდა ამ გატაცებაში...**

— ამ წუთში იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ რომელიმე ძალოვანი უწყების თანამშრომელი მონაწილეობდა, არ მაქვს. თუმცა ეს ისეთი კარგად მომზადებული, გამოცდილი პიროვნებების გაკეთებულია, ეს ეჭვიც ჩნდება...

**— როგორ მოხდა შოუს გატაცება?**

— იოსებიძის და ცაგერის ქუჩის გადაკვეთაზე რაღაც მომენტში გადაიკეტა მოძრაობა, პიტერ შოუს ავტომანქანას გზა გადაუღობა „07“ მარკის ავტომანქანამ და ორი „პოლიციელი“ მის საჭიდან გადმოთრევას ცდილობდა. პოლიციელებმა, რომლებიც ამ ფაქტს შეესწრნენ, იფიქრეს, რომ პოლიციასთან დაუმორჩილებლობას ჰქონდა ადგილი. მივიდნენ, პირადობის მოწმობები წარუდგინეს „კოლეგებს“ და ჰკითხეს, — დახმარება ხომ არ გჭირდებათო? იმათ ყურადღება არ მიაქციეს და თავიანთი საქმე გააგრძელეს. ზუსტად ამ მომენტში შემთხვევის ადგილზე გაჩნდა „0-11“ მარკის მანქანა, საიდანაც ნიღბიანი და ავტომატებით შეიარაღებული პიროვნებები გადმოვიდნენ და ნამდვილ პოლიციელებს გინებით და ფეხებში სროლით „აუხსნეს“, რომ თუ იქაურობას არ მოსცილდებოდნენ, პრობლემები შეექმნებოდათ.

**— პიტერ შოუ შველას არ ითხოვდა?**

— არა. უბრალოდ, წინააღმდეგობას უწევდა თავდამსხმელებს.

**— ზემოთ ახსენეთ, რომ ისინი, ვისზეც ეჭვი გაქვთ, ადრეც შემჩნეულები არიან ამგვარ დანაშაულში. შეგიძლიათ დაასახელოთ, ვის გატაცებაში მონაწილეობდნენ?**

— ესპანელი ბიზნესმენების და ხალილოვის გატაცებაში. კალაძის საქმიდანაც არსებობენ ეჭვმიტანილები და ახლა მათ სისხლის სამართლის საქმეებს ვადარებთ. ერთი ხელწერაა.

**— ანუ შესაძლოა კალაძის საქმეც გაიხსნას?**

— არ გამოვრიცხავ...

# „აბა, რუსეთი ხომ არ იტყოდა, ჩვენი სპეცსამსახურების თანამშრომლები არიანო?!“

## ხაჭაპურის სიყვარულმა პანკისში ჩამოიყვანა?

პანკისში დენთის სუნი ტრიალებს, გამწვავებულია კრიმინალური მდგომარეობა. ექსპერტები კი უკვე არ გამორიცხავენ, რომ რუსეთმა, შესაძლოა, პანკისის სოფლებიც დაბომბოს. მოსახლეობა პანიკაშია. ერთი მხრივ, ისინი ველარ უძლებენ კრიმინალების ძალადობას და მეორე მხრივ, გართულებული პოლიტიკური კლიმატი მათთვის ფსიქოლოგიური ტერორის ტოლფასია.

მარტო ბოლო ათი დღის განმავლობაში აქ სამი მკვლელობა მოხდა. კვირის ბოლოს საკუთარი ცოლ-შვილის თვალწინ მანქანაში ჩაცხრილეს 50 წლის გაიოზ გამრეკელაშვილი, რომელსაც ომალოში ვაშლი მიჰქონდა გასაყიდად. ახმეტის რაიონის პროკურატურა მკვლელობაში ეჭვმიტანილად 30 წლამდე ასაკის ინგუშს ასახელებს, თუმცა ის არ არის დღემდე დაკავებული. დაუსჯელობის სინდრომით გამწარებულმა ხალხმა სახალხო კრებაც მოიწვია, თუმცა საეჭვოა, რომ ტრადიციად ქცეულმა კრებამ საქმეს უშველოს. ექსპერტების აზრით, პანკისში მკვლელობებს უკვე პროვოცირებული ხასიათი აქვს და ეს ყველაფერი ეთნიკური დაპირისპირებისკენ არის მიმართული.

ერთი სიტყვით, რუსეთი კარგად მუშაობს და ამის დასტურად კვირის ბოლოს სოფ. დუისის შესასვლელთან დაკავებული სამი რუსი მოქალაქის მაგალითიც კმარა. სამივე მათგანმა რუსეთის შსს-ს მოწმობები წარმოადგინა, თუმცა რუსეთიდან მიღებული ცნობით, მოწმობები ყალბი აღმოჩნდა. ვლადიკავკაზის გავლით ცხინვალიდან შემოსულ საზღვრის დამრღვევებს პანკისში მეგზურობას უწევდა ჩეჩენი მაჰმუდ ზურაბოვი.

ვლადიმირ ბლინოვს, მიხეილ ტიჩკოვსა და იური უგრიუმოვს ვაკე-საბურთალოს სასამართლომ უკვე შეუფარდა სამთვიანი პატიმრობა. მათ პირველი ჩვენებაც მისცეს, რომლის მიხედვით ისინი პანკისის ხეობაში „ჯიპის“ შესაძენად მიდიოდნენ.

როგორც გამოძიებისთვის ტიჩკოვს უთქვამს, ის მამით ქართველია და რუსეთის მოქალაქეობის მიღებამდე სიჭინავას გვარს ატარებდა. ქართული გვარით რუსეთის მილიციაში კარიერის გაკეთება ძნელია და გვარი ამიტომაც შეიცვალა. უგრიუმოვსაც დედა ქართველი ჰყოლია. მათ თურმე ხაჭაპური მოენატრათ და ამხანაგს მანქანის საყიდლად გამოჰყვნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ მანქანის შესაძენი ფული თან არ ჰქონდათ.

უშიშროების მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, „სავიზო რეჟიმი ყველასთვის ერთნაირად მოქმედებს: მათთვისაც, ვისაც ხაჭაპური უყვარს და მათთვისაც — ვისაც არ უყვარს“.

ხაბურძანია არ გამორიცხავს, რომ დაკავებულები რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები იყვნენ და პანკისის ხეობაში სწორედ სპეცდავალების შესასრულებლად ჩავიდნენ. ისიც შესაძლებელია, რომ რუსეთის ამ სამი მოქალაქის პანკისში შეპარვა იარაღის ბიზნესთანაც იყოს დაკავშირებული.

დუისის შესასვლელში დაპატიმრებულ სამ რუს მოქალაქესა და გამრეკელაშვილის მკვლელობას ერთმანეთთან აკავშირებს ჩეჩნეთის წარმომადგენელი საქართველოში ხიზრი ალდამოვი. მისი თქმით, ეს ორივე ფაქტი ერთი გეგმის შემადგენელი ნაწილია.




**ხიზრი ალდამოვი:**

— ეს იყო გამიზნული პროვოკაცია. ფაქტობრივად ამ ინგუშმა ვიღაცის დავალება შეასრულა. დაგეგმილი იყო, რომ ქართველებსა და ჩეჩნებს შორის მომხდარიყო დაპირისპირება, თუმცა არ გამოუვიდათ. მეცოდება ის ადამიანი, ვინც მოკლეს, — აბსოლუტურად უდანაშაულო იყო.

ახლა ხალხი გადართულია იმაზე, რომ ეს ინგუში დაისაჯოს და აღარ განმეორდეს ხეობაში ამგვარი ფაქტები. უნდა გაკონტროლდეს და არავინ დახეტიალობდეს ხეობაში ისე, როგორც უნდა.

თავის მხრივ, გასულ კვირას პანკისში მომხდარ მოვლენებს ერთმანეთს უკავშირებს კავკასიის საკითხების ექსპერტი მამუკა არეშიძე, რომელიც ყოველივე რუსეთის 90-იანი წლების გეგმის გაგრძელებად მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ დაკავებული მოქალაქეები რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლები არიან.

**მამუკა არეშიძე:**

— რუსი სამართალდამცავების გამოჩენა მანქანის საყიდლად, დიდ ეჭვს ბადებს და თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ ისინი სინამდვილეში სხვა მიზნით იყვნენ ჩამოსულები.

**— თქვენი ინფორმაციით, რა მიზანი ჰქონდათ, ან მართლაც სპეცსამსახურის თანამშრომლები არიან?**

— ორი თვითონვე აღიარებს ამას, რუსეთის შსს-ს თანამშრომელი სპეცსამსახურის თანამშრომელს ნიშნავს.

**— მაგრამ რუსეთმა ეს არ დაადასტურა.**

— აბა, ხომ არ დაადასტურებენ და ხომ არ იტყვიან, ჩვენი თანამშრომლები არიანო?! რუსეთი რომ ასე მოიქცეოდა, ეს გასაგებია, მაგრამ ასე ღიად და თავხედურად იქ ჩასვლაც ეჭვს ბადებს. არ არის გამორიცხული, რომ გარკვეულმა ძალებმა ისინი რაღაც საქმეზე შეიტყუეს...

**— რა საქმეზე შეიძლებოდა შეეტყუებინათ?**

— მაგას ვინ იტყვის, მაგრამ პანკისის ხეობაში ნარკოტიკების სატრანზიტო გზებიც არსებობს, იარაღისაც და სხვა. თუმცა არც იარაღის ტრანზიტი გაუკვირდება სამხრეთ რუსეთის რეგიონებს (იმავე კრასნოდარს, სტავროპოლს და ა.შ.). ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნათელია: არავითარი მანქანის ყიდვა მათ არ სურდათ, პანკისი არ არის ადგილი, სადაც მანქანების ყიდვა-გაყიდვა მიმდინარეობს.

**— ითქვა ისიც, რომ შესაძლოა პანკისის ხეობა დაიბომბოს...**

— ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში, როცა არანაირი ომი არ იყო საქართველოში, რუსებმა თქვეს: თუ თქვენ დაიწყებთ ნავთობსადენზე, დასავლურ ორიენტაციაზე ლაპარაკს, შეგექმნებათ პრობლემები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ჯავახეთში, აჭარაში და სამეგრელოშიო. ყველაფერი ასე ვითარდება და ნებისმიერი ამგვარი ქმედება საქართველოს დაშლისკენ არის მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ რეალური პოლიტიკა შეიცვალა და სხვა პოლიტიკოსები მოვიდნენ სათავეში, ეს თემა კვლავ რჩება. მე მინდა ამას ხაზი გავუსვა: თუ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან საერთო ენა ვერ გამონახა, თუ რუსეთი არ ჩაება ზოგიერთ ეკონომიკურ პროგრამაში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს, თუ ჩვენმა ქვეყანამ ოქროს შუალედი არ დაიცვა ამერიკასა და რუსეთს შორის, ეს ქმედებები რუსეთის მხრიდან გაგრძელდება. რა წარმატებით და რას იზამენ, ეს სხვა საკითხია.

**გვერდი მოამზადა მარინა მამისაშვილმა**



# „როგორი იარაღი გინდოდეს? გინდაც, პუშკა მოგცე?"

**– ტროტილს დაჟე 200 გრამს ფეშქეშად გაძლევ, გჩუქნი რაღა, ცავატანემ...**

ამას წინათ რედაქციის დავალებით, მივლინებით, ასპინძის რაიონში გახლდით. რადგან თბილისში წამოსვლა შემაგვიანდა, ერთი იქაური კაცის გულწრფელი მიპატიჟებით ვისარგებლე და ღამის გათევა მის ოჯახში გადავწყვიტე. უკვე გვიანი იყო, როცა მე და ოჯახის უფროსი ვახშმის შემდეგ სიგარეტის მოსაწევად აივანზე გამოვედით და თან თავს მასლაათით ვიქცევდით. უეცრად არემარე გამაყრუებელმა აფეთქების ხმამ შეაზანზარა. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ისეთი კაკოფონია გაიმართა, გახურებული ომი ეგონებოდა კაცს. მასპინძელს ჩემი გაკვირვებული, ცოტა არ იყოს, შეშინებული სახის დანახვაზე სიცილი აუვარდა და დამამშვიდა: „ნუ გეშინია, მტკვარში ბრაკონიერები თევზაობენ დინამიტებითა და ასაფეთქებელი თუ მომწამვლელი ნივთიერებებით, რომლებსაც ახალქალაქის რუსეთის სამხედრო ბაზაში მომსახურე პრაპორშჩიკებისგან იძენენ. ვახშამზე კალმახი რომ მიირთვი, სწორედ ბრაკონიერებმა მომიკითხეს გუშინ. დაახლოებით დილის ხუთ საათამდე გაგრძელდება აფეთქებები. შენ გაგიჭირდება, თორემ ჩვენ, ადგილობრივებს, კარგა ხანია ხმაური იავნანასავით ჩაგვესმის".

მეორე დღეს ჩემს მასპინძელს ახალქალაქში წაყვანა ვთხოვე და არც ის დამიმალავს, თუ რა მიზეზით გადავწყვიტე გამგზავრება. „ხომ იცი, ჟურნალისტი ვარ და მინდა საკუთარი თვალით ვნახო და დავრწმუნდე, თუ როგორ, ვისგან და რა ფასად ყიდულობენ ბრაკონიერები დინამიტს". ერთი სიტყვით, სახელდახელოდ ვისაუზმეთ და რამდენიმე წუთში მანქანით ახალქალაქისკენ ავიღეთ გეზი. გზაში ჯავახეთის ერთ-ერთი ქართული სკოლის დირექტორი დაგვემგზავრა, რომელიც ჩემი მასპინძლის მეგობარი აღმოჩნდა. სკოლის დირექტორმა რომ გაიგო, ვინ ვიყავი და რისთვის მივემგზავრებოდით ახალქალაქში, „ინსტრუქცია" მომცა, დამარიგა, — სად უნდა მეპოვა ასაფეთქებელი ნივთიერებების გადამყიდველი, რად უნდა გამესაღებინა თავი და ა.შ. გზაში ასეთი რამაც მიამბო: „ახალქალაქის რაიონის სომეხი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი რუსეთის სამხედრო ბაზაში მუშაობს, — ზოგი რიგითად, ზოგიც პრაპორშჩიკად. თითქმის ყველა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იარაღით ვაჭრობის უკანონო ბიზნესშია ჩართული. იყიდება როგორც ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე სხვადასხვა ასაფეთქებელი ნივთიერება. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს რუსი ოფიცრების გარეშე არ ხდება. ახალქალაქის პოლიციამაც ყველაფერი იცის, მაგრამ ყველა წილშია, მათ შორის, პოლიციის უფროსიც და ამიტომ პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. თითქმის ყოველი მეორე თუ არა, მესამე სომხური ოჯახის სარდაფში იარაღის მთელი არსენალი ინახება, მაკვირვებს უშიშროების ადგილობრივი განყოფილების ინერტულობა. ერთი სიტყვით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ იცის რაიონში იარაღით უკანონოდ რომ ვაჭრობენ, მაგრამ ყველა თანამდებობის პირი სომეხი ეროვნებისაა და ამიტომაც თავისიანებს არაფერს უშლიან. არც ცენტრალურ ხელისუფლებას აღელვებს ასეთი მდგომარეობა. რითაც გინდა, იმით ივაჭრე, ოღონდ არჩევნებზე ხმები გარანტირებული ჰქონდეთ."

ამასობაში ახალქალაქში ჩავედით. კონსპირაციისათვის მანქანიდან გადმოვედი, სადგურამდე რამდენიმე ასეული მეტრი ფეხით გავიარე და, როგორც მიმასწავლეს, მწვანედ შეღებილ ჯიხურთან პრაპორშჩიკი სურენა ვიკითხე, რა თქმა უნდა, რუსულად (ახალქალაქში და, საერთოდ, მესხეთ-ჯავახეთის, აგრეთვე ქვემო ქართლის რაიონებში ქართული ენა, სამწუხაროდ, იშვიათობად იქცა; ან სომხური უნდა იცოდე, ან ბერძნული, ანდა რუსულად მაინც უნდა მეტყველებდე).

— სურენა ჩკა, ახპერ-ჯან. ჩერეზ პოლ ჩასა პრიხადი და ბუდეტ, — მითხრა სომხურ-ქართულ-რუსულად ფაშფაშა წვეროსანმა დედაკაცმა. ნახევარი საათი მალე გავიდა და ჯიხურიდან დედაკაცმა ხმამაღლა დამიძახა: „ახპერ, ახპერ! ვრაც გალისა". მივედი. ჯიხურიდან წვერგაუპარსავი, მუგუზალივით შავი შუახნის მამაკაცი გამოვიდა, რომელიც სამხედრო უნიფორმაში იყო გამოწყობილი.

**– ამ პასლედნი დროს სულ კლიენტები მოდიან და სულ ტროტილი, ტროტილი იძახიან. რა არი, ტო, შევარდნაძე ააფეთქოთ?**

სამხრეებზე ორ-ორი ვარსკვლავი ჰქონდა, ხოლო ფორმაზე ლაქების მიხედვით დაკვირვებული კაცი სამხედრო სასადილოს მენიუსაც იოლად გამოიცნობდა. ჩემ წინ იარაღით მოვაჭრე რუსეთის ჯარის პრაპორშჩიკი სურენა იდგა, რომელიც დამტვრეული ქართულით მეტყველებდა. როგორც სკოლის დირექტორმა დამარიგა, თავი თბილისელ ვინმე რაფიკ გალუსტიანის ძმაკაცად გავასაღე.

— ვაა, ჩვენმა რაფიკამ გამოგიშვო? იგი როგორა ხარ, ცავატანემ? შენ რამე დაგჭირდება თუ ჩემთან პასილკა მოიტანდე?

**— არა, პასილკა არ მომიტანია. იარაღი დამჭირდა და იმიტომ გაწუხებ.**

— მაშ, მამიყევი, როგორ იარაღი გინდოდეს. გინდაც პუშკა მოგცე?

**— ზარბაზანი რად მინდა. ერთი მაკაროვის რევოლვერი, ერთი ავტომატი, სნაიპერული შაშხანა თავისი ღამის ხედვის მოწყობილობით, კიდევ ლიმონკები — ერთი ათი ცალი, გრანატამიოტიც მინდა და ნახევარი კილო ტროტილი,** — მივაყარე, რაც ენაზე მომადგა.

— ეე, აჯან. შენა ხო არ რაზბოინიკდები, ცავატანემ. ამხელა სასროლი რაღად გინდა. მე კი მაქ, მარა შენ ზელიონი დოლარები გაქ? თან აქიდან ეგენი როგორ უნდა წაიღო.

**— ნელ-ნელა გავიტან. ჯერ რევოლვერს, მერე ავტომატს და ასე. თანაც აქედან აგვისტოში მანქანით თივა უნდა წავიღო და შეიძლება ყველაფერი თივაში დავმალო.**

— ხოო, მე ვთქი, მოგზავნილია. ეჭვები გაგიჩნდა, ნე აბიჟაისია.

**— რა დაჯდება?**

— პასშიტაემ. ერთი მაკაროვი, თაზა ნომერი წაშლილია, რაფიკას ხათრით 400 დოლარი, ავტომატი აკაესის — 500, ლიმონკები ერთი შტუკა ეფ-1 იქნება 50 დოლარი, ერგედეს გრანატამიოტს 700 ზელიონი უნდა, აი სნაიპერი სულ ახალ-ახალი 2000 დოლარი მჭირდება. ახლა ჩოთქში ჩავიდეთ. აა, რამდენი გამოვიდა? ხო არი 4100 დოლარი. მაიტა ბე 1000 დოლარი. ერთ კვირაში მოხვალ, წაიღებ.

**— ტროტილი დაგვავიწყდა, სურენ-ჯან.**

— არ ივაჭრე, ხოშიანი კაცი ხარ. რაფიკას ხათრით ტროტილს დაჟე 200 გრამს ფეშქაშად გაძლევ. გჩუქნი რაღა, ცავატანემ.

**— ისე, რა ღირს ტროტილი, ბევრი რომ დამჭირდეს.**

— ათი გრამი დოლარი. ამ პასლედნი დროს სულ კლიენტები მოდიან და სულ ტროტილი, ტროტილი იძახიან. რა არი, ტო, შევარდნაძე ააფეთქოთ?

სურენას ერთ საათში ათასი დოლარის მოტანას დავპირდი მწვანე ჯიხურთან. შევატყვე, არ ესიამოვნა. ალბათ იფიქრა, სხვას არ შეევაჭროს და ცარიელზე არ დამტოვოსო. ამიტომაც მითხრა, „კაცო, სხვებთან არ მიხვიდე. თუ გინდა, 500 დოლარი დაგიკლებ..."

ბევრს აღარ გავაგრძელებ. ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზიდან იარაღის სხვადასხვა სახეობით ვაჭრობის შესახებ ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია საქართველოს უშიშროების სამინისტროს დროულად მივაწოდეთ და ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ. უშიშროების პრესცენტრის ხელმძღვანელის ნიკა ლალიაშვილის განცხადებით: „საუბედუროდ, საქართველოში არსებობს ჩვენ მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიები, სადაც არა მარტო ტროტილის, არამედ გაცილებით ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და სხვადასხვა სახეობის ცეცხლსასროლი იარაღის ყიდვა შეიძლება."

აღნიშნულ ინფორმაციას დიდად არც უშიშროების ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი რეზო გამგებელი გაუკვირვებია. მისი თქმით: „სამწუხაროდ, საქართველოში, იქ, სადაც რუსული სამხედრო ბაზები მდებარეობს, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს იარაღის და ასაფეთქებელი ნივთიერებების შესყიდვა. გარდა ამისა, ზოგიერთმა ქიმიკოსმა შავი სამყაროს წარმომადგენლებს ასწავლა ჩვეულებრივი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატისგან ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადება. მაგალითად, ჩვეულებრივ სასუქს, ანუ ამონიუმის გვარჯილას, ასხამენ ბენზინს. შემდეგ გააშრობენ მზეზე. მიღებულ ფხვნილს კარგად დანაყავენ, მოათავსებენ ბოთლში ან რკინის ჭურჭელში, რომელიც ჰერმეტულად იხურება, საცობ-

**– პასშიტაემ. ერთი მაკაროვი, თაზა ნომერი წაშლილია, რაფიკას ხათრით 400 დოლარი, ავტომატი აკაესის – 500, ლიმონკები ერთი შტუკა ეფ-1 იქნება 50 დოლარი, ერგედეს გრანატამიოტს 700 ზელიონი უნდა, აი სნაიპერი სულ ახალ-ახალი 2000 დოლარი მჭირდება. ახლა ჩოთქში ჩავიდეთ. აა, რამდენი გამოვიდა? ხო არი 4100 დოლარი. მაიტა ბე 1000 დოლარი. ერთ კვირაში მოხვალ, წაიღებ.**

თან გაუკეთებენ პატრუქს და ბომბიც მზადაა (ნუ ეცდებით ასე ბომბის დამზადებას, ჩვენ შეგნებულად გამოვტოვეთ რამდენიმე აუცილებელი კომპონენტი, ურომლისოდაც არაფერი გამოგივათ — ზ.ჩ.). ამიტომაც არ არის გასაკვირი თბილისში უკანასკნელ ხანს მომრავლებული აფეთქებები."

P. S. მესხეთ-ჯავახეთში ორდღიანმა მივლინებამ აფხაზეთი გამახსენა. სწორედ ასეთივე მდგომარეობა იყო აფხაზეთშიც. ქართველებმა ვერც სხვისი და ვერც საკუთარი შეცდომებით ვერაფერი ვისწავლეთ. რით ველარ ვისწავლეთ, რომ დათმობა და ე. წ. სირაქლემას პოზის მიღება საქართველოსთვის დამღუპველია. რატომღაც ეს ჩვენს ხელისუფლებას დღემდე ვერ შეუგნია.

# „ყველა კორუმპირებულს დავასახელებ, თუნდაც ის ჩემი მინისტრი იყოს"...

კავშირგაბმულობის სისტემაში დღითი დღე იძაბება სიტუაცია. ცეცხლზე ნავთს საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილის **გიორგი კარბელაშვილის** საჯაროდ გამოთქმული განცხადებები ასხამს. ამ ცოტა ხნის წინ მან ღია წერილით მიმართა პრეზიდენტს და კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან საბრძოლველად პოლიტიკური მხარდაჭერა მოითხოვა. გასულ კვირას კარბელაშვილი მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე მიწვევას ელოდა, მაგრამ ამაოდ. მოსაწვევი, როგორც თვითონ აცხადებს, სამინისტროს ხელმძღვანელობამ დაუმალა.

**ყველა ესწრებოდა მთავრობის სხდომას, მხოლოდ მე დავრჩი თამაშგარე მდგომარეობაში. უეჭველია, მოსაწვევი განგებ დაკარგეს.**

**— იქნებ კანცელარიიდან თქვენს სახელზე მოსაწვევი მართლაც არ ყოფილა...**

— ყველაფერი გავარკვიე. კანცელარიიდან სამინისტროში მოსაწვევი სამშაბათს უკვე მოსული იყო. გაფართოებულ სხდომაზე არა მარტო მე ვიყავი მიწვეული, არამედ სამინისტროდან ჩემზე რანგით დაბალი თანამშრომლები და კავშირგაბმულობის სისტემის სხვა თანამდებობის პირებიც. ყველა ესწრებოდა მთავრობის სხდომას, მხოლოდ მე დავრჩი თამაშგარე მდგომარეობაში. უეჭველია, მოსაწვევი განგებ დაკარგეს.

**— თქვენც მოსაწვევის გარეშე მისულიყავით სხდომაზე. ბოლოს და ბოლოს, კანცელარიაში ახალ მოსაწვევს მოგცემდნენ.**

— დარწმუნებული ვარ, მთავრობის სხდომაზე შემიშვებდნენ, მაგრამ რა აზრი ჰქონდა, სიტყვას მაინც არ მომცემდნენ. ყველაფერს ილონებდნენ, რათა პრეზიდენტის თანდასწრებით ზედმეტი არ მელაპარაკა და საჯაროდ არ მემხილებინა კანცელარიისა და ხელისუფლების ის კორუმპირებული ჩინოვნიკები თუ ბიზნესმენები, რომლებსაც საქართველოს კავშირგაბმულობის განადგურება აქვთ განზრახული.

**— თქვენს მინისტრს რატომ არ მიმართეთ დახმარებისათვის? როგორც ვიცი, მერაბ ადეიშვილი მხარს გიჭერთ და თანამოაზრედ გთვლით.**

— რას ამბობთ, რა მხარდაჭერაზეა ლაპარაკი. თქვენ ალბათ მისი ტელევიზორში საჯაროდ გაკეთებული განცხადება გაქვთ მხედველობაში. აბა, იქ სხვას რას იტყოდა, სხვა გზა არც ჰქონდა.

**— რატომ მიგაჩნიათ, რომ საქართველოს კავშირგაბმულობას განადგურება ემუქრება?**

— კარგა ხანია ვიკვლევ, რა ხდებოდა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროში, თუ როგორ ჩაიგდო ხელთ კავშირგაბმულობის საკვანძო საწარმოები ყოფილმა მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ. დღეს ინჯიას კავშირგაბმულობის იმპერიას პატარკაციშვილი-ჩხარტიშვილის დუეტმა წყალი შეუყენა. პრივატიზების მეშვეობით გროშებად სურთ ჯერ კიდევ სახელმწიფოს კუთვნილი კავშირგაბმულობის ობიექტების



მიტაცება. ამის ნათელი მაგალითია „ინფოკომის" მიზერულ ფასად პრივატიზება. რიგითი მოქალაქისთვის შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, ვინ შეჭამს ქართულ კავშირგაბმულობას — ფრიდონ ინჯია თუ ვანო ჩხარტიშვილი. მაგრამ დღეს თუ არა ხვალ, თავს იჩენს მონოპოლიური გარემოს უარყოფითი მხარეები. ამ პროცესში უშუალოდ მონაწილეობენ ქონების მართვისა და ჩვენი სამინისტროს ზოგიერთი ხელმძღვანელი პირები — კავშირგაბმულობის სისტემის ობიექტების მიზერულ ფასად გაყიდვას ხელს უწყობენ. ამის შესახებ ინფორმაცია ალბათ პრეზიდენტსაც აქვს, შესაძლოა საქართველოს გენერალურ პროკურატურას პრეზიდენტისაგან დავალებულიც ჰქონდეს ამ საკითხის შესწავლა, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ფრიდონ ინჯიამ პროკურატურა ნახევარ მილიონ დოლარად მოისყიდა. არ გამოვრიცხავ ამ ინფორმაციის სიყალბეს. თუმცა მაინც მგონია, რომ მთლად უსაფუძვლოც არ უნდა იყოს.

**— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს პრივატიზაციის წინააღმდეგი ხართ.**

— ვინ მოგახსენათ? მე ისეთი პრივატიზაციის წინააღმდეგი ვარ, როცა კორუმპირებული ჩინოვნიკების ხელშეწყობით ზოგიერთი უნამუსო ბიზნესმენი ასეულობით დოლარად ღირებულ სახელმწიფო ქონებას გროშებად იგდებს ხელთ, თორემ კანონიერად ჩატარებულ პრივატიზაციის პროცესს მივესალმები. ინჯია სწორედ იმიტომ დამიპირისპირდა, რომ პრივატიზაციის მომხრე ვარ — მის კავშირგაბმულობის იმპერიას კი „საქართველოს ტელეკომის" და „საქართველოს ელექტროკავშირის" თუ სხვა ობიექტების პრივატიზაცია დიდად აზარალებს...

„ორიოდე კვირაში ყველა იმ პიროვნებას დავასახელებ, ვისაც სახელმწიფოს კუთვნილი კავშირგაბმულობის დარჩენილი ობიექტების ხელში ჩაგდება სურს და არც იმ ჩინოვნიკების გამოვლენა გამიჭირდება, ვინც სახელმწიფო ქონების განიავებაში მათ ხელს შეუწყობს, თუნდაც ის, ჩემი მინისტრი იყოს.

***გვერდი მოამზადა ზვიად ჩაკვეტაძემ***

# — ძმის გადმოსვენებას ვცდილობდი მაშინ და ვის ეცეკვებოდა?..

*დღითი დღე მძაფრდება აფხაზეთის საკითხის განხილვა. ნადარეიშვილი და ასლან აბაშიძე ერთმანეთის მიმართ მკვახე გამონათქვამებს აღარ ერიდებიან და რაკი ჯერი მოქმედებაზე მიდგა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ხელთათმანი პირველმა გადააგდო. გასულ კვირას თბილისში აჭარის წარმომადგენლობის კარი დაწვეს, მეორე დღეს კი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე აბაშიძის მომხრე ჯემალ გამახარიას მუშტებიც უთავაზეს.*

*ოფიციალურად აბაშიძე-ნადარეიშვილის დაპირისპირების მიზეზი აფხაზეთში დაბრუნების გზაა (მშვიდობიანი ან ომით), მაგრამ ეს ზედაპირულად... ამ პრობლემაში ჩაღრმავებამ, დღევანდელობიდან 10 წლით უკან, 1991-92 წლის სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაგვაბრუნა.*



— არ მაცალეს...

**ჯემალ გამახარია:**

— მე და თამაზ ნადარეიშვილი აფხაზეთის უზენაეს საბჭოში ერთი ბლოკიდან — „მრგვალი მაგიდიდან“ მოვედით. აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ მუშაობა 1992 წლის იანვარში დაიწყო, ეს სახელმწიფო გადატრიალების პერიოდს დაემთხვა და ნადარეიშვილიც უცბად გადაბარგდა ხუნტის (სიგუა-კიტოვანი-იოსელიანი-შევარდნაძე) ბანაკში, თუმც ამას კარგა ხანს ნიღბავდა. იგი გახდა ამ ბოროტი ძალის დასაყრდენი აფხაზეთში და სწორედ მათი დავალებით მოამზადა იქ დესტაბილიზაცია და ომისწინა პირობები. ნადარეიშვილის საქმიანობა იმავე წლის გაზაფხულზე გაცხადდა და დავუპირისპირდით — ომის გაჩაღებას ყოველმხრივ ვეწინააღმდეგებოდით. როცა თამაზ ნადარეიშვილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა, ცხადი გახდა, რომ ხუნტას აფხაზეთის ჩაბარება უნდოდა. სწორედ ამისთვის მოიყვანეს ამ თანამდებობაზე უნებისყოფო, უპრინციპო კაცი, რომელსაც ცოდნით დიდად არ უსკდებოდა თავი.

აფხაზეთის დაკარგვა ნადარეიშვილის დამსახურებაა, რადგან ის იყო სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელი. საბრძოლო ბრიგადები მას ემორჩილებოდა. ყველაზე მტკივნეული დამარცხება, რომელიც ჩვენ 1993 წლის ივნისში ვიწვნიეთ შრომა-ახალშენის დაკარგვით (რის შედეგადაც სოხუმისკენ გაიხსნა გზა), სწორედ ნადარეიშვილის წყალობაა. მთავარი დამნაშავე — შევარდნაძე ნადარეიშვილის ხელით აკეთებდა ყველაფერს აფხაზეთში. ორივეს თანაბრად მიუძღვის წვლილი აფხაზეთის დაკარგვაში.

— **აქამდე თქვენი და ნადარეიშვილის დაპირისპირება არ იყო თვალში საცემი. ხომ არ აპირებდით სესიაზე რაიმე მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთებას?**

— იმ მომენტში, როცა თავს დამესხნენ, განსაკუთრებული არაფერი მითქვამს. ნადარეიშვილის გაკრიტიკებას ვაპირებდი ყალბი, არაფრის მომცემი განცხადებების გამო, რითაც აფხაზეთის საკითხის მოგვარება ჩიხში შეჰყავთ. ნადარეიშვილის ომისკენ მოწოდებები ჯერ კიდევ სოხუმში დაიწყო. თუმცა მისი გაკეთებული დღემდე არაფერი მინახავს. ნადარეიშვილს ასლან აბაშიძის სამშვიდობო მისიის ჩაშლა აქვს განზრახული და ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილის გაკონტროლება სურს, რომელიც აფხაზეთის პრობლემის მოუგვარებლობით უკმაყოფილოა და ხელისუფლებისგან რადიკალური ღონისიებების გატარებას ითხოვს. ნადარეიშვილი შევარდნაძის დავალებას ასრულებს — უნდა დაიყოლიოს, გააბიბრუოს და მართოს ხალხი.

თავისი საბრძოლო მოწოდებებით ნადარეიშვილმა გალის ტრაგედია შეამზადა და განაპირობა. მაშინაც ყრილობები და შეკრებები იმართებოდა ომის მოწოდებით. გალის მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე კი სენაკში ჩატარდა დიდი თავყრილობა, რომელიც საომარი მოწოდებებით და ყიჟინით დამთავრდა. ეტყობა, ამჯერადაც რაღაც აქვთ დაგეგმილი და ამიტომ გააქტიურდა ნადარეიშვილი. რად უნდა ქვეყნის პრობლემაზე მსჯელობას ასეთი ყიჟინი და მიტინგს მიმსგავსებული სესიები? საქმის გამკეთებელი კაცი (მით უმეტეს, სამხედრო კონფლიქტთან გვაქვს საქმე) საიდუმლოდ იმოქმედებდა.

ფიზიკური ანგარიშსწორება იმის შედეგია, რომ ნადარეიშვილის კურსს არ ვიზიარებ. ნადარეიშვილს ხალხის მოტყუების საშუალებას არ მივცემ. მან კარგად იცის ჩემი განწყობა და ამიტომ დაავალა თავის მაწანწალებს გამსწორებოდნენ.

— **ვის გულისხმობთ მაწანწალებში?**

— 10-კაციანი ჯგუფი ჰყავს, რომელთაც პარტიზანებს ეძახის. სინამდვილეში კრიმინალები არიან, რომელთაც ერთადერთი ფუნქცია აქვთ — თავს დასხმა, ცემა, ძარცვა, ცეცხლის წაკიდება და ა.შ.

„იმელთან“ რომ მიტინგი დავინახე, მაშინვე მივხვდი, ჩემი პროვოცირება ჰქონდათ განზრახული. მომიტინგეების 90% აფხაზეთის სტრუქტურებში მომუშავე ხალხი იყო, რომლებიც იძულებით მორეკეს სესიაზე. თავის შეკავებას ვაპირებდი, მაგრამ ნადარეიშვილმა კატეგორიულად მთხოვა — ან „აღორძინება“ აირჩიე ან აფხაზეთის უზენაესი საბჭოო. მინდოდა მეთქვა, ვინ არის ასლან აბაშიძე და რას წარმოადგენს ნადარეიშვილი, მაგრამ არ მაცალეს. ვიღაც მომვარდა. ტრიბუნიდან ჩამომათრიეს და ცემა დამიწყეს.

ორი ახალგაზრდა ჯერ სახეში მირტყამდა მუშტებს, მერე ფეხით მომდგნენ. თან მემუქრებოდნენ, — აქედან წადიო. იქ მყოფები რომ არ ჩარეულიყვნენ, უარესი მოხდებოდა. ერთ-ერთი თავდამსხმელი (ნოდარ კირცხალია) ცნობილი მაროდიორია, რომელსაც აფხაზეთში ჩადენილი მძიმე დანაშაულის გამო, ადრე თუ გვიან, მაინც მოეკითხება, მაგრამ ჯერ ჩემი ცემის გამო აგებს პასუხს.

— **დარწმუნებული ხართ, რომ თავდამსხმელები ნადარეიშვილის დავალებით მოქმედებდნენ?**

— სავსებით... როცა დაჟინებით მოვითხოვე სიტყვა, სწორედ მაშინ დაავალა ნადარეიშვილმა, — როგორც კი ჩემს კრიტიკას დაიწყებს, თავს დაესხითო, მაგრამ ის უწიგნურები ვერ მიხვდნენ, როდის უნდა გამომხტარიყვნენ, ცოტა ადრე მოუვიდათ...

გენპროკურატურას და შს სამინისტროს აუცილებლად მოვთხოვ ამ ფაქტის გამოძიებას და ის ახალგაზრდები ალიარებენ, რომ ნადარეიშვილის დავალებით მოქმედებდნენ.

— **თქვენი მისამართით ბრალდებები ნადარეიშვილის მხრიდანაც გაისმა, — სოხუმის დაცემის დღეს გამახარიას ხელში გამსახურდიას სურათი ეჭირა და ცეკვავდაო...**

— მოგეხსენებათ, სოხუმი 27 სექტემბერს დაეცა. ოცდაერთში ჩემი უმცროსი ძმა მოკლეს სოხუმში, 27 სექტემბერს ოჩამჩირეში ვიყავი, ლოთი ქობალიას ბანაკთან და ძმის გადმოსვენებას ვცდილობდი. ვის ეცეკვებოდა მაშინ?! ცეკვა კი არა, გლოვა იყო. ნადარეიშვილი კი სწორედ იმ დროს თბილისში იყო და მხართეძოზე წამოწოლილი ტელევიზიით იგებდა სოხუმის ამბებს. ნადარეიშვილი ცრუობს, როცა ამბობს, არ ვიცოდი, ისე გამათავისუფლეს და ჩემს ადგილზე შარტავა მოიყვანესო. სინამდვილეში თვითონ ითხოვა გათავისუფლება და რაკი შევარდნაძეს სოხუმის ჩაბარება ჰქონდა გადაწყვეტილი, თავისი ერთგული ლაქია სამშვიდობოს გამოიყვანა, ჟიული შარტავა კი სასიკვდილოდ გაიმეტა. ნადარეიშვილმა წინასწარ იცოდა, რაც მოხდებოდა სოხუმში. ამიტომ ოჯახიც გაიყვანა და იქიდან საკუთარი (და ნათესავების) ქონებაც გამოზიდა. ასეთი კაცი დღეს ჩემზე ათას სისაძაგლეს ამბობს... სხვათა შორის, ასეთი რამ მარტო ჩემზე არ თქმულა, — დადიოდა ხმა, სოხუმის დაცემას ზვიადისტები ზუგდიდში სიხარულით შეხვდნენო. მერე ეს ბრალდება რატომღაც ჩემზეც გაავრცელეს. სინამდვილეში მაშინ ზუგდიდში გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის მთელი მოსახლეობა იყო გადასული. საშინელი გლოვა და ზარი იდგა, ყველა თავისი მიცვალებულის გადმოსვენებას და დაკრძალვას ცდილობდა. ვინ იცეკვებდა?! ამის თქმა ყველაზე დიდი უზნეობაა შევარდნაძის და ნადარეიშვილის მხრიდან... პოლიტიკაში ნადარეიშვილისნაირი მათხოვრების პარპაშმა დაგვაკარგვინა აფხაზეთი. ასეთი ხალხი თუ არ მოვიცილეთ, აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ.

— **აბაშიძისა და ნადარეიშვილის ბრძოლის განახლების მიზეზი რა იყო?**

— აბაშიძემ მიაგნო აფხაზეთის პრობლემის მოგვარების რეალურ გასაღებს. ბ-ნი ასლანი არ არის ისეთი პიროვნება, დასაღუპად განწირულ საქმეს ხელი მოჰკიდოს. მას შეუძლია აფხაზეთის პრობლემის მოგვარება და ამან შეაშფოთა პრეზიდენტიც და ნადარეიშვილიც. ასლან აბაშიძის დაბრუნებულ აფხაზეთში თამაზ ნადარეიშვილი ვერ შევა, ან შევა, როგორც რიგითი პიროვნება, მას სახელისუფლებო სტრუქტურებს არ გააკარებენ. აფხაზეთში დაბრუნებული ნადარეიშვილი პოლიტიკური „პეშკა“ იქნება, ამიტომ ურჩევნია აქ, თბილისში ერქვას უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და აკეთოს უმაქნისი განცხადებები, ვიდრე ჩვენი ხალხი დააბრუნოს აფხაზეთში.

***ანზორ წოწონავა**, ფრაქცია „ახალი აფხაზეთის“ თავმჯდომარის მოადგილე:*

— 1992 წლის იანვარში საქართველოს ორად გახლეჩამ დაგვაკარგვინა სამაჩაბლოც და აფხაზეთიც. ჩვენი გათიშულობისა და დაპირისპირების შედეგს ვიმკით დღესაც. ამდენმა განსაცდელმა თვალი ვერ აგვიხილა. პიროვნულ იმიჯს ქვეყნის ინტერესი ვანაცვალეთ და აგერ, ბატონო...

რას ჰგავს აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლების დაპირისპირება? ის, ვინც გამახარიას სცემა, პროვოკატორი და ნადარეიშვილის მტერია. ნადარეიშვილისთვის სიკეთე რომ ნდომოდათ, სხვანაირად მოიქცეოდნენ. ის, რაც ჩაიდინეს, სისხლის სამართლის დანაშაულია და საკადრისად უნდა დაისაჯონ.

***თამაზ ხუბუა**, აფხაზეთის ინფორმაციის მინისტრი:*

— არ შევსწრებივარ, მაგრამ არის ხალხი, რომელთაც საკუთარი თვალით იხილეს სოხუმის დაცემის დღეს გახარებული გამსახურდიას მომხრეები და მათ შორის, გამახარია...

— **ვინ გაილაშქრა გამახარიას წინააღმდეგ?**

— ისინი ვინც გამახარიას გაუსწორდნენ, პარტიზანები არიან. მათი მოქმედება იყო პროტესტი „აღორძინების“ ბლოკის მიმართ, რომელსაც პარტიზანული მოძრაობის ჩაკვლა სურს. ჩვენთვის მიუღებელია იმგვარი მეტამორფოზა, როგორიც ჯემალ გამახარიამ განიცადა. იგი იმ ხალხთან არის, რომელიც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მუშაობას და აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტის მიზეზებს არაობიექტურ შეფასებას აძლევს...

**თამაზ ნადარეიშვილი:**

— გამახარიაზე თავდასხმა ჩემს წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაცია იყო. სესიას მე ვატარებდი და ამიტომ ინციდენტი არც მე მაძლევდა ხელს, არც ჩემს კოლეგებს. როდის იყო გამახარია ისეთ რამეს ამბობდა, რომ მისგან გმირი შეგვექმნა? თვითონ ვარ თავდამსხმელების ვინაობით დაინტერესებული.

***იზო რუკაძე***



# უკვე მივეჩვიეთ, მაგრამ მაინც რატომ გვბომბავთ?!

***ორიოდე კვირის წინ, „კვირის პალიტრაში“ (№29, 22-28 ივლისი) დაბეჭდილ სტატიაში, „შეიარაღებული ჩეჩნები პანკისიდან სამშობლოში ბრუნდებიან?“, ვწერდით, — „ძნელი სათქმელია, პანკისში რაიმე საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებას შეუშინდნენ თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე ასეულმა შეიარაღებულმა ჩეჩენმა (მათ შორის სხვა ეროვნების ჩრდილოკავკასიელმაც) დატოვა ან ტოვებს პანკისის ხეობას“.***

***„ერთი რამ უტყუარია, რუსეთის ოფიციალური უწყებები და განსაკუთრებით რუსული მასმედია, კვლავ საქართველოს დააბრალებს — თქვენი ტერიტორიიდან შემოდიან ბოევიკებიო“.***

***როგორც ჩანს, ჩვენი ვარაუდი გამართლდა, რამაც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის არსებული ისედაც რთული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა.***

## რატომ გვბომბავენ?

უკვე აღარც გვაკვირვებს და გვაღელვებს ეს ამბავი — მივეჩვიეთ, მაგრამ რატომ გვბომბავენ?

ამას, სამწუხაროდ, კონკრეტული მიზეზები აქვს, რომლის მიჩქმალვას როგორადაც არ უნდა შევეცადოთ, ვერ მოვახერხებთ — რეალობაა.

დღეს საქართველო ძალზე ჰგავს გასული საუკუნის 80-იანი წლების... პაკისტანს.

1979-1989 წლებში ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტი იდგა. შეზღუდული ერქვა, თორემ დროდადრო ეს სამხედრო კონტინგენტი 100 ათას კაცზე მეტსაც ითვლიდა. მისი მთავარი ძალა იყო მე-40 საჯარისო არმია, რომელსაც ოპერატიულ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა კავშირიდან გადასროლილი საავიაციო და სარაკეტო დანაყოფები.

დღევანდელი ჩვენი მსგავსება 20 წლის წინანდელ ავღანეთთან შემდგომში მდგომარეობს: როდესაც საბჭოთა სამხედრო შენაერთები ავიაციის, არტილერიისა და სარაკეტო დანაყოფების ძლიერი თანადგომით ბევრად უარესად აღჭურვილი ავღანელი მოჯაჰედების განადგურებას იწყებდნენ, ეს უკანასკნელნი თავს ძირითადად მეზობელ პაკისტანში გადასვლით შველოდნენ. ავღანელი პარტიზანების შედარებით მცირე ჯგუფები ასეთ დროებით თავშესაფარს ქვეყნის დასავლეთით, ირანში პოულობდნენ. როგორც კი დამთავრდებოდა მოსკოვში დაგეგმილი მსხვილი საარმიო ოპერაცია, მოჯაჰედები ნელ-ნელა ბრუნდებოდნენ ავღანეთში და აგრძელებდნენ პარტიზანულ ბრძოლას, რამაც მათ საბოლოო გამარჯვება მოუტანა.

დღეს რუსეთი საბჭოთა კავშირი აღარ არის, თუმცა არც ჩეჩნეთია ავღანეთი, ისევე როგორც ძალიან დიდი განსხვავებაა პაკისტანსა და საქართველოს შორის (თუნდ ბირთვული პოტენციალის მქონე პაკისტანის არმიის ფაქტორის გათვალისწინებით), მაგრამ ზემოთ მოყვანილი საბრძოლო მოქმედების პრინციპი მაინც დარჩა — ჩეჩნური შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც ზამთრობით თავს საქართველოს პანკისის ხეობას აფარებენ, ზაფხულობით საბრძოლო მოქმედებებს სამშობლოში აგრძელებენ. ეს ფაქტია და თანაც სამწუხარო. ასე რომ, გასაგები ხდება კრემლის გაღიზიანებისა და საპასუხო რეაქციის სათავე — ჩეჩნების მიზეზით იბომბება ქართული მიწა! გავიხსენოთ ისიც, რომ სწორედ რუსეთის ფედერაციის სამხრეთში — ყაბარდო-ბალყარეთისა თუ ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ყოფილ პიონერულ ბანაკებში რუსეთის ГРУ-ს სპეცრაზმელების მიერ მომზადებული ჩრდილოკავკასიელები გვიტევდნენ აფხაზეთში.

გასაგებია, რომ ჩეჩნური კარტის გათამაშების პროცესი გარკვეულ ცაიტნოტში მოხვდა. სხვათა შორის, ამ სტატიის ავტორი თავის დროზე გარკვეულ მონაწილეობას იღებდა ქართველებსა და ჩეჩნებს შორის აფხაზეთის ომის დროს ჩატეხილი „ხიდის“ აღდგენაში. ხუთი წლის წინანდელი იდეით, უნდა გადმოგვებირებინა რუსეთთან პირველ ომში გამარჯვებული ჩეჩნები, რათა აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი გზით გადაწყვეტაში სერიოზული პარტნიორი გვყოლოდა.

შარშანდელი შემოდგომის და, რაც მთავარია, 11 სექტემბრის მოვლენებმა, ამ იმედებს წერტილი დაუსვა. სამაგიეროდ, დაგვრჩა პანკისში დაბანაკებული ორი თუ სამი ათასი შეიარაღებული ჩეჩენი და არაბი.

სხვათა შორის, მათ ზაფხულში ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის მთის ბილიკებით მისვლა-მოსვლა არა შეუწყვეტიათ. ეს პრობლემა უკვე მთლიანად ემუქრება საქართველოს სუვერენიტეტს.

დღეს საქართველოს ხელისუფლებამ საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, რა ვქნათ — გავაგრძელოთ იგივე პოლიტიკა და ჩვენი ჩრდილოელი, მართალია, მსოფლიო მასშტაბით







**მოზდოკის სამხედრო აეროდრომზე მდგარი ეს Су-25 ტიპის მოიერიშეები (საბორტე ნომრები: 04; 42; 44; 48; 43; 47; 51; 53) ჩეჩნეთსა და საქართველოს მთიანეთს დღისით ბომბავენ, ღამით კი ასპარეზს Су-24M საფრონტო ბომბდამშენებს უთმობენ**

დასუსტებული, მაგრამ ჩვენთვის მაინც ბაყბაყ-დევი მეზობელი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავიმტეროთ, თუ საბოლოოდ შეველიოთ ასევე ჩრდილოელი, ოღონდ პატარა მეზობლის ათასობით შეიარაღებული ადამიანის უკანონო ყოფნას ჩვენს ტერიტორიაზე?!

## ვინ გვბომბავს?

ამ კითხვის საპასუხოდ დიდი თეორიების წამოყენება უაზრობაა — გასაგებია, რომ ჩრდილოეთით მოსაზღვრე საჰაერო სივრციდან ჩვენთან არც სომხური, არც აზერბაიჯანული, არც უკრაინული და, მით უმეტეს, არც თურქული ბომბდამშენები არ შემოფრინდებიან.

მაგრამ, იმის გამო, რომ საქართველოს არ გააჩნია საკუთარი საჰაერო სივრცის ობიექტური კონტროლის სრულყოფილი ტექნიკური საშუალებები, ძალიან ძნელია იმის დამტკიცება, რომ გასულ კვირას, ისევე, როგორც წინა წლებში, ქართულ მიწას ბომბებსა და რაკეტებს რუსი პილოტები ასევე რუსული საბრძოლო თვითმფრინავებით და შვეულმფრენებით აყრიდნენ.

ამის ერთადერთ დასტურად მხოლოდ პრაქტიკული მოქმედება გამოდგება, რომლის ახსნაც ჩვენს მკითხველს სულაც არ სჭირდება — ყოველმა ქართველმა მგონი, უკეთესად იცის, ასეთ შემთხვევაში რა გააკეთოს (ანუ რასაც აკეთებდნენ ვიეტნამელები ამერიკული, თუ ავღანელები საბჭოთა ბომბდამშენების წინააღმდეგ), ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტმა თუ თავდაცვის მინისტრმა.

ჩვენ რატომღაც არ ვითვალისწინებთ მფრინავის ფსიქოლოგიას. თუკი პილოტმა ერთხელ მაინც იგრძნო მიწიდან ინტენსიური საზენიტო ცეცხლის საშიშროება, იგი მრავალჯერ დაფიქრდება, სანამ კიდევ ასე თავხედურად დაარღვევს უცხო ქვეყნის საჰაერო სივრცეს.

მიუხედავად იმისა, რომ მობილური რადიოლოკატორები დღემდე ვერ დავამონტაჟეთ ვერც კოდორის და ვერც პანკისის ხეობასთან (რომ არაფერი ვთქვათ შატილიომალოს მონაკვეთზე), მაინც შეიძლება ელემენტარული ხერხით დავაფრთხოთ „აბეზარი“ რუსული საფრენი აპარატები. ეს შეიძლება ЗУ-23-2 და თვითმავალი ЗСу-23-4-ებით მოვახერხოთ, რომელთა მიერ გრძელი ჯერებით გაშვებული ტრასირებადი ჭურვები დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოახდენდა რუს პილოტებზე და პირველ რიგში აგრძნობინებდა, რომ გარკვეული საჰაერო თავდაცვის საშუალებები თურმე ქართველებსაც ჰქონიათო.

## როგორ გვბომბავენ?

ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან შარშანდელი შემოდგომის დაბომბვებზე „კვირის პალიტრის“ მკითხველს უკვე ვესაუბრეთ: ღამისეულ დაბომბვებს (გასულ კვირასაც ორივე დაბომბვა — თუშეთში სოფელ ჭონთიოსთან და პანკისის ხეობასთან, ნაქერალის მთის ფერდობზე) ახორციელებს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი Су-24M ტიპის საფრონტო ბომბდამშენები. შესაძლოა Ми-8МТО და Ми-24ВМ ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო და დამრტყმელი ის რამდენიმე შვეულმფრენიც, რომლებსაც ბოლო დროს დაუყენეს ღამის ხედვის აპარატურა (ისე, ტექნიკური ინფორმაციის თანახმად, რუსული საბრძოლო ავიაციის თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურით აღჭურვაში უდიდეს როლს თამაშობს ის კონცერნი, რომელსაც სათავეში ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მეცნიერი გივი ჯანჯღავა უდგას).

თუმცა, არც ის არის გამორიცხული, საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიებს ბომბავდნენ საბჭოთა პერიოდში თბილისის საავიაციო ქარხანაში დამზადებული Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებიც. ისინი ახლა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაში იმყოფებიან.

ღამით მოიერიშე Су-25-ები არ გამოირჩევიან დაბომბვის დიდი სიზუსტით. უფრო სავარაუდოა, რომ ღამით საქართველოს რადიოლოკატორებით აღჭურვილი რუსული საფრონტო ბომბდამშენები Су-24M-ები ბომბავდნენ. თუმცა, ბოლომდე არც მოდერნიზებული Су-25T-ების (და მათი გაუმჯობესებული მოდიფიკაციების, ღამის ხედვის სისტემა Шквал-ით აღჭურვილი Су-25TM-ების) მოქმედება გამოირიცხება. მისი პილოტი, უკუნ ღამეშიც, კაბინაში დამონტაჟებულ სატელევიზიო ეკრანზე პოულობს მიწაზე სამიზნეს. თავად რუსების ინფორმაციით, მათ თბილისის საავიაციო ქარხნიდან 12 ასეთი თვითმფრინავი მიიღეს, თუმცა ქართველი ავიამშენებლები აცხადებენ, რუსეთში მხოლოდ 6 გავგზავნეთ და ამდენივე ჩვენვე დავიტოვეთო. რეალობა კი ერთია — ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყების წინ სწორედ Су-25T-მ მიაყენა წერტილოვანი დარტყმა გროზნოს სევერნის აეროდრომს — ააფეთქა მასხადოვის თვითმფრინავი.

თუშეთში, ჭონთიოში, ქართველმა სამხედროებმა 7 აფეთქების ადგილი ნახეს. ერთ-ერთი მათგანიდან კი აფეთქებული საავიაციო ბომბის ნაწილები ამოიღეს, რომელიც, სავარაუდოდ, ФАБ-250 ან ФАБ-500 ტიპის ფუგასურ ბომბებს განეკუთვნება.

პანკისის ხეობასთან, ნაქერალის მთის ტყიან ფერდობზე, აფეთქებულ ადგილას კი, ქართული შვეულმფრენი ვერ დაჯდა, რადგან ტყის მასივი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

## რა მოხდება?

ერთი შეხედვით ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სამშვიდობო და ჰუმანიტარული მოსაზრებით (სწორედ ისე, როგორც ამერიკელები ყოფილ იუგოსლავიაში თუ ავღანეთში იქცეოდნენ), მოსკოვმა დესანტი გადმოსხას პანკისის ხეობაში და დაიწყოს ანტიტერორისტული ოპერაცია იქ მყოფი შეიარაღებული ჩეჩნების ამოსახოცად.

საბედნიეროდ, 31 ივლისს, აშშ-ის ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენელი ავრცელებს ინფორმაციას — თეთრი სახლი აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს და არ დაუშვებს, რომ რომელიმე უცხო ქვეყანამ მის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაცია წამოიწყოს. ეს ოფიციალური თბილისის პრეროგატივაა და აშშ გარკვეულ დახმარებას უწევს მას შეზღუდული ანტიტერორისტული ძალების მოსამზადებლად.

ამ დიპლომატიური განცხადების უკან ჩვენთვის მრავალმნიშვნელოვანი პოზიცია იკვეთება — ფაქტობრივად, თეთრი სახლი კრემლს აფრთხილებს — ემანდ, არაფერი მიჰქაროთ და პანკისში დესანტი მართლა არ გადასხათო.

პრეზიდენტ ბუშის მტკიცე პოზიციას კი მისი რუსი კოლეგა ყოველთვის ანგარიშს უწევს. ამ უკანასკნელის მიერ ქართველი მწყემსის დაჯილდოება (რახან ჩეჩნების გადმოსვლა შეგვატყობინეო!) მხოლოდ მორიგ პოპულისტურ ნაბიჯზე მეტყველებს.

ერთი შეხედვით, შეიძლება საქართველოს დღევანდელ ინტერესებში მართლაც შედის, რომ უცხო ტომის შეიარაღებული რაზმების ჩვენს ტერიტორიაზე — პანკისის ხეობაში — ყოფნას საბოლოოდ დაესვას წერტილი.

მაგრამ რუსეთის მიერ პანკისში გადმოსხმული სპეცრაზმები ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტენ. მათ დასჭირდებათ ავიაციისა და არტილერიის დახმარება და ცოტა ხანში პანკისი მეორე ჩეჩნეთად იქცევა. მოსკოვს რომ შეეძლოს, ჩეჩნეთს მოუვლიდა და ყველაფერს პანკისში თავშეფარებულებს არ დააბრალებდა. უბრალოდ, ეს რუსეთის გენერალიტეტის ყველაზე იოლი გზაა — აუხსნას თავის უმაღლეს მთავარსარდლობას, თუ დღემდე რატომ არ შეწყდა პარტიზანული ბრძოლები ჩეჩნეთში.

მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ჩვენ დამშვიდების უფლება არ გვაქვს — პანკისში მალე არც ერთი უცხოტომელი შეიარაღებული არ უნდა დარჩეს, რადგან ეს საქართველოს არა მარტო საგარეო, არამედ შინაპოლიტიკურ სტაბილიზაციასაც ემუქრება.

# 205-მა ქართველმა ოფიცერმა ამერიკული სერტიფიკატი მიიღო

## მათ შორის მათაც, ვინც ხშირად აცდენდა ან ლექციებზე ეძინა

2 აგვისტოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში გაიმართა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მეორე ფაზაში მონაწილე სამეთაურო-საშტაბო სწავლების მსმენელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი, რომელსაც, სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი — პრეზიდენტიც ესწრებოდა.

ამერიკულ-ქართული პროგრამის მეორე ფაზა (მას ცერემონიალზე უმეტესობა რატომღაც პირველად მოიხსენიებდა, რაც შემდეგ მასმედიამაც აიტაცა; არადა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის პირველი ფაზა უკვე რამდენიმე თვეა, დასრულდა და იგი სწავლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოძიებასა და შექმნას ითვალისწინებდა) 27 მაისს დაიწყო და 10 კვირა — 70 დღე გასტანა. მასში მონაწილეობდა თავდაცვის სამინისტროს, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, უშიშროების სამინისტროს, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, შსს-ს შინაგანი ჯარებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 205 ოფიცერი.

ქართველმა ოფიცრებმა ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით შეისწავლეს სამხედრო ოპერაციების დაგეგმარება და ძალოვან უწყებებს შორის კოორდინირებული მოქმედებების მოწყობა.

სწავლების პერიოდში მსმენელებმა პრაქტიკული მეცადინეობები ჩაატარეს ყაზბეგის რაიონში — მათ გუდაურთან რეკოგნოსცირება — საბრძოლო მოქმედებების ადგილის წინასწარი დათვალიერება-შესწავლა განახორციელეს. თუმცა მკითხველს ნუ ეგონება, რომ ამ მიმართულებით რაიმე საბრძოლო მოქმედებების დაწყებაა მომავალში დაგეგმილი, უბრალოდ, ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ მსმენელებს ასწავლიდნენ მთაგორიან რელიეფზე საბრძოლო ოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებას.

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მეორე ფაზის მსვლელობისას, რა თქმა უნდა, ყველაფერი იდეალურად არ მიმდინარეობდა — ზოგჯერ ქართველი ოფიცრების ნახევარზე მეტი აცდენდა ლექციებსა და ბრიფინგებს, რაც ამერიკელი ინსტრუქტორების გაოცებას იწვევდა. სააქტო დარბაზშიც ხშირად ნახავდით სიზმრად წასულ ჩვენს ოფიცრებს. თუმცა მათი მთლიანად გამტყუნებაც ძნელია — ზოგიერთმა უწყებამ იმ კატეგორიის ოფიცრები გამოგზავნა ამერიკულ



პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც თავად ნაკლებად სჭირდებოდა. ამ უკანასკნელთ კი, ის უფრო აწუხებდათ, საღამოს რა მიეტანათ ნახევრად მშიერი ოჯახისთვის, ვიდრე ამერიკელი ინსტრუქტორის ლექცია სახმელეთო დანაყოფის ტყეში მოქმედების ტაქტიკაზე.

მაგრამ, ასეა თუ ისე, „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მეორე ფაზა წარმატებით დასრულდა, რამაც დიდი იმედი მოგვცა, რომ შემდგომი ფაზაც — ბატალიონების ტაქტიკური სწავლებები — შედეგიანად წარიმართება. თუმცა მარტო ერთი, თუგინდ 10-კვირიანი სასწავლო კურსი არაფერს ნიშნავს, თუკი ამ ოფიცრებმა მომავალში მუდმივად და კოორდინირებულად არ იმუშავეს საბრძოლო მოქმედებების დასაგეგმად.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ სწავლების მეორე ფაზის ფარგლებში შეიქმნა და ამუშავდა ეროვნული მართვის სამეთაურო და სახმელეთო ჯარების ოპერატიული მართვის ცენტრები, რის შესახებაც დაწვრილებით მოგითხრეთ „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში.

სხვათა შორის, 2 აგვისტოს გამოშვებაზე ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა, რამაც ქართველი ოფიცრების გარკვეული გულისწყრომა გამოიწვია:

თავდაცვის ეროვნული აკადემიის ტერიტორიაზე შესვლისას მათ სატაბელო იარაღი ჩამოართვეს, უცხოელები კი შეუმოწმებლად გაატარეს.

ნუთუ უმაღლესი მთავარსარდალი ქართველ ოფიცრებს უცხოელებზე ნაკლებად ენდობა? — გაკვირვებას გამოხატავდნენ ისინი.



## შეიარაღებული ჩეჩნები რუსმა მესაზღვრეებმა ისევ საქართველოში გადმორეკეს

3 აგვისტოს ქართველმა მესაზღვრეებმა გირევის საგუშაგოსთან საქართველო-რუსეთის ჩეჩნეთის საზღვრის დარღვევისთვის დააკავეს შეიარაღებული ჩეჩნების 7-კაციანი ჯგუფი. მათ შორის დაჭრილებიც იყვნენ. როგორც ირკვევა, ეს სწორედ იმ ჩეჩენთა ჯგუფია, რომლებიც რამდენიმე დღე რუსი ფედერალური ძალების ალყაში, გააფთრებულ ბრძოლებში მონაწილეობდნენ. ოფიციალური რუსული მხარე იტყობინება 40-მდე ჩეჩენის განადგურებას, მაგრამ ეტყობა დანარჩენებმა თავის შეფარება და გადარჩენა ისევ საქართველოში არჩიეს. ჩანს, შეიარაღებული ჩეჩნების ფაქტორი უკვე მოურჩენელ ჭირად იქცა, როგორც ოფიციალური მოსკოვისთვის, ისე თბილისისთვის და მათ პინგ-პონგის ბურთივით საზღვრის აქეთ-იქით მხარეს ისვრიან.

დაკავებული ჩეჩნები თბილისში ჩამოიყვანეს.

# რა პრინციპით აიარაღებენ ქართულ არმიას ამერიკელები?

## სიმართლე რომ გითხრათ, ეს პრინციპები ცოტა ძნელი გასაგები ხდება...

დიდი ხანია გაქრა იმედი იმისა, რომ „წვრთნისა და აღჭურვის“ 64 მლნ დოლარიანი პროგრამა გაითვალისწინებდა ქართული არმიის რამდენიმე ბატალიონის NATO-ს სტანდარტის იარაღით აღჭურვას, რაც გააადვილებდა ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებას.

ამერიკელები იმ ოთხივე ქართულ ბატალიონს, რომელთა წვრთნა და აღჭურვა თავის თავზე აიღეს, მაინც აღმოსავლური ანუ ყოფილი საბჭოთა სტანდარტის მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით მოამარაგებენ. უკვე ამ კვირას (რიცხვს არ დავაკონკრეტებ) ნავარაუდევია იარაღის პირველი, მცირე პარტიის ჩამოსვლა. ამ პარტიაში, ჩვენი კონფიდენციალური ინფორმაციით, იქნება 37 „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატი, 12 ცალი РПК ტყვიამფრქვევი და 6 ერთეული 60 მმ კალიბრის მსუბუქი ნაღმსატყორცნი, აგრეთვე მათთვის საჭირო საბრძოლო მასალები.

ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი, თუ კონკრეტულად რომელი ქვეყნის მიერ წარმოებულ „კალაშნიკოვებს“ მივიღებთ, მაგრამ ვფიქრობთ, ამერიკელები უფრო რუმინულ ან ჩეხურ ცეცხლსასროლ იარაღს შემოიტანენ.

ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენ, მაგრამ ჩეხური და, მით უმეტეს, რუმინული „კალაშნიკოვის“ და თანაც AK-47-ის ტიპისა, საქართველოს უახლესი ისტორიიდან გამომდინარე, უსიამოვნო ასოციაციას იწვევს. ვისაც აფხაზეთის ომის დროს რუმინული „კალაშნიკოვი“ (თუნდ 7,62 მმ კალიბრის AK-47 ან 5,45 მმ კალიბრის AKC-74) სჭერია ხელში, დამეთანხმება, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე ცუდი არჩევანია. იგი დაბალი საიმედოობისაა (სოხუმის სუბტროპიკული ჰავის გავლენით — იჟანგებოდა, ორიოდე მჭიდის ავტომატურ რეჟიმში გასროლის შემდეგ ლულები საშინლად უცხელდებოდა და ტყვიებს რამდენიმე მეტრში აფურთხებდა) და, არა მგონია, მომავალი ქართველი „რეინჯერი“ აღაფრთოვანოს.

ძნელი სათქმელია, მაინცდამაინც აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი კომუნისტური ქვეყნების „კალაშნიკოვები“ რატომ არჩიეს ამერიკელებმა. ამ რუმინულ თუ ჩეხურ ავტომატებს ხომ ბევრად სჯობს რუსული — კოვროვისა და ტულის ქარხნების გამოშვებული „კალაშნიკოვები“.

თუ აქ საქმე წმინდა პოლიტიკურ მოსაზრებასთან გვაქვს — პენტაგონს სურს NATO-ს „ხვალინდელი“ წევრების ქვეყნების არსენალები „დაასუფთაოს“ მოძველებული და დღეისათვის ნაკლებად ვარგისი „კალაშნიკოვებისაგან“, მაშინ მათი საქციელი გასაგებია.

მაგრამ ჩვენი, ქართული არმიის ინტერესიც ხომ უნდა იქნეს გათვალისწინებული?

თუკი ამერიკელებს არ სურდათ უშუალოდ რუსებთან საქმის დაჭერა, განა არ შეიძლებოდა ბევრად უკეთესი ხარისხის „კალაშნიკოვების“ (თუკი პენტაგონს მაინცდამაინც სურს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა ზედმეტ ხარჯებს აარიდოს და ქართულ მოსამზადებელ ბატალიონებს შეიარაღებაში ისევ ძველი სტანდარტის იარაღის სისტემები დაუტოვოს) თუნდ უკრაინაში შეძენა?



მიუხედავად ამერიკელების აქტიური დახმარებისა, ეტყობა, ასე აღჭურვილი ჯარი დიდხანს არ გვეყოლება

ჩვენი ინფორმაციით, უკრაინაში, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური კიევი მეათე წელია გამალებით ყიდის საბჭოთა პერიოდიდან დარჩენილ საბრძოლო ტექნიკასა და აღჭურვილობას, ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობითაა დარჩენილი მაღალი ხარისხის და, რაც მთავარია, მე-2 კატეგორიის ცეცხლსასროლი იარაღი. ჩვენი მონაცემებით, უკრაინამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მარტო 7 მილიონი „კალაშნიკოვი“ დაიტოვა!

უკრაინის ფაქტორს შესანიშნავად იყენებს მეზობელი აზერბაიჯანი. თუკი ერევანს მოსკოვი ამარაგებს, ბაქოს საუკეთესო ურთიერთობა აქვს უკრაინასთან. სომხეთთან ომის დროს აზერბაიჯანში უკრაინელებმა თავისი უზარმაზარი Ан-124 „რუსლანის“ ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით არანაკლებ 50 ერთეული T-55 ტიპის ტანკი გადაისროლეს. ხოლო შარშან აზერბაიჯანმა უკრაინაში შეიძინა ЗУ-23-2 ავტომატური საზენიტო ქვემეხების, РПГ-7В ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნებისა და ნაღმსატყორცნების დიდი პარტია.

ამით ჩვენ უკრაინაში დარჩენილი იარაღის შესაძენად ლობირებას კი არ ვაკეთებთ, არამედ გვსურს, რომ მცირე არჩევანის საშუალება მაინც დავიტოვოთ. ისინი, ვისაც ქართული არმიის შეიარაღების საკითხების მოგვარება ევალება, თურმე თავიდანვე არავის ჩაუყენებია საქმის კურსში, თუ რა სახისა და ტიპის იარაღი უნდა შესულიყო ჩვენი მოსამზადებელი ბატალიონებისთვის.

ეტყობა, ეს უფრო მაღლა, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის დონეზე გადაწყდა. მაშინ უფრო საოცარია — რა მოეწონა რუმინული ავტომატებისა დღევანდელ თავდაცვის მინისტრს, რომელსაც რეალურ საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის დიდი გამოცდილება გააჩნია?

სხვათა შორის, არც ისე უსაფუძვლო ყოფილა ჩვენი ვარაუდი — ამერიკული ცეცხლსასროლი იარაღით არ აღჭურვავენ ჩვენს ბატალიონებსო.

„კომანდო“-ს ბატალიონის მომზადების პროგრამა თავდაპირველად ამ ბატალიონის მებრძოლების ამერიკული M249 და M240B ტყვიამფრქვევებით მომზადებას ითვალისწინებდა, რაც, საბოლოოდ, 5,45 მმ კალიბრის РПК და 7,62 მმ კალიბრის ПКМ ტყვიამფრქვევებით შეიცვალა. ასევე შეიცვალა M203 ტიპის ამერიკული ლულისქვეშა (იგი M16 ავტომატურ შაშხანას უყენდება) ყუმბარსატყორცნი და AT-4 ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი. მათ მაგივრად ქართველ სამხედროებს ტაქტიკურ სროლებს, შესაბამისად, საბჭოთა ლულისქვეშა ГП-25-ითა და ტანკსაწინააღმდეგო РПГ-7-ით შეასწავლიან ამერიკელი ინსტრუქტორები.

P.S. უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად ამერიკელები ჩეხურ ავტომატებს ჩამოგვიტანენ. ერთადერთ ნუგეშად ისღა რჩება, რომ ამერიკელები თითოეულ მათგანს სპეციალური, ლაზერული დეფექტოსკოპით შეამოწმებენ.

# ავიაკატასტროფების კვირეული



**ჩვენი დოსიე:** Су-27УБ ტიპის თვითმფრინავი ცნობილი Су-27 გამანადგურებლის ორადგილიან სასწავლო-საბრძოლო ვარიანტს წარმოადგენს. მისი მაქსიმალური, საბრძოლო ასაფრენი მასა 29 ტ-მდე აღწევს. შეუძლია 17 კმ-ის სიმაღლეზე 2 ათას კმ/სთ სიჩქარეზე მეტის განვითარება.



**ჩვენი დოსიე:** Ил-86 პირველი საბჭოთა ფართოფიუზელაჟიანი სამგზავრო ლაინერი გახლდათ, რომელსაც 350 მგზავრის გადაყვანა შეეძლო. მისი ასაფრენი მასა 206 ტ-ს, ხოლო კრეისერული სიჩქარე 900 კმ/სთ-ს უტოლდება.









მილიონობით ადამიანმა ნახა ის სატელევიზიო კადრები, სადაც უკრაინული გამანადგურებელი სასიკვდილო პიკეს მიწაზე ასრულებს და ავიაშოუს მაყურებლებში იჭრება.

80-ზე მეტი დაღუპული და ასზე მეტი დაჭრილი — ასეთია ის ტრაგიკული შედეგი, რაც 27 ივლისს უკრაინაში, ქ. ლვოვის აეროდრომზე Су-27УБ-ს ჩვენებას მოჰყვა. იმ დღეს უკრაინელი სამხედრო მფრინავები აღნიშნავდნენ იქ მდგარი უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-14 საავიაციო კორპუსის მე-60 წლისთავს...

მფრინავებმა — ტოპონარმა და ეგოროვმა მიწიდან მცირე სიმაღლეზე და ისიც მაყურებლის ტრიბუნის მხარეს მოიწადინეს ეფექტური საჰაერო პირუეტის ჩატარება. წინასწარი საგამოძიებო მონაცემებით, ორადგილიან გამანადგურებლებს ძრავები გაეთიშა, პილოტებმა მისი პიკედან გამოყვანა ველარ შეძლეს და მიწაზე დანარცხებამდე 1 წმ-ით ადრე კატაპულტირება მოახდინეს. უმართავი თვითმფრინავი კი მაყურებელთა რიგში შეიჭრა და საშინელება დაატრიალა.

საგულისხმოა, რომ 1982 წლიდან საბჭოთა სამხედრო ავიაციის შეიარაღებაში გამოჩენილმა Су-27-ებმა პირველი საბრძოლო ნათლობა სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთის ომის დროს მიიღეს და შეიძლება ერთი-ორი ქართული Су-25 მოიერიშეც კი ჰყავთ ჩამოგდებული. ერთ-ერთმა Су-27-მა, რომელსაც პილოტი შიპკო მართავდა, სამუდამო „აეროდრომი“ სოხუმთან ახლოს, ტყეში იპოვა, ოღონდ ამაში მას ქართველი მეზენიტეები არ დახმარებიან.

ლვოვის ტრაგედიამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ აეროშოუების თაოსნებს უდიდესი სიფრთხილე მართებთ. ბოლო დროს უკრაინაში მოხშირებული კატასტროფებით (ორი წლის წინ უკრაინული ბალისტიკური რაკეტა Точка-У გასცდა პოლიგონს და საცხოვრებელი კორპუსი ჩახვრიტა მე-9-დან 1-ელ სართულამდე, ხოლო შარშან უკრაინელი მეზენიტეების გაშვებული შორი მოქმედების საზენიტო რაკეტა С-200-მა შავი ზღვის თავზე რუსეთის სამგზავრო Ту-154М ჩამოაგდო). „შეწუხებულმა“ პრეზიდენტმა კუჩმამ გასცა ბრძანება უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის გადაყენებისა და დაპატიმრების შესახებ. მასთან ერთად დაპატიმრებულია კიდევ ორი მაღალჩინოსანი სამხედრო. უკრაინის თავდაცვის მინისტრმა დაწერა პატაკი გადადგომაზე...

Су-27УБ-ის ორივე პილოტი კატაპულტირების შემდეგ სამხედრო ჰოსპიტალში იშუშებს ჭრილობებს, მაგრამ მათ უთუოდ მოუწევთ პასუხისგება სასამართლოში. ზოგიერთი ვერსიით, გამანადგურებლების ძრავებში ფრინველები მოხვდნენ, რამაც გამოიწვია მათი უეცარი გაჩერება. თუმცა, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ერთდროულად ორივე ძრავაში ჩიტების მოხვედრა საეჭვოა. ამასთან, ბევრს ავიწყდება, რომ Су-27 ერთადერთი საბჭოთა წარმოების გამანადგურებელია, რომლის ორივე რეაქტიული ძრავის ჰაერმიმღები სპეციალური რკინის ცხაურითაა დაცული, რაც გამორიცხავს ფრინველის ძრავაში მოხვედრას. უბრალოდ, ეტყობა, პილოტებმა საჰაერო ტრიუკის შესრულებისას, 22-23-ტონიანი (საბრძოლო დატვირთვის გარეშე იგი ამდენს იწონის) გამანადგურებელი ისეთ პიკეში შეიყვანეს, საიდანაც ძნელი იყო გამოსვლა.

ამ ტრაგედიაზე სარკასტული გადაცემების დამთავრება ვერ მოასწრო რუსეთის ტელევიზიამ, რომ მეორე დღეს უკვე მოსკოვის „შერემეტიევო-2“-ის აეროდრომიდან აფრენილი რუსული ავიალაინერი Ил-86 ჩამოვარდა.

Ил-86-ის 20-წლიანი ექსპლუატაციის განმავლობაში ეს ამ ტიპის ლაინერის პირველი კატასტროფაა (თუმცა, შარშან რუს პილოტებს დაავიწყდათ შასის გამოშვება და ერთი ასეთი ლაინერი, თავის მგზავრებიანად, დუბაის აეროდრომზე ფიუზელაჟით დასვეს).

იგი ყველაზე უსაფრთხო სამგზავრო თვითმფრინავად ითვლებოდა, რადგან სპეციალურად საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელობისთვის იქმნებოდა და მართვის ორგანოების ოთხმაგი რეზერვირება გააჩნდა. დღემდე გამოშვებული 103 ცალი Ил-86-დან ერთი სპეციალურად რუსეთის პრეზიდენტისთვის გადააკეთეს (თუმცა დღეს პრეზიდენტი პუტინი მისი თანამედროვე მოდიფიკაციით — Ил-96-ით დაფრინავს), ხოლო სამი კი, საჰაერო-საკომანდო პუნქტს წარმოადგენს, რომლებსაც ბირთვული ომის დაწყებისას გამოიყენებენ.

საბედნიეროდ, — Ил-ში მხოლოდ 16 ადამიანი იჯდა. ორი სტიუარდესა გადარჩა. ავიაკატასტროფის გამომკვლევმა კომისიამ უკვე დაადგინა ავარიის შესაძლებელი მიზეზი — აფრენის მომენტში ავიალაინერის სტაბილიზატორის ჰორიზონტალური საჭეები 3 გრადუსის ნაცვლად 4-ჯერ უფრო მეტად გადაიხარნენ, რის გამოც ჯერ მრავალტონიანი აერობუსი ცხვირით მკვეთრად აიჭრა ჰაერში, შემდეგ კი დაკარგა წონასწორობა და მიწას 600-მ-იდან დაენარცხა.

როგორც ჩანს, ავიაკატასტროფებისგან სრულიად დაზღვეული არავინაა, მით უმეტეს, ქართული ავიაცია, რომელიც არც ისე თანამედროვე თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ექსპლუატაციას ეწევა.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# მეოცე საუკუნის დასაწყისის უდიდესი ავანტიურისტი და მისი ქართველი ძმადნაფიცი

*მაინც ეგოისტები ვართ ადამიანები, განსაკუთრებით კი ეს ქართველები. ხომ ლიტერატურული გმირია კვაჭი კვაჭანტირაძე, ავანტიურისტი და მამაძაღლი, მაგრამ სულ ვიბოღმებოდი, სულ ეჭვი მაწვალებდა, მგონი ოსტაპ ბენდერი უფრო გაქნილია-მეთქი და ახლა უარეს დღეში ვარ. ვწერ კაცზე, რომელიც ორივეს ერთად გადაწონის და ამასთან, არც ქართველია და არც რუსი. მით უმეტეს, ლიტერატურული პერსონაჟი კი არა, რეალურად არსებული ადამიანია, — ეროვნებით თურქი, ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი. სულთნის სიძე, აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა პირველი კონგრესის მონაწილე, შემდეგში შუა აზიის „გაერთიანებული მუსლიმანური მხედრობის“, ანუ ბასმაჩების მთავარსარდალი, უფრო ადრე კი თურქეთში ძალაუფლების ხელში ჩამგდები ტრიუმვირატის ერთ-ერთი ლიდერი. ოდესღაც ამ სახელგანთქმულ საერთაშორისო ავანტიურისტზე დღემდე დადის ლეგენდები მუსლიმანურ სამყაროში. ამ კაცს ახალგაზრდობაში ენვერ ბეი ერქვა, შემდეგ კი ენვერ ფაშად იქცა და ოც წელზე მეტხანს აზანზარებდა არა მარტო ოსმალეთის იმპერიას. საარქივო მასალებში, რომელთა საფუძველზე შეიქმნა წინამდებარე პუბლიკაცია, არაფერია ნათქვამი ამ კაცის საქართველოსა და ქართველებთან ურთიერთობაზე, თუმცა ჩვენს ოჯახში დღემდე ინახება პროფესორ სიმონ გოზალიშვილის (ამ ადამიანზე უკვე ვწერდით „კვირის პალიტრაში“) მოგონება მის ორ უნიჭიერეს სტუდენტზე, რომელთაგან ერთი ჩვენი მოთხრობის გმირი ენვერ ბეი გახლავთ, მეორე კი მისი ძმადნაფიცი ტიმოთე აბუსერიძე.*

— ბატონებო, წინა შეხვედრისას მე თქვენ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაზე მოგითხრობდით. თუ ჩემმა ნაამბობმა უკმარისობის გრძნობა დაგიტოვათ, შეგიძლიათ შემეკითხოთ, — სათვალე შეისწორა ოცდაოთხი წლის პროფესორმა და აუდიტორიას გახედა, სადაც ბევრი ასაკით მასზე უფროსი სტუდენტიც იჯდა და იმგვარი გულისყურით უსმენდა, მართლაც რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. ლექციას სტამბოლის სულთნის აკადემიის ფრანგული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე სიმონ გოზალიშვილი უძღვებოდა.

**საქართველო ხომ ნახე. რა სამშობლო გაქვს, რომ იცოდე, ტიმო, საუკუნეების მანძილზე გლეჯდნენ ერთმანეთს თურქეთი და სპარსეთი საქართველოსთვის და ამ ბედოვლათმა რუსებმა უომრად ჩაიგდეს ხელში ეს მარგალიტი. არა უშავს, ჩვენ ამ შეცდომას გამოვასწორებთ.**

— ცუდი არ იქნებოდა თუ ერთი ამგვარი რევოლუცია, თანაც უახლოეს წლებში, თურქეთის ისტორიასაც დაამშვენებდა, — ფეხზე ამდგარმა, მთელი აუდიტორიის გასაგონად განაცხადა სულ ახალგაზრდა ენვერ ბეიმ, სულთნის ულამაზეს ასულზე დანიშნულმა და თავისი მაღალი წარმომავლობის გამო ქვეყნის საჭეთმპყრობელი ოჯახის წევრმა.

მეხის გავარდნასავით გაისმა ეს სიტყვები აუდიტორიაში, სადაც სტუდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას ან სულთნის ოჯახის წევრი და მისი უახლოესი ნათესავი, ანდა იერარქიულად მასთან უახლოეს კავშირში მყოფი ოჯახიშვილები წარმოადგენდნენ. აღმოსავლური წესით და კანონით, ამ შემთხვევაში ლექტორს ან გული უნდა გახეთქოდა, ანდა იმ დღესვე დაეტოვებინა იმპერიის საზღვრები, მაგრამ სიმონი მისი ქართული წარმომავლობის გამო მაინცდამაინც არ შეცბუნებულა. ის კი არადა, ისიც იფიქრა, სათქმელი როგორ დამასწროო ამ ახალგაზრდამ.

— ეს რა ჩაიდინე, ენვერ! ამას ხომ დღესვე შეიტყობს სულთანი და შეიძლება რისხვაც დაგატყდეს. არ გეკადრება მისი ერთგული ქვეშევრდომის შვილსა და სულთნის უსაყვარლესი ასულის საქმროს სასიმამროს წინააღმდეგ ამგვარი გამოხდომა — ბრძენი კაცივით, ისე რომ სხვებს არ გაეგონათ, წყნარად გადაულაპარაკა თავის ძმადნაფიცს ტიმოთემ, როცა კიბეზე ეშვებოდნენ ლექციების დამთავრების შემდეგ.

— მეკადრება კი არა, როცა ყველას ბოქლომი ადევს პირზე, ვალდებულიც ვარ, ხმა ავიმაღლო და ქვეყნის გასაგონად ვიყვირო, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, ჩემო ძმაო! რა ქვეყანაა ეს, დღესაც, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, ნახევრად თემური წყობილება გვაქვს. იმ დროს, როცა ქვეყნები და ხალხები სოციალიზმისაკენ მიილტვიან, ჩვენ ნორმალური ფეოდალიზმიც ვერ შეგვიქმნია. ამას ვერ მოვითმენ, გესმის, ტიმო!

— კი, მაგრამ ვინ ხარ შენ, ენვერ? — გაოგნებულმა შეხედა ტიმოთემ, რომელსაც ახლა მართლა აშინებდა მეგობრის აღტყინება და ეს შიშიც მხოლოდ ენვერის მომავლის გამო გაუჩნდა, თორემ თვითონ ტიმოთესთვის ეს ლაჩრული განცდა უცხო იყო.

— მალე ნახავ, ტიმო, ჩემო ძმაო და მეგობარო, მალე, ვინცაა შენი ძმადნაფიცი. შენც იქნები იმ ამბების მოწმე, რასაც სულ მალე დავატრიალებ, — თქვა ენვერმა, ხელი ჩაავლო ტიმოთეს და აია-სოფიას ტაძრის შესასვლელში შერგო თავი.

— აი, ხომ ხედავ, ამ ქრისტიანულ ტაძარში, სადაც ახლა მუსლიმანური მეჩეთია, ჩემმა წინაპრებმა ღვთისმშობლის ფრესკას ხელი არ ახლეს და იცი, რატომ? ღვთისმშობელი ქალია და არ შეიძლება ქალის შეურაცხყოფა. ჩემი მშობელიც ქალია და ყველა დედის მადლს ვფიცავ, აქ, ამ ტაძარში, სადაც შენც კი, გიაური, ყურანზე ლოცულობ, ვიბრძოლებ მუსლიმანობის გამარჯვებისათვის, ჯერჯერობით, აქეთა ნახევარსფეროზე. ან გავიმარჯვებ, ან დავიღუპები, შენ კი ჩემ გამო რომ საქმეები არ აგერიოს, დღესვე მოგიხერხებ სამშობლოში გამგზავრებას, ჩემ გვერდით ცოდვა იქნები, ქართველო!..



— არ ვიქნები მართალი, რომ გითხრა აღფრთოვანებული ვარ შენი გადაწყვეტილებით-მეთქი, მაგრამ ბედის ირონიით მე თურქეთისა და ისლამის გარდა, სხვა არც ქვეყანა ვიცი და არც რელიგია, ოჯახიც ერთი გვაქვს მე და შენ. მამაშენის, იბრაიმ ბეის ოჯახი, შენთან ერთად მეც შვილივით მზრდიდა. არც ძმა მყავს შენ გარდა და შენი დებიც ჩემი დები არიან, ენვერ. თუ გამაგდებ, ძალიან მეწყინება. ნებით კი არსად წავალ. სადაც შენ იქნები, ჩემი ადგილიც იქაა, — უთხრა მტკიცედ ტიმოთემ ძმადნაფიცს და ენვერიც აღარ შეწინააღმდეგებია. ხმა აღარ ამოუღია. ეს კი უეჭველად თანხმობას ნიშნავდა.

ერთი თვის შემდეგ არმიაში ბუნტი დაიწყო. ამბოხებული გარნიზონის სათავეში მეთაურ ნიაზ ბეისთან ერთად, ენვერ ბეისაც მოიხსენიებდნენ. დაიჭირეს, მაგრამ ამბოხებულების კიდევ უფრო გაღიზიანების შეეშინდათ და მალევე გამოუშვეს. იქვე, გარნიზონში დარჩა უმცროს ოფიცრად. აჯანყება ვერ ჩააქრეს. ეს ის წლებია, როცა თურქეთს დაკარგული აქვს ბათუმი, ყარაია, არდაგანი, ბესარაბიის სამხრეთი ნაწილი, სულთანს აუჯანყდნენ ალბანელები, ბერძნები, ბულგარელები, მაკედონიელები. ენვერმა იგრძნო, რომ მისი სიმამრის, იმპერიის საჭეთმპყრობლის ტახტი ირყეოდა. სულთანს შეეშინდა, აჯანყებულებმა სტამბოლს არ შეუტიონო და დანებდა. შერიგების ნიშნად ენვერი ბერლინში, საელჩოში სამხედრო ატაშედ დანიშნა. აქ კი მან კაიზერ ვილჰელმის მეგობრობას გამოჰკრა ხელი. 1911 წელს იტალია-თურქეთის ომის დროს იგი ჩრდილო აფრიკაში, შემდეგ კი ბალკანეთის პირველ ომში იბრძვის. თურქეთი ორივეგან დამარცხდა. ენვერმა იგრძნო, რომ მისი დრო დადგა. 1913 წლის 23 თებერვალს მეწინავე რაზმის ოფიცრებთან ერთად იგი მთავრობის სხდომაზე შეიჭრა და მთელი კაბინეტის გადადგომას მიაღწია. ერთი წლის შემდეგ ის უკვე სამხედრო მინისტრი და მთავრობის ყოვლისშემძლე ლიდერია. ამ დღიდან ტრიუმვირატი, სამი სამხედრო პირი: ენვერი, ტალაატი და ჯამალი მართავენ თურქეთის თვალუწვდენელ იმპერიას. თუმცა ხუთი წლის შემდეგ ახალმა სახელისუფლებო გადატრიალებამ სამივე გერმანიაში გააქცია.

— არ გეგონოს, დიად მომავალზე ოცნებები დაიმსხვრა, ტიმო. მაინც ვიბრძოლებ იმისთვის, რომ ინდოეთი, ეგვიპტე და სუდანი განთავისუფლდეს ბრიტანელებისაგან. ალჟირი, მაროკო და ტუნისი უნდა დავატოვებინოთ ფრანგებს. იავადან გავდევნოთ ჰოლანდიელები და ბოლოს თურქეთის იმპერიას უნდა მივუერთოთ „დიდი ციმბირის“, თურქესტანის, ხივის, ბუხარის, ყირიმის, ყაზანის, ასტრახანისა და კავკასიის მიწები. აი, ეს იქნება ჯერ არნახული იმპერია და შენც, იმ ქვეყნის მმართველი იქნები, რომელსაც კოპწია საქართველო ჰქვია. ფარ-ხმალს არ დავყრი, რადგან შეჩვეული ვარ სამართებლის პირზე სიარულს.

და ენვერი ახალ ავანტიურისტულ გეგმას ამუშავებს — გადაწყვეტილი აქვს სათავეში ჩაუდგეს „აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა“ გამათავისუფლებელ ლაშქრობას, მაგრამ არა ალაჰის, არამედ მსოფლიო რევოლუციის წითელი დროშით. მუსლიმანთა შორის უკვე უდიდესი ავტორიტეტის მქონე ენვერ ფაშა, რომელიც ამავე დროს ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა მისი გავლენისაგან ისლამის გასათავისუფლებლად, მოსკოვის სიმპათიებსაც იმსახურებდა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მან „ვერაგი იმპერიალისტების“ წინააღმდეგ გულანთებულ მებრძოლად გამოაცხადა თავი. 1920 წელს ბაქოს „აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა“ კონგრესზე მაროკოს, ალჟირის, ტუნისის, ტრიპოლის, არაბეთისა და ინდონეზიის არარსებული ორგანიზაციების სახელით გამოვიდა, სადაც ერთი სიტყვაც არ

**აღმოსავლური წესით და კანონით, ამ შემთხვევაში ლექტორს ან გული უნდა გახეთქოდა, ანდა იმ დღესვე დაეტოვებინა იმპერიის საზღვრები, მაგრამ სიმონი მისი ქართული წარმომავლობის გამო მაინცდამაინც არ შეცბუნებულა.**

უთქვამს იმის შესახებ, რომ მისი მმართველობის წლებში მისსავე ამბიციებს მილიონობით ადამიანი შეეწირა თურქეთსა და მის გარეთ. სამაგიეროდ, მკაცრად ამათრახებდა იუდენიჩსა და კოლჩაკს, „დიდ სიმპათიებს“ გამოხატავდა საბჭოებისადმი და არწმუნებდა, რომ მათთან ერთად შეებრძოლებოდა „საერთო მტერს“ — იმპერიალიზმს.

— მაინც არ მენდობიან რუსები, ტიმო, საქმით დაგვიმტკიცეო ნათქვამი. ახლა მე და შენ თურქეთში გადავალთ და იქაურ მმართველს ჯამალ ფაშას შევავიწროებთ, რომ მერე პირისპირ, როგორც თანასწორი თანასწორს, ველაპარაკოთ რუსებს. გამიგე, ტიმო, ჩემო ძმაო და მეგობარო?

— გაგიგე, ენვერ, მაგრამ ბათუმში, საკონსულოში მითხრეს — ჯამალ ფაშამ იმდენი იჩალიჩა ლენინთან, რომ შენს მეგობარ ენვერს ამ გზით თურქეთში არ გაუშვებენო.

— არა უშავს, ტიმო, სულერთია ახლა რუსებთან დაჯახება არ გამოგვადგება. ჯერ კიდევ უნდა გამოვიყენოთ. უარი რომ გვითხრეს, საწყენია. სამაგიეროდ, საქართველო ხომ ნახე. რა სამშობლო გაქვს, რომ იცოდე, ტიმო, საუკუნეების მანძილზე გლეჯდნენ ერთმანეთს თურქეთი და სპარსეთი საქართველოსთვის და ამ ბედოვლათმა რუსებმა უომრად ჩაიგდეს ხელში ეს მარგალიტი. არა უშავს, ჩვენ ამ შეცდომას გამოვასწორებთ. ჯერჯერობით კი ბოლშევიკების დახმარებით კვლავაც ინგლისელებისაგან ინდოეთის გათავისუფლებაზე უნდა ვიფიქროთ, ტიმო ჩემო.

ირანის კომპარტიის ლიდერი ბარაკატულა, რომელიც ენვერს ჯერ კიდევ 1915 წლიდან იცნობდა, წერდა: „ამ კაცის ოცნება ინდოეთი იყო და არა ფერღანა, ბუხარა და თურქესტანი. მისი გენიალური თავისათვის ასეთი რამ ძალიან წვრილმანად გამოიყურება“. ენვერმა კარგად უწყოდა, რომ მისი იდეის განხორციელებისათვის საჭირო იყო მტკიცე პლაცდარმის შექმნა სწორედ აქ, შუა აზიის ამ რეგიონში. მაგრამ ეს არ იყო იოლი საქმე, — ადგილობრივი ხანები უბრძოლველად არ დათმობდნენ თავიანთ ტახტებს. თავდაპირველად, ენვერმა თურქეთიდან მოიწვია სამხედრო სპეციალისტები და პირველ ეტაპზე სამასკაციანი კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი სამხედრო დაჯგუფება შექმნა. მერე ხმა დააგდო — ავღანეთში წავედიო, სინამდვილეში კი თავისი თურქი პოლკოვნიკების ხელით ცდილობდა და ახერხებდა კიდეც ხანების წინააღმდეგ ამხედრებული მოსახლეობის შემოერთებას. მოსკოვში მიხვდნენ, რომ ენვერ ფაშა ბოლშევიკებს საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა და მისი თავიდან მოშორება განიზრახეს, მაგრამ ენვერის ავტორიტეტი მუსლიმანთა შორის იმდენად დიდი იყო, რომ ამას დიდი მღელვარება მოჰყვებოდა. ყოველივე ეს კი მოსკოვისთვის გამოუსწორებელი შედეგებით დამთავრდებოდა და საბჭოეთის სტრატეგიული მოწინააღმდეგის, ბრიტანეთის წისქვილზე დაასხამდა წყალს.

როცა ენვერის პიროვნებას აფასებდა, ბარაკატულამ გამოთქვა ენვერთან შეთანხმების თავისებური ვარიანტი: — მიეცით მას თავისუფლება და შესაძლებლობა ფერღანის მთებში შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო, სადაც თავს მოიყრის თურქესტანის უკმაყოფილო ყველა მუსლიმანი. ამასთან, აქ შეიქმნება ლიტვის ან ესტონეთის ტიპის მცირე სახელმწიფო, რომელიც არ იქნება რუსეთისათვის საშიში და შესაძლებელი გახდება მასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება.

ამასობაში კი ენვერი ისე გაძლიერდა, რომ მოსკოვს თურქესტანისა და ბუხარის საქმეებში ჩაურევლობის ულტიმატუმი წაუყენა. 1922 წლის მარტში მან ალიანსი შექმნა ბუხარის ამირასთან, რომელმაც იგი თავის მოადგილედ და მუსლიმანური შენაერთებისა და აჯანყებულების მეთაურთა წინამძღოლად გამოაცხადა — ამის შემდეგ ყველა რაიონში, რომლებიც ჯერ კიდევ წითლებს არ დაეკავებინათ, აღდგა ბეგების ძალაუფლება. საველე შტაბებმა დაიწყეს სამხედრო სწავლება. გაიხსნა იარაღის სახელოსნოები, აღდგა რეგულარული კავშირები ბუხარის ამირასა და ავღანეთს შორის, საიდანაც იღებდნენ მატერიალურ დახმარებასა და ცოცხალ ძალას. განახლდა ბასმაჩებთან კავშირი ფერღანაში. „ენვერის განკარგულებაში ათი ათასი მებრძოლი და თექვსმეტი ტყვიამფრქვევია. ყოველდღე ძლიერდება და აუცილებელია აღიკვეთოს ეს ავანტიურა, რადგან უახლოეს ხანში მას შეუძლია მიიღოს ძალზე სერიოზული ხასიათი, აქედან გამომდინარე შედეგებით“, — ატყობინებდა მოსკოვს დუშამბეს კონსულის მოადგილე ნასირბაევი.

1922 წლის გაზაფხულის დამდეგს ენვერი იმდენად გაძლიერდა, რომ გახდა არა მარტო ბუხარის აჯანყებულთა (ამჯერად უკვე ბოლშევიკების წინააღმდეგ) სარდალი, არამედ თურქესტანის პანისლამისტური ორგანიზაციის იდეური ხელმძღვანელიც. „იგი მამაცია, პირადად მონაწილეობს შეიარაღებულ შეტაკებებში. მისი შენაერთები 25 ათას რეგულარულ მებრძოლსა და 116 ბანდას ითვლის, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ გადასახადების ამკრეფებს, მილიციელებსა და საბჭოების ნებისმიერ წარმომადგენელს, რომლებიც ბეგების ინსტიტუტის წინააღმდეგ გამოდიან,“ — იტყობინებოდა დაზვერვა.

მოსკოვმა გადამჭრელი ზომების მიღება გადაწყვიტა. იგი ავღანეთთან, რომელიც ფარულად ხელს უწყობდა ენვერს, დიპლომატიური ურთიერთობების გამწვავებაზეც დათანხმდა, თუმცა ამის საჭიროება მალე აღარ იყო. იმავე, 1922 წლის 4 აგვისტოს წითლების კავალერიასთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ენვერ ფაშა დაიღუპა. მასთან ერთად დაეცა მისი ძმადნაფიცი ტიმოთე აბუსერიძეც. არავინ იცის, ეს მერამდენე ქართველი დაიღუპა სხვის ომში, სხვის მიწაზე.

ასე დასრულდა მეოცე საუკუნის დამდეგის ერთ-ერთი დიდი ავანტიურისტის სიცოცხლე, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელისა და ნაპოლეონ ბონაპარტეს მსგავსად, განზრახული ჰქონდა გამხდარიყო მსოფლიოს საჭეთმპყრობელი.

***ვაჟა გავაშელი***


**პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი და კოლეჯი**

✓ მათთვის, ვისაც გსურთ დაეუფლოთ მომავლის პროფესიას!
✓ საბოლოოდ გადაჭრათ ნებისმიერ ქვეყანაში თქვენი დასაქმების პრობლემა!
✓ და საერთოდ, იყოთ ყველგან სასურველი და საჭირო პიროვნება!

**გადადგით გონივრული ნაბიჯი — ეზიარეთ XXI საუკუნის ყველაზე პოპულარულ პროფესიებს:**

**1. პროგრამირება; 2. ბიზნეს-ინფორმაციის მართვის სისტემები; 3. უცხო ენები.**

**ინსტიტუტთან არსებული კურსები:**

• *პროგრამირების შემსწავლელი* 10 თვიანი ინტენსიური სწავლებით; წამყვანი პროგრამისტები შეგასწავლიან – Visual Basic, Delphi; C; C++; SQL; Java; JavaScript; Web-დიზაინი;
• *ინგლისური ენის შემსწავლელი* ინტენსიური კურსი. *ოქსფორდის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით* (6 თვე).
• მიიღებიან მსმენელები *საოფისე, დამკაბადონებლის, დიზაინერის და აწყობა-მოდერნიზაციის სპეციალობებზე.*

საბუთების მიღება მისამართზე: თავისუფლების მოედანი №7, ცეკავშირის შენობა, V სართული, №544. ტელეფონი: 999911, (756073)
E-mail: kiber@www.com

# რა ღირს დღეს ქურდად „კურთხევა“?

მეგობრის ოჯახში ერთი საკმაოდ საინტერესო პიროვნება გამაცნეს. როცა მას ჩემი თავი პროფესიის თანხლებით წარუდგინეს, ცოტა კი შეიშმუშნა და მერე საკმაოდ არაბუნებრივად წამოიძახა, — ოჰ, როგორ მიყვარს ჟურნალისტებიო! ხოლო როდესაც მე შევიტყვე „ჟურნალისტებზე შეყვარებული“ ჩემი ახალნაცნობის პროფესიის შესახებ, სრულიად ბუნებრივად ვუთხარი: — ოჰ, ბატონო საიდუმლო სამსახურის თანამშრომელო, ჟურნალისტები ასეთ რესპონდენტებს სანთლით დავეძებთ-მეთქი. გამოგიტყდებით, საკმაოდ დიდი ხვეწნა-მუდარა გახდა საჭირო იმისათვის, რომ ეს ჩინიანი სახელმწიფო მოხელე ინტერვიუზე დამეყოლიებინა. ბოლოს შევთანხმდით — მე არ დავასახელებდი მის ვინაობას, ხოლო ის აბსოლუტურად ყველაფერს(!) მიამბობდა „კანონიერ ქურდებსა“, და, საერთოდ, ქურდულ სამყაროზე. ჩემი რესპონდენტი სწორედ იმ ოფიციალური საიდუმლო სამსახურის თანამშრომელი აღმოჩნდა, რომელსაც ამ „ხელობის“ ხალხთან მჭიდრო და ხშირად „მეგობრული“ ურთიერთობებიც კი აკავშირებს.

**— ჟურნალისტები რატომ არ გიყვართ?**

— არა, როგორ გეკადრებათ... არ მიყვარს-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი... უბრალოდ, იყო რაღაც ინციდენტი, მე და ერთმა ჟურნალისტმა ერთმანეთს ვერ გავუგეთ და... იმედია, ამჯერად ჟურნალისტებისა და ჩემს ურთიერთობაზე არ ვისაუბრებთ.

**— არა, რა თქმა უნდა... ქურდულ სამყაროსთან თუ გამონახეთ საერთო ენა?**

— (იცინის) კი, კი... ჟურნალისტებზე უკეთ... საერთოდ, ჩვენთან ცოტა გაზვიადებულია ქურდულ სამყაროსთან დამოკიდებულება. არადა, ნებისმიერ სახელმწიფოს, განვითარებული იქნება ის თუ განუვითარებელი, ჰაერივით სჭირდება საიდუმლო სამსახურები. შესაბამისად, ამ საიდუმლო სამსახურებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თუნდაც იმავე „კანონიერ ქურდებთან“ ურთიერთობა და თანამშრომლობა. ამის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია, სამართალდამცავებმა ქვეყანაში თუნდაც სრულიად უმნიშვნელო დანაშაულებრივი ფაქტები გახსნან. თუმცა, ასეთ თანამშრომლებს ყველგან სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევათ. მაგალითად, იმ კატეგორიის ადამიანები, რომლებსაც საქართველოში „ნასედკებს“ უწოდებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურად აღიარებული აგენტები არიან და, ჩვეულებრივ, ხელფასს იღებენ... 86 წლის ბებია მყავს, მაგარი ხუმარა ვინმეა. ამ ე.წ. „რამკიან ქურდებს“ ეროვნულ-პატრიოტული თარგმანი გამოუძებნა და „ჩარჩოიანები“ დაარქვა. შინ რომ მივალ, არ არსებობს, არ მკითხოს — ბებია, რაფერ არიან ის შენი „ჩარჩოიანები“, რავა, ჯერ არ გაწყვეტილანო? — ისეთი პროფესია მაქვს, ქურდული გარჩევა ერთი-ორჯერ პირდაპირ ჩემს ბინაში მოეწყო, და ბებიაჩემი ლამის ჭკუიდან გადაიყვანეს.

**— ამბობენ, რომ ეს ე.წ. „ჩარჩოიანები“ ყველა საქმოსნის ბიზნესის წილში არიან.**

— მთლად ასეც არ არის. რამდენიმე წლის წინ „კანონიერმა ქურდებმა“ გადაწყვიტეს, რომ ნუგზარ შევარდნაძისათვისაც „დაეწერათ“ ფული და შეუთვალეს, ამ საქმიდან ამდენი და ამდენი ჩვენიაო. შევარდნაძემ, — ბებიათქვენისა, ვინმეში ხომ არ გეშლებით, კაპიკსაც ვერ მიიღებთო. ისევ შეუთვალეს, წილი მოგვეცი, თორემ ამას გიზამთ, იმას გიზამთო. ბატონმა ნუგზარმა თავის მხრივ შემოუთვალა — არაფერსაც არ გაძლევთ და მიდით, აბა, მაინტერესებს, რა ბიჭები ხართ, რა უნდა მიქნათო. ბოლოს რა თქმა უნდა, ვერაფერი უქნეს და თავი გაანებეს. ასეა, თუ დაგიბრიყვეს, შეგაწერენ, თუ მაგრად დაუდექი — ვერაფერს დაგაკლებენ.

**— ნუგზარ შევარდნაძეს პრეზიდენტი ბიძის სახელიც იცავდა...**

— არა, ეგ არაფერ შუაშია. ქურდებს ბევრი ხელისუფალიც გამოუჭერიათ. დღეს, მოგეხსენებათ, თითქმის ყველა სახელმწიფო მოხელეს რაღაც ბიზნესი აქვს. მათგან 99%-ის მეწილეები ქურდები არიან. უფრო მეტს გეტყვით, ბევრმა საჯარო მოსამსახურემ თავისი ბიზნესი პირდაპირ „კანონიერ ქურდს“ ჩააბარა, მე ვიცი, თბილისში შენდება რამდენიმე სასტუმრო, ბენზინგასამართი სადგური, რესტორანი, რომელთა ე.წ. მეპატრონეებად „კანონიერი ქურდები“ ითვლებიან. მათ უკან კი, უმრავლეს შემთხვევაში, სახელისუფლო შტოს წარმომადგენლები დგანან. საერთოდ, ქურდულ სამყაროში უფლება-მოვალეობების ფაქტორი მკაცრად კონტროლდება. ეს ურთიერთობებიც, ცხადია, გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს მოიცავს.

**— კერძოდ?**

— კანონიერი ქურდი გაწერს ფულს, მაგრამ, სამაგიეროდ, გიცავს გარე უსიამოვნო ფაქტორებისგან, კრიმინალისგან, რეკეტისგან და ა.შ. გარდა ამისა, „ზონის“ გარეთ მყოფ „ჩარჩოიანებს“ „ზონის“ უხუცესი ქურდების წინაშე გარკვეული ვალდებულებები აკისრიათ. თუ გარეთ რამე შეეშალათ, ძვირად დაუჯდებათ.

**— კონკრეტულად, რა არ უნდა შეეშალოთ?**

— მაგალითად, მახსოვს ერთი შემთხვევა, — თბილისიდან სამსახურებრივ მივლინებაში წასულ ერთ-ერთ ქალბატონს, რომელიც ხაშურში ქირით ცხოვრობდა, ბინა გაუძარცვეს. დაზარალებულს ერთ-ერთ კოლონიაში აღმოაჩნდა ახლობელი, რომელმაც დახმარება „ზონაში“ მყოფ „კანონიერ ქურდს“ სთხოვა. იმ ქურდმა სასწრაფოდ დარეკა ხაშურის „კანონიერ ქურდებთან“ და ნაქურდალის დაბრუნება დაავალა. ამ ხაშურელმა ქურდებმა მძარცველებს კი მიაგნეს, მაგრამ, იმის მაგივრად, რომ პატრონისთვის დაებრუნებინათ, ცდუნებას ვერ გაუძლეს და ნაქურდალის წილში ჩაუსხდნენ. ეს საქმე გასკდა და, ვინაიდან ხაშურელებს იქ აღარ დაედგომებოდათ, საქართველოდან აიბარგნენ და რუსეთში გადაიხვეწნენ.

**— რატომ, აქ შეიძლება მოეკლათ?**

— არც ეგ არის გამორიცხული. ქურდებში ქურდული კანონები მოქმედებს და ვინც ამ კანონს დაარღვევს, თავიანთი რიგებიდან ამოძირკვავენ. ის „კანონიერი ქურდები“ ოდესღაც კიდევ მოხვდებოდნენ ციხეში და მათ მთელი ციხე გადაუხდიდა სამაგიეროს. ასეთებს, როგორც წესი, „ქათმების“ საკანში უშვებენ ხოლმე. ამიტომ, თუ რამე შეგეშალა, ან ასეთ ხვედრს უნდა შეეგუო, ან პოლიციას უნდა დაუმეგობრდე, ან კიდევ იქაურობას გაეცალო, თუმცა სადაც არ უნდა წახვიდე, ქურდებში სახელგატეხილი ხარ და თუ ამოგიცნეს, სამაგიეროს ყველგან გადაგიხდიან.

**— პოლიციასთან დამეგობრებაში რა იგულისხმება?**

— საერთოდ, ქურდი თავისი ნებით ამ საქმიანობას ვერ მიატოვებს, ამას ქურდული კანონი არ ითვალისწინებს. ამიტომ მათ სხვა გზა არ რჩებათ — როცა ქურდობა ყელში ამოუვათ, ჩვენთან უნდა ითანამშრომლონ.

**— ანუ ე.წ. „ნასედკები“ უნდა გახდნენ?**

— როგორ გითხრათ, ზოგი „ნასედკას“ უწოდებს, ზოგი — აგენტს... დაახლოებით ასეა.

**— ბევრი „კანონიერი ქურდი“ დამეგობრებია პოლიციას?**

— დიახ, საკმაოდ. ერთ შემთხვევას გიამბობთ: 90-იან წლებში ჭიათურაში ორი ბიჭი ავიყვანეთ. საკმაოდ მძიმე ბრალდებები ჰქონდათ — ბინის გაქურდვა, ადამიანის გატაცება, ფულის გამოძალვა, იარაღის და ნარკოტიკების შენახვა და ა.შ. ერთს 9 წელი მიუსაჯეს, მეორეს — 10. ერთ-ერთი საკმაოდ „ყოჩაღი“ გამოდგა. 5 წელიწადში ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ ზონაში „ქურდად“ აკურთხეს. (საერთოდ „ქურდად“ კურთხევა უნდა „დაიმსახურო“. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარსულს. თუ პოლიციაში ჩვენება გაქვს დაწერილი ან ვინმე „ჩაგიშვია“ „ქურდობას“ სამუდამოდ უნდა გამოემშვიდობო. როგორც ჩანს, იმ ბიჭს ყველაფერი რიგზე ჰქონდა). რამდენიმე ხანში ციხიდან შეწყალებით გამოვიდა და დაქორწინდა, შვილები ეყოლა. ეტყობა, ცოლად „მაგარი“ ქალი შეხვდა. ერთ მშვენიერ დღეს საკითხი დაუსვა — ან ოჯახი, ან ის შენი კრიმინალებიო. ბოლოს, რაღაც საქმეზე ჩავარდა და იძულებული გახდა, ჩვენთან თანამშრომლობის „ხელშეკრულება“ გაეფორმებინა. აი, ხანდახან ასეთებიც ხდება ხოლმე.

**— დღესაც თქვენთან თანამშრომლობს?**

— დიახ, საკმაოდ ნებისყოფიანი თანამშრომელია და ოპერატიულ სამსახურს ძალიან დიდ დახმარებას უწევს.

**— რამდენს უხდით?**

— თუ დამიჯერებთ, არაფერს.

**— ძნელი დასაჯერებელია.**

— შეიძლება, მაგრამ ასეა. ჩვენთან, სამწუხაროდ, ისინი ოფიციალურ თანამშრომლებად არ ითვლებიან და, შესაბამისად, არც გასამრჯელო ეძლევათ... კარგი ახლა, ყველაფრის თქმის უფლება არ მაქვს. დეტალების გაშიფრვას ნუ მომთხოვთ. საერთოდ, იცით, როგორ შეიქმნა „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტი? — დიდი სამამულო ომის დროს, უფრო კი ომის შემდგომ პერიოდში ციხეებში დისციპლინის დამყარება იყო საჭირო. სწორედ ამ მიზნით შეარჩიეს პატიმრები, რომლებსაც პრივილეგიები და უფლებები უბოძეს და დაავალეს, საკნებში წესრიგი დაემყარებინათ. მერე იმ „აბორიგენმა“ ქურდებმა „შვეს“ სხვა ქურდები, იმათ კიდევ — სხვები და ა.შ. დღეს rasაც ქურდები აკეთებენ, ხშირად უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ჟურნალისტი კი ხართ, მაგრამ ერთ ამბავს გიამბობთ: ერთხელ ერთ-ერთ ჟურნალისტ გოგონაზე, რომელიც ძალზე საშიშ მასალებს აქვეყნებდა, თვალთვალი დაგვევალა. აშკარა იყო, ვიღაცის დაკვეთას ასრულებდა. უნდა გაგვეგო, ვისთვის მუშაობდა და ვისგან იღებდა ინფორმაციებს. სხვადასხვა გზა მოვსინჯეთ. ჟურნალისტი საკმაოდ ეშმაკი გამოდგა, ვერსაიდან მივუდექით. ბოლოს საქმეში ერთი პატიმარი ქურდი ჩავრიეთ და შედეგიც მივიღეთ. ეს პატიმარი ძალიან დაგვეხმარა.

**— რა გააკეთა ისეთი, რომ ასეთი სამსახური გაგიწიათ?**

— ერთ-ერთი კოლონიიდან ჟურნალისტის მობილურ ტელეფონზე დავარეკინეთ ახალგაზრდა პატიმარს — ვითომ შემთხვევით. მერე კიდევ დაურეკა... ერთი სიტყვით, ბიჭმა დიდი ნდობა მოიპოვა, რის შედეგადაც ჩვენი პატიმარი გოგონას ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა — იცოდა, როდის სად მიდიოდა, როდის რა მასალას ამზადებდა, რა სანაცნობო წრე ჰყავდა ა.შ. ასე რომ, გოგონა წამოეგო და ჩვენც კარგად ავკრიფეთ ინფორმაციები.

**— ისე, ინფორმაციის მოსაპოვებლად ეს მაინცდამაინც კარგი მეთოდი არ გახლავთ.**

— თქვენ ჟურნალისტი ხართ და, ბუნებრივია, თქვენს კოლეგას დაიცავთ, მაგრამ ხანდახან ჟურნალისტების საქმიანობა მართლაც მოითხოვს კონტროლს. მასმედიის მეშვეობით ხშირად დიდი პოლიტიკა „კეთდება“. უფრო სწორად, ხან კეთდება, ხან — ფუჭდება. ამიტომაც ყოველთვის ფხიზლად უნდა ვიყოთ.

**— მოდით, ისევ „კანონიერ ქურდებს“ მივუბრუნდეთ. როგორც ვიცი, საქართველოში ამ ინსტიტუტს სპეციალური სამსახური ებრძვის. გამოდის, რომ ხელისუფლება თან მათ ებრძვის, თან ხელს უწყობს?**

— როგორ გითხრათ, დღეს „კანონიერი ქურდობა“ მოდად გადაიქცა. მაგალითად, გვაქვს ფაქტები, რომ რუსთავში, ქუთაისში, კახეთში კონკრეტული პიროვნებები ფულს იხდიან იმაში, რომ ქურდად აკურთხონ. ამ „ძალად ქურდებს“ ჩვენთვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ, პირიქით. ისინი, უბრალოდ „ყოჩობენ“ და გარკვეულ წრეებში ამით თავი მოაქვთ.

**— მაინც რა ღირს ქურდად „კურთხევა“?**

— 1000-დან 1500 დოლარამდე, ზოგან ნაკლებიც. გააჩნია, ვინ რამდენის გადამხდელია, მაგრამ აქ თანხაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ იმაზე, რომ „კანონიერი ქურდობის“ ტრადიცია „გაფუჭდა“. ადრე ქურდები „სველ“ საქმეებზე მაინცდამაინც არ მიდიოდნენ, ახლა ამას აღარ უყურებენ — ძალიან ბევრს მკვლელობაში აქვს ხელი გასვრილი. ამას, ცხადია ვებრძვით და თანაც სასტიკად.

**— რატომ არ შეიძლება, რომ „კანონიერი ქურდი“ ქალი იყოს?**

— იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ქურდული კანონების მიხედვით არ შეიძლება, ქურდი, ბოდიში და „ნახმარი“ იყოს და მეორე, ქალების დამორჩილება რაღაც კანონების მიმართ გაცილებით რთულია. მდედრი არაპროგნოზირებადი სქესია, ამიტომაც ხელისუფლებამაც და ქურდულმა სამყარომაც თავიდანვე არასანდოდ მიიჩნია. ასე რომ, ქალებს ეს „პატივი და ღირსება“ სამწუხაროდ, არ ერგოთ.

**— აბა, ქალთა კოლონიებში ვინ ამყარებს შინაწესრიგს?**

— ცხადია, იქაც არიან „მამალი“ ქალები, რომლებსაც რჩევებს ეკითხებიან და სადავო საქმეებს აგვარებინებენ, მაგრამ მათ „კანონიერი“ უფლებები მაინც არ აქვთ. ისე, ქალები ამ მხრივ უფრო მოწესრიგებულები არიან და ზედამხედველებს ნაკლებ პრობლემებს უქმნიან.

**— რაც შეეხება „ნასედკებს“, როგორც ვიცი, მიხეილ სააკაშვილის მინისტრობის დროს სასჯელაღსრულებით სისტემაში მათი გამოყენება აიკრძალა...**

— დიახ, ამ მხრივ დღეს საკმაოდ დიდი შეზღუდვებია, რაც, სიმართლე გითხრათ, მუშაობაში ძალიან გვიშლის ხელს.

**— თუმცა, ამბობენ, რომ თქვენსას მაინც არ იშლით.**

— უბრალოდ, ამის გარეშე საიდუმლო სამსახურების მუშაობა წარმოუდგენელია. დამერწმუნეთ, ვერც მიშა სააკაშვილი, ვერც როლანდ გილიგაშვილი და ვერც შს სამინისტრო აგენტურის გარეშე ვერაფერს გააკეთებდნენ. ეს, ფაქტობრივად, ხელ-ფეხის შებოჭვას ნიშნავს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი უმძიმესი დანაშაული გაგვიხსნია მათი დახმარებით. თუმცა ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. ეს ძალზე საფრთხილო სფეროა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა „გადაამლაშო“, თორემ... ჟურნალისტებს ყველაფერი თუ გითხარით, თავი „ყულფში“ მექნება გასაყოფი.

**— ეი. ეს ყველაფერი არ არის?**

— (იცინის) უფრო სწორად, ეს ის „ყველაფერია“, რაც თქვენ დაგაინტერესებდათ, დანარჩენი, უბრალოდ, მოსაწყენი წვრილმანებია და მეტი არაფერი!

***ხათუნა ყვირალაშვილი***



## „ჩარჩოიანებმა“ ნუგზარ შევარდნაძისთვის ფულის „დაწერა“ გადაწყვიტეს...

ქურდებს ბევრი ხელისუფალი გამოუჭერიათ. დღეს, მოგეხსენებათ, თითქმის ყველა სახელმწიფო მოხელეს რაღაც ბიზნესი აქვს. მათგან 99%-ის მეწილეები ქურდები არიან. უფრო მეტს გეტყვით, ბევრმა საჯარო მოსამსახურემ თავისი ბიზნესი პირდაპირ „კანონიერ ქურდს“ ჩააბარა...



საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა, 4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ისტორია და რელიგიის ისტორია,
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
11. ფიზიკა და მათემატიკა, 12. ქიმია და ბიოლოგია,
13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

„დაბერებულა პირიმზე,
კუზი ეტყობა წელზედა,
ოცნება ტანჯული ქვეყნის —
ქვითინებს მთისა წვერზედა“.

*ვაჟა*

# სად წასულხართ, ბაჩლელებო?!

## (ექო წარსულიდან)

კარგა ხანია გზაც გათავდა და ნაგზაურიც. უზარმაზარი მანქანა მაინც ქშენითა და გრიალით მიარღვევს ოღროჩოღროებს. ხან წყალთხელში გადის, ხან მორევს მიაპობს. იფშვნება დამბალი კლდისპირი და ბორბლებქვეშ ქვა-ღორღში იგლისება. მაღალი კაბინიდან გადმოვყურებ პირჩაშავებული მთების ფეხქვეშ გართხმულ არჯაკელისა და ბუერების კორომებს, ნიაღვრისაგან გამორეცხილ, აჩონჩხილ ფესვებს, აღერებულ გვიმრებსა და ხეთა ტანზე შემოტმასნილ ღვიის ფოთლებს. კაბინის თავზე მუხისა და წიფლის ტოტებს ლაწალუწი გაუდის. დამფრთხალი ფრინველები ცის სიღრმეში უჩინარდებიან. მანქანა შეუბრალებლად ქელავს მარწყვისა და ღიღილოების ნორჩ ღეროებს და მათ ადგილას საბურავების ნაკვალევს ტოვებს. სიცოცხლე ქრება. ტალახში ინთქმება სილამაზე რკინისა და რეზინის სიმძიმით და თითქოს გულზე გადამიარეს... მაინც ვზივარ და გადმოვყურებ არემარეს. მეჩვენება, რომ ის სახლი მიდის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. გემი მიცურავს ხმელეთზე და ირგვლივ ყველაფერს მუსრავს. მიდის და მეც მიმაქანებს რაღაც ძლიერი, ურომლისოდაც ვერ მივაღწევ ამ ყვავილებივით გათელილ მკვდარ სოფელს, სოფელს, რომელიც სამოცი წლის წინ გარდაიცვალა! მაინც რა მინდა იმ სიჩუმეში, ნანგრევებში, ნასახლარებში უმასპინძლოდ, დაუპატიჟებლად! იქ ხომ დიდი ხანია არავინ არავის ელის: იქაურები ან ამოწყდნენ ან სადღაც გადასახლდნენ. სოფელი ჯერ დაიცალა, მერე დაინგრა, გაცამტვერდა. ამ სოფელს ბაჩალი ჰქვია. ვაჟას ლამაზმა ფანტაზიამ უკვდავება დაანათლა და საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. გასული საუკუნის ნახევრამდე „აქ სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფდა“, — წერდა ცნობილი ეთნოგრაფი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. არქივებს შემორჩენილი გაცრეცილი ფურცლებიც გვამცნობს, რომ ოცდაცხრამეტში ამ სოფლიდან ჯარში გაუწვევიათ ხუთი ნაკვეთაური, სამი გოდერძიშვილი, ორი ახალაური, თითო-თითო ბალღიაშვილი, მამიარაშვილი, ლომიაშვილი, ჩაჩაური... ორმოცდაერთში ომში წასულა 3 ძმა ხუცურაული, მამა-შვილი ფხიკლეშვილები, ტურაშვილი, ბეწინაშვილი, როსტიშვილი, ტყუპი ძმები გაბიდაურები, მჭედელი ვაჟიკაშვილი, მასწავლებელი — არაბული, მოლექსე — ხორნაული, ერწოში გადასახლებულან ბეწუკლიშვილები... და არა მარტო აქედან: ასე წასულ-წამოსულან ქვიშხებიდან, ყაფრიდან, ხატხეორიდან, ხილიანიდან, ჯაბლევიდან, აონიდან, ბაფხისხევიდან, ყვარიიდან, კორსავიდან, საშუბიდან, კვირიისხევიდან, ჯღანაურიდან და სხვა სოფლებიდან „გუდის ფშავლები“. დადუმდა არე, შეწყდა ივრის ხეობის სათავეებში მიმოფანტული ოჯახებიდან ერბო-კარაქის, ყველის, თაფლისა და სხვა პროდუქტების ჩამოზიდვა. იქიდან აღარც ფერდებამოვსებულ ნახირს მოერეკება ვინმე და აღარც ჩასუქებულ ცხვარ-ბატკანს. გამოიკეტა მთის სოფლების კარი. მათ წიაღში შობილი წეს-ჩვეულებები მითოსად იქცა. აქაური „კაი ყმების“ მაგალითები ხალხურ თქმულებებს შემორჩა, დასახლებული სოფლების სახელები კი — მთებს და საძოვრებს.

მაინც იქით მიმიწევს გული, ის ატყვევებული ნასოფლარები ჩემი მიწის, ჩემი ხორცის, ჩემი მოდგმის ნაწილია — მიტოვებული და მკვნესარე. ვიცი, ერთი წუთით ახმიანება მალამოდ დაედება, ერთი მსუბუქი ნაბიჯი შეაზანზარებს, სიამის ჟრუანტელს დაუვლის. იმიტომ მივდივარ იქ უგზო-უკვლოდ, უმასპინძლოდ, უმისამართოდ... ირგვლივ ყველაფერს ისევ შეუბღალავი, პირველყოფილი სიდიადის ნიშანი აზის. ეს ჩვენი მძღოლიც თითქოს ფანტასტიკური ქვეყნიდან მოსულა: ახოვანი, არქაული პროფილით, ხარივით გამწევი, ღონივრად ჩასჭიდებია საჭეს და მთელი გზა ხორხოცებს, ხან ვის გადაწვდება და ხან ვის. გვერდით ცოლი უზის — პირხმელი, მზემოკიდებული ქალი. ქმარს აყოლილი ისიც გულიანად იცინის, ჩემს გამხიარულებას ცდილობს. გზადაგზა მიხსნის, როგორ მოამრავლა ორიდან ოცდაჩვიდმეტი სკა ფუტკარი. ორჯერ სულ გაუწყდა, მაგრამ ისევ მოაშენა. ახლა იალაღზე ჰყავთ და იქ მიდიან. გავცდით ქვაღორღიან სავალს. გავივაკეთ. მთებს შემოუფარგლავს ცის კონტურები. ფერდობზე პირუტყვი შეფენილა, რიყის ნაპირზე მოწნულ ქოხთან ვიღაცები ფუსფუსებენ.

— ესეც ბაჩალი, — ამბობს მძღოლი, კაბინიდან თავს გამოყოფს და გაღმა-გამოღმა გასძახის: — ეჰე, ჰეჰე!!! — გამოდით, ქალებო, სტუმარი მოგიყვანეთ! მერე მანქანას გაბარჯღული პანტის ქვეშ ამუხრუჭებს. აქ ხის გრძელი მაგიდა და სკამებია გამართული. ქოხის წინ ქალს მზეზე გამთბარი წყლით სავსე სათლი კუნძზე შემოუდგამს და თავს იბანს. მე და შოფრის ცოლი დაუპატიჟებლად შევდივართ ეზოში. ხარიხებით შემორაგვული ღობის მარგილებზე გაპრიალებული ქვაბებია თავდაყირა ჩამოცმული. გვერდით პატარა ბოსტანია. ახლად გადარგულ პამიდვრის ნერგებს ბუერის ფოთლები აფარია. პალოზე მიბმული კრუხი და დედა ინდაური ცალ-ცალკე კრიახობენ და ჭუკ-წიწილას უხმობენ.

— გამოიხედე, ნინავ, ფქვილი ამოგიტანეთ, — ეძახის მასპინძელს შოფრის ცოლი.

— მოდი, ქალო, რა შორიდან იძახი. უი, მომიკვდეს თავი, სტუმარიც გვყოლია, — გვეგებება მასპინძელი. ჯერ შეუმშრალი თმებიდან მარგალიტებივით სცვივა წვეთები — თითქოს მიწა გაიხსნა და პირველი ქანდაკი ამოიზიდა ღვთაების ხელით, აქაური თიხისაგან გამოძერწილი. მახსენდება ვაჟა: „ქალი ჰგავს სამოთხის ყვავილს“... შოფერმა ზურგზე მოგდებული ფქვილის ტომარა ქოხში



შეიტანა და კუთხეში მიჭუჭკა, მერე პირუტყვის სალოკად ამოტანილი მარილის გადმოცლა დაიწყო. მასპინძელმა გრძელ სკამთან მოკალათებულ ნაგაზს დაუცაცხანა და ჩრდილში მიგვიპატიჟა.

— მაგ შენ ქმარს უთხარი ე ძაღლი დამაშოროს, ვინ დაავალა მომგვარეო.

— რას ამბობ, ნინავ, ხო მგლებმა დაგჭამათ, — გულიანად იცინის შოფერი.

— მგლებმა არა, ტურებმა — მე ძაღლი არ მჭირდება, რწყილებით აავსო აქაურობა.

— „ვისაც თევზი უნდაო“, — არ ამთავრებს სათქმელს შოფერი.

— ბიჭი სადღაა? — კითხულობს ჩემი თანამგზავრი მეფუტკრე ქალი.

— რა ვი, სოკოზე მივალო და დაიკარგა მთელი დღე. ამასობაში აყაყანდა „სოფელი“. გაღმიდან წვერგაუპარსავი კაცები გადმოვიდნენ, იმათ სიცხე-პაპანაქებისგან გარუჯული დედაკაცები და თმახუჭუჭა ბალღაუჭები მოჰყვნენ. შოფერმა სათითაოდ ჩამოურიგა შინიდან გამოტანებული სავსე ჩანთები, ზოგს დანაბარები გადასცა. თან გააფრთხილა, თუ რამე გაქვთ წასაღები, გაამზადეთ, მზის ჩასვლისას ამოვალო და თავისი საფუტკრისკენ აიღო გეზი. დავრჩი ბაჩლელ „მდგმურებს“ შორის. ამათგან არც ერთი არ არის აქაური. ზაფხულობით ამოდიან და არემარეს აცოცხლებენ, სოფელს ისე შერწყმიან, როგორც ნამდვილი ჭირისუფლები. იმის ხატს ლოცულობენ, ბედნიერ დღეებში საკლავს უკლავენ, საფლავებზე ქადა-სანთლით ადიან. არც მასპინძლობაში უდებენ ტოლს არავის. დატრიალდნენ ქალები, ჩაზილეს სახინკლე ცომი, ფურნიდან ცხელ-ცხელი პურები ამოყარეს და უცბად გაიშალა სუფრა. ითქვა ამ მთისა, იმ ბარისა, ჯვარ-ხატებისა, წინაპრებისა... არც ლელა და კვირია დავიწყებიათ. მე ცოტა შევჭოჭმანდი. ჩემს პირდაპირ პატარა ბიჭი იჯდა. რაღაცას მიმიხვდა და სრულიად სერიოზულად მკითხა: — ბაჩალში არ წამოხვალთ?

— ახლა სად ვართ? — გავიკვირვე.

— ეს სოფლის გასადევარია. თავად ბაჩალი აგერ აქედან ორ-სამ კილომეტრზე იქნება — ხელმარჯვნივ.

მოპირდაპირე მთის კალთებზე სასაფლაო ჰქონიათ. მაშინვე წამოვდექი. მასპინძლებს მოვუბოდიშე, ბიჭს ხელი ჩავკიდე და რიყეზე მოლივლივე ნაკადულს ორივე ფეხშიშველები ავუყევით. ბიჭს ზურაბი ჰქვია. მეშვიდეში გადასულა და ზაფხულს აქ, დედასთან ატარებს. ნადირობს, სოკოს აგროვებს და მამას პირუტყვის მოვლაში ეშველება. ეს ისე, ვითომ არაფერი.. მალე ამ პატარა არსებაში ის ყლორტი შევიცან, ვაჟას ხმელი წიფელი რომ დაჰფოფინებდა და შეჰხაროდა. ზურაბმა მეურნე კაცის კვალობაზე კარგად იცის თითო გოჯი მიწის ყადრი, საძოვრების გამოსავლიანობა, თიბვაც ეხერხება და პატარ-პატარა ბულულების დადგმაც. შვინდს ტოტს არ შეაჭრის, ტყისპირებში პანტის ხეებს ფითრს წალდით აშორებს, სამკურნალო ბალახებს ბებოსთან ჩააქვს და მეზობლებსაც ურიგებს. გონებით კი თვალ-ყურმადევარიც ყოფილა ამ კუთხის წარსულისა!

— ქუსლიანი ფეხსაცმელებით იქ ვერ ივლი, ჩემი კედები მოგცე? — მკითხა გულდაგულ, როცა ორივე წყალდაწყალ ფეხშიშველები მივაჭყაპუნებდით.

— მერე შენ?

— ეეე... ჩემთვის ეგ არაფერია.

— ჩემთვისაც არაფერია მაღალ ქუსლებზე სიარული.

— დაღმართში?

— არც დაღმართში უშავს რამე, უკუღმა ჩამოვალ. ბიჭი გულიანად იცინის. ფერდობს შევუდექით თუ არა, ზურაბმა ყვავილების კრეფა დაიწყო: — ეს უკვდავაა — წამალია. ეს თავშავა, ესეც წამალია. ეს კი დეკა — დაგილევია დეკას ჩაი? შეკრა ყვავილ-წამლების თაიგული და დიდი ამბით მომართვა. მერე ნაკალოვრები და ნასახლარები დამანახვა — სოფელი მანდ იყოო — თქვა რაღაცნაირი დანანებით. ავედით ნანგრევებზე. ერთგან ბუხარში ნარი ამოსულიყო, გული გადაეხსნა და მელნისფერი ყვავილი გადაეფურჩქნა. საბძელი ასკილისა და მაყვლის ბარდებს დაეფარა. ვერ გავიგეთ, სახლები მაღალი იყო თუ დაბალი, ბანიანი თუ კრამიტით დახურული. ყველაფერი ბალახბულახსა და ანწლებში ჩანთქმულიყო. იდგა დაღონებული ზურაბი და ჯოხით მიწას ჩიჩქნიდა. მერე სასაფლაოსკენ გამიძღვა და იქ უფრო გახალისდა.

— აი, ნახეთ, ამას ჯვარი ახატია, — გადააცალა ხავსი ერთი საფლავის ქვას.

— აქ კი გვარიც აწერია — ჯამაური ყოფილა, ეს გამეხარაშვილი, — გადადიოდა ერთი საფლავიდან მეორეზე, — ამაზე ფარია ამოკვეთილი, ამაზე კიდევ ხმალი. ვადა კი მიწით ამოვსებულა, აღარც ეტყობა. აქ ხალხი სულ ომსა და ჯაფაში იყო. ბათურმა აქედან არხლამდე ჟლიტა ლეკები და ლეგენდად იქცა. ერთი მჭედელი ყოფილა — ალუდა. იმის ნაწრთობ იარაღს გველისპირულს ეძახდნენ. ხმლებსა და ხანჯლებს აწრთობდა. ბათურის ხმალიც იმის გამოჭედილია — უჰ, ეხლა ერთი კაი ხმალი მომცა — ინატრა ზურაბმა.

— რად გინდა, თოფი ხომ გაქვს?

— ეეე... თოფი შორიდან ისვრის. ხმალში რო გადიხარ, ბიჭობა ეგ არი... ჰო, იმას ვამბობდი, თიანეთის მაზრიდან ვაჟიკა გაბიდაურმა პირველმა მიიღო წმინდა გიორგის ჯვარი.

ისიც აქაური იყო. რუსეთ-თურქეთის ომის დროს დარუბანდის ასეულში მოხვედრილა. ამ ასეულმა ათასზე მეტი თურქი ასკერი დაატყვევა თავისი ბეგებითა და ქონება-საჭურვლიანად. უცებ შუბლი შეიკრა, სასაფლაოს შუაგულში დიდ ყორესთან შეჩერდა და მუხლი მოიდრიკა. უზარმაზარ ლოდებშუა მაღალი, ყელყელა გვირილები ამოზიდულიყო, შიგადაშიგ ათასფერი მინდვრის ყვავილები ერია.

— ეს არის კვირიასა და ლელას საფლავი, — თქვა ზურაბმა.

— ისინი ხომ ვაჟამ მოიგონა, — ვუთხარი სასოწარკვეთით. ბიჭმა სიპებზე თაფლის სანთლის ნაღვენთს გამხმარი ყვავილების მტვერი მოაშორა. თავი არ აუწევია, თავისთვის განაგრძო:

— ჰო, ვიცი. მერე რა, რომ მოიგონა? ვიღაცა ხომ იყო, ვინც აქ მარხია? აუცილებლად იქნებოდა... ისე როგორ შეიძლება... იქნება მართლაც ლელა ერქვა? აუცილებლად ერქმეოდა ლელა, ისე როგორ შეიძლება — ლაპარაკობდა გაბრაზებული ხმით. მერე თითქმის იყვირა: — აქ ნამდვილად მარხია კვირია და ლელა! წამოდგა. ხელისგულები პირთან მიიტანა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დადუმებულ სივრცეს გასძახა: — ლელააა!!! კვირიააა!!! — ექო მთებს შეასკდა, ზარივით აწკრიალდა. იმ არემარეში ისეთი ყიჟინა გაისმა, თითქოს მთელი სოფელი დაჯარდა და ზარების რეკვის ხმებს გამოჰყვაო ფეხდაფეხ. ზურაბი კი გასძახოდა და გასძახოდა:

— ლელააა, კვირიააა!!! — ყიჟინა გუგუნად იქცა, თვალები დავხუჭე და მაინც ვხედავდი, როგორ ამოიმართა მთელი თემი ნანგრევებიდან, წარსულის აჩრდილებს შეერია და აბჯრების ჩხრიალით ერთ გუნდად შეიკრა.

სხივებმა მზე სადღაც, გადაღმა ჩაითრიეს. ზურაბი გაჩერდა. მკლავები უმწეოდ ჩამოყარა. მერე უცებ თვალები აენთო:

— არაფერიც არ მოიგონა! — მომიბრუნდა რწმენით, — ლელა ნამდვილად აქაური იყო! ლაშარიც აქვეა — აგეე... ამ მთის გადაღმა ხუთი კილომეტრიც არ იქნება. მთელმა საქართველომ იცის, რომ ლელა ბაჩლელი იყო! თქვენ კიდევ ამბობთ, მოიგონაო...

ტირილი მომინდა და ზურაბს რომ არ შეემჩნია — მეც ვიყვირე: — ლელააა!!! ჰო, აქაური იყო, ბაჩლელი... დაცლილი სოფლის ბოლოში გამართულ სუფრაზე ჭირისუფლები „ფერხისას“ (ფშაური საქორწინო) მღეროდნენ...

*ეთერ თარიმანი*



# რას გვეტყვი, მამაო?

— **ქრისტიანობის ისტორიაში აღწერილია შემთხვევები, როდესაც ცოლ-ქმარი აღთქმას აძლევს უფალს სარეცლის უბიწოდ დაცვის შესახებ. რა შემთხვევაში შეუძლია თანამედროვე მართლმადიდებელ ქრისტიანს მსგავსი ქმედების განხორციელება?**

— დიახ, ქრისტიანულ ცხოვრებაში არსებობს შემთხვევები, როდესაც მეუღლეები ნებაყოფლობით აცხადებენ უარს ხორციელ ურთიერთობაზე ან ჯვრისწერისთანავე, ან შვილების შეძენის შემდეგ და ცხოვრობენ, როგორც და და ძმა. ეს განსაკუთრებული სულიერი ღვაწლია, მაგრამ ასეთი ღვაწლის უნარი შესწევთ ძალიან მცირედთ, ერთეულებს მრავალი ათასი ადამიანიდან და მსგავსი ურთიერთობა ნორმა კი არა, გამონაკლისია თანაცხოვრების წესებიდან. ასეთი სახის ღვაწლზე მეუღლეები მიდიან დიდად გამოცდილი მოძღვრის კურთხევის შედეგად, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას მათ სულიერ ჯანმრთელობაზე. მრავალი ფსიქოპათოლოგიური შემთხვევაა მღვდელმსახურებისა და ფსიქოლოგებისათვის ცნობილი, როდესაც არათუ სამუდამო აკრძალვას, არამედ თვით გადაჭარბებულ თავშეკავებასა და ხსნილში თვითნებურად დანიშნულ მარხვებს ცოლქმრული ინტიმის თვალსაზრისით, გამოუწვევია სექსუალური დარღვევები და უკუღმართობანი. ამიტომ, მეუღლეთა ხორციელი ცხოვრება უნდა იყოს ზომიერი, თვითაკრძალვებისა და თვითგვემის ყოველგვარი საგანგებო რიტუალების გარეშე.

— **რა ვუყო წიგნებს, რომლებიც ადრე მაქვს შეძენილი და ჩემი ახალი, ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის გამოუსადეგარი და მიუღებელი გახდა?**

— შეგიძლიათ ეს წიგნები გაასაჩუქროთ, ბიბლიოთეკებს ჩააბაროთ, ოღონდ თუ მათ შორის ურევია ოკულტური, ღვთისმგმობი, უზნეო ლიტერატურა — ნურც გააჩუქებთ და ნურც გაყიდით — უმჯობესია გადაყაროთ.

— **ჩემი მეგობარი მოხვდა სექტაში „50-იანელებთან“. გულით მინდა მისი დახმარება, მაგრამ ვერაფრით ვეხმარები. ვატყობ, რომ ის იქ კარგად გრძნობს თავს. რა ვქნა, დავცილდე მას, თუ გავაგრძელო მეგობრობა?**

— ეცადეთ, არ შეწყვიტოთ მეგობრობა — პირიქით, თქვენი ზრუნვა, ყურადღება, სიყვარული, ლოცვა მისი სულის გადარჩენისათვის, დაეხმარება თქვენს მეგობარს რწმენის ჭეშმარიტი ნათელისა და ეკლესიის მადლმოსილების დანახვაში.

— **მყავს ათეისტი მშობლები. მე ჩემი საკუთარი ნებით მოვინათლე მათ დაუკითხავად. მღვდელმა მომნათლა ისე, რომ ნათლია არ მყავდა. ვითვლები თუ არა მე მონათლულად?**

— დიახ, თქვენ მონათლული ხართ. ნურც ის გარემოება შეგაშფოთებთ, რომ ნათლია არ გყოლიათ — თქვენი ნათლია არის თვით მღვდელი, რომელმაც მოგნათლათ.

— **მიყვარს ქალიშვილი, მაგრამ ჩემი მშობლები ეწინააღმდეგებიან ჩვენს ურთიერთობას, რადგან მიაჩნიათ, რომ მისი ოჯახი სოციალურად (იგულისხმეთ, მატერიალურად) უფრო დაბლა დგას. ეკლესია გვასწავლის, რომ პატივი ვცეთ მშობელს, მე კი როგორ გამოვხატო ეს პატივისცემა, როგორ ავირჩიო სწორი გზა?**

— მშობლის სიტყვის შესმენა და დაჯერება აუცილებელია ქრისტიანისთვის, მაგრამ ქორწინების საფუძველი სიყვარულია და არა ბრმა მორჩილება. წმიდა წერილი გვამცნობს: „დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედაი თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივენი იგი ერთ ხორც“ (მათე 19,5). ამდენად, ადამიანს მეუღლესთან უფრო მეტი აქვს კავშირი, ვიდრე მშობლებთან. ქორწინება არ უნდა ხდებოდეს ანგარებით...

თქვენც, უპირველეს ყოვლისა, სინდისის ხმას მისდიეთ, სიყვარულის ხმას, რადგან ეს არის ხმა უფლისა და მოიქეცით ამ ხმის შესაფერისად!

— **მართალია თუ არა, რომ ზიარების დღეს არ შეიძლება მუშაობა?**

— ნუთუ შეიძლება, რომ ქრისტესთან ერთობა შრომისა და კეთილი საქმეების ჩადენისათვის დამაბრკოლებელი იყოს? მაგრამ, თუ ეს ხდება დიდი დღესასწაულის დღეს, მაშინ ეცადეთ, რომ მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი და გადაუდებელი საქმე გააკეთოთ.

— **შემიძლია თუ არა, სახლში, ჩემი ხატების კუთხეში დავანთო კანდელი?**

— დააკვირდით, რა ხდება ეკლესიაში. იქ აუცილებლად არის კანდელი, რომელიც ჩაუქრობლად ანთია განსაკუთრებული დიდებით მოსილი ხატების წინ. თუ თქვენ გსურთ, რომ თქვენთანაც კანდელი ენთოს უფრო მეტხანს, ვიდრე თქვენ ლოცულობთ, შეგიძლიათ დატოვოთ კანდელი მთელი ღამით (თუ ზეთის ხარჯვა ამის საშუალებას გაძლევთ).

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*



კონკურსის „საპატიო“ პრიზი და სიგელი

# — ხომ არ შეიძლება ამ ჟურნალისტებმა ხელშეუხებელი კლანი შექმნათ...

## „თუ რომელიმე საინფორმაციო საშუალება არაკეთილსინდისიერია, გამოუცხადოს ყველამ ბოიკოტი“

ჟურნალისტთა ანტიკორუფციული საგამოძიებო ბიუროს მიერ გამოვლენილი 10 კორუმპირებული და 10 არაკორუმპირებული სახელმწიფო მოხელის სიის გამოქვეყნებამ კორუმპირებულ ელიტაზე შექმნილი საზოგადოებრივი აზრი ლამის თავდაყირა დააყენა. არაკორუმპირებულთა შორის მოხსენიებული რამდენიმე სახელგატეხილი პირის გამოჩენამ ეჭვი დაბადა, რომ ამ „რეიტინგობანაში“ რაღაც „მთლად კარგად ვერ იყო“. მავანთ ეჭვებსა და ორჭოფობას მალე ქვემო ქართლის გუბერნატორი გამოეხმაურა — ანტიკორუფციონერი ჟურნალისტები ჩემგან ფულს ითხოვდნენო. ჭორად გავრცელდა სიაში მოხვედრილი ერთ-ერთი კორუმპირებულის ნათქვამი, — ფული გადავიხადე, რათა სიის ბოლოში გადამენაცვლებინა. ხედავთ, როგორი „მოუსყიდველი“ მასმედია გვყავსო?!

ამ მითქმა-მოთქმას ისიც დაერთო, რომ „კორუმპირებულების“ ქომაგებმა, „არაკორუმპირებულების“ მხარეს დაიწყეს ქვების სროლა: ლევან პირველიც ისეთივე კორუმპირებულია, როგორიც ლევან გაჩეჩილაძე, იმიტომ, რომ ორივე თავის ბიზნესს ლობირებსო; როგორ ასახელებენ წლის კორუმპირებულებს შორის ფრიდონ ინჯიას, კაცი ძლივს გახდა დეპუტატი. ადრინდელზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ წელს ინჯიას ნამდვილად არაფერი მოუპარავსო.

სხვათა შორის, ჟურნალისტთა ანტიკორუფციული საგამოძიებო ბიუროს (ჟასბ-ს) რეიტინგი თვალში არც მასმედიას მოსვლია და არც ორივე სიას გადარჩენილ პოლიტიკოსებს.

**თეა რუსიტაშვილი**, ჟურნალისტი: — ეს რეიტინგი და გამოკითხვა კი არა, ვაჭრობა იყო და როგორ მიმდინარეობდა იგი, ამაზე ფაქტობრივი მასალა გვაქვს — კასეტა. კარგად ჩანს, როგორ ევაჭრებიან ეს ახალგაზრდები ლევან მამალაძის წარმომადგენელს. ასეთი გარიგებები მათ ალბათ სხვებთანაც ჰქონდათ.

ვფიქრობ, ჟურნალისტთა ანტიკორუფციულ საგამოძიებო ბიუროს შს სამინისტრო უმაგრებს ზურგს, მანამდე ისინი სხვებთან თანამშრომლობდნენ. გამოკითხვის მიზანი ფულის შოვნა იყო, სხვა არაფერი. რაც მალე დაივიწყებს საზოგადოება ამ ახალგაზრდებს, მით უკეთესი იქნება. მიხარია, რომ ველარ ისარგებლებენ ჟურნალისტის სახელით და ვერც ველარავის შეევაჭრებიან...

**ირმა ნადირაშვილი**, ჟურნალისტი: — შიში დამეუფლა — ხალხი ხვალ მე მეტყვის — შენ რა უნდა დაგიჯერო, როცა ასეთი ჟურნალისტები არსებობენო. თუ გაირკვა, რომ ისინი ვინმეს ფულს სძალავდნენ, პასუხი უნდა აგონ, რათა ხვალ იგივე სხვამაც არ გაბედოს...

**ზურა თვაური**, ჟურნალისტი: — ქართული ჟურნალისტიკა არაპროფესიონალებით გაივსო, რომლებიც ჟურნალისტიკას სახელს ულახავენ. თავის „შემოქმედებას“ რატომღაც ყველა „გამოძიებას“ არქმევს... თუ ასე გაგრძელდა, მასმედიას მალე აღარავინ ენდობა.

ჟურნალისტებისგან განსხვავებით, პოლიტიკოსთა უმეტესობამ მხოლოდ პირად საუბრებში მისცა შეფასება ჟასბ-ის მუშაობას და ოფიციალურად არც ინდომა „გამომძალველებზე“ ლაპარაკი. თუმცა მაინც მივაკვლიეთ ისეთ პარლამენტარს, რომელსაც ადრეც ჰქონია ჟურნალისტთა ანტიკორუფციულ საგამოძიებო ბიუროსთან შეხება.

**ნოდარ ჯავახიშვილი**, პარლამენტარი, ფრაქცია „აღორძინება“:

— აპრილის დასაწყისში თბილისის ავტოსადგომების მდგომარეობის შესწავლა დავიწყეთ (რომელიც სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო ვერ დავასრულეთ). მასალებში წავაწყდით ჟასბ-ის მიერ ჩატარებული შემოწმების აქტს. თქვენ წარმოიდგინეთ, თბილისის ვერც ერთ ავტოსადგომზე დარღვევა ვერ აღმოუჩენიათ. ვინ დაიჯერებს რომ ყველა მძღოლს აძლევენ ქვითარს და რომ შემოსავალი პატიოსნად შედის სახელმწიფო სალაროში?! აქედან გამომდინარე, იოლია დასკვნის გაკეთება. მათგან შედგენილი აქტის სტრიქონებშორის აშკარად იკითხება კორუფცია (თუ ვინმეს სურვილი ექნება, ამ აქტს გამოვაქვეყნებ) და ამიტომ სკეპტიკურად ვუყურებ ჟასბ-ის საქმიანობას. ის აუზაურიც, რაც კორუმპირებულთა და არაკორუმპირებულთა სიის გამოქვეყნებას მოჰყვა, ცხადყოფს, რა მიმართულებით მუშაობს ეს ორგანიზაცია.

**— რას იტყვით კორუმპირებული და არაკორუმპირებული მოხელეების სიაზე?**

— ორივე სიას ეტყობა, რომ შორს არის ობიექტურობისგან და ისიც კარგად ჩანს, რომ მასში საზოგადოებრივი აზრი არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, კორუმპირებულთა სიაში მე-3 ადგილზე თემურ ბასილიაა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ან ძალიან გაუთვითცნობიერებელ ხალხს ჰკითხა საგამოძიებო ბიურომ აზრი, ან კიდევ საგანგებოდ შეარჩია თემურ ბასილიას მოწინააღმდეგეები. რა ჰქვია ამას?! პრეზიდენტის თანაშემწეა კორუმპირებული და პრეზიდენტი — არა?! როცა თანაშემწე მე-3 ადგილს იკავებს, იქ პრეზიდენტს უთუოდ 1-ლი ადგილი ეკუთვნის. გამიკვირდა, ამ გამოკითხვაში ძალოვნები რომ არ შეიყვანეს, თუმცა არც ეს არის ძნელი მისახვედრი, — ძალოვნებთან ვაჭრობა ცალკე სფეროა.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ რეიტინგის უკან ფინანსურის გარდა, ვინმეს პოლიტიკური ინტერესიც დომინირებდეს?**

— თუ ამ კუთხით ვიმსჯელებთ, ვიკითხოთ — ვის შეეძლო დაეკვეთა მამალაძის კორუმპირებულობა? თუ ვინმემ დაუკვეთა, დამკვეთი ჟვანია-სააკაშვილის გუნდი უნდა იყოს.

**— მაგრამ ჟურნალისტთა ანტიკორუფციულმა საგამოძიებო ბიურომ რამდენიმე თვის წინ სწორედ ჟვანია-სააკაშვილის გუნდს წაუყენა სერიოზული ბრალდებები.**



ნოდარ ჯავახიშვილი

— ფულის კეთება ისეთი საქმეა, დღეს შენთან ვიშოვი, ხვალ შენს მოწინააღმდეგესთან. თუ ჟასბ-მ ადრე ჟვანიას და სააკაშვილს „დაარტყა“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთად არ არიან. როგორ შეიძლება ზურაბ ჟვანია არაკორუმპირებულთა სიაში იყოს, როცა ამ კორუმპირებულ სისტემაში ქვეყნის მე-2 პირი იყო? არაკორუმპირებულთა ათეულში რომ მოხვდე კაცი, ფრთაშესხმული ანგელოზი უნდა იყო და მგონი, ბატონ ზურას ჯერ ზურგი არ ექავება.

**— ამ მითქმა-მოთქმის შემდეგ საერთოდ ჟურნალისტებზე ხომ არ გაგიუარესდებათ წარმოდგენა?**

— ამაზე მეტად ველარ გამიუარესდება. საქართველოს მეოთხე ხელისუფლებაც ისეთია, როგორიც დანარჩენი სამი. კი, ბატონო, აკრიტიკეთ ჩინოვნიკები, მაგრამ ერთმანეთზეც წერეთ. ხომ არ შეიძლება, ხელშეუხებელი კლანი შექმნათ და მიუვალი ციხესიმაგრით შემოიზღუდოთ თავი. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მე თუ ვლაპარაკობ კოლეგებზე, თქვენ რატომ არ უნდა თქვათ სათქმელი?! თუ იმ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, ძაღლმა ძაღლის ტყავი არ უნდა დახიოსო, გამოდის, ყველანი ძაღლები ვყოფილვართ. ჩვენც ჩავიგუბებთ პირში წყალს, არაფერს ვიტყვით და მაშინ ვნახოთ, როგორ იმუშავებთ.

არაერთხელ ითქვა, ზოგიერთ ტელეკომპანიაზე — მავანთა რუპორიაო. პარლამენტშიც არაერთ შეხლა-შემოხლას შევსწრებივარ, მაგრამ იმავე დღეს გამკრიტიკებლები გაკრიტიკებული ტელეკომპანიის ეთერში მინახავს გამოჭიმულნი. თუ რომელიმე საინფორმაციო საშუალება არაკეთილსინდისიერია, გამოუცხადოს ყველამ ბოიკოტი და ისიც მალე „გაშიშვლდება“ — მის ეთერში მხოლოდ „პატრონები“ დარჩებიან...

ანტიკორუფციული საგამოძიებო ბიუროს მუშაობის მიმართ გაჩენილ კითხვებზე ორგანიზაციის თავმჯდომარემ **კოზა კაპანაძემ** გვიპასუხა:

— ჩვენს წინააღმდეგ მომართული აგრესია მაღალი სახელმწიფო მოხელეების კაბინეტებში დადგმული სცენარით ხდება. გამოკითხვის დროს, უამრავი ქრთამი და ჯანდაბა შემოგვთავაზეს (და არ გაუვიდათ), მერე აშკარა მუქარაზე გადმოვიდნენ — ან აიღებთ ფულს, ანდა გააკეთებთ „საქმეს“, ან კიდევ ამ ფულს ისევ თქვენს წინააღმდეგ გამოვიყენებთო.

**— მაგრამ არსებობს დოკუმენტი, რომელიც თქვენსა და მამალაძის წარმომადგენელს შორის დიალოგს გადმოსცემს.**

— იქ ნალაპარაკევი არც მე მეკუთვნის, არც დიმიტრი ტიკარაძეს და ამას დავამტკიცებ. ჟურნალისტს, რომელმაც ეს ჩანაწერი მოიპოვა, ბრალს არ ვდებ. მან შავი საქმე გააკეთა, მაგრამ იმ მოხელის კანონიერი დისკრედიტაციისთვის, ვინც ეს პიარი შეიმუშავა, ყველაფერს გავაკეთებ. იმასაც ვიტყვი, როგორ სძალავდა იგი უცხოელ მოქალაქეს 300 ათას დოლარს და როგორ დააფიქსირა დეკლარაციაში საჩუქრად მიღებული „ჯიპი“ მეუღლის მზითვად.

***იზო რიკაძე***

# პეტრე გელბახიანსა და ირაკლი დოკვაძესაც ათავისუფლებენ?

შესაძლოა, ამ კვირას ირაკლი დოკვაძე და პეტრე გელბახიანი ციხიდან გაათავისუფლონ. არსებობს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი მათ ხაჩიშვილის, გელაშვილისა და პაპუკაშვილის მსგავსად უპირობოდ გაათავისუფლებს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ისინი შევარდნაძის მმართველობას უკანონოდ მიიჩნევენ და შესაბამისად, არც პრეზიდენტის კანონებს ცნობენ. ამასთან დაკავშირებით **ელენე თევდორაძე** ხუმრობით შენიშნავს, რომ, იმედია, პრეზიდენტის ამ ჟესტის შემდეგ ისინი ციხეში საპროტესტო აქციებს არ გამართავენ.

**— ქალბატონო ელენე, რამდენად შეესაბამება სიმართლეს, რომ ამ კვირას შესაძლოა ციხიდან გაათავისუფლონ პეტრე გელბახიანი და ირაკლი დოკვაძე?**

— ეს ინფორმაცია, ალბათ, ჩემგან გავრცელდა. ახლავე გეტყვით, რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს — ირაკლი დოკვაძემ სასჯელის 3/4 მოიხადა ჯერ კიდევ იანვარში. შემდეგ ჩემი შუამდგომლობა დოკვაძის ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. თუ გახსოვთ, ადვოკატმა უზენაეს სასამართლოს მიმართა და იქაც უარი უთხრეს. პეტრე გელბახიანმაც უკვე მოიხადა სასჯელის 3/4, ანუ კანონის მიხედვით მისი ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხის დასმაც შეიძლება. გამოდის, რომ აგვისტოში სასამართლოს ორივეს გათავისუფლების საკითხის განხილვა შეუძლია. თუმცა აქ შესაძლებელია მეორე ვარიანტიც, — ამ დღეებში დანიშნულია შეწყალების კომისიის სხდომა, რომლის დღის წესრიგშიც ნამდვილად არ არის ამ ორი ადამიანის შეწყალების საკითხი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გასული თვის ფაქტს, როცა ამ კომისიის გადაწყვეტილებით პრეზიდენტთან 35 პატიმრის შეწყალების საკითხი შევიდა, ამის პარალელურად ქალბატონმა რუსუდან ბერიძემ პრეზიდენტთან ხელმოსაწერად შეიტანა ცნობილი პატიმრების — ხაჩიშვილის, პაპუკაშვილისა და გელაშვილის გათავისუფლების ბრძანებულება. პრაქტიკულად, პრეზიდენტმა ორ სხვადასხვა ბრძანებას მოაწერა ხელი. მე ვფიქრობ და გარკვეულ ინფორმაციებსაც ვფლობ, რომ ახლა, როცა პრეზიდენტს შეწყალების კომისიის მიერ წარედგინება რეკომენდაცია პატიმრებზე, შესაძლებელია ამ ორი პიროვნების გათავისუფლების საკითხიც დაისვას.

**— ანუ თქვენ ფლობთ კულუარულ ინფორმაციას, რომ ეს ასე მოხდება...**

— ეს არ არის კანცელარიის კულუარული ინფორმაცია, მე სხვა წყაროს ვეყრდნობი.

**— რაც შეეხება იგორ გიორგაძეს, საუბარია იმაზეც, რომ თითქოს მისი რეაბილიტაციაც უნდა მოხდეს...**

— იგორ გიორგაძეც, ხაჩიშვილიც და გელაშვილიც ერთდროულად იყვნენ ბრალდებულები ერთი და იმავე მუხლებით — ტერაქტებისა და მკვლელობების ორგანიზება. ხაჩიშვილს და გელაშვილს პრეზიდენტმა მხოლოდ მას შემდეგ აპატია დანაშაული, რაც მათ სასჯელის გარკვეული პერიოდი მოიხადეს. რაც შეეხება იგორ გიორგაძეს, ის ერთი დღეც არ მჯდარა ციხეში, დღესაც ემალება გამოძიებას, მაგრამ ჩვენ გვაქვს პრეცედენტი — როცა ეროვნული შერიგება დაიწყო, ეს შეეხო არა მხოლოდ იმათ, ვინც სასჯელს იხდიდნენ, არამედ იმათაც, ვისზედაც გამოცხადებული იყო ძებნა. დაახლოებით 140 ასეთი საქმე იყო. აქედან თითქმის 120-ზე შეწყდა ძებნა და მათ საქართველოში დაბრუნების საშუალება მიეცათ. თუ გნებავთ, ნემო ბურჭულაძის მაგალითი გავიხსენოთ. ასე რომ, ასეთი პრეცედენტი არის უკვე საქართველოში და ყველაფერი დამოკიდებულია ისევ და ისევ პრეზიდენტზე, ანუ იმაზე, რასაც ის ჩათვლის საჭიროდ. თუმცა პრეზიდენტის ხასიათიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ ის ჯერ ციხეში შეაგდებს ადამიანს, მიჰყავს რაღაც კონდიციამდე და მერე იჩენს კეთილ ნებას — აპატიებს. აქედან გამომდინარე, ეჭვი მეპარება, რომ იგორ გიორგაძეც ნემო ბურჭულაძესავით შეიწყალოს.

***მარინა მამისაშვილი***

# მისაღები გამოცდების შედეგები გაბათილდება?

ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ მოსარჩელე თეა თუთბერიძის და გიორგი გოცირიძის სარჩელზე დადებითი განჩინების გამოტანის შემთხვევაში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიძლება მღელვარების ახალი ტალღა აგორდეს. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის არასაბიუჯეტო სექტორის მეორეკურსელები უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასამართლოში უჩივიან და „თსუ-ში მიღების წესების შესახებ“ ბრძანებულების დროებით შეჩერებას ითხოვენ. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების შედეგები ბათილად გამოცხადდება. არ არის გამორიცხული, ამის გამო ახალმიღებულმა სტუდენტებმა უკმაყოფილება სხვადასხვა ფორმით გამოხატონ, რაც არეულობას გამოიწვევს. ვესაუბრებით ერთ-ერთ მოსარჩელეს **თეა თუთბერიძეს**:

— მე, როგორც არასაბიუჯეტო სექტორის სტუდენტს, გადაბარება მინდოდა საბიუჯეტო სექტორზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, „თსუ-ში მიღების წესების შესახებ“ ადმინისტრაციული აქტის თანახმად, ამის უფლება არ მქონია, რადგან მე-3 კურსზე გადავედი და არა — მე-2-ზე. მაგრამ ეს ადმინისტრაციული აქტი თურმე მარტო ჩემს საწინააღმდეგოდ მოქმედებს — ჩემი ორი თანაკურსელი თავისუფლად გავიდა მისაღებ გამოცდებზე, მე კი პასუხისმგებელმა მდივანმა წოწკოლაურმა კატეგორიულად მითხრა უარი საბუთების მიღებაზე. სამწუხაროდ, ეს დარღვევა ერთადერთი არ არის.

**— უფრო კონკრეტულად...**

— მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეებს ნიშნავს რექტორი, ისინი კი ყოველგვარი კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშე კომისიის წევრებად ნიშნავენ იმ ლექტორებს, რომლებიც რეპეტიტორულ საქმიანობას ეწევიან და შემდეგ თავიანთი აბიტურიენტების გამომცდელებად გვევლინებიან. როგორი ობიექტურებიც იქნებიან, იოლი მისახვედრია.

**— სანამ სასამართლომდე მივიდოდა საქმე, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხი არ დაგიყენებიათ?**

— მერე რა, ვინ მიიღო ჩვენი წინადადებები?! გამოგვიცხადეს, რომ ეს ყველაფერი უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდან ხდება. როცა „თსუ-ში მიღების წესების“ შესახებ სამართლებრივი აქტი მოვითხოვე, ამაზეც უარი მითხრეს.

**— ახლა რას ითხოვთ?**

— სასამართლოს უნდა შეეჩერებინა „თსუ-ში მიღების წესების“ მოქმედება, რადგან მოსამართლის მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, განაჩენის გამოტანამდე, ფაქტობრივად, წყდება გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედება, მაგრამ გამოცდები მაინც გრძელდება. წესით კი, მისაღები გამოცდების შედეგები ბათილად უნდა ჩაითვალოს.

მომჩივანი სტუდენტების მიერ გაკეთებული „ავისმომასწავებელი“ პროგნოზების მიუხედავად, სრულიად აუღელვებლად გვესაუბრა თსუ-ს რექტორი **როინ მეტრეველი**:

— რამდენადაც ვიცი, თეა თუთბერიძის კურსელების საბუთები მიღებულ იქნა, მას კი პასუხისმგებელმა მდივანმა ავთანდილ წოწკოლაურმა განუმარტა, რომ საჭირო იყო ფორმალობის დაცვა — სადაც ირიცხებოდა სტუდენტად, იქიდან უნდა ამორიცხულიყო. მან ეს არ შეასრულა, საბუთების მიღების ბოლო დღეს მოვიდა და კიდევ ერთხელ მოითხოვა გამოცდაზე დაშვება. თუთბერიძეს თავისუფლად შეეძლო ამ ფორმალობის დაცვა, მისაღებ გამოცდებზე



წარუმატებლობის შემთხვევაში კი დაბრუნდებოდა უკან, ისევ პირადი განცხადების საფუძველზე.

**— მომჩივანი სტუდენტები აცხადებენ, რომ რეპეტიტორი-ლექტორები არაობიექტურად ატარებდნენ გამოცდებს. თურმე მხოლოდ საკუთარ აბიტურიენტებს წყალობდნენ.**

— იცით რა, ეს ცოტა რთული საკითხია. გასარკვევია, ყველაფერი ისეა თუ არა, როგორც სტუდენტები აცხადებენ. ძნელია იმის განსაზღვრა, ვინ ამზადებდა აბიტურიენტებს და ვინ არა. მე კი მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ ძალზე კომპეტენტური საგამოცდო კომისიებია შერჩეული და არავითარი საფუძველი არ არსებობს მისაღები გამოცდების არასწორად ჩატარების ბრალდების წამოსაყენებლად. მისაღები გამოცდები ასე ტარდება არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში. ყველგან უნდა გაუქმდეს გამოცდები? სტუდენტების საქციელი ჰგავს იმ შვილის საქციელს, რომელიც დედას უჩივის.

P.S. „რას ჰგავს სტუდენტების საქციელი“ და სად არის ჭეშმარიტება — ამას ალბათ სასამართლოს გადაწყვეტილება დაადგენს. ისე კი, როგორც ჩანს, მივეჩვიეთ მიღებული გადაწყვეტილებების, ჩატარებული არჩევნების შედეგების და კიდევ ბევრი სხვა რამის ბათილად გამოცხადებას და ამ სენმა ახლა უნივერსიტეტშიც იჩინა თავი.

***ეკა ლომიძე***

# შევარდნაძემ რუსეთი შეურაცხყო...



ედუარდ შევარდნაძემ კვლავ ისახელა თავი. მისმა ცინიკურმა რუსოფობიურმა კომენტარებმა, პანკისის ხეობიდან ჩეჩენი ბოევიკების გასვლის შესახებ, რუსეთი განარისხა. რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ, სერგეი იასტრჟემბსკიმ, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ოფიციალური თბილისის განცხადება. მან ქართველ ხელმძღვანელთა გამონათქვამებს „აშკარა სიცრუე“ უწოდა და გააფრთხილა, ასეთ პირობებში კეთილ მეზობლობაზე არც იფიქროო.

პრეზიდენტის თანაშემწის ასეთი მკვეთრი რეაქცია გამოიწვია საქართველოს პრეზიდენტის მიერ რადიოინტერვიუში რუსეთის მიმართ გამოთქმულმა „შეურაცხმყოფელმა და სრულიად უზნეო გამონათქვამებმა“. შევარდნაძის აზრით, თურმე იმაში, რაც ახლა ხდება პანკისის ხეობაში, დამნაშავე თავად რუსეთია. თანაც ორმაგად დამნაშავე. პირველი დანაშაული ის იყო, რომ მან ჩეჩნები პანკისის ხეობაში შემორეკა — უმრავლესობა მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის თითოოროლა ბოევიკიც იყო, რომელთაც საქართველო დაუნდობლად ებრძვის. სწორედ ეს მშვიდობიანი მოსახლეობა და გასაცოდავებული ბოევიკები ოცნებობენ ჩეჩნეთში დაბრუნებაზე. დაიძრნენ კიდეც თანამემამულეებთან შესაერთებლადო, — განაცხადა პრეზიდენტმა, მაგრამ ის კი აღარ განუმარტავს, ვინ შეაიარაღა და გაწვრთნა ისინი. ეტყობა, ეს ყოველივე საქართველოს ლიდერისათვის წვრილმანია. მთავარი ის არის, რომ რუსეთს მეორე დანაშაულიც ჰქონია. შევარდნაძე ურცხვად აცხადებს: „საზღვარს ორი მხარე აქვს, რომელსაც იცავენ როგორც ქართველი, ასევე რუსი მესაზღვრეები, რომლებიც პასუხს აგებენ თავისი საზღვრის დაცვაზე“. ე.ი. მოურიდებლად ამბობს, ყველამ თავის საზღვარს მოუაროსო...

შევარდნაძემ მარჯვე გამოსავალი იპოვა — თავისი საკეთებელი სხვას გადააბარა. ღმერთმანი, საკვირველია ამ კაცის საქმე: ამის შემდეგ რა ნამუსით ლაპარაკობს მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობის განმტკიცებაზე. არც იოცნებოს... არც ახალ ხელშეკრულებაზე და არც მის მიმართ კეთილ დამოკიდებულებაზე.

***იზვესტია რუ***

# მალხაზ ჯონმა ჯერ არ იცის, რომ...



საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა გერმანე ფაცაციამ საზოგადოებას მოუწოდა საერთო ეროვნული მოძრაობის შექმნის შესახებ, რომელიც 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგენს ამერიკელ გენერალს ჯონ მალხაზ შალიკაშვილს. მას მხარს უჭერენ სოციალისტური პარტია და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი. ფაცაციამ წინადადება შეიტანა კონსტიტუციის შეცვლის თაობაზე, რათა შესაძლებელი გახდეს ამერიკის მოქალაქის არჩევა სახელმწიფოს უმაღლეს პოსტზე.

თავისი მოწოდება დეპუტატმა ასე ახსნა: „მალხაზ შალიკაშვილსა და საქართველოს მოქალაქეებს შორის ერთადერთი განსხვავებაა: ის ცხოვრობს სახელმწიფოში, მაგრამ არა სამშობლოში, ჩვენ სამშობლოში კი ვცხოვრობთ, მაგრამ არა — სახელმწიფოში“.

დეპუტატის აზრით, ჯონ შალიკაშვილის არჩევა პრეზიდენტად საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ აქცევს.

ისე, ჯონ შალიკაშვილმა ჯერ არაფერი იცის საქართველოში წამოწყებული მოძრაობის შესახებ.

***ბლექ სეა პრესს***

***რედაქციისგან:***

***ჩვენმა მკითხველმა ამის შესახებ წინა ნომერში უკვე შეიტყო, მაგრამ ხომ გაგიგიათ — ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო — ჰოდა, საზღვარს მიღმაც შეუტყვიათ ბატონი ფაცაციას დიდი სურვილის შესახებ...***

# აყვანილია პრეზიდენტ ბუშის პირად კონტროლზე!

## საქართველო ნატოში შესასვლელად ემზადება!

„გლობალური ანტიტერორისტული კამპანიის ფონზე საქართველოში მიმდინარე პენტაგონის „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა კვლავაც რჩება საერთაშორისო ექსპერტების ყურადღების ცენტრში. პროგრამა და საერთოდ, კონტრტერორისტული მზადების კამპანია საქართველოში წარმოადგენს იმ უიშვიათეს გამონაკლისს, რომელზეც უშუალო კონტროლს პირადად აშშ-ის პრეზიდენტი ახორციელებს (მსგავსი რამ აშშ-ის უახლეს ისტორიაში არ მომხდარა); თუ საქართველოში ბევრი კვლავაც ეჭვის თვალით უყურებს ქართული არმიის მომავალს, უცხოელი ექსპერტები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ ამერიკელთა დახმარებით საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა ამაღლდება. ბუნებრივია, ამ პროგრამის წარმატება საქართველოს ხელისუფლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზეცაა დამოკიდებული...

თალიბანისა და „ალ-ქაიდას“ წინააღმდეგ „უდრეკი თავისუფლების“ სახელწოდებით ცნობილი ოპერაციის დაწყებისთანავე, ანტიტერორისტულ ბანაკში რუსეთთან ერთად კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიც აღმოჩნდნენ. ტერორისტების თავშეყრის ერთ-ერთ შესაძლო მონაკვეთად საქართველოს უკონტროლო ტერიტორიებიც იქნა მიჩნეული. ამიტომ 2001 წლის შემოდგომაზე, ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აშშ-ის ადმინისტრაციისგან უყოყმანოდ მიიღო თანხმობა სწრაფი სამხედრო დახმარების გაწევაზე. დაიგეგმა და დაიწყო „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა. ექსპერტთა მტკიცებით, პროგრამის პირველ მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითვალოს „კრიზისის კონტროლის მართვის ცენტრის“ ჩამოყალიბება, რაც საგრძნობლად გააიოლებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვას და საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო უწყებას შესაძლებლობას მისცემს თავად მიიღოს გადაწყვეტილება. ყოველივეს მიუხედავად, ამერიკის მძლავრი დახმარება საქართველოს მთავრობისთვის მიძღვნილ საჩუქრად არ უნდა ჩაითვალოს. ეს არის გამოცდა იმის დასადგენად, თუ რამდენად არიან პრეზიდენტი შევარდნაძე და თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე თავიანთი იდეალების ერთგულნი — შეიქმნას ძლიერი ქართული არმია. პირველი, რაც შევარდნაძემ ამ გამოწვევას უნდა დაუპირისპიროს არის ის, რომ არმიის რიცხოვნების შემცირების ხარჯზე მოხდეს მისი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება. საქართველოსთვის 30-ათასიანი არმია არც სტრატეგიული და არც ფისკალური თვალსაზრისით გამართლებული არ არის. სამომავლოდ ამერიკელთა მიერ გაწვრთნილ სამხედროებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწევთ ქვეყნის გამთლიანების პროცესსა და სამოქალაქო ომითა თუ კონფლიქტებით მიღებული ჭრილობების მოშუშებაში. ეს კი ამერიკისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ის სამხედრო ძლიერება, რომელსაც საქართველო უახლოეს მომავალში შეიძენს. შემთხვევითი არც ის იქნება, საქართველომ ოფიციალური თხოვნით მიმართოს ნატოს 2005 წელს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებისთვის!

***იურეიჟ რევიუ***

# საქართველო ორ ცეცხლშუაა მოქცეული

ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში საქართველო ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა. ის დიდი სიამოვნებით გაყრიდა პანკისის ხეობიდან ბანდიტებს, მაგრამ საამისოდ სამხედრო ძალა არ ჰყოფნის. მეორე მხრივ, თუ შეძლებს და მათ ჩეჩნეთის გზას გაუყენებს, ახლა რუსეთი აუხტება — ბანდიტებს გვიგზავნიო — და საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარებით ემუქრება. არადა ჩაიფუშა ამერიკის მცდელობაც, თავისი სამხედრო მრჩევლების საშუალებით დაეცვა საქართველო რუსეთის მუქარისაგან.

საზღვრის გადაღმა კი, რუსეთის არმია, საერთაშორისო ტერორიზმის ჩახშობის საბაბით უსწორდება ჩეჩნეთს და ეს ბრძოლა არ ამართლებს იმ ხერხებს, რომელსაც მოსკოვი იყენებს გროზნოსთან წამოწყებულ ომში.

ამის საფასურს კი სხვა ქვეყნის მთავრობა ზღავს.

***ალგემაინე ცაიტუნგი***

# რას უქადის პანკისი თბილისსა და მოსკოვს?

თეთრი მელა კვლავ ყველას გაცურებას აპირებს: რუსეთს ცხვირწინ ანტიტერორისტულ ჯგუფებს უქმნის, ტერორიზმთან ბრძოლას კი არ ჩქარობს, რაც მოსკოვს აიძულებს, მიიღოს „პრევენტიული ზომები“, ეს კი ძალიან ანერვიულებს ოფიციალურ თბილისს.

თუ ხეობაში ბოევიკთა ბანაკები არ განადგურდება, რუსეთს ყოველ წუთს უნდა ეშინოდეს საქართველოსი და მაშინ ჩეჩნეთში კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარება განახლდება, სწორედ ასეთი „გავარვარებული ტაფის“ ტაქტიკას მისდევენ ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერები. მათი მიზანია, აიძულონ რუსეთი, საქართველოს ტერიტორიაზე გააჩაღოს ომი. ეს სიტუაცია ძალიან დაძაბავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას და შეარყევს შევარდნაძის პოზიციებს საქართველოში, რადგან მის ანტირუსულ განწყობილებას ბევრი არ იზიარებს. თუ ის ზურგს შეაქცევს რუსეთს, მაშინ შეიძლება ძალაუფლებაც დაკარგოს. შევარდნაძე, ავად თუ კარგად, მაინც აკონტროლებს სიტუაციას ქვეყანაში, ის წავა და მეტისმეტად პოლიტიზებული საქართველო შეიძლება მთლიანად პანკისის ხეობად გადაიქცეს, რაც რუსეთს არაფრით არ აწყობს. ეტყობა შევარდნაძემ ეს კარგად იცის, ამიტომაც თამაშობს რუსეთის ნერვებზე.

***კომერსანტი №134***

# რუსეთის და აშშ-ის განხეთქილების ვაშლი



რუსეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული ჩეჩნური ჯგუფების გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოსადმი რუსეთის პრეტენზიები ცუდ იმიჯს უქმნის რუსეთს და ემუქრება რუსულ-ამერიკულ ურთიერთობას, — თქვა აშშ-ის არმიის სამხედრო კოლეჯის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის პროფესორმა **სტივენ ბლანკმა**.

**— რუსულ-ქართული შეჯახების უკანასკნელ ეპიზოდში აშშ-მა საქართველოს მხარე დაიჭირა. როგორ ახსნით ვაშინგტონის პოზიციას?**

— ჩეჩნების პანკისში ყოფნის ფაქტს არავინ უარყოფს, თანაც ქართული მხარის მოქმედება მათ გასანეიტრალებლად ნაკლებეფექტური ჩანს; მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ითუმ-ყალესა (სადაც ერთმანეთს შეეტაკნენ რუსული არმია და ჩეჩნები) და პანკისის ხეობას შორის დიდი მანძილია. თუ ამას დავუმატებთ რუსეთის გენერლების ნეგატიურ დამოკიდებულებას შევარდნაძისადმი და მათ აშკარა სურვილს, ჩეჩნეთის ომი საქართველოს ტერიტორიაზე გადაიტანონ, (რადგან სჯერათ, რომ ეს მათი გამარჯვების საწინდარი იქნება), გასაგებია აშშ-ის სურვილი — მხარში ამოუდგეს საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის წინააღმდეგ. ეს კარგს არაფერს მოიტანს, მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების ხაზს გააფართოებს, საშიშროებას შეუქმნის საქართველოს ისედაც სუსტ სტაბილურობას და რუსეთსაც საშიშროებას უქადის.

**— იქნებ სჯობს, საქართველომ და ამერიკამ ყურად იღონ რუსეთის იდეა და ერთობლივად უზრუნველყონ პანკისის ხეობის უსაფრთხოება?**

— ამ იდეების რუსეთის არმიასთან ერთად განხორციელება თითქმის შეუძლებელია. რუსეთის სამხედრო ისტებლიშმენტი აშშ-სთან თანამშრომლობას ეწინააღმდეგება, ჩეჩნეთში ოპერაციის პასუხისმგებლებს ნაკლებად ადარდებთ რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესები. სხვათა შორის, ეს ყველაფერი მე რუსეთის გენერლებს პირადად მოვახსენე. ისინი იმავე შეცდომას სჩადიან, როგორც აშშ ვიეტნამის ომის დროს, როცა კამბოჯაში გადაიტანა ომი.

ჩვენ გვინდა საქართველოს არმიის განმტკიცება, რათა მან შეძლოს პანკისის ხეობის ეფექტურად გაკონტროლება.

**— როგორ იმოქმედებს ეს სიტუაცია ამერიკულ-რუსულ ურთიერთობებზე, მათ ერთობლივ ბრძოლაზე ტერორიზმთან?**

— გაუგებარია, რა აქვს მოსკოვს განზრახული. რუსეთისა და ირანის ბირთვული თანამშრომლობის გეგმამაც ძალიან განარისხა პრეზიდენტი ბუში. ორ ქვეყანას შორის მანამ არ დამყარდება მჭიდრო ურთიერთობა, ვიდრე მოსკოვი თავს არ დაანებებს ვაშინგტონის ინტერესების უარყოფას.

***რადიო სვობოდა, ნიუ-იორკი***

# ამბავი მამაცი ქართველი მწყემსისა



საქართველოს საზღვრის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე მწყემს ლევან თელიძის საქართველოსთვის გადაცემას ითხოვს — მწყემსმა უკანონოდ გადაკვეთა საზღვარი, რითაც კანონმდებლობა დაარღვია. გასარკვევია, რატომ გადაკვეთა საზღვარი თელიძემ და მიაშურა რუსეთის მესაზღვრეებს და არა ქართველებს. არსებული ინფორმაციით, ლევან თელიძეს კონფლიქტი ჰქონდა სოფელ გირევის მცხოვრებლებთან, რომლის შემოგარენიც მერე რუსეთის ავიაციამ დაბომბა.

რუსეთის ხელისუფლებამ მაღალი შეფასება მისცა ფხიზელ ქართველ მწყემსს, პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა თელიძე დააჯილდოვა ორდენით „მამაცობისათვის“. პუტინის აზრით, ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ საქართველოს რიგითი მოქალაქეები უკეთ არიან განწყობილნი რუსეთისადმი, ვიდრე ოფიციალური პირები. რუსეთში ქართველი მწყემსი თითქმის კულტად იქცა — რუსეთის ყველა ტელეარხი დილიდან საღამომდე მხოლოდ მას უჩვენებს. გამოდის, რომ ეს უბრალო ქართველი „დიდი პოლიტიკის“ მსხვერპლი ხდება. პირველი ნაბიჯიც გადადგმულია: თუ უკომპრომისო ჩხეიძეს დაეჯერება, საქართველოს ამ მოქალაქემ თავისი ბოლმა საერთაშორისო სარბიელზე გაიტანა და საძულველ სოფელზე რუსული ბომბებით იძია შური. ისე კი, საეჭვოა — ეს საცოდავი მწყემსი ნუთუ ისეთი დაუნდობელია, რომ მთელი სოფელი აიკლო ორი თხის გამო?

მწყემსმა ორდენი კი მიიღო და ალბათ „დაასველა“ კიდეც. მაგრამ, მერე ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცის...

დაძაბულობის ზღვრამდე მისული კონფლიქტი, როგორც ჩანს, რაღაც თამაშის გამო შეჩერდა — გუშინ თუ რუსი სამხედროები იმუქრებოდნენ — პანკისს გავწმენდთო, დღეს ცალი ყბით აცხადებენ, — არავის ომისკენ არ მოვუწოდებდითო. ქართველებიც უფრო მშვიდად მსჯელობენ — პანკისის ხეობას თავად მოვუვლითო, თანაც რუსეთსაც აღარ სწამებენ აგრესორობას.

მთელი ამ დომხალიდან, მხოლოდ ქართველი მწყემსი დარჩა — თავისებურ ადვილად გადასაადგილებელ ფიგურად...

***გაზეტა რუ***

# რუსეთი საქართველოს შეიარაღებული თავდასხმით ემუქრება

მოსკოვი საქართველოს შეიარაღებული თავდასხმით დაემუქრა, იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელის მთავრობა ბოლოს არ მოუღებს ჩეჩენთა გადაადგილებას პანკისის ხეობაში. მრავალი გაფრთხილების შემდეგ მოსკოვი პირდაპირ შეტევაზე გადავა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა მუქარით აღნიშნა, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს, თუ არა რუსეთის სამხედრო ძალის გამოყენებაო. ბოლოს კი, რუსმა გენერალმა გეორგი შპაკმა განაცხადა: „ჩვენ ჯარისკაცები ვართ, თუ გვიბრძანებენ, ჩვენს მისიას შევასრულებთ“.

***მონდი***

# რა ქნას რუსეთმა?

**ვიაჩესლავ ნიკონოვი, პოლიტოლოგი:**

— ამერიკელებს უნდა მოველაპარაკოთ. სხვა ვერავინ იმოქმედებს საქართველოს ხელმძღვანელობაზე. შევარდნაძე აზროვნებს და იქცევა ისე, როგორც მსოფლიო ბიოპოლარული პერიოდის სუპერსახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი. ის სრულიად არაადეკვატურია. ვფიქრობ, აჯობებდა, რუსეთ-ამერიკას ერთობლივად გაეწმინდათ ხეობა.

**ალექსანდრ ბოვინი, რუსეთის ყოფილი ელჩი ისრაელში:**

— ჯერ ჩეჩნეთში უნდა დამთავრდეს ომი და ხეობის პრობლემა თავისით მოგვარდება.

**ნიკოლაი სვანიძე, ტელეწამყვანი:**

— ხეობა უნდა გაიწმინდოს ბანდიტებისაგან. რუსეთმა და საქართველომ მაქსიმალურად პატიოსანი და ეფექტური მოლაპარაკება უნდა აწარმოონ. საქართველო მარტო ვერაფერს შეძლებს. ვერც რუსეთი გააკეთებს რაიმეს საქართველოს გარეშე.

**გიორგი დანელია, კინორეჟისორი:**

— ეს საქართველოს პრობლემაა. რუსეთმა მხოლოდ მესაზღვრეები უნდა დააყენოს, მაგრად ჩაკეტოს საზღვარი — მორჩა და გათავდა!

**ზურაბ წერეთელი, მოქანდაკე:**

— ქართველი კი ვარ, მაგრამ პოლიტიკაში არ ვერევი.

***რუსული პრესის მიხედვით***

CMYK



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაწაწინები გვინიოხობენ

**ლაშა ჯავახიშვილს** მამა ეუბნება:

— გარეთ რომ გახვალ, ქუდი დაიხურე, ცუდი მზეა, თავში ჩაგივარდება.

ლაშამ გაოცებით შეხედა და ჰკითხა:

— ლოგოლ ჩამივარდება, თავი გახვრეტილი მაქ?

***

**პატარა თეკლა** და **ნუცა** დეიდაშვილები არიან. თეკლა 4 წლისაა, ნუცა — ორის. ამ ზაფხულს ერთად ისვენებდნენ ბაკურიანში...

თურმე ნუცამ აიტეხა — ტოტა მინდა, ტოტა მინდაო...

გვერდით მყოფმა დამსვენებლებმა გაიკვირვეს — რას ითხოვს, რა უნდაო...

თეკლამ „განუმარტა“:

— ნი უნდა, ნი...

სულ გაშტერდა ხალხი (თურმე თეკლას ენაზე „სოსკას“ „ნი“ ერქვა, ნუცას ენაზე — „ტოტა“).

***

**5 წლის გივიკო ლომინეიშვილი** დედას ეკითხება:

— დედიკო, მზესუმზირას თვალები აქვს?

— არა, შვილო...

— აბა, მზეს როგორ უყურებს?

— მზისკენ არის მიბრუნებული...

— მზე რომ ჩადის, მერე საით იყურება მზესუმზირა?

***

**3 წლის ნიკუშა მარგიევს** ბურთი ჩაეფუშა. მივიდა დეიდაშვილთან და ეუბნება:

— გიო, ბურთი ამიფუშე, რა.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ტყავი ფასობს, ხორცი – არა, ქათმებს დასდევს წარამარა“.






რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა

## იპოვე 11 განსხვავება





რომელი მიაღწევს ბარტყთან, დედა ჩიტი თუ მამა ჩიტი?




იპოვე ორი ერთნაირი კატა



IV ლოგიკური თანამიმდევრობის გათვალისწინებით გამოიცანი ჩარჩოში მოქცეული სურათებიდან, რომელი სამი სურათი შეიძლება დავუმატოთ მარცხნივ მოცემულ, თითოეულ (ჰორიზონტალურ) რიგს

## II რებუსი






## V აბა, გამოიცანი

1) ვის დაალევინეს ძალით ღვინო „ჩხიკვთა ქორწილში?“

ა) თომას; ბ) ზაქარას; გ) კოდალას; დ) წრუწუნას.

2. რომელი მცენარის რტო მიუტანა კიდობანში დაბრუნებულმა მტრედმა ნოეს?

ა) ლეღვის; ბ) ვაზის; გ) ზეთისხილის; დ) დაფნის.

3. რა ეწოდებოდა ძველად ცისკრის ვარსკვლავს?

ა) მარსი; ბ) მერკური; გ) მთიები; დ) ვენერა.

4. რომელ ხალხურ თამაშობა-სანახაობას უკავშირდება ქართული თეატრის ისტორია?

ა) ბერიკაობას; ბ) ფარიკაობას; გ) ჭიდაობას; დ) ლახტს.

## ჭიავოხლი

| მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმების აგებულების შესახებ | ლევან გოთუა, „გმირთა ...“ | საზოგადოებრივი სისუფთავისა და ჯანმრთელობის დაცვა | „თუ ჩემი ხარ, ებ ბეჭედი ...“ (სიმღ) |
|---|---|---|---|
| | | | |

| ... კარენინა | რაიმე გამოცემის ცალკე წიგნი | ფილმი რაჯ კაპურის მონაწილეობით | ბედის გამომცნობი, მკითხავი, მჩხიბავი | რაიმე იარაღის სახელური | ანჩხლი, კაპასი | ნუსხა |
|---|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# — ქართველი მსახიობი ისე თამაშობს, თითქოს ხვალ უნდა მოკვდეს

## — რობერტ სტურუა

***აქ ვერც სიცხეს იგრძნობ, ვერც დაღლას, ვერც წყურვილს... უცებ თავისუფლდები ჩვეულებრივი, ყოველდღიური პრობლემებისაგან და მუზების სამყაროს კარს აღებ... მაგიდაზე ბეკეტის წიგნი, ცოტა ყავა, ბევრი სიგარეტი... ახალი შედევრის მოლოდინში ემოციებით დამუხტულა ჰაერი... თეატრალური სეზონი კარგა ხანია დაიხურა. ქუჩაში სუნთქვა არ შეიძლება, ისე ცხელა... აქ კი... ვითომც არაფერი.... რობერტ სტურუა ახალ სპექტაკლს დგამს.***

დაუზუსტებელი პროგნოზით, შემოდგომაზე რუსთაველის თეატრში შედგება პრემიერა სამუელ ბეკეტის პიესის „გოდოს მოლოდინში“ — მიხედვით დადგმული სპექტაკლისა. შემოდგომაზევეა დაგეგმილი ბეკეტის „კრეპის უკანასკნელი ფირის“ პრემიერაც, ოღონდ მოსკოვის თეატრ Et Cetera-ში. მას ბატონი რობიკო სპეციალურად ალექსანდრე კალიაგინისთვის დადგამს...

„რეჟისორი მუშაობს ცოცხალ ადამიანებთან; არ შეიძლება აიძულო ეს ხალხი, აკეთოს მხოლოდ ის, რაც შინ, პატარა მაგიდასთან მოიფიქრე. რეჟისორის შემოქმედება სწორედ რეპეტიციებზე შლის ფრთებს. წინასწარ თხზავ სცენას, მიდიხარ რეპეტიციაზე და იწყება ის, რასაც შეიძლება უწოდო თეატრალური სასწაული — როცა მსახიობებთან ერთად აგებ რაღაცას, თითქოსდა სივრცეში უკვე არსებულს, და მერე ეს რაღაც სცენაზე გადმოგაქვს“ — წერდა ბატონი რობიკო.

კიდევ ერთი სასწაული მწიფდება ყოველდღიურად — ირლანდიელი დრამატურგის კომედია თანდათან ერგება რუსთაველის თეატრის სცენას...

ჩვენი ინტერვიუც რეპეტიციის შემდეგ შედგა...

**— „ის ჩემკენ მოდიოდა, მე კი ვცდილობდი „დამქაკუთრებინა“, განუყოფლად ჩემი გამეხადა. ძალიან ვეჭვიანობდი სხვა პედაგოგების მიმართ... რობერტს წარმოსახვის უშრეტი უნარი გააჩნდა. ის, რაზეც მე ფიქრი და მუშაობა მიხდებოდა, მისთვის იოლი, ძალდაუტანებლად მისაღწევი იყო... ზოგჯერ მწყინდა კიდეც, რომ, ჩემგან განსხვავებით, იგი სრულიად თავისუფალი იყო სტერეოტიპებისაგან... მან თავისი ნიჭით, რომლითაც არავის ჰგავდა, ჩემში ცნობისმოყვარეობა, ინტერესი გააღვიძა და მეც უყოყმანოდ ჩავრიცხე იგი ჩემი თეატრალური შვილების სიაში...“ — ასე იხსენებს თქვენი სტუდენტობის წლებს თქვენი პედაგოგი — ბატონი მიშა თუმანიშვილი. თქვენ როგორ გახსოვთ ეს პერიოდი?**

— ჩემთვის ეს უბრწყინვალესი დრო იყო. ჩვენს პროფესიაში უმნიშვნელოვანესია კარგი პედაგოგი რეჟისურაში. მახსოვს, პირველი ლექცია ბატონმა დოდო ალექსიძემ ჩაგვიტარა და ასეთი რამ გვიამბო: „როცა მეიერჰოლდმა რეჟისორების კურსი აიყვანა, რომელილაც სტუდენტმა ჰკითხა — რა სახელმძღვანელოები უნდა გამოვიყენოთ სწავლის დროსო. გადაშალეთ რვეულებიო, — უთქვამს მეიერჰოლდს. სტუდენტებიც მოემზადნენ ჩასაწერად. ის კი ერთი საათის განმავლობაში კარნახობდა — „Жизнь, жизнь, жизнь...“ მე არ ვიცი, მეიერჰოლდი როგორი მასწავლებელი იყო, მაგრამ ტოვსტონოგოვმა მოახერხა და ეს პროფესია ხელობად აქცია. ამიტომ ძალიან რთულია — კაცმა, რომელიც ემსახურება ამ ხელოვნებას, აქედან გამოყოს ხელობა და ასწავლოს პროფესიის საიდუმლო ძალიან პრიმიტიულად... ისეთივე რთულია, როგორიც... მაგალითად, ფეხსაცმლის კერვა... კანონები ერთია... როცა იცი, როგორ შეკერო ფეხსაცმელი, მერე იწყება ხელოვნება — ვიღაც გამოჩნდება გენიალური იდეებით სავსე და შექმნის რაღაცას — და ეს რაღაც, მართალია, ფეხსაცმელია, მაგრამ ამავე დროს — ხელოვნების ნიმუშია. ჩვენ, სტუდენტები, მეორე კურსზე პედაგოგის გარეშე დავრჩით — თვითონ დაგვტოვეს, არ გაგვიგდია არავინ, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ვერ გვასწავლიდნენ. ჩვენც პატარა შეთქმულება მოვაწყვეთ და გამოვაცხადეთ — აღარ ვივლით ინსტიტუტში, თუ არ დაგვინიშნავთ თუმანიშვილს... პირველ ლექციაზე ორი საათი შეუჩერებლად ილაპარაკა... ჩემთვის ყველაფერი იმ დღეს დაიწყო — ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეჩვენებოდა. ბატონ მიშასთან ერთად გატარებული სამი წელი იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო ხანა.

**— „კავკასიურ ცარცის წრეში“ არის ასეთი ფრაზა — „კანონს არღვევდა, როგორც ძველ ღობეს“... ყველაზე მეტად ეს ფრაზა თქვენ შეგეფერებათ...**

— დაკვირვება თეატრალური ხელოვნების ნაწილია. მამაჩემი სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლდათ. რატომღაც ისე მოხდა, რომ მე არ მენახა იმპრესიონისტები. მე-7 კლასში, ჩემს მეგობართან მივედი — შალვა ნუცუბიძის შვილიშვილთან, რომელსაც არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა ჰქონდა... „ა, ფორმალისტური ხელოვნებით ხარ გატაცებული?“ — ვკითხე უცებ... გადავშალე ალბომი და გავშეშდი... ის წუთი მუდმივად დარჩება ჩემს მეხსიერებაში... პირველი ფურცლიდანვე შემეფეთა დეგას „ცისფერი ბალერინები“... ნამდვილი ხელოვნების თვისებაა — როცა მხატვარი გიჩვენებს იმავე სამყაროს, მაგრამ უცბად უჩვეულო თვალით დანახულს... ხელოვანები არღვევენ კლასიკურ კანონებს, ამავე დროს ქმნიან ახალს... მე მგონია, თუ თეატრს ემსახურები, ეს თვისება გაძლიერებულად უნდა გქონდეს. როცა საყვარელ მსახიობს ახალ, მისთვის სრულიად მოულოდნელ მდგომარეობაში ხედავს, ეს მაყურებლისთვის უდიდესი ბედნიერებაა — ვარდება შოკში, ვერც ცნობს, თუნდაც გრიმის გარეშე... ამბობენ, რომ ყოველი სპექტაკლი ახალი სამყაროს აღმოჩენაა, ყოველი დრამატურგიც ცალკე სამყაროა. შენ ამ სამყაროს კანონები უნდა გაიგო და მერე შენებურად ახსნა... ყველა სხვადასხვანაირად ხედავს, მაგრამ ობიექტურობა ხომ არსებობს?

**— ხელოვნების და ხელოვანების მიმართ აღტაცებას და თაყვანისცემას სხვადასხვაგვარად გამოხატავენ. იყო დრო, როცა თბილისის ქუჩებში იბრძოდნენ... დაინგრა უამრავი სახლი, პირველი სკოლა, სასტუმრო „თბილისი“... გადარჩა რუსთაველის თეატრი... ამ ომის ამსახველ კინოკადრებში ისმის ასეთი ფრაზა — „რუსთაველის თეატრს გადაუდექით, ბიჭო!“ იმ საშინელ ორომტრიალში ვიღაც თეატრზე და ხელოვნებაზე ფიქრობდა... შეიძლება ის ბიჭები დღეს აღარც არიან... ანდა ვეღარც მოდიან თეატრში...**



— ძალიან მიკვირს, როგორ ივსება დღეს ჩვენი დარბაზი. ისეთ დღეშია ხალხი, რომ ბევრს არ შეუძლია ბილეთის შეძენა და სპექტაკლზე დასწრება... როცა გაჭედილ პარტერს ვხედავ, ცრემლი მერევა, ეს მაქსიმალური გამოხატვაა ჩემი გრძნობის — რომელსაც ვმალავ.

...თბილისის ომი რომ დაიწყო, ფინეთში ვდგამდი სპექტაკლს და რამდენიმე დღით ადრე საშობაო არდადეგებზე წავედი პარიზში. სასტუმროში გავიგეთ მე, ჩემმა მეუღლემ და ორმა ვაჟიშვილმა, რომ ჩვენს ქალაქში ომია. გარეთ არ გავსულვართ. გამუდმებით ვრეკავდით ახლობლებთან, მეგობრებთან... შემდეგ თბილისიდან ჩამოვიდა გოგი მესხიშვილი და ჩამოგვიტანა ამბავი — თითქოს განგების ძალით ცეცხლი თეატრის კედლებთან შეჩერდაო...

მერე გავიგე, რომ სახურავი იწვოდა თურმე, ვიღაცები ავიდნენ და ჩააქრეს. გავიგე ისიც, რომ გაცემული იყო არაოფიციალური ბრძანება — თეატრს არავინ გაკარებოდა და მართლაც გადარჩა იმ ადამიანების წყალობით, რომელთა სახელებიც კი არ ვიცით. მაგრამ, რადგან მე ცოტა პარადოქსულად ვაზროვნებ, ისიც მინდა ვთქვა, რომ ვიღაცები მაინც შეცვენილან თეატრში და რეკვიზიტიდან ტანსაცმელი და რაღაც ნივთები წაუღიათ. მაშინ გავამართლე ის ბიჭები — ალბათ სციოდათ და ამიტომ ახლეს ხელი... ყველაზე დიდი ტრაგედია ისაა, რომ ამ საშინელმა ომებმა უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლა. მეთაურები უსასტიკესად მოეპყრნენ ამ ბავშვებს — არაფერი ასწავლეს, მიაჩეჩეს იარაღი და პირდაპირ სასაკლაოზე გაუშვეს. ჯერ სიამაყის გრძნობა დამებადა, როცა გავიგე, რომ ამდენი პატრიოტი აღმოჩნდა, შემდეგ ტკივილის — რომ ასე უაზროდ გაწირეს თავი. ვინც გადარჩა და დღეს ჯარების სათავეში დგას, მესმის, რომ ბოლომდე მათი ბრალი არ იყო, მაგრამ სულ იმ პატარა ბიჭების სახეები მიდგას თვალწინ და დღევანდელ ჩინოსნებთან ურთიერთობაში ხელს მიშლის...

**— თქვენი სპექტაკლები წლების მანძილზე არ ტოვებს სცენას, არ ძველდება, დროს უსწრებს... უამრავი რამ მათში, რაც თავს გადაგვხდა, დიდი ხნის წინ გათვალეთ... წინასწარმეტყველებაზე რას ფიქრობთ?**

— ამას სერიოზულად რომ მივუდგე, მაშინ საკუთარი თვისებები უნდა დავკარგო, ამიტომ ჩემს წინასწარმეტყველებას ირონიით ვუყურებ. იმ მძიმე პერიოდმა ჩემზე ძალიან იმოქმედა და 1992 წელს ავად გავხდი — კუჭი გამისკდა. ექიმებმა სასწრაფო ოპერაცია მირჩიეს — უზარმაზარი ნახვრეტი გაქვს კუჭზეო — მითხრეს. როცა შემატყვეს, რომ ვყოყმანობდი — სიმსივნეა, ბოლოს და ბოლოსო, — გამომიცხადეს... ქირურგის უკან მათი ახალგაზრდა კოლეგა იდგა, რომელმაც მანიშნა — არ დათანხმდეო. მეც, რატომღაც არ დავთანხმდი. ღამით ძალიან ბევრი სისხლი დავკარგე და თითქოს ვბოდავდი კიდეც. „მივმართე“ ჩემს ორგანიზმს — თუ ხართ მანდ ვინმე, შეიკრიბეთ, წადით კუჭში და მოუარეთ, ისე, რომ ჩემი ავადმყოფობის ნიშანიც არ დატოვოთ-მეთქი. მართლაც ოც დღეში ჩემი ავადმყოფობის კვალიც ვერ იპოვეს ექიმებმა. არ დავიჯერე... რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემმა გერმანელებმა მეგობრებმა შემომთავაზეს — ჩამოდი და სპეციალურ კლინიკაში მოგათავსებთო. ჩავედი... მაშინ კი გადავწყვიტე ოპერაციის გაკეთება... სამი დღე მამზადებდნენ... ყველანაირად გამომიკვლიეს და უკან გამომიშვეს — არაფერიც არ გჭირსო... მერე კიდევ გავაგრძელე ექსპერიმენტები და რაღაცები მოვირჩინე — საკუთარი ძალის მეშვეობით. ეს რომ სერიოზულად აღვიქვა, უნდა ვირწმუნო, რომ ექსტრასენსის თვისებები მაქვს... არ მინდა ამ სულელურ წიაღში შეჭრა და იუმორისტული ურთიერთობა მაქვს ამ ძალებთან. შეიძლება ეს უბრალო დამთხვევაა, როგორც ჩემი წინასწარმეტყველება. ალბათ ქვეცნობიერად ვგრძნობ, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, კომპიუტერი თუ აკეთებს ამას, რატომ ვერ შეძლებს ადამიანი — მას ხომ უფრო განვითარებული „მანქანა“ უდევს თავში. ამიტომ, არც მისტიკურად ვუდგები ჩემს „ნიჭს“. ნორმალური ხელოვანი ალბათ ამითაც გამოირჩევა სხვებისგან — ის იმდენად იძირება საკუთარი სამშობლოს, ოჯახის, მეგობრების პრობლემებში, რაღაც პროცესის ნაწილი ხდება და ინტუიციით გრძნობს, საით მიდის ეს პროცესი. ალბათ ამიტომ არის, რომ ბევრი ცნობილი ან ნაკლებად ცნობილი, მაგრამ ნიჭიერი მწერალი თუ მხატვარი, მომავალს ჭვრეტს და ცდილობს, გააფრთხილოს ხალხი. ასე რომ, სერიოზულად ნუ მიიღებთ ჩემს წინასწარმეტყველებებს...

**— არსებობს გამოთქმა — რობერტ სტურუას ფავორიტი მსახიობები... ასე გამოკვეთილად გამორჩეულები არიან ისინი თქვენთვის?**

— ეს მარტო ჩემზე არ ითქმის. ყველა რეჟისორს ჰყავს ამორჩეული მსახიობები. პირველ რიგში, მე მგონია, ჩემს ფავორიტებში უნიჭო ხალხი არ არის. შეიძლება, ყველას ერთნაირი ტალანტი არ ჰქონდეს, მაგრამ მე მაინც ნიჭის პრინციპით ვაფასებ. არის შემთხვევა, როცა ძალიან დიდი შესაძლებლობების მქონე მსახიობი ამ წრეში არ არის — ეს იმიტომ არ ხდება, რომ ის უნიჭოა. მაგალითად, მე საქართველოში არასდროს დამიდგამს მოლიერი და ალბათ არც დავდგამ. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მოლიერი უნიჭოა... უბრალოდ, რაღაცნაირად ჩემთვის არ დაკავშირდა აქაურობასთან... მე მოლიერი დავდგი ისრაელში. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი კარგი გამოვიდა, მაინც ვგრძნობ, ის ჩემი დრამატურგი არ არის. თუმანიშვილისთვის პირიქით. ის მოლიერზე გიჟდებოდა... ახლახან „ჰამლეტი“ დავდგი ლონდონში, ძალიან მოკლე პერიოდში — მეექვსე კვირას უკვე პრემიერა იყო. როცა მაყურებლის წინაშე წარვდექით, ჩემთან მოვიდა — კლაუდიუსის როლის შემსრულებელი და მითხრა — მხოლოდ ახლა მივხვდი, რას ვდგამდით, ახლა უნდა დავიწყოთ თავიდან მუშაობა... რეპეტიციებზე იქმნება გარკვეული ენა, ლექსიკონი... რამდენიმე თეატრმცოდნე იწერდა ჩემს რეპეტიციებს და მერე მთხოვეს — გვინდა გამოვაქვეყნოთო. წამაკითხეთ მაინც-მეთქი. რომ დავხედე, შემეშინდა. ჩვეულებრივი მკითხველი ამას რომ წაიკითხავდა, იფიქრებდა, რომ ეს არის კრეტინების საუბარი. ეს შეიძლება არც იყოს ენა... ურთიერთობა იმ დონემდეა მისული, ჩემი ერთი მიმიკა, ერთი გამოხედვაც კი საკმარისია, რომ გამიგონ მსახიობებმა, არ ვსაუბრობ რთულ მატერიებზე. მსახიობებთან უნდა ილაპარაკო ადამიანურ დონეზე — პერსონაჟების მოქმედებები, ამ მოქმედებათა მოტივები, სურვილები — ყველაფერი ადამიანურ დონეზე უნდა იყოს. სხვანაირად, უბრალოდ არ გამოვა.. მას უნდა აუხსნა ცხოვრებისეულად — რომ აღელდეს, გაიხსენოს საკუთარი, და ახლობლების ცხოვრება. ამიტომ მე მჭირდება ადამიანი, რომელთანაც არ დავხარჯავ ამდენ ენერგიას. ისედაც ჩვენი ჩანაფიქრების მხოლოდ 10-15% ხორციელდება და კიდევ დროის ხარჯვა პატარა ინტრიგებში — უაზრობაა. მსახიობობა ძალიან ტრაგიკული პროფესიაა. ამიტომ იმ შურს, რომელიც მათ გააჩნიათ და იმ საქციელს, რომელიც უბრალო ადამიანმა შეიძლება ინტრიგად ჩათვალოს, მე მათ ვაპატიებ, რადგან ეს შემზარავი პროფესიაა, რომელიც თავმოყვარეობას თრგუნავს... თავმოყვარე ადამიანი თეატრში აბსოლუტურად ვერაფერს გააკეთებს... რა თქმა უნდა, შენ უნდა დარჩე თავმოყვარედ, მაგრამ უნდა აჯობო საკუთარ ამბიციებს და ზოგ შემთხვევაში კომპრომისებზეც წახვიდე, რომ რაღაც დიდ გამარჯვებას მიაღწიო...

**— როგორი მაყურებელი და მკითხველი ხართ? ალბათ თქვენი წარმოსახვა არ გაძლევთ საშუალებას, უბრალოდ უყუროთ ფილმს ან სპექტაკლს, ან უბრალოდ იკითხოთ...**

— მე მგონი ნორმალური მაყურებელი ვარ. ჩემი ბოლო გატაცებაა ამერიკული თრილერები, რადგან მირჩევნია ის ორი საათი, რომელიც ძალიან სერიოზული კინოს ყურებაში უნდა დავხარჯო და მოვიწყინო, გავატარო ძალიან სერიოზული წიგნის კითხვაში. სამწუხაროდ, იმდენად გადაღლილი ვარ, რომ თეატრში აუცილებლად დამყავს ვიღაც ადამიანი, რომელმაც ხელი უნდა მკრას და გამაღვიძოს, როცა დავიძინებ (და მე მეძინება ზუსტად მეათე წუთზე, იმის მიუხედავად, როგორიც არ უნდა იყოს სპექტაკლი), რადგან საშინლად ვხვრინავ. მეძინება როკ-კონცერტებზეც... როცა მოსკოვში სპექტაკლებზე დავდივარ, დამყავს ლიტერატურული ნაწილის გამგე, რომელიც ვერ ახერხებს ჩემს გამოღვიძებას, ვერ მარტყამს... რაც შეეხება კითხვას... ერთადერთი (კინოზე უფრო მეტად) საშუალებაა, რომ განვვითარდე, ახალი იდეები შემემატოს...

**— მიუხედავად გადმოცემებისა და წაკითხულისა, ჩემმა თაობამ ზუსტად არ იცის, როგორი რეჟისორი იყო მარჯანიშვილი ან ახმეტელი... გავა კიდევ ერთი საუკუნე და ჩვენი შთამომავლები ზუსტად ვერ გეტყვიან, როგორი რეჟისორი იყო სტურუა, რჩება მხოლოდ ლეგენდები... რატომაა ამდენ ემოციასთან დაკავშირებული ერთი დღისთვის ცხოვრება?**

— ეს თეატრის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. კომუნისტების ეპოქაში, როცა ცენზურა არსებობდა, მწერლები წერდნენ რომანებს და ლექსებს და ინახავდნენ იმ იმედით, რომ გაივლიდა წლები და მათი ქმნილებები იხილავდნენ მზის შუქს... ჩვენ სპექტაკლებს ვერსად შევინახავდით. ამიტომ, თეატრი არსებობს მხოლოდ დღეს. როცა მეუბნებიან — რატომ არ გადაიღე „ყვარყვარე“, „ხანუმა“ და სხვა ბევრი სპექტაკლიო, მე ვამბობ, რომ არ მინდა. რადგან მერე, როცა ჩემი შვილიშვილი ნახავს, ის ვერ მიხვდება, რისი თქმა მინდოდა, შეიძლება იცინოს კიდეც... ამ ცოტა ხნის წინ, ტელევიზორში ვნახე სცენა „კავკასიური ცარცის წრიდან“ — როცა გრუშე გადადის ხიდზე. ვუყურებ — დგას ქალი მიკროფონით, კაცს კი თოკი უჭირავს... არც პანტომიმაა ფირზე, ეპიზოდი ამოგლეჯილია კონტექსტიდან... ნამდვილად პრიმიტიულად მომეჩვენა, აღვშფოთდი და სასწრაფოდ გადავრთე ტელევიზორი სხვა არხზე... ჯერ ერთი, ჩვენ სპექტაკლებში არ გვაქვს დეკორაცია. გარემო იქმნება მხოლოდ მაყურებლის წარმოდგენაში მსახიობების თამაშის სტილით და როცა ამ უზარმაზარ სივრცეს ტელევიზორში ვუყურებ, იქ უბრალოდ სიცარიელეა... მე პრინციპულად წინააღმდეგი ვარ სპექტაკლის ფირზე გადატანის.

იმ მემუარებით, რეცენზიებით და აბრეშუმის ჩანაწერებით ვხვდები, მარჯანიშვილი და ახმეტელი რა იყო, როგორ იყო... ვის ახსოვს ახლა, რა არის „ცხვრის წყარო“?! თუ ნახავენ, აღიქვამენ, რომ საშინელი გრიმებია, თმაგაწეწილი ქალები დარბიან და ვერ გამოიტანენ დასკვნას... მე, მაგალითად, მოვისმინე, კაჩალოვი როგორ კითხულობს პუშკინს, გავოგნდი, რადგან კი არ მეტყველებს, მღერის. ვმუშაობთ მხოლოდ ერთი წამისთვის. ეს ერთი წამი თუ ისე იცხოვრე, რომ ბოლომდე ჩადე მასში ყველაფერი, სიამაყის გრძნობასაც ბადებს შენში. რეჟისორის საერთაშორისო კრებული არსებობს, სადაც ჩემთან ინტერვიუც არის დაბეჭდილი. მეკითხებიან — რით განსხვავდება ქართველი მსახიობი სხვა ერების მსახიობებისგან? მე ვპასუხობ — ისინი ისე თამაშობენ, თითქოს ხვალ უნდა მოკვდნენ-მეთქი. საერთოდ, ქართველი კაცი გამოირჩევა ამ განცდით. ეს ყველა ერმა იცის, მაგრამ მალავენ, აგდებენ სადღაც შორეულ ქვეცნობიერებაში. ქართველი ამას არ მალავს, ამიტომ ცდილობს, ბოლომდე გაატაროს ცხოვრება ისე, რაც შეიძლება მეტი შეიგრძნოს, მეტი სიამოვნება მიიღოს...



**თეატრში აუცილებლად დამყავს ვიღაც ადამიანი, რომელმაც ხელი უნდა მკრას და გამაღვიძოს, როცა დავიძინებ (და მე მეძინება ზუსტად მეათე წუთზე, იმის მიუხედავად, როგორიც არ უნდა იყოს სპექტაკლი), რადგან საშინლად ვხვრინავ. მეძინება როკ-კონცერტებზეც... როცა მოსკოვში სპექტაკლებზე დავდივარ, დამყავს ლიტერატურული ნაწილის გამგე, რომელიც ვერ ახერხებს ჩემს გამოღვიძებას, ვერ მარტყამს...**

**P.S. 31 ივლისი ბატონი რობერტის დაბადების დღეა. „კვირის პალიტრა“ მომავალ თეატრალური დღესასწაულების მოლოდინში ულოცავს ამ დღეს და ჯანმრთელობას და უკიდეგანო წარმატებებს უსურვებს დიდ რეჟისორს...**

*ეკა მახარაშვილი*




**ბავშვივით ცელქი და ბავშვივით ნაზი ხარ, დღედაღამ ბავშვივით მუხლებზე მაზიხარ...**

**უმღერის ოთარ რამიშვილი გიტარას და ალბათ ვერავის წარმოუდგენია ეს დარდიმანდი, დიდი გულისა და დიდი სიყვარულის დამტევი ნაღდი თბილისელი კოლორიტი გიტარისა და სიმღერის გარეშე.**

**ოთარ რამიშვილის სიმღერები მისი გულიდან მოდის, ალალი და წრფელია. იქნებ იმიტომ, რომ მუსიკაც მისია, სასიმღერო ტექსტების უმთავრესი ნაწილიც და გიტარა ხომ მართლაც მხოლოდ მისია.**

**ოთარ რამიშვილი ამჯერად „კვირის პალიტრის" მკითხველს გვინდა წარვუდგინოთ როგორც ლირიკოსი, თავისი ახალი ლექსებით. აქვე გთავაზობთ მის რამდენიმე ძალიან ნაცნობ სასიმღერო ლექსს, რომელთა გამოქვეყნებაც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა გვთხოვეს.**

# ახალი ლექსები

* * *

გადარეცხა წვიმამ ქუჩა,
ცრემლი ღვარა მუჭა-მუჭა,
შევხედე და ჩემი შერცხვა,
გაიღიმა უცებ ზეცამ.
მზემ მინები აბრწყინა,
ჩუმად მკითხა: — რა გეწყინა?
მერე ისე შემომხედა,
მეც შემრცხვა და გამეცინა.

## მუსიკა

მუსიკას სული ზეცამდის აჰყავს,
მუსიკა მიწას აბრუნებს ღერძზე,
მუსიკას ქვეყნად ყველა სცემს თაყვანს
და მეც უმისოდ ვერც ერთ წამს
ვერ ვძლებ.

მუსიკას მოსდევს ეს გაზაფხული
და მზის ჰანგებით იღვიძებს ველი,
სიცოცხლესავით რომ არის რთული,
მით ძვირფასია და სასურველი.

## ბედაური

ღელის გაღმა ისმის ექო,
მაგ ფლოქვების თქარუნის,
ბედაურო, გეყოს, სდექო,
მონაწილევ მარულის...
ისე დაფრენ აღმა-დაღმა,
როგორც ხმელი ფოთოლი,
არ გემჩნევა სულაც დაღლა,
გაარიცე სოფელი.
ბედაურო, მოქნილი ხარ,
ლამაზი ხარ ქალივით,
ჩემთან ერთხელ მოფრინდი და
გაქრი იალქანივით.
შევიტყვე, რომ ერთი კაცი,
მოტაცებას გიპირებს,
იმედი მაქვს, რომ ხარ მკაცრი
და ვერ გადაგიბირებს...

## ღალატი

ჩვენში ღალატი ოდითგან მოდის,
დღესაც მოდიდან აღარ გამოდის!..

## წვიმა

მზე ღრუბლებში დაიმალა,
მტრედისფერი გახდა ზეცა,
დედამიწა ხელ-პირს იბანს
და იფარებს ცრემლის ზეწარს.
მაღლა ციდან მოფრენილი,
ჰარმონია წვიმის წვეთთა
და მიწასთან მათი შეხლა,
სიმფონიად მესმის ეხლა...

## ქუჩა

ყველა თავის საფიქრალით
ტკეპნის გზას და ტკეპნის შარას...
და მათ შორის ბედგამწყრალი
საიდუმლოს სულში მალავს.
ზოგი ღიმით, ზოგი სევდით,
მიმოყვება ნაცნობ ქუჩებს,
ეს ქუჩაა ჩვენი ბედი —
ზოგს კაცს ხდის და
ზოგს — აფუჩებს.

* * *

მე არაფერი არ შემცვლის, აწი,
ახლა ძნელია ჩემი გარდაქმნა,
დაბადებიდან არ ვიცი, რა მჭირს,
ასეთი ვარ და ახლა რაღა ვქნა?

## როდესაც

როდესაც მოვალ გვიან, დაღლილი,
გამოვაღვიძებ ბინას ხმაურით,
შენ აფეთქდები წამსვე, ნაღმივით,
ვათენებთ ღამეს აურზაურით...
იძინებს ღამე ცრემლით, ტირილით,
ვხვდებით განთიადს იით, გვირილით...

## ფიქრი

ფიქრი მაინც ფიქრია,
ფიქრს წუხილში არ თვლიან,
ფიქრი თოვლის ფიფქია,
ფიქრს თითებზე ითვლიან.
ფიქრი აგახმიანებს,
ფიქრი გაგჭვიანებს,
ფიქრი დაგაგვიანებს,
ფიქრი დაგაზიანებს.
ფიქრმა იცის მიჩვევა,
ფიქრმა იცის გადაღლა,
ფიქრი ფიქრით ირჩევა,
ხან უკუღმა, ხან წაღმა.

## დღეს კი დაგვრჩა იდეა

არც ხელფასი, არც პენსია,
არც გათბობა, არც გაზი,
სილატაკე შეგვესია,
დაგვდევს როგორც ნაგაზი.

ხალხის ბედი, არსებობა,
სულ ფეხებზე ჰკიდიათ,
წინათ რაღაც არსებობდა,
დღეს კი დაგვრჩა იდეა.

ზოგი ფიქრობს, ხვალ
რა ჭამოს,
სხვა კი ითვლის დოლარებს,
დაგვამსგავსეს ყველა კამოს,
უხელფასო მოლარეს.

## აღარაფერი აღარ მაკვირვებს

აღარაფერი აღარ მაკვირვებს,
წუთისოფელი გავლიე თითქმის,
ახლა მივყვები მე კლდის ნაპირებს
და ჩემს დარჩენილ პარასკევს ვითვლი.

როდესაც წავალ იმ ქვეყნად, მერე,
დამაფასებენ, ცრემლებს დაღვრიან,
ლამაზ ნეკროლოგს დაწერენ ჩემზე
და ჩემს საფლავზე თავებს დახრიან...

## ზღვაზე

გული უმღერის გულს,
თვალი უცქერის თვალს,
იქნებ რაიმე სურს
ამ გაღიმებულ ქალს.
მზე ეფარება ზღვას,
ქალი შესცქერის ცას,
ზღვა ეფერება ქალს,
იქნებ რაიმე თქვას.
ვერც მე, ვერც მზე და ზღვა,
ვერც ერთი ვბედავთ თქმას,
ქალი ზღვის პირას დგას
და ელოდება სხვას.

# ამღერებული ლექსები

## ბულბული

ბულბულის სტვენა, შაშვის გალობა,
გედის სიმღერა და დედის ნანა.
ასე ტკბილია, ასე თბილია
ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა.

მესმის გალობა ედემის ბაღში,
მესმის, რომ გალობს ნაზი ბულბული,
სიოს ჩურჩულში, ფოთოლთ შრიალში,
ვუსმენ და ვტკბები გატაცებული.

როგორ ვინატრე, მეც რომ მქონოდა,
ნარნარი ხმა და წარმტაცი ბგერა,
რა იქნებოდა, მეც შემძლებოდა,
იმ ბულბულივით ნაზი სიმღერა.

## რამ დაგაღონა

მითხარ, რად ხარ მოწყენილი,
რამ დაგაღონა.
ვინ გატკინა ეგრე გული,
ჩემო გოგონა?
ვინ გადინა ეგ ცრემლები,
ვინ აგატირა.
ჩემო კარგო, შენი წყენა
ვინ დააპირა.
შენ იყავი ჩიტუნია,
მე კი ვერხვის რტო.
ჩემს ფოთლებში შენთვის ბინა
მინდა ვიპოვნო.
დაიბუდე, რომ არავინ
აღარ გატიროს
და ცრემლების ნაკადული
არვინ გადინოს.
მაშ, იფრინე და იჭიკჭიკე,
გაშალე ფრთები.
მეც გალობით მოხიბლული
შენი ვიქნები.

## ამ შორეულ ღამეში

ამ შორეულ ღამეში,
ნეტავ სულ არ გამეშვი...
ვიცი, დამსჯის განცდები,
ამ თვალებს რომ გასცდები.

საით წახვალ ნეტავ შენ,
ან რას ეტყვი დედაშენს.
დედა არ გაგრიყავსო,
თუკი ეტყვი, მიყვარსო.

სიყვარულმა დამტოვა,
სხვისკენ შეიფრთხიალა.
ახლა ისევ მარტო ვარ,
გულს აკვნესებს იარა.

ამეშალა ნერვები,
აშლილია გიტარა,
ასე იცის ყველაფრის
გულთან ახლოს მიტანამ.

## მარტის თვეა შენი

მარტის თვეა შენი, შენს ხასიათს შვენის,
აპრილი სულ აგაჭრელებს ფერებით.
შენ ნუკრი ხარ შველის, ეს ნუკრობა
გშვენის,
გაწყენინე და მაინც მეფერები.

შემოდგომა შენთვის, შორეულ წლებს ერთვის,
ჩამოგშორდნენ ავდრიანი მდევრები,
ვინაიდან ჩემთვის, შენ ხარ ერთადერთი,
თავს გიხრიან იასამნის მტევნები.

საყვედურებს ვიტან, გააჩნია ვისგან,
სხვას სიტყვაში ერთ ასოს არ შევარჩენ.
შენი სითბო მინდა, მოფრენილო ციდან,
საუბრისას გულწრფელ ღიმილს რომ აჩენ.

მინდვრის ყვავილები, როგორც
კლეპატრები,
გიღიმიან, თავს მიწაზე გიდებენ,
გრძნობებს ნუ აჰყვები, თორემ დაიბნევი,
როს კარგავენ, მის ფასს მერე იგებენ.

## ფოთოლი ტირის

ფოთოლი ტირის წვიმით ნაცემი,
ქარი დაბლა ფენს და ფეხქვეშ იგებს.
გაყვითლებულა, ჩამოსდის ცრემლი.
თითქოს ჩემს სევდას ფოთოლიც იგებს.
რად მოიწყინე, ჩემო მერცხალო,
ალბათ შეგცივდა და დაიღალე.
გულში ჩაგიკრავ, გაგათბობ, ქალო,
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე.
ყველა ვარსკვლავი დღეს
შენთვის მღერის,
მთვარეც შენ გიცქერს,
მზეც შენ გიმღერის,
ფეხქვეშ გეგება ყვითელი ფერი,
ფოთოლი ტირის, ფოთოლი ტირის.
ძალა მელევა, ფიქრები მახრჩობს,
ფოთოლი ტირის მწარე ცრემლებით.
ალბათ დაჭკნება ჩემი ყაყაჩო,
ზღაპრად მოფენენ ველს ყვავილები.

## თბილისო

ყველა შენ გეტრფის, ჩემო თბილისო,
ქვეყანას შენი ნახვა სწყურია.
ულევი ზღვა ხარ სიყვარულისა,
შენში ზამთარიც გაზაფხულია.

ვის არ მოხიბლავს შენი მთაწმინდა,
ძველი თბილისის ძველი იერი.
თბილისელი ვარ, თბილისში გავჩნდი,
მეამაყება, ვარ ბედნიერი.

ჩემო თბილისო, ჩემო ლამაზო,
გამშვენებს მთები, გალაღებს მტკვარი,
ისე მიყვარხარ, ვერსად ვერ გავძლებ,
უშენოდ გული მექნება მკვდარი.

მტერთა რისხვა ხარ, მოყვრის იმედი,
მინდა გიმღერო, შენზე ვილოცო,
მეორე დედავ, ჩემო მშობლო —
მსურს, რომ მე შენი ქუჩები ვკოცნო.



CMYK

# ქართული ჯაზის ცისფერსისხლიანი დედოფალი



## — ლექსებზე ვგიჟდები, მაგრამ ჩუქებით, სუნამო მაჩუქეთ...

*მას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, როგორც სამშობლოში, ისე უცხოეთში, საიდანაც ახლახან დაბრუნდა კიდევ ერთი წარმატებული გასტროლის შემდეგ, რამდენიმე კვირის წინ თბილისში ჩატარებულ ჯაზ-ფესტივალზე მსოფლიო დონის ვარსკვლავების გვერდით მისმა გამოსვლამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ განსაკუთრებული რბილი ვოკალისა და განსხვავებული მუსიკალური ჟანრების ორგანული შერწყმის ოსტატი* **მაია ბარათაშვილი** *უთუოდ მიაღწევს მიზანს — ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად გამართავს კონცერტს „კარნეგი ჰოლში", მანამდე კი, რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მომღერალი აქტიურ, თუმცა მეტად პროზაულ საქმიანობას ეწევა ერთ-ერთ უცხოურ კომპანიაში (ამერიკის სავაჭრო პალატის ფირმა „აგროტექნიკოსის" დირექტორის ასისტენტია), სალამოს კი, რეპეტიციებზეა ან კონცერტზე.*

**— მაია, ხშირად გიწვევენ საერთაშორისო ფესტივალებზე, მგონი ახლა გერმანიიდან დაბრუნდით.**

— სანამ გერმანიაში ჩემს ვიზიტზე ვისაუბრებ, თბილისში ჩატარებულ ჯაზის საერთაშორისო ფესტივალზე ვიტყვი, — ძალიან მაღალი კლასი იყო — 6 თუ 7 გრემის მფლობელი ბობ მინცერი და მანჰეტენის მუსიკალური სკოლის პროფესორები რომ დაუკრავენ, ამაზე მაღალი დონე არ არსებობს. რაც შეეხება გერმანიას, ქალაქ კარლსრუეში შედგა ჩემი სოლო-კონცერტი, რომელსაც ჩემდა გასახარად იქაური ქართველებიც ესწრებოდნენ, ჩემი უახლოესი მეგობრის, თამრიკო ჩხეიძის მეუღლემ ვოლფ კასელმა გამიწია რეკომენდაცია, ჩემი კომპაქტ-დისკი მიიტანა ძალიან პოპულარულ ჯაზ-კლუბში. იქ ყოველ წელს იწვევენ დიდ ვარსკვლავებს. ახლაც, ჩემ შემდეგ ვეინ შორტერი ჩამოვიდოდა თავის კლუბთან ერთად.

**— ორივე მხრიდან თავადების შთამომავალი ხართ, ცისფერსისხლიანი. წინაპრების შესახებ რაიმე საინტერესოს გახსენება თუ შეგიძლიათ?**

— ახლა ცისფერსისხლიანობაზე ლაპარაკი უხერხულია... ბაბუა იმერეთში ძალიან შეძლებული კაცი ყოფილა, საკმაოდ ლამაზიც, პატივს სცემდნენ. ნიკოლოზ II-ს ამსგავსებდნენ, მამაჩემს, ლევან ბარათაშვილს — ჟან მარეს. დღესაც ამბობენ, რომ თურმე მამაჩემივით არავინ იხურავდა შლაპას და ძალიან პეწიანად იცვამდა. დედის მხრიდან ბებია, ვერა მგალობლიშვილი კაპელაში მღეროდა კლასიკას, ბაბუა კი — გიორგი მგალობლიშვილი, საქართველოს მთავარი მეღვინე გახლდათ.

**— დედათქვენი, ზეინაბ მგალობლიშვილი ბევრ ცნობილ ხელოვანთან ერთად მღეროდა.**

— დიახ, კონცერტებზე გამოდიოდა ინოლა გურგულიასთან და სხვებთან ერთად. სამწუხაროდ, ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან და მის შესახებ უფრო ცოტა მაქვს გასახსენებელი. ძირითადად მამის გვერდით გავიზარდე და მის შესახებ მოსაგონარიც მეტი მაქვს. მამას ურთულესი ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი, სტალინგრადში იბრძოდა, საოცარი სამეგობრო წრე ჰყავდა.

**— მუსიკოსობა როდის და როგორ გადაწყვიტეთ?**

— მუსიკალური შეიდწლედი მაქვს დამთავრებული. ეს იყო უბედნიერესი ხანა ჩემი ცხოვრებისა, მერე ჯაზ-კლუბმა მომიტანა ძალიან დიდი სიხარული, როცა კვლავ შევძელი მუსიკაში დაბრუნება.

**— სამსახურით დაღლილი განტვირთვას როგორ ახერხებთ?**

— ალბათ იუმორი, ცოტათი თავის მოსულელებაც მეხმარება. ამბობენ, რომ მამაჩემისგან გამომყვა ეს იუმორი.

**— რომა რცხილაძესთან ერთად საინტერესო პროგრამა შესთავაზეთ მსმენელს.**

— რომამ თავის ბოლო ალბომში მონაწილეობა შემომთავაზა, ორ კომპოზიციაზე თვითონ დავწერე ინგლისურად ტექსტები. ამ მხრივ ეს ჩემი დებიუტია.

**— ამბობენ, მაია ბარათაშვილის სუსტი წერტილი ბეწვის ქურქაო.**

— ძალიან მიყვარს კარგი ცხოვრება და ძვირფასი ბეწვის ქურქებიც, მაგრამ ჩემი სუსტი წერტილი (დაფიქრდა) სხვა რამეა — ლექსები. რომ დავინახავ, გულგრილად ვერ ვუვლი გვერდს, უნდა მივეფერო.

**— ეი, თქვენი გულის მოგება როგორ შეიძლება?**

— ოჰ, მაინცდამაინც ძაღლის ლეკვს ნუ მაჩუქებენ, მაჩუქონ კარგი სუნამო და ლამაზი თაიგული. თუ შეუძლიათ, პრინციპში „სტეინვეის" როიალზეც არ ვიტყვი უარს (იცინის)...

**— დღესასწაული როდის არის თქვენთვის?**

— მაშინ, როცა ხდება თანხვედრა — იმართება ჩემი კონცერტი და იქ არის ის, ვინც მომწონს.

**— სიყვარულის თემას შევეხები. მომთხოვნი შეყვარებული ხართ?**

— როცა შეყვარებული ხარ, გრძნობა გონებას სჭარბობს და რაციონალური ვერაფრით იქნები, წინ მოდის პრეტენზია, ამბიცია, რომ იმ ადამიანსაც ასეთივე ძალით უყვარდე... საყვარელი ადამიანისაგან მტკივნეულად აღიქვამ პატარა შეცდომასაც კი.

**— ძლიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებთ, სიყვარულში მორჩილი ხართ?**

— მორჩილება ქალის თვისებაა, ღმერთმა ასე დააკანონა, მაგრამ ეს არ ნიშნავს დამონებას. ემანსიპაციამ ბევრი კარგი მოიტანა, მაგრამ ასევე ცუდიც — რაღაცნაირად გაუხეშდა ქალი, ქალურობა დაკარგა, სამწუხაროდ, კაცებიც გაუხეშდნენ.

**— არსებობს შეხედულება, რომ ადამიანების უმრავლესობა მიუღწეველ მიზნებს ისახავს. თქვენ როგორი ხართ?**

— ამ მხრივ ძალიან პრაქტიკული ვარ, სულ რეალური გეგმები მაქვს.

**— პირველად როდის იყავით შეყვარებული და, როგორ ფიქრობთ, პირველი სიყვარულის მსგავსი გრძნობის განცდა ყოველთვის შეუძლია გულს?**

— არა, არ შეუძლია. ძალიან ალამაზებს ამ გრძნობას მანამდე დაუხარჯავი პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ პირველ სიყვარულს ხშირად ახლავს დიდი გულისტკივილი... პირველად ძალიან გვიან შემიყვარდა, 24-25 წლისას.

**— უცხოელი თაყვანისმცემლები თუ გყოლიათ?**

— კი, მაგრამ სერიოზული რომანი არ მქონია.

*მაია ბარათაშვილთან ინტერვიუს აქ შევწყვეტ და წარმატებას ვუსურვებ შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში, შესანიშნავ საკონცერტო საღამოებსა და კეთილგანწყობილ მსმენელს, რომელმაც მას ქართული ჯაზის დედოფალი უწოდა...*

***ეკა ლომიძე***


**ავიაკომპანია „საქავიასერვისი" გთავაზობთ შემდეგ რეისებს:**

თბილისი-ლარნაკა (კვიპროსი)-თბილისი.
გაფრენა სამშაბათობით — 10.00 სთ
თბილისი-მინერალური წყლები-თბილისი.
გაფრენა ხუთშაბათობით — 10.00 სთ
აგრეთვე გთავაზობთ რუსეთის ვიზების გაფორმებას
რუსთაველის №17
ტელ: 99-02-37, 98-37-10




# „მაყურებელი ვაჟკაცს ელოდება და ამ დროს საყურეებიანი კაცი გამოჩნდება..."



## ნინო ლონლაძე ტოტორიკას შვილია

*„ძილის წინის" აქტიური მაყურებლების ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ფილმის გადამღებ ჯგუფს დავუკავშირდი და მეტად საინტერესო ინფორმაციაც მივიღე — ტოტორიკა — დიმა ჯაიანი რუდოლფ ლონლაძეცაა თურმე, ანუ ბატონი დიმა ერთდროულად ორი გმირია.*

**— ბატონო დიმა, თუ შეიძლება ჩამომითვალეთ, რამდენი სამსახური გაქვთ და როგორ ასწრებთ ამდენს?**

— *(ჩაიცინა)* გახლავართ გამსახურდიას სახელობის თეატრის ხელმძღვანელი და პარლამენტის წევრი.

**— ტოტორიკა დაგავიწყდათ?**

— ეგ სამსახური არ არის, გართობაა... სერიალი „ძილის წინ" ჩემთვის დასვენების ერთადერთი საშუალებაა. იქ დიდებული ადამიანები არიან შეკრებილი და ამიტომაც სიამოვნებით დავთანხმდი გადაღებას. ერთხელაც მქონდა ასეთი ბედნიერება, როცა „პირველ მერცხალს" ვიღებდით ფოთში, შემოქმედებითიც და გადამღები ჯგუფიც ფანტასტიკური იყო. ჩვენ ვხუმრობთ და თუ ეს ვინმეს მოსწონს, სასიამოვნოა, მაგრამ თუ ამას სერიოზულად მივუდგებით, წყალში მეყრება გიორგი მეფე და ბევრი სხვა როლი, რაც სცენაზე მითამაშია.

**— თქვენ რუდოლფ ლონლაძის პერსონაჟსაც ახმოვანებთ, რომელიც რატომღაც არ ჩანს.**

— ალბათ გამოვაჩენთ. მინდა სახე ოდნავ შევიცვალო, ხევსურულ კილოზე მოლაპარაკე რუდოლფ ლონლაძე ქალური გარეგნობის, ძალიან ნაზი რომ იყოს და მარტო ხმა ჰქონდეს ეგეთი ვაჟკაცური. ვნახოთ, რა გამომივა. მაყურებელი რომ ვაჟკაცს ელოდება, ამ დროს საყურეებიანი კაცი მინდა გამოჩნდეს. თანაც როგორ მომრავლდნენ ეგეთები...

**— რა შუაშია, ლონლაძე და ხევსურულ-მთიულური კილო?**

— ოჰ, ზოგჯერ ისეთ მხარეში ისეთი გვარის კაცს ნახავ, გაგიკვირდება. კახეთში მეგრული გვარის კაცი მინახავს, მაგრამ კახელი. ხომ შეიძლება, ლონლაძეს იმერეთში კაცი მოეკლა და ხევსურეთში წასულიყო?!

**— გატყობთ, რუდოლფ ლონლაძეს თქვენ უფრო ქმნით, ვიდრე სცენარისტები.**

— სრულიად შემთხვევით შემომთავაზეს მისი გახმოვანება, მერე კი მოვისურვე, რომ ეს პერსონაჟი გამოჩნდეს.

**— ტოტორიკასთვის როგორ შეგარჩიეს?**

— კინოსტუდიაში თურმე ტოტორიკას როლის შემსრულებელს ეძებდნენ და თან ამბობდნენ, დიმა ჯაიანი რომ თამაშობს კლასიკური მეგრელის სახეს, ისეთი შემსრულებელი გვინდაო. ეს იგივეა, ლეო ფილფანს რომ უთხრეს ერთ-ერთი ფილმის სინჯის გადაღებისას — ისეთი პერსონა გვინდა, როგორიც თენგიზ არჩვაძეო. ლეოს უთქვამს, — გადაიღეთ მერე თენგიზ არჩვაძეო. ასე მოხდა ახლაც.

**— მართალია, რომ ყოველი სერიის დიდი ნაწილი მსახიობების იმპროვიზაციის ნაყოფია?**

— კი, აბსოლუტურად სხვაა ის, რაც თავიდან მოაქვთ და რასაც მერე ვაკეთებთ. იქ ტექსტს არ ვუყურებთ, სუფთა იმპროვიზაციაა. ხანდახან არის უინტერესო სცენარიც და რაც არ უნდა იფანტაზიორო, არაფერი გამოდის.

**— თქვენი გვარი, მგონი, მეგრული არ არის, არადა, მართლაც შესანიშნავად თამაშობთ მეგრელს.**

— ჯაიანები სამეგრელოს კუთხის შვილები არიან. მე სხვანაირი, ტიპური მეგრელიც შემიძლია ვითამაშო, ისეთი თუნდაც, როგორიც აკაკი ხორავა იყო. მისი მეგრული, ფრანგული გეგონებოდა. სოჯით ბატონიო — რომ იტყოდა, ზღაპარი იყო. ჰარმონიული ენა ჰქონდა. მეგრული ენა — კერიის ენა ძალიან თბილი და მრავალფეროვანია. მარტო ლობეზე გადახტომა გამოითქმის თორმეტნაირად. ბატონი კონსტანტინე ტყუილად არ ამბობდა, ძირი უნდა ჰქონდეს ქართულ ენას მეგრულიო. აქვს კიდეც — ჭანური, ბულბული — მაფშალია... ზღაპარია.

**— ქართულის ძირში მარტო ჭანური არ არის, ბატონო დიმა და საერთოდ, ძალიან შევიჭრით მეგრელის როლში, ცოტა ხნით დაბრუნდით და თქვენი საოცნებო როლის შესახებაც გვითხარით რამე.**

— მე ბევრი საოცნებო როლი ვითამაშე. შეიძლება გოგი ქავთარაძე გადაჭარბებულად ამბობს, ან იქნებ მართლაც ასეა, დიმამ თეატრალურ ცხოვრებაში თავისი როლი ზუსტად იცისო. არ მიოცნებია ჰამლეტზე, თუმცა ახალგაზრდობაში ძალიან მომხიბვლელი ბიჭი ვიყავი, რომეოზე არა, მერკუციოზე ვოცნებობდი, კლავდიუსი მინდოდა მეთამაშა. ახლა კი ვარ მაგის ასაკში. ისე კი, გული მწყდება, ზურა ყიფშიძემ რომ არ ითამაშა კლავდიუსი. ეს იქნებოდა კლასიკური სახე, ზურა მსოფლიო დონის მსახიობია. ქართველებს ბევრი გენიოსი გვყავს.

**— ასრულებული ოცნება რომელი იყო, გიორგი მეფე?**

— დიახ. ბავშვობიდან ვოცნებობდი და ამიხდა. მეფე გიორგის 15 წელი ვთამაშობდი სცენაზე. უბედნიერესი კაცი ვარ., 2-საათ-ნახევარი ვიდექი სცენაზე, ჟარგონი რომ გამოვიყენო, „ვგულაობდი". პიპას მკლავებში იმ დიდებული მონოლოგის წაკითხვით რომ უნდა დამელია სული, იმით ვიყავი ბედნიერი. კიევის, მოსკოვის თუ ვილნიუსის სცენებზე „სული რომ დამილევია", კივილი გამიგონია დარბაზიდან. ტაში კი არა — კივილი. თავს არ ვიქებ.

**— პარლამენტში პოლიტიკოსის როლსაც თამაშობთ?**

— არ ვთამაშობ, ნაღდი ვარ. ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. ხმას ვაძლევ იმას, რასაც მე ვთვლი სწორად. ეს არაპოლიტიკურიაო, — ხშირად მეუბნებიან, მაგრამ მაინც ისე ვჭრი, როგორც მგონია. თუმცა, ერის საქმეს თუ სჭირდება, შვილსაც შევწირავ. ერთი შვილის მეტი არავინ გამაჩნია.

**— ამბობენ, დიმას იუმორის გრძნობა ეხმარება ბევრი რამის გადატანაშიო.**

— არა მგონია, ეგრე განსაკუთრებულად გამოკვეთილი მქონდეს ეგ თვისება. ვგიუდები მხიარულ კაცზე, მაგალითად, თემურ ჩირგაძეზე. ის იუმორით სავსე კაცი იყო. ერთხელ, ელდარ შენგელაიას ოჯახში თემურმა ჩემი სადღეგრძელო იცით როგორ დალია (უბრწყინვალესი თამადა იყო) — დაჯდა როიალთან და დაიწყო: „როდესაც დიმა ჯაიანი აფხაზეთში იბრძოდა (აიღო აკორდი გუგუნა, ხმაურიანი), მაშინ რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში „აპრაკუნე ჭიმჭიმელს" დგამდა (უკვე სხვანაირი აკორდით)." ყველაფერი თქვა ამ სადღეგრძელოთი, ეს დიმას და რობერტის სადღეგრძელო არ იყო მარტო, ეს იმის ნიშანი იყო, რომ „როცა საქართველოში ქვემეხები ქუხდნენ, მუზები არ სდუმდნენ".

**— ბოლოს მინდა გკითხოთ ისევ სერიალიდან — ტოტორიკა და მარეხი დაქორწინდებიან?**

— არა. მე ვიცი, რომ ბოლოს ტოტორიკა დიდი გენერალი გახდება, გამოირკვევა, რომ ნინო ლონლაძე მისი შვილია და კიდევ ბევრ სიურპრიზს გპირდებით. ისე, მე მგონი, ფინალი არც არის დაწერილი.

***ეკა ლომიძე***

# ამბავი „ბაბაჯოსი“ და თეთნულდისა

**თუ ფოტოს დახედეთ, მასზე აღბეჭდილი წყვილიც ალბათ გეცნოთ. მერე რა, ამბავი, რომელიც უნდა გიამბოთ, ნამდვილად არ გეცოდინებათ. ყველაფერი კი, როგორც ზღაპარში, ისე დაიწყო და დღეს ძალიან, ძალიან ლამაზად გრძელდება.**

## „სიზმარამ“ საბედო ძილში ნახა

არა, ცნობილი მულტფილმივით არ ყოფილა სინამდვილეში... „სიზმარა“ — უკვე 20 წელს გადაცილებული ახალგაზრდა, გამრჯე კაცი იყო და დღე-ღამეს სულაც არ ატარებდა ტახტზე ნებივრობაში. ერთი უცნაურობა ახასიათებდა (როგორც გამომიტყდა, ახლაც ახასიათებს) — წინასწარმეტყველურ სიზმრებს ხედავდა. ერთხელაც, ერთ უცხო ოჯახში სტუმრად ყოფნისას, ღამით საოცარი სიზმარი უნახავს: ნადირობის ქალღმერთი დალი გამოცხადებია. მისთვის ერთი ლამაზი გოგონა უჩვენებია და უთქვამს, — აი, ეს იქნება შენი მეუღლეო. გამოღვიძებულ ბიჭს გასცინებია, — სად მე და სად ის კიკინებიანი ძუძუმწოვარა გოგო, ის რომ გასათხოვარი გახდება, მე უკვე შვილიშვილები მეყოლებაო, მაგრამ... ბიჭს სულ დაავიწყდა, რომ წინასწარმეტყველურ სიზმრებს ხედავდა.

## ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი

ჰოდა, იმ ბიჭს რომ ეგონა, სიზმარი სიზმრად ჩაივლისო, ეგრე არ მოხდა. ერთ დღესაც სწორედ იმ კიკინებიანი გოგოს დეიდის ოჯახში მიიყვანა ღმერთმა. ახალგაზრდა სტუმარი თურმე საოჯახო ალბომს ათვალიერებდა, რომ უცებ გველნაკბენივით წამომხტარა და ხმამაღლა, თითქმის ყვირილით უკითხავს, — ეს გოგო ვინ არისო? ვინ და ჩემი დისშვილიო, — უპასუხია გაოცებულ დიასახლისს. ეს გოგო ჩემი ცოლი გახდებაო, — ამოუღუღლუღია ბიჭს. რა დროს მაგის გათხოვებაა, ჯერ მეექვსე კლასშიაო, — უკივლია დეიდას. წლები გავა და ეგ გოგო ჩემი იქნებაო, — მტკიცედ განუცხადებია სტუმარს.

## „სიზმარა“ თეთრ დედოფალს შეხვდა

სვანურად თეთრი დედოფალი თეთნულდია. სწორედ ეს სახელი ჰქვია იმ გოგოს, სიზმარამ რომ ნახა ძილში. ბოლოს და ბოლოს, განგებამ უკვე 30 წლის ვაჟკაცი და სკოლის დამამთავრებელ კლასში მყოფი გოგონა, რომელსაც მოფერებით თეთუნას ეძახიან, სწორედ მისი დეიდის ოჯახში შეახვედრა ერთმანეთს და იმ ღამეს მეორე უცნაური სიზმარი ნახა: ძილში უცნაური, საამური მუსიკა ესმოდა თურმე და თოვლიან, ქვა-ღორღიან გზაზე, გზაზე კი არა, მთაზე, ჯიქურ მიიწევდა მწვერვალისაკენ. გამოღვიძებულს სიამოვნებით მოუყოლია, — წუხელ თეთნულდი დავლაშქრე, დავიპყარი, ახლა ჩემიაო. გადაირია ალბათ ეს კაცი, წუხელ თეთნულდზე რა უნდოდა, ლოგინში იწვაო, — გაოცებულან ირგვლივმყოფნი. ბიჭს ჩასცინებია, — რა მთა, რა მწვერვალი, სიზმარი ვნახე — თეთუნა (ასე ეძახიან მოფერებით თეთნულდს) ჩემი იქნება, მის გულს მხოლოდ მე დავიპყრობო. გოგოს ცხვირი აუბზუებია — რა დროს ცოლობა და სიყვარულია, სწავლაზე ვფიქრობო, მაგრამ... ისევ მაგრამ...



თეთნულდი და „რომანტიკული სვანი“

## „გამარჯობა არ მითხრა, გავბრაზდი და მეორე დღესვე მოვიტაცე“

ბიჭი გოგოს კვალზე იდგა თურმე დღედაღამ, გოგო კი ძველებურად აგრძელებდა „დამალობანას“ თამაშს. ერთ დღესაც, სკოლის დამთავრებიდან რამდენიმე დღეში, ქუჩაში შეხვედრიან ერთმანეთს. თეთუნას გამარჯობა არ უთქვამს. გადარეულა ბიჭი და მეორე დღესვე მოუტაცნია გოგო მანქანების ესკორტით. „ცხენითაც მოვიტაცებდი, მაგრამ ეგ კიდევ უფრო ძნელი იქნებოდა, მანქანაშიც ძლივს დავაკავეთ, ისე კიოდა და ილანძღებოდა, კინაღამ გადმოვაგდე, მაგრამ სიზმარი გამახსენდა და თავი შევიკავე. შინ რომ მივედით, სულ დაკაწრული და დასისხლიანებული ვიყავი ჩემი თეთუნასგან. მერე თავად მივლიდა და მიშუშებდა იარებს. იმ დღეს ჩემი დისშვილი მყავდა წაყვანილი მის მოსატაცებლად, მანქანაში ჩასასმელად — მე ბრმა ნაწლავის ოპერაცია მქონდა ახალი გაკეთებული და შემეშინდა, ჭიდაობაში იარა არ გამეხსნას-მეთქი“, — ღიმილით იგონებს ახლა ბიჭი.

## გადარეულა მამა, – რას ჰქვია, ქალიშვილი მოხუცმა მომტაცაო

ბიჭს მეტსახელად „ბაბაჯოს“ ეძახდნენ — სვანურად „ბაბუა გენაცვალოს“ ნიშნავს. ჰოდა, „ბაბაჯოს“ რომ მოუტაცნია თეთუნა, უცნობებიათ მამამისისთვის ეს ამბავი. კაცს წარმოდგენა არ ჰქონია, ვინ იყო „ბაბაჯო“. გადარეულა, იარაღი აუღია და ქალიშვილის გამტაცებელ „მოხუცს“ დასდევნებია... „მერე მამა აღტაცებული და გახარებული იყო, რომ მისი სიძე ვიღაც ბერიკაცი კი არა, მშვენიერი ვაჟკაცი აღმოჩნდა. „ძალიან მალე შევეჩვიე ჩემს „ბაბაჯოს“. არა, რას ჰქვია, შევეჩვიე, შემიყვარდა უსაზღვროდ. იქნებ ერთი შეხედვით არ ჩანს ასე, მაგრამ იგი ძალიან თბილი და მოსიყვარულე ოჯახის მამაა“, — ღიმილით იხსენებს თეთუნა, იგივე თეთნულდ ანსიანი, კოდორის გუბერნატორის ემზარ კვიციანის მეუღლე. დიახ, ბატონებო, ის „სიზმარა“ ბატონი ემზარია.

## „ნინოს დანახვაზე ემზარი კინაღამ გაგიჟდა“

ემზარს ძალიან უყვარს მომღერალი ნინო ქათამაძე. როცა მის სიმღერებს, განსაკუთრებით კი „ტურფას“ უსმენს, ხმას ვერ ამოიღებ, მაშინ მე-9 ცაზეა „ბაბაჯო“, ხშირად ნატრულობდა, ნეტავ ნინოსთვის ახლოს, მეგობრულ გარემოში მომასმენინაო. გაზაფხულზე დაბადების დღე ჰქონდა. იმ დღეს რესტორანში ვქეიფობდით. უცებ კარი გაიღო და ნინო ქათამაძე შემოვიდა. ემზართან მივიდა და მიულოცა, მერე კი ბევრი იმღერა. იუბილარი კინაღამ სიხარულისგან გაგიჟდა... სხვა საჩუქარი ალბათ ასე ვერ გაახარებდა. წინადღით ნინოს დავურეკე. არ ვიცნობდით ერთმანეთს. ვუთხარი, მინდა ჩემი მეუღლე გავახარო, იქნებ უარი არ მითხრა და დაბადების დღეზე გვეწვიო-მეთქი. ნინო ცალკე გაგიჟდა, — ეს რა მესმის, როგორ გყვარებიათ ერთმანეთი, სიამოვნებით ვუმღერებ თქვენს სიყვარულსო...

## „ჩემი ქმარი ძალიან რომანტიკული სვანია“

... შეუძლია წაგიყვანოს და ბუნებრივი, საოცარი მოვლენებით დაგატკბოს. სად რას აღმოაჩენს, ვერ გაიგებ, გაოცებას ვერ დაფარავ. ამას წინათ უჯარმაში წამიყვანა. საღამოს ერთ ადგილზე დამაყენა და მითხრა — ნახე, რა ლამაზად ჩადის მზე, ასე საოცრად არსად არ ემშვიდობება დღე ქვეყნიერებას მზესთან ერთად. უყურე, უყურე და დატკბიო. სიურპრიზების მოწყობა უყვარს, იცით როგორი? ჯერ გულს მიხეთქავს და მერე ბედნიერებისგან ჭკუაზე გადავყავარ. მაგალითად, დამირეკავს, — ახლა კოდორში მივდივარ და ერთ კვირას ვერ მნახავთო. მე ტირილს და საყვედურებს ვიწყებ და სწორედ მაშინ აღებს კარს და შემოდის. უცებ მოვა, მეტყვის, — ბარგი ჩაალაგეო და მივყავარ, ოღონდ, სად? ბოლო წუთამდე არ ვიცი. თუმცა, ბოლოს ყოველთვის უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ.

## სიყვარული მთავრდება და ქრება, თუ მეუღლის გვერდით „თოხის ტარზე ვერ დაეტევი“

ხომ გაგიგონიათ, „მოსიყვარულე ცოლ-ქმარი თოხის ტარზეც დაეტევაო“. ეგ არ გვიცდია, მაგრამ ამ გამოთქმას ასე გავშიფრავ, რაც არ უნდა მძიმე პირობებში იყო, ქმარს გვერდიდან არ უნდა მოსცილდე. კოდორში მძიმე წუთებში ემზარს გვერდიდან არ ვცილდებოდი. ფეხმძიმედ ვიყავი, ცხენზე რომ შემსვა და საომარი მდგომარეობიდან გარიდება მირჩია. ვერ დავემორჩილე, მის გვერდით დავრჩი... დღემდე უბედნიერესი ვარ ამ კაცის გვერდით.

# ამბავი „სპილოს“ ბოლო სიყვარულისა...



„სპილო“ და „დაბუკუნა“

**ზოგი ამბობს, რომ სიყვარული ცოტა ხნით მოდის ჩვენს ცხოვრებაში და მერე, უცებ გამქრალ, სევდიან მოგონებებს გვიტოვებს. მართლა ასე როდია, თუმცა, მაინც, სიყვარული ვისთვის ლხენაა და ვისთვის ტკივილი. მე კი ლამაზი სიყვარულის შესახებ მინდა გიამბოთ, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაბადებულა თბილისის ერთ ქუჩაზე და დღემდე პირვანდელი სიძლიერით ცხოვრობს. რასაც მოგითხრობთ, „სიყვარულის ფრაგმენტები“ დავარქვი.**

## ფრაგმენტი პირველი

მათ შორის არც ერთი აღარ გახლდათ სიყმაწვილის ასაკში. ბიჭი უკვე კაცი იყო, თანაც ძალიან ცნობილი მუსიკოსი; მეტსახელად „სპილოს“ ეძახდნენ, განსაკუთრებული, თბილი და მოსიყვარულე ბუნების და იმის გამოც, რომ ფიზიკურად ძალიან დიდი იყო. „სპილოს“ სიყვარულის ძალა უკვე განეცადა და იმ დღეს, ქუჩაში მიმავალი, სულაც არ ფიქრობდა, რომ ტრფობის ცეცხლისგან იმჟამად თავისუფალი კვლავ მის ალსა და ბუღში გაეხვეოდა. უცებ დაინახა ის გოგო, ქერათმიანი, ცისფერთვალება და... ახლა ხშირად იხსენებს ხოლმე — სხვებიც კი ხედავდნენ მაშინ ნინოს, მაგრამ მივხვდი, იმ დღეს სწორედ ჩემთვის გამოიყვანა ღმერთმა ქუჩაშიო. მეორე დღესაც, სრულიად შემთხვევით, სწორედ იმ ადგილზე შეხვედრიან ერთმანეთს ქალი და კაცი; უკვე ნაცნობებმა მოკითხვა და ღიმილი არ დაიშურეს. „მაშინ კი მივხვდი, რომ წინათგრძნობა არ მატყუებდა, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვიყავით შექმნილი“, — იგონებს „სპილო“, რომელმაც მესამე დღეს ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ბოლო სიყვარული ეწვია, ისევ დაინახა მისკენ მომავალი ნინო...

— კინაღამ დავმუნჯდი. მანქანას ვაკეთებდი, დავუძახე, მოვიდა თუ არა, მანქანის ჭუჭყიანი, მაზუთიანი ნაწილები შევაჩეჩე, — დამიკავე-მეთქი, მერე გვეცინებოდა, — ისეთი ამოგანგლული იყო ნინო, ვერ გაეგო, ხელები სად წაეღო. გავაჩერე ტაქსი და სახლში გავუშვი. აი, ასე დაიწყო ჩვენი სიყვარულის ზღაპარი.

## ფრაგმენტი მეორე

ჩვენ ერთმანეთს მოფერებით „დაბუკუნებს“ ვეძახით. ერთ დღესაც დიდმა „დაბუკუნამ“, რომელზეც უკვე უსაზღვროდ შეყვარებული ვიყავი, დამირეკა, — შენთან ოჯახში უნდა მოვიდეო... მე, ჩემი მეგობარი, დედა, კიდევ სხვები ველოდით მის გამოჩენას და ზარმაც დარეკა. კარი გავაღეთ — უზარმაზარი რომა, ასევე უზარმაზარი ბომბანიერით და ლამაზად შეფუთული ფრანგული სუნამოთი იდგა და იღიმებოდა. ჩვენ, ყველანი, პატარები ვიყავით ტანად და ქვემოდან ზემოთ ვუყურებდით გოლიათს, რომელმაც სახლში ფეხის შემოდგმისთანავე პიჯაკი გაიხადა და ძირს დააგდო. მერე მას პერანგიც მიაყოლა. მაისურის ამარა პიანინოს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო. მღელვარებამ გაიარა. ის თანდათან მკვიდრდებოდა ჩემს ცხოვრებაში და ვგრძნობდი, რომ მისგან ბევრ რამეს ვითვისებდი. რომამ დათმობა, პატიება მასწავლა, — იგონებს ცნობილი მუსიკოსის, ყველაზე მუსიკალური „სპილოს“, რომა რცხილაძის მეუღლე ნინო ფანცხავა. ეს ამბები მათი სიყვარულის ისტორიიდანაა და ვინც ამ წყვილს იცნობს, აუცილებლად შენიშნავს, რომ მათ სიყვარულს წლები ჯერ არ დასტყობია.

## ფრაგმენტი მესამე

„რომა სიურპრიზების ოსტატია. ერთხელ, ახალი წლის წინა საღამოს, მოსკოვიდან დამირეკა და მითხრა, — გილოცავ ახალ წელს, ჩემო „დაბუკუნა“, ვწუხვარ, რომ უჩემოდ მოგიწევს ყოფნაო. 31 დეკემბერს, სანამ ახალი წელი შემობრძანდებოდა, რომა უკვე შინ გვეწვია. სიხარულისაგან კინაღამ გონება დავკარგე. ერთხელაც დამირეკა და მითხრა, — იცი რა, ახლა სასწრაფოდ რაღაც მოამზადე, სტუმარი მომყავსო. ავფორიაქდი, აქეთ ვეცი, იქით ვეცი და უცებ კარტოფილის თლა დავიწყე, თან გეგმებს ვაწყობდი: მალევე გაისმა ზარი. გული გადამიქანდა. გავვარდი. სათვალთვალოში გავიხედე — არავინ ჩანდა. კარი გავაღე — ფილაქანზე უზარმაზარი ცისფერი სპილო იჯდა. კინაღამ ჩავიკეცე, ჯერ გაოცებისაგან და მერე სიხარულისაგან. რომა სამალავიდან გამოვიდა. იცინოდა. გულში ჩამიკრა და მითხრა, — აი, ნინო, ჩვენი სტუმარიო... რამდენი ასეთი ლამაზი სიურპრიზი გავიხსენო.. თანაც, იცით, რა ხდება? ყველაფერი ძალდაუტანებლად, ლამაზად მოდის ჩვენს სიყვარულში. სანამ პირადად გავიცნობდი, მანამდე ვიყავი მისით, როგორც მუსიკოსით მოხიბლული, მერე კი თავბრუ დამახვია და დღემდე სიყვარულთან ერთად ვცხოვრობთ მე და რომა...

რცხილაძე-ფანცხავას სიყვარულის ფრაგმენტები უსასრულოდ გრძელდება. არანაირი საგაზეთო პუბლიკაცია არ ეყოფა მათი მოგონებების გადმოცემას, ამიტომაც აქ შევჩერდები და ბედნიერებას ვუსურვებ მათ.

*გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ*



# თბილისური ოჯახი, რომელმაც სასწაული ირწმუნა

ზაზა გოგობერიშვილი 18 წლის იყო, როცა ცოლი შეირთო. დაოჯახების მერეც ვერ უღალატა გატაცებას — კლდეზე ცოცვას. ერთხელ, ვარჯიშის დროს, კლდიდან მოწყდა და ხერხემალი დაიზიანა...

გაუკეთდა უნიკალური ოპერაცია, მაგრამ გაუმჯობესება არ დაეტყო.

ცოლმა ვერ გაუძლო და წავიდა.

ალბათ ზაზა ვერ გადაიტანდა ამდენ ტკივილს, დედა რომ გვერდში არ ამოდგომოდა.

## ნამდვილი ამბავი



ქალბატონ ნუნუ გოგობერიშვილს მეუღლე ადრე გარდაეცვალა და მისთვის ზაზა იყო ყველაფერი. შვილის ავადმყოფობამ უფრო გააკაჟა, იმედი არ დაკარგა და ლამის კარდაკარ დაიწყო სიარული, რომ დახმარება მიეღო. თავდაპირველად არ გასჭირვებია, რადგან ეს ამბავი „უძრაობის“ „იდილიურ“ პერიოდს დაემთხვა.

ზაზა, ერთ-ერთი ოპერაციის მერე ყირიმის ქალაქ საკში გაგზავნეს, სადაც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრი მდებარეობს. იქ ბევრი ავადმყოფი იყო მაშინდელი კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან. საოცარი ის იყო, რომ გოგონა, რომელიც ზაზას მოეწონა, ქართველი აღმოჩნდა — მარინა ბოსტოღანაშვილი დედოფლისწყაროდან (მაშინდელი წითელწყარო) და მასაც 18 წლის ასაკში დაატყდა უბედურება — გართულებული ვირუსი (მენინგო-მიელიტი). მკერდს ქვემოთ მოწყდა და სიცოცხლით სავსე გოგონა ლოგინს მიეჯაჭვა. იგი ყირიმში რამდენიმე ახლობლის დახმარებით ჩავიდა. ცოტა ხანში კი სასწაული მოხდა — სხვის დაუხმარებლად გავლა შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი ყურადღება მიმართული იყო გამოჯანმრთელებისაკენ, არ გამოპარვია ზაზას გაფაციცებული მზერა. ალბათ იმ გრძნობას, რომელიც ზაზასა და მარინას შორის დაიბადა, ლომის წილი აქვს მათ გამოჯანმრთელებაში. ისინი კიდევ რამდენჯერმე შეხვდნენ ყირიმში ერთმანეთს და როცა მიხვდნენ, რომ უერთმანეთოდ ვეღარ გაძლებდნენ, დაქორწინება გადაწყვიტეს. ზაზას დედამ ამ ამბით გულით გაიხარა, იგი ხედავდა დღითიდღე როგორ იცვლებოდა ზაზა, სევდა და ტკივილი უკან რჩებოდა, თანდათან სიხარული და ბედნიერება იკიდებდა ფეხს გოგობერიშვილების ოჯახში.

მარინა და ზაზა 1990 წელს დაქორწინდნენ, მარინა კვლავ ხელჯოხით დადიოდა, ზაზა კი სავარძლის გარეშე ვერ ახერხებდა გადაადგილებას და კიდევ სამი ურთულესი ოპერაციის გაკეთება დასჭირდა... ზაზას დედა კვლავ იმედს არ ჰკარგავდა. ამასობაში 8 წელი გავიდა. ზაზას და მარინას თავიდანვე არ ჰქონდათ შვილის გაჩენის იმედი, მაგრამ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ და იმიტომაც გადაწყვიტეს ერთად ყოფნა. მარინას ერთ-ერთი მორიგი ოპერაციის შემდეგ უჩვეულო შეგრძნება დაეუფლა. ხშირად ეხვეოდა თავბრუ, რასაც ზოგჯერ ღებინებაც ახლდა. შეშინდა. ვერ წარმოედგინა, რისი მაუწყებელი უნდა ყოფილიყო ყოველივე ეს. ექიმებმა დაამშვიდეს: ოპერაციის და ნარკოზის მერე ასეთი ტოქსიკოზი ჩვეულებრივი მოვლენაა და მალე გაგივლისო, მაგრამ მალე არ გაიარა. ბოლოს, გინეკოლოგთან მისვლა გადაწყვიტა და როცა მან ახარა, მალე დედა გახდებიო, საბოლოოდ ირწმუნა — სასწაულები ამქვეყნად მართლაც ხდება და ღმერთს ორივენი ჰყვარებია, რადგან არც სასიკვდილოდ გასწირა და მშობლის ბედნიერებასაც აზიარა.

მალე გოგონაც დაიბადა — მშვენიერი, თვალებკამკამა და უჯანმრთელესი ნინო. მარინამ საკეისრო კვეთით გააჩინა პატარა, ყოველგვარი გართულების გარეშე. მარინა ოცნებობს: ნინო უკვე 4 წლისაა, „ბასტი-ბუბუს“ აქტიური წევრია და ძალიან მინდა, რომ მას და ან ძმა ჰყავდესო.

გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ქალბატონი ნუნუს მცდელობამ ნაყოფი გამოიღო და ამ გაჭირვებულ დროში, ქალაქის მერიამ, ცოლ-ქმარს 2-ოთახიანი ბინა გადასცა. მოსკოვის გამზირზე ერთი დიდი სახლის პირველ სართულზე მდებარე ბინა გაწკრიალებული ჩაბარდა ოჯახს. ზაზამ სავარძლით რომ ადვილად იმოძრაოს, ამისათვის საგანგებო უკიბო ასასვლელი (პანტუსი) გაკეთდა.

ამ ოჯახმა სიკეთის ძალა ირწმუნა და მომავალიც ეიმედება.

***მარინა ბაბუნაშვილი***



# ზოგი რამ თაიგულის შესახებ

*** არ შეიძლება შეკრული თაიგულის წყალში ჩადება.

*** ნუ ჩადებთ ლარნაკში ბევრ ყვავილს ერთად — ეს მცენარეებს სწყენს და არც თვალისთვისაა საამო.

*** მოარიდეთ თაიგული ორპირ ქარს, მზის სხივებს, თამბაქოს ბოლს; ღამღამობით გამოიტანეთ ჰაერზე ან დადგით ღია ფანჯრის რაფაზე.

*** ერთნაირი ყვავილებისგან შეკრული თაიგული უფრო დიდხანს ცოცხლობს და უფრო ლამაზიცაა.

*** თითქმის ყველა ყვავილისთვის, გარდა მიხაკისა, სასარგებლოა წყლის დასხურება. ეს მათთვის დილის ნამის ტოლფასია. განსაკუთრებით ჭარბად ასხურეთ წყალი იებს.

*** ასტრებსა და გეორგინებს უყვართ, როცა მათ წყალს უცვლიან საღამოობით.

# დიეტა ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით



**წყლის ზოდიაქოებს (თევზი, კირჩხიბი, ღრიანკალი)** კალიუმით მდიდარი მსუბუქი საკვები სჭირდებათ. კალიუმი წყალს გამოდევნის ორგანიზმიდან და ალერგიულ რეაქციას ამცირებს. ამიტომ ამ ზოდიაქოების ნიშნით დაბადებულებმა უნდა მიირთვან: ხენდრო, სატაცური, ბანანი, გოგრა, ნუში, კარტოფილი, მზესუმზირა, თინუსი.

**ცეცხლის (ვერძი, ლომი, მშვილდოსანი)** ნიშნით დაბადებულებს არგებთ სისხლის გამწმენდი საკვები. თქვენი რაციონი მდიდარი უნდა იყოს E ვიტამინით, რაც უხვადაა ხორბალში, სოკოში, ყაბაყსა და ინდაურის ხორცში.

რადგან **ჰაერის (მერწყული, სასწორი, მარჩბივი)** ნიშნოსანთა მენტალურ ენერგიასა და ნერვულ სისტემაზე ჰაერი აგებს პასუხს, საჭიროა თავის ტვინის და ნერვული სისტემის მასტიმულირებელი საკვების მიღება: ზღვის პროდუქტები, ხორცი, მწნილი, მარინადი, ღვიძლი, ნუში.

**მიწის (კურო, თხის რქა, ქალწული)** ნიშნოსნები ძვლის გასამაგრებელ მასალას ითხოვენ — კალიუმსა და პროტეინს. ასეთი საკვებია: რძე, ყველი, ხორცი, მუქი ბრინჯი და ყველანაირი პარკოსანი.

# რჩევები დიასახლისებს



— გამხმარ ყველს სირბილე დაუბრუნდება, თუ რამდენიმე საათით მოათავსებთ რძეში ან მაწონში;

— ხახვის სუნი სწრაფად გაეცლება ტაფას (ხელებსაც კი), თუ ცხელ ტაფას გაწმენდთ ჩაიდანში დარჩენილი ჩაით;

— მოხარშული, მარლაში გახვეული ჩაის ნარჩენით კარგად იწმინდება ავეჯი;

— მომზადებულ საჭმელში დაფნის ფოთოლი არ ჩატოვოთ! ის კარგია ხარშვის დროს, შემდეგ კერძის გემოს აფუჭებს;

— დანაყილი ნიორი ქურიდან გადმოდგმის წინ დაამატეთ კერძს;

— ღვიძლი უფრო გემრიელი გახდება, თუ შეწვამდე 2 სთ რძეში გააჩერებთ;

— ღვიძლს უმარილოდ წვავენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგარი გამოვა.

— შემჭკნარი მწვანილი გამოცოცხლდება, თუ ცოტა ხნით ცივ, ძმრიან წყალში მოათავსებთ;

— ხარშვისას სოსისი რომ არ დასკდეს, წინასწარ ჩანგლით ჩაჩხვლიტეთ.

# გსურთ ჰოლივუდურად იბრწყინოთ?



საიდუმლო არ არის, რომ ყველა ქალს აინტერესებს, როგორ ზრუნავენ კინოვარსკვლავები თავიანთ გარეგნობაზე. თურმე ისინი ძალიან მარტივად ახერხებენ ამას (ესაა პოპულარული ნიღაბი სახისთვის).

ავიღოთ 2ს/კ შვრიის ან სიმინდის ფქვილი, კარგად ავთქვიფოთ კვერცხის ცილაში და მასა სახეზე წავისვათ ბამბით. 20წთ-ის შემდეგ ფრთხილად მოვიშოროთ ნამიანი კოსმეტიკური ხელსახოცით, ჩამოვიბანოთ ცხელი წყლით, შემდეგ გრილი წყლით და წავისვათ მკვებავი კრემი. მსოფლიოს ქალებმა უკვე შეაფასეს ეს ეფექტური ნიღაბი. ახლა თქვენც მოსინჯეთ!

# „გოგო, სად არის ჩემი წინდები, ჩემი მაისური?“

***ამბობენ — გაზაფხულზე და ზაფხულში შეყვარებულთა რიცხვი იზრდებაო. თურმე წელიწადის ეს ორი სეზონი განსაკუთრებით მოქმედებს ადამიანურ გრძნობებზე. ეს ალბათ ასე საქართველოში და სხვა თბილ ქვეყნებშია, თორემ ჩუკოტკაზე, კამჩატკაზე და პლანეტის სხვა ცივ ადგილებში საეჭვოა წლის რომელიმე სეზონი სიყვარულის ხარისხზე განსაკუთრებით მოქმედებდეს. მოკლედ, იმის დადგენა, წელიწადის რომელ დროს უმძაფრდებათ ადამიანებს სიყვარულის გრძნობა, ნაუცბადევი გამოკითხვით ვცადე.***



**ნინო (22 წლის)** — ასე მგონია, როცა აცივდება, მაშინ უფრო მეტად უმძაფრდებათ ადამიანებს სიყვარულის გრძნობა. იცით რატომ? პირადად მე სიცივეში და ჩამხუტებლის ძებნაში მეწვია სიყვარული. ისე კი, საერთოდ, თუ ვინმე გიყვარს, სეზონს მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ზაფხულშიც თუ კონდიციონერიან ოთახში ვარ, მაშინაც მიღიტინებს ეროსი გულში და ტვინშიც (იცინის), რა საინტერესო კითხვაა, დამაფიქრეთ.

**გულნაზი (48 წლის)** — ჩემი მომავალი ქმარი რომ გავიცანი, 18 წლის ვიყავი. გაზაფხული იდგა მაშინ. ახლა, 30 წლის შემდეგაც, ის დრო რომ მახსენდება და აპრილი დგება, ო, თავს ისევ გოგონად ვგრძნობ. მგონი ჩემი ჟორაც ასე ფიქრობს. იმასაც ისე უჟუჟუნებს ხოლმე თვალები. ახლა, ის კი არ იფიქროთ, რომ მარტო გაზაფხულზე გვიყვარს ერთმანეთი, ყველა სეზონზე ვსიყვარულობთ, მაგრამ გაზაფხული სხვაა. ყოველ წელს თავიდან ვიწყებთ რომანს.

**ნატა (17 წლის)** — რაო? როცა კაი ტიპს გავიცნობ, მაშინ ვდგები სიყვარულის ხასიათზე. პირველად ბაღში 5 წლისას შემიყვარდა ჩემი ტოლი ბიჭი, 8 მარტი მომილოცა. მერე მესამე კლასში ისევ მარტში შემიყვარდა კიდევ ერთი ბიჭი. შარშან მესამედ შემიყვარდა, ისიც მარტში. „მარტის თვეა ჩემი“ — წაიღიღინა და გააგრძელა — სიყვარული გრიპივითაა, გრიპის სეზონიც ხომ გაზაფხულზეა.

**მარიამი (68 წლის)** — ყველა სეზონზე კარგია სიყვარული. ამ ხნის ქალს კი დამეჯერება რაღაც ალბათ. ისე, ზაფხულში უფრო იპრანჭება ქალი და რაც არ უნდა საფიქრალ-საზრუნავი ჰქონდეს, სიყვარულისთვისაც უფროა განწყობილი; ახლა რაღა დროს ჩემი ეგეთებია, მარა წინათ რომ გავშრიალდებოდი ზღვისპირეთში ჩემი ხატაურა კაბებით, სიყვარულით ვგიზგიზებდი. ეჰ, კაი დრო იყო. ჩემი კაცი მეუბნებოდა — ზაფხულში რა სხვანაირი ხარ, მაროო. ახლა ბერიკაცს სადღა ცხელა სიყვარულისთვის. წელი აქვს გაშეშებული.

**ლილი (35 წლის)** — სიყვარული და სეზონი? მთავარია კაცი იყოს. სეზონს რა აზრი აქვს. ტელევიზორში თვალებდაჭყეტილი ვუყურებ ფილმებს და ვოცნებობ, ცხოვრებაც ისეთი იყოს. ახლა კაცები აღარ არიან, რომ სასიყვარულოდ განგაწყონ, გრძნობას და ტრფობას მრუშობასა და სექსში ურევენ. ბინძური ფანტაზიებით გონებადამძიმებულ კაცებთან ურთიერთობა გულისამრევია. ეგენი რა სიყვარულს გაგიჩენენ.

**ხათუნა (46 წლის)** — თუ პოეტური ნატურა ხარ, სიყვარულიც უცებ იფეთქებს, მთავარია იმ ერთადერთს შეხვდე. ზურიკელასი არ იყოს, ქვეყანა რომ იქცეოდეს, სიყვარულს წინ რა დაუდგება, ზამთარშიც კი გაზაფხული ჩაგიდგება სულში. ეს გაგრძელდება მანამ, ვიდრე ის შენი ერთადერთი ერთ მშვენიერ დღეს მიწაზე არ „დაგანარცხებს“ ღრუბლებიდან თუნდაც ერთი შეძახილით: „გოგო, სად არის ჩემი წინდები, ჩემი მაისური? მომიტანე დროზე, არ გესმის?“

***ეკა ლომიძე***

## იუმორი

**მიხა ღმერთს ევედრება:**
**— ღმერთო, შენს სახელს ვენაცვალე, შარშან რო ცოლი გთხოვე და რო მამეცი... აღარ მინდა და... დროზე წაიყვა შენთანა, რა...**

CMYK






ახლად აშოვლე-ბული ჩურჩ-ხელის ჩამო-ნაღვენთი

წარსულში მცხოვრები ნათესავი

მკბენარი

სრული მარცხი, კრახი

... ჭავჭავაძე

ლაზათი

ჩაცმულო-ბის მანერა

წიფელი, რცხილა

ქალთან მოცეკვავე მამაკაცი

იურისტი

„წითელ-ქუდა“ (ჟანრი)

ესპანელი მენდიეტას უცნაური სახელი

მეფე შექსპირის ტრაგედი-იდან

ქვანარევი ქვიშა

ვერცხლის-ფერი ძნე-ლადდნობა-დი ლითონი

ბრაზილიე-ლი ვეტე-რანი ფეხ-ბურთელი

ქიმიური ელემენტი, სადეზინფექ-ციო საშუალ.

ხანჯლის ბუდე

სპილოს „ძვალი“

შოკოლა-დის ხე

კუ ჩინურ მითოლო-გიაში

ჯადოქარი, მისანი

გერმანული პარფი-უმერული ფირმა

მწერის განვითარე-ბის ბოლო სტადია

მაგარი ქანი

სწრაფი შეტევა

არტურ ჰეილის რომანი

სახედარი

სიგრძის ჩინუ-რი ერთეული

ძვირფასი ქვა

ხმლის ტარი

თბილისის ზღვაში ჩაედინება მდინარე

მხარე საქართვე-ლოში

საკრედიტო დაწესე-ბულება

„ლედი ჰამილ-ტონი“ (მსახიობი)

„ნახვამ-დის“ იტალი-ურად

ხელსაქმე

შექსპირის „ჭირვეულის მორჯულე-ბის“ პერსონ.

ბანქოს ფურცლე-ბის ერთობ-ლიობა

ტკბილი კარტო-ფილი

რუსული მცირელი-ტრაჟიანი მანქანა

ნაწარ-მოების ძირითადი შინაარსი



ქვეყანა, კოლუმბის მიზანი

დიდი საზეიმო კონცერტი

ოპერა „დაისის“ პერსონაჟი

ძრავიანი ველოსი-პედი

ქალი, საფრანგე-თის ახალი სიმბოლო

კვანტური მექანიკის ერთ-ერთი შემქმნელი

მიმართვა კათოლიკე მღვდელი-სადმი

ძველებური ფრანგული ლიქიორი

საზეიმო ხასიათის ვოკ.-ინსტ. ნაწარმოები

შენობა სროლაში სავარჯი-შოდ

გაუშლელი ყვავილი

საკაზმი მცენარე

კითხვის შესასწავ-ლი წიგნი

ჭკუა, ინტელე-ქტი

„მაუგლი“ (პესონაჟი)

ზოლი ქსოვილის კიდეზე

ბინის დამქირავე-ბელი

შეიარ-აღებული კონფლი-ქტი

არქტიკუ-ლი სარტყ-ლის სამ-ხრეთ ზონა

ჯილდო



მსხვილი მახრჩო-ბელა

სამკურნა-ლო ხსნარი

არასრული დამბლა

ამერიკელი მსახიობი ხელმა ...

იგივეა რაც დარბაზი (ძველად)

კრაზანა

თეთრი ფქვილით გამომცხვა-რი რგოლი

ბილიარდის ჯოხი

ბუვიეს რომანი



შეადგინა რამაზ ალანიამ

# მამულ-დედული

## კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით (6–18 აგვისტო)

გამოხმაურება

## არა მხოლოდ თხილი...

**„კვირის პალიტრის“ 3-9 ივნისის ნომერში ბატონი ემზარ მდინარაძის სტატიას — „იქნებ თხილმა გვიშველოს“ — გამოეხმაურნენ წალენჯიხის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი ლ. კვარაცხელია, ს/მ მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ქარდავა, ოზურგეთის კომპლექსური სადგურის უფროსი რევაზ სალუქვაძე და სხვები.**

— მართლაც, უშველის თხილი საქართველოს? უშველის, როგორ არა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას ეყოლება ეროვნული ინტერესების მქონე მთავრობა. თხილი და სოფლის მეურნეობის ყველა ის პროდუქტი, რომელიც საქართველოსთვის იყო მომგებიანი გარე ბაზარზე, ყოველთვის მომგებიანად დარჩება. მსოფლიოში ვაზი უფროა გავრცელებული, ვიდრე თხილი, მაგრამ უცხოურმა ფირმებმა საქართველოში დაიწყეს ვაზის გაშენება, რაც მოსახლეობას მეტ მოგებას მისცემს. ისევ უცხოელი ბიზნესმენები უნდა დაინტერესდნენ ქართული თხილით, რათა მათი შემწეობით აღორძინდეს თხილის მოვლა-მოყვანის კულტურა.

ზემოხსენებულ სტატიასა და ავტორთა წერილებში მოყვანილია ფაქტები, თუ რა იაფად — 1,5-2 ლარად ყიდულობენ საქართველოში თხილს და საზღვარგარეთ 5 და 25 დოლარადაც კი ყიდიან... ამ საქმის კეთებას მონდომების მეტი არაფერი უნდა. ამის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოგიყვანთ: საქართველოს მეფუტკრეობის საზოგადოებისთვის ცნობილია ძველი თაობის მეფუტკრე და მეცნიერი ბატონი ვანო ნიკოლაძე. ამ ხანში შესულმა, მაგრამ დიდი ენერგიის მქონე კაცმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ფუტკრის რძის წარმოებას საზღვარგარეთ ექსპორტისთვის და თითქმის 6-8-ჯერ უფრო ძვირად იყიდება აშშ-ში, გერმანიასა და საფრანგეთში ნაწარმ ფუტკრის რძეზე. დღეს საქართველოს ასეთი ნიკოლაძეები ესაჭიროება. ქართული თხილის მწარმოებელი კი თხილის ფასის მეათედსაც ვერ იღებს, რადგან აქ ყველაფერი სტიქიურად ხდება. არავის შეუსწავლია საზღვარგარეთ თხილის ფასი ჯიშთა შესაბამისად. უფრო მეტიც, თხილის ჩასაბარებელი ფასი შემოდგომიდან ზამთრამდე მუდამ იზრდებოდა, მაგრამ შარშან 1,7 ლარს არ ასცილებია.

როგორც ბატონი მერაბ ქარდავა თავის წერილში აღნიშნავს, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გასცეს სესხი, რაც დაეხმარება კერძო პირებს თხილის განაშენიანებაში. საეჭვოა, ჩვენმა მთავრობამ ოდესმე ასეთი სესხი გასცეს, ვინაიდან მამაპაპური საკარმიდამო ნაკვეთების დამტკიცებით დასრულდა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება...

აი, რას ფიქრობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ბატონი ნუგზარ შენგელია: „საქართველოში თხილის წარმოება ნამდვილად გაამართლებს, მაგრამ ჩვენ ასევე შეგვიძლია საზღვარგარეთ ბაზარზე გავიტანოთ ხმელი ხილიც“.

ხედავთ, მხოლოდ თხილი არ ყოფილა ჩვენი მშველელი... ოღონდ ყოველივე ამას უნდა ორგანიზება, რათა მწარმოებელმა ჩააბაროს თხილი, ხოლო ანგარიშსწორება მოხდეს, რა თქმა უნდა, სათანადო ხელშეკრულებისა და შეთანხმების გაფორმების შემდეგ, ისე, როგორც ხდება ფუტკრის რძის რეალიზაციის შემთხვევაში.

## რა უნდა ვიცოდეთ სოკოს შესახებ



დღეს ვერავინ იტყვის ზუსტად, რომელ ცოცხალ ორგანიზმთა სამყაროს მიეკუთვნება სოკო, ფლორასა თუ ფაუნას. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს არის მცენარეული სამყაროს წარმომადგენელი, რომელსაც არ აქვს ტოტი, ფოთოლი, ყვავილი და ა.შ. სხვები თვლიან, რომ სოკო ცხოველური წარმოშობისაა მისი შემადგენლობის მიხედვით. სოკო თავისი ასეთი თვისებების გამო მიეკუთვნება ცოცხალ ორგანიზმთა დამოუკიდებელ სამყაროს (გარდამავალს მცენარეულიდან ცხოველურისკენ), ამიტომ შეგვიძლია მოკლედ ვთქვათ სოკო — ეს არის, სოკო!

მსოფლიოში სოკოს 10 ათასამდე სახეობაა: საკვებად გამოსაყენებელი, შხამიანი, პარაზიტი, თვალით უხილავი, სქესიანი და უამრავი სხვა. არსებობენ გიგანტი სოკოები, რომელთა დიამეტრი 1,5 მ-ია.

სოკო ძალიან ხშირად გვხვდება ტყეში, ჯირკსა თუ კუნძზე, ეს სოკოები ტყეს ასუფთავებენ, ამდიდრებენ ნიადაგს.

სოკოს ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა მისი საკვებად გამოყენება.

ტყეში სოკოს მოგროვებას დიდი ცოდნა უნდა, ვინაიდან თითქმის ყველა საკვებ სოკოს ჰყავს თავისი შხამიანი ორეული. ნამდვილ საკვებ სოკოსა და მისი ორეულის გარჩევა კი დიდ ცოდნას მოითხოვს. ვინც ამ საკითხში გარკვეულია, ის კარგად ხედავს, თუ რომელი სოკო რომელ ადგილზე ამოდის. მაგ. ქამა სოკო იზრდება მინდორში, ტყის ნაპირებზე, მანჭკვალა ხის ფესვთა გაყოლებაზე, მიქლიო — ნაძვისა და ფიჭვის ძირებთან.

საქართველოში ძირითადი საკვები სოკოებია — ქამა, მიქლიო, მჭადა, წითლიო, მანჭკვალა, მერცხალა, ცხვარიო, ყვითელი საჩეჩელა, ნიყვი და სხვა.

არსებობს ე.წ. პირობითად საკვები სოკოები. ასეთი სახის სოკოები წინასწარ უნდა დამუშავდეს, რამდენჯერმე მოიხარშოს და მხოლოდ ამის შემდეგ მომზადდეს კერძი.

სოკოს ზოგიერთი სახეობა სამკურნალოდაც გამოიყენება. მაგ. დათვის სოკოში აღმოჩენილია ალკალოიდი გერცინინი, რომელიც გამოიყენება სტენოკარდიული შეტევის დროს. მიქლიოსა და ქამაში მრავლადაა ანტიბიოტიკები. არყა სოკო გამოიყენება ნაღვლის ბუშტში ჩირქოვანი დაავადებების დროს.

თეორიული მომზადების შემდეგ, ტყეში წასვლისას სასურველია მცოდნე გამყოლის თანხლება. მთავარია, არ გაეკაროთ იმ სოკოს, რომელშიც არა ხართ დარწმუნებული, შხამიანია თუ საკვები.

ხალხური გადმოცემა, შხამიანი სოკოს ნახარშში თითქოს შავდება ვერცხლის კოვზი ან მოხარშულ სოკოზე მოყრილი მარილი ყვითლდება და სხვა მრავალი, არ ამართლებს, რის შედეგადაც ხშირად ადგილი აქვს მოწამვლას.

ჩვეულებრივი საკვები სოკო ხშირად ფუჭდება, თუ მას მოკრეფისთანავე არ გაწმენდთ, ხოლო შინ მიტანისას მაშინვე უნდა გაირეცხოს და დალაგდეს ერთ ფენად, გაშრეს და დახარისხდეს ზომების მიხედვით. მსხვილი ზომის სოკო აუცილებლად უნდა დაიჭრას კერძის მომზადების წინ.

სოკო ძალიან ადვილად ინახება, როგორც გამხმარი სახით, ასევე დაკონსერვებით. სოკოსგან მზადდება შესანიშნავი მარინადი და მწნილი ზამთრისთვის.

მომავალში ჩვენ მოგაწვდით სოკოსგან სხვადასხვა საუზმის, წვნიანის, სოუსისა და ზამთრისთვის მისი სხვადასხვა წესით შენახვის რჩევებს.

## ვპასუხობთ კითხვაზე

### რით ვუშველოთ კურდღლებს

**„მამულ-დედულის“ მკითხველი ბატონი ვახტანგ ჯანეზაშვილი გვისვამს შეკითხვას, რომელზეც სიამოვნებით ვუპასუხებთ.**

**— მყავს კურდღლები. ძალზე ხშირად იხოცებიან. მაინტერესებს, რით ვუშველო?**

— შინაური კურდღლის, ანუ ბოცვრის დაავადებათა შორის გავრცელებულია გადამდები, არაგადამდები, პარაზიტული და სოკოვანი დაავადებები. მიუხედავად იმისა, ბოცვრები ავადდებიან თუ არა, დროდადრო მაინც აუცილებელია პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, რაც ითვალისწინებს საბოცვრესა და გალიაში სისუფთავისა და სიმშრალის დაცვას, რაციონალურ კვებას და კარგ მოვლას.

გადამდები დაავადებებია: ინფექციური რინიტი, სტომატიტი, პოლიბაქტერიოზი და სხვ. არაგადამდებია კუჭ-ნაწლავური დაავადება, კატარი, სასუნთქი ორგანოების დაავადება და სხვ. ასევე ხშირია სოკოვანი დაავადებები.

ბოცვრის სამკურნალოდ აუცილებელია დაავადების ხასიათის შესწავლა, შემდეგ პროფილაქტიკა და მკურნალობა, რაც ევალება თქვენი სოფლისა თუ რაიონის ვეტერინარულ სამსახურს. გარდა ამისა, უნდა შეიძინოთ სპეციალური ლიტერატურა, რომელიც გაგიადვილებთ საქმიანობას. მაგალითად, უშანგი აბაშიძის „მებოცვრეობა საკარმიდამო მეურნეობაში“, რომელიც შეგიძლიათ შეიძინოთ საქმემამულეთა კავშირში. მის. აკ. წერეთლის გამზ. №142. ტ: 34-07-97.

**6–7/VIII, კირჩხიბი** — ფუტკრის მკურნალობა, ხეხილის, დეკორატიული მცენარეებისა და ბაღჩეული კულტურების რწყვა. მავნებლებთან და სარეველებთან ბრძოლა. ოთახის ყვავილების განოყიერება. მიუღებელია ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვება.

ოთახს დიდი ხნით ნუ გაანიავებთ. კარგია ორგანიზმის გამწმენდი პროცედურების ჩატარება. ყურადღება მიაქციეთ გულ-მკერდის არეს და ფილტვებს. მოერიდეთ ენერგიის გადახარჯვას. მოსალოდნელია თავის ტკივილები, ნევროზი. მოერიდეთ შორ მგზავრობას, ალკოჰოლისა და თამბაქოს მიღებას.



**8–9/VIII, ლომი** — ხორბლის აღება, თიბვა, ზვინის დადგმა. სამკურნალო მცენარეების შეგროვება. მიუღებელია ნიადაგის განოყიერება სასუქებით.

აუცილებელია ოთახის განიავება, ლოგინისა და ტანსაცმლის გამზეურება. მოერიდეთ ფიზიკურ გადაღლას, გულის გადატვირთვას. ყურადღება მიაქციეთ სისხლის მიმოქცევის სისტემას. მიუღებელია სექსუალური ურთიერთობა. ეცადეთ მიიღოთ გულის დამამშვიდებელი მცენარეული ნაყენები.

იკვებეთ ხილითა და ბოსტნეულით. მიუღებელია ალკოჰოლი და თამბაქო.

**10–11/VIII, ქალწული** — მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის განოყიერება. ამ დღეს კარგია ბოძების დასობა. მიუღებელია ნებისმიერი ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვება.

ერიდეთ გამჭოლ ქარს. გაუფრთხილდით საჭმლის მომნელებელ სისტემას, კუჭქვეშა ჯირკვალს. აუცილებელია კანის გაწმენდა და აბაზანის მიღება მცენარეული დანამატით, წყლის აბაზანები. ამ დღეებში მოსალოდნელია მოთენთილობა და ძილისაკენ მიდრეკილება.

აუცილებელია მსუბუქი კვება. მიუღებელია კონსერვისა და ძეხვის მიღება. დასაშვებია მხოლოდ ფრინველის ხორცი.

**12–13/VIII, სასწორი** — მიუღებელია მცენარეების რწყვა, თიბვა. შეგიძლიათ გაანოყიეროთ ნიადაგი, ჩაატაროთ ნებისმიერი სამუშაო. აუცილებელია დილით და საღამოს სუფთა ჰაერზე გასეირნება. ყურადღება მიაქციეთ თირკმელებს და შარდის ბუშტს. დღეიდან შეგიძლიათ გაზარდოთ ფიზიკური დატვირთვა. **13** აგვისტოს მოერიდეთ ორგანიზმის გადაღლას და ნერვიულობას.

საკვებად შეგიძლიათ მიიღოთ ის, რაც მოგწონთ. ორგანიზმი ნებისმიერ საკვებს გადაამუშავებს. აუცილებელია რძე და რძის პროდუქტები.

**14–15/VIII, ღრიანკალი** — მავნებლებთან ბრძოლა, ბალახის თიბვა, ოთახის ყვავილების რწყვა, განოყიერება. ბინისა და ლოგინის განიავება მცირე ხნით. გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, თირკმლებს და სასქესო ორგანოებს. აუცილებელია სამკურნალო აბაზანის მიღება. მიუღებელია სექსუალური ურთიერთობა, გადაჭარბებული კვება. აუცილებელია სუფთა ჰაერზე ღრმა სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება.

მთავარი საკვებია წიწიბურა, ბურღულეული, რძე, საქონლის ღვიძლი, მაწონი, ფრინველის ხორცი და შავი ან რუხი პური. მოერიდეთ ალკოჰოლს.

**16–17–18/VIII, მშვილდოსანი** — ხილის კრეფა, მურაბების, საწებლებისა და წვენების მომზადება. ბრძოლა მავნებლებისა და სარეველების წინააღმდეგ.

გაანიავეთ ბინა, გაამზეურეთ ლოგინი. აუცილებელია საცხოვრებელი და დამხმარე სათავსების დასუფთავება, განიავება. გაუფრთხილდით გრძნობის ორგანოებს და სისხლძარღვებს. **17** აგვისტოს მოსალოდნელია საერთო ფიზიკური მოთენთილობა, აზროვნების შესუსტება, წნევის დარღვევა. ყურადღება დაუთმეთ გულის მუშაობას.

ეცადეთ იკვებოთ მხოლოდ ხილით და ბოსტნეულით. დასაშვებია მხოლოდ ფრინველის ხორცი, მცირე ოდენობით. გამორიცხეთ ალკოჰოლი.

## ციცარი თქვენს კარ-მიდამოს მოუხდება



ამჟამად მკითხველს გვინდა გავაცნოთ ყველასათვის ნაცნობი, მაგრამ რატომღაც ჩვენთან ნაკლებად გავრცელებული შინაური ფრინველი ციცარი. ეს ფრინველი იმით განსხვავდება სხვა შინაური ფრინველებისგან, რომ ერთდროულად შინაური და გარეული ფრინველის თვისებების მატარებელია.

ციცარი შესანიშნავად პატრონობს ეზოს, ბაღბოსტანს, საკარმიდამო ნაკვეთს და თქვენ წარმოიდგინეთ, შინაურ ფრინველებს. ეს ფრინველი გამოირჩევა აკურატულობით, არასოდეს აზიანებს ნათეს კვლებს, ახალამოსულ მცენარეებს. პირიქით, შორიდან შემოუვლის. ის აკვირდება, სად რომელი მავნებელი ბინადრობს, რომ მაშინვე მოსპოს. ანადგურებს ლოკოკინებს, კოლორადოს ხოჭოს, მავნე მწერებს და ქვეწარმავლებსაც კი. გარდა ამისა, თუ ეზოს შინაურ ქათმებს თავს დაესხა ქორი ან მიმინო, მამალი ციცარი მას მაშინვე გამოედევნება და თუ დაეწია, ნადავლს წაართმევს კიდეც.

ციცარს არ უყვარს ეზოში აურზაური, წყნარი ფრინველია, ამიტომ იოლად ფრთხება. წყნარი მოპყრობის შედეგად პატრონს მალე ეგუება. ჩვეულებრივი შინაური ფრინველებისგან განსხვავებით, არ სჭირდება მოწყობილი საბუდარი. ადგილს თვითონ ირჩევს, კვერცხს სხვადასხვა ადგილას დებს, წლის განმავლობაში 80-140 ცალს, მოფარებულ ადგილს ირჩევს. წიწილების გამოსაჩეკად ციცარს 26 დღე ესაჭიროება. ბალახის წიწკნას მაშინვე ასწავლის თავის წიწილებს. აღსანიშნავია, რომ მამალი ციცარი გაცილებით უკეთ ზრუნავს წიწილებზე, ვიდრე დედალი.

მოსალოდნელი საფრთხის წინ ციცარი გამოსცემს კივილისმაგვარ ხმას, თითქოს სტვენს კიდეც.

ციცრის ხორცს შესანიშნავი გემო აქვს.

მართალია, წიწილების გამოჩეკის შემდეგ მათზე დიდი ზრუნვაა საჭირო მთელი ერთი თვის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ ყველა ფრინველზე იოლი შესანახია, თუ დიდი და მინდვრიანი ეზო გაქვთ.

## საოცარი ბუნება

### დღეგრძელნი



აფრიკის სავანებში ხარობს საინტერესო მცენარე, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენიმე ათას წელიწადს მოითვლის. მას კარგად „ახსოვს“ ის შორეული წარსული, როდესაც ჯერ არც არსებობდა ათენი, რომის იმპერია და ეს-ესაა იწყებდნენ პირამიდების მშენებლობას. ეს მცენარეა — ბაობაბი, ცოცხალი სამყაროს ყველაზე ხნიერი წარმომადგენელი.

თავის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით დედამიწაზე გამორჩეულია მოცვი, რომელიც 300 წელს ცოცხლობს.

თანამედროვე ცხოველებისთვის 300 წლის სიცოცხლე მიუღწეველია. 1737 წელს კი ინდოეთის ოკეანეში დაიჭირეს გიგანტური კუ, რომელიც დააბინავეს ლონდონის ზოოპარკში. მეცნიერთა თქმით, ამ გიგანტურმა კუმ 300 წელზე მეტი იცოცხლა. მეცნიერებმა დაამუშავეს მეთოდი, რომლის მიხედვით ანგარიშობენ თევზის ასაკს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველაზე დიდხანს თევზებს შორის ცოცხლობს სვია, რომლის ასაკი ხშირად 100 წელს აჭარბებს.

ხმელეთის ცხოველებიდან ყველაზე დღეგრძელი აღმოჩნდა გიგანტური სალამანდრა, რომელიც 130 წელს ცოცხლობს. ფრინველებიდან 100 წლამდე ცოცხლობენ არწივი, ყვავი და თუთიყუში. ყვავის სამასწლიანობა სინამდვილეს არ შეეფერება. აღწერილია შემთხვევა, როდესაც თუთიყუშმა 140 წელს მიაღწია.

ძუძუმწოვრები შედარებით ნაკლებ ხანს ცოცხლობენ. მაგ. სპილოს საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა 70 წელია. შინაური ცხოველები კიდევ უფრო ნაკლებს ცოცხლობენ.

***გვერდი მოამზადა დურმიშხან ყიფიანმა***

# მედიცინა



## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.*

**მყავს 80 წლის დედა, რომელსაც გამუდმებით აქვს კანის ქავილი. იქნებ ამიხსნათ, რით შეიძლება იყოს ეს გამოწვეული და როგორ შევუმსუბუქო მოხუცს მდგომარეობა?**

***ნაილი ქარდავა***

კანის თითქმის ყველა დაავადებას თან ახლავს ქავილი, მაგრამ სხვადასხვა შემთხვევაში მკურნალობის განსხვავებული მეთოდები გამოიყენება. მოხუცი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ნახოს დერმატოლოგმა. გაუკეთდეს სათანადო ანალიზები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, ვისაუბროთ ქავილის მიზეზებზე. თუმცა, კანის დაავადების გარდა, ქავილის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს: კლიმატური ფაქტორი (სითბური ქავილი), ალერგიები, შაქრიანი დიაბეტი და სხვა.

შესაძლებელია, მოცემულ შემთხვევაში საუბარია მოხუცებულობის ქავილზე. ასაკოვან ადამიანებს უსუსტდებათ ფერმენტული სისტემა და ჩნდება ბევრი მეტაბოლიტი (ცხოველმოქმედების პროდუქტი), რომელიც ბუნებრივად უნდა გამოიყოს ორგანიზმიდან, მაგრამ, რაც უფრო მოხუცია ადამიანი, მით ნელა ხდება მეტაბოლიტების გამოყოფის პროცესი, ხოლო ზოგჯერ — საერთოდ არ გამოიყოფა. მაშინ ტოქსინები (შხამები) გროვდება, გადადის სისხლში, აღიზიანებს ნერვულ დაბოლოებებს და იწვევს კანის ქავილს.

თუ მიზეზი მართლაც ესაა, მაშინ ორგანიზმს დახმარება ესაჭიროება. მოხუცმა უნდა მიიღოს ფერმენტები (ფესტალი ან სხვა), რომლებიც აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. აგრეთვე — სორბენტები (აქტივირებული ნახშირი), რომელიც წმენდს სისხლს. გარეგანი ხმარებისთვის რეკომენდებულია საცხი „აუროზინი“.

მკურნალობა უნდა დანიშნოს ექიმმა, რადგან თვითდიაგნოსტირების დროს ადვილია შეცდომის დაშვება. მაგალითად, მოხუცებულთა ქავილი ძალიან ჰგავს დიურინგის დერმატიტს, რომლის მკურნალობის ტაქტიკაც სრულიად განსხვავებულია.

**სიმსუქნის მკურნალობის დროს ცოტა ხნის წინ ოყნებით ორგანიზმის გამორეცხვა გამოიყენებოდა. ახლახანს ვიყავი დიეტოლოგთან, რომელმაც მითხრა, რომ ეს მეთოდი ახლა აღარ გამოიყენება. გთხოვთ, ამიხსნათ, რატომ უარყვეს დღეისათვის აღნიშნული მეთოდი?**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

გასტროენტეროლოგები (კუჭ-ნაწლავის სპეციალისტები) თვლიან, რომ გამწმენდი ოყნის რეგულარული გამოყენება გაუმართლებელია და ავადმყოფისათვის ზიანის მოტანაც კი შეუძლია, რადგან ორგანიზმისათვის სასარგებლო მიკროორგანიზმთა უმრავლესობა მსხვილ ნაწლავში ბინადრობს. თუ ოყნით გამოვრეცხავთ მიკროფლორის მთელ ფენას, შემდეგ ძალიან ხანგრძლივად მოგვიწევს მის აღდგენაზე ზრუნვა. ნაწლავური მიკროფლორის დარღვევამ შესაძლოა, იმუნური სისტემის აქტიურობის დაქვეითება და ვიტამინური ცვლის დარღვევა გამოიწვიოს. მათ საყურადღებოდ კი, ვისაც ქრონიკული ყაბზობა (შეკრულობა) აწუხებს, ვიტყვით, რომ თუ ორგანიზმს მიაჩვევთ ოყნებს, ვერავითარი საფაღარათო საშუალება ვეღარ დაგეხმარებათ ნაწლავის ნორმალური მუშაობის აღდგენაში.

ამდენად, დიეტოლოგის რეკომენდაცია სავსებით მართებულია და ყური უგდეთ მის მითითებებს.

**სულ პატარა ნაფხაჭნიც კი ძნელად მიხორცდება და ხანგრძლივად მრჩება ნაწიბური. რასთან შეიძლება იყოს ეს დაკავშირებული?**

***შალვა მაისურაძე***

ყოველ ადამიანს ტრავმის შემდეგ კანის შეხორცების თავისებურებები გააჩნია. ეს შემაერთებელი ქსოვილისა და ეპიდერმისის (კანის ზედა შრის) მდგომარეობაზეა დამოკიდებული. როცა ჭრილობა ხანგრძლივად ვერ ხორცდება, ეს შემაერთებელი ქსოვილის დაავადებაზე ან ფარულად მიმდინარე შაქრიან დიაბეტზე შეიძლება მეტყველებდეს. გაიკეთეთ სისხლის ანალიზი შაქარზე. საერთოდ, სიფრთხილე დაიცავით ტრავმულ სიტუაციებში. ჭრილობა დაიმუშავეთ სადეზინფექციო საშუალებებით: კალიუმის პერმანგანატის სუსტი ხსნარით, წყალბადის ზეჟანგით და სხვ.

**მაწუხებს გული და ვეწევი ძალიან ბევრ სიგარეტს. ვერაფრით დავანებე თავი. კერძოდ, რომელი დაავადების დროს არ შეიძლება სიგარეტის მოწევა?**

***გელა ნ.***

სიგარეტის გადაგდება პირველ რიგში იმისთვისაა საჭირო, რომ შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა და თავი დავიცვათ მრავალი დაავადების განვითარებისაგან. გარდა ამისა, არსებობს დაავადებები, რომლებიც იმდენად სპეციფიკურად უკავშირდება სიგარეტის წევას, რომ მათი ყოველგვარი მკურნალობა უეფექტო და უაზროც კი იქნება, თუ პაციენტი აგრძელებს მოწევას. ასეთ დაავადებებს მიეკუთვნება ზოგიერთი სიმსივნური, გულ-სისხლძარღვთა და ფილტვის დაავადებები. ასეთ შემთხვევებში ექიმები აუცილებელ პირობად უყენებენ ავადმყოფს სიგარეტზე უარის თქმას. ასე რომ, გირჩევთ, გადაეჩვიოთ ამ მავნე ჩვევას, ან უკიდურეს შემთხვევაში, მინიმუმამდე შეამციროთ იგი.

## ხალხში გაზნეშული სამკურნალო რეცეპტები

**მქონდა მარილები, მტკიოდა სახსრები, წელი. ახლობელმა მასწავლა რეცეპტი, რომელიც მისთვის სხვას უსწავლებია. ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მინდა თქვენც გაგიზიაროთ:**

**2 კონა ნიახურს დაასხით 2 ლ „ბორჯომი“ და წამოადუღეთ. შემდეგ დაუმატეთ 1/2 ჩ/კ ლიმონმჟავა, ადუღეთ 20 წუთი. შეაგრილეთ, გაწურეთ მარლაში და მიიღეთ 100გ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე**

***ნაზი ლომიძე, თბილისი***

**ექიმის კომენტარი:** ბორჯომის მინერალური წყალი ნივთიერებათა ცვლას აწესრიგებს. მარილების სახსრებში ჩალაგება კი, სწორედ ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევასთანაა დაკავშირებული.

ლიმონმჟავა მჟავების ჯგუფის ნივთიერებაა, იგი რეაქციაში შედის მარილებთან და შლის ნალექებს.

ნიახური კი, მცენარეული შარდმდენია. იგი საკმაოდ ეფექტურია საშარდე და სანაღვლე გზების კენჭოვანი დაავადებების დროს. ასე რომ, რეცეპტში მოცემული კომბინაცია შესაძლოა მართლაც ეფექტური იყოს ართროზების დროს.

**ბებიაჩემი ყოველწლიურად სვამდა ნივრის სპირტიან ნაყენს. როგორც ამბობდა, ეს ნაყენი უებარია მეხსიერებისათვის. იგი 95 წლის გარდაიცვალა და მართლაც შესაშური მეხსიერება ჰქონდა. მას არასოდეს ჰქონია წნევა.**

**აი, ეს რეცეპტიც: 40 გრამ ნიორს დაასხით 100გ სპირტი. მოათავსეთ თავდახურულ ჭურჭელში. დაუმატეთ პიტნის წვეთები (გემოსათვის). მიიღეთ 10 წვეთი 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.**

***ირმა გოგორიშვილი***

**ექიმის კომენტარი:** ნივრის სპირტიანი ნაყენი სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ რეცეპტთა შორის არაერთგზის გვხვდება, როგორც ათეროსკლეროზული პროცესის ეფექტური დამამუხრუჭებელი საშუალება. ათეროსკლეროზი კი, არის ტვინის სკლეროზული გადაგვარების საფუძველი, აგრეთვე ჰიპერტონიული დაავადების (წნევის) პათოგენეზური მექანიზმი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ნაყენი ზოგჯერ აღიზიანებს კუჭს და თუ კუჭ-ნაწლავის დაავადება გაწუხებთ, ფრთხილად უნდა მიიღოთ.

**თუ ხველა გაგიხანგრძლივდათ, უებარია ქონდრის ჩაი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება:**

**1 ჩ/კ ქონდარს (შეიძლება იყოს ხმელი ან ნედლი) დაასხით 250 მლ მდუღარე წყალი, წამოადუღეთ, დაუმატეთ 1 ს/კ თაფლი. დალიეთ 1/2 ჭიქა 2-ჯერ დღეში, შემთბარი.**

***ლამარა ბობოხიძე***

**ექიმის კომენტარი:** ქართული ტრადიციული მედიცინის კლასიკურ ძეგლებში ქონდარი „ბალღამის“, ანუ ლორწოს სიმრავლის დროსაა რეკომენდებული. ასეთი მდგომარეობა კი, აღინიშნება გაციებების, სურდოს, ბრონქიტის შემთხვევაში. გარდა ამისა, ქონდარს აქვს შარდმდენი და ჭიების საწინააღმდეგო მოქმედება. ფიტოთერაპიულ ფარმაკოპეაში იგი აღნიშნული არ არის.

***თამარ მამაცაშვილი***

## ძილი და კომფორტი



**მეცნიერი სომნოლოგები, რომლებიც ძილგატეხილობის პრობლემებს შეისწავლიან, ამტკიცებენ, რომ კაცობრიობის ერთ მესამედს წელიწადში ერთხელ მაინც უტყდება ძილი, ყოველი მერვე ხვრინავს, ბავშვების 15% და მოზრდილთა 2,5% დადის ძილში, მათი რიცხვი კი, ვისაც კოშმარები აწუხებთ, დაუთვლელია და როგორც წესი, ყოველივე ამის მიზეზი ძილის მიმართ ზერელე დამოკიდებულებაა. ამასთან, სულაც არ არის ძნელი საწოლის სწორად მოწყობა — შესაბამისად, ძილის მოწესრიგება.**

ასტროლოგთა აზრით, დედამიწის ენერგეტიკული ნაკადების მიმართულებათა თანახმად, ძილისას თავი ჩრდილოეთით უნდა გქონდეთ. თუ ჩრდილოეთით ვერ მოახერხებთ, მაშინ აღმოსავლეთით მაინც მიაქციეთ თავი. არავითარ შემთხვევაში სამხრეთით ან დასავლეთით თავმოქცეული არ დაწვეთ — პლანეტის ველებთან სრული შეუსაბამობა მოხდება. არ შეიძლება კარისკენ ფეხმიშვერილი ძილიც, მიუხედავად იმისა, რომ საწოლიდან კარს უნდა ხედავდეთ — ამას უკვე ფენ-შუის სპეციალისტები გვასწავლიან — მათი აზრით, კარიდან შესაძლოა უარყოფითი ენერგია შემოვიდეს.

ექიმები გვირჩევენ არ დავიძინოთ დახუთულ ოთახში, სავსე კუჭით და ა.შ. იძინეთ 8 საათი მაინც.

ისე, თითოეულ ადამიანს საკუთარი ლიმიტი აქვს — მედიკოსები ნორმალურად მიიჩნევენ არანაკლებ ოთხი საათისა და არა უმეტეს 12 საათის მანძილზე ძილს.

ღრმა, სრულფასოვანი ძილის მთავარი პირობაა — სწორად გაშლილი საწოლი.

არ შეიძლება ძილი გამოსაშლელ დივანსა და მით უმეტეს, ჩავარდნილ საწოლზე.

საწოლს სწორი კონსტრუქცია უნდა ჰქონდეს. თუმცა, შეიძლება საწოლის გარეშეც იოლად გახვიდეთ — საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ კომფორტული მატრასი — ანატომიური ან ორთოპედიული.

ასეთი მატრასები სხეულის კონტურებს იმეორებს, ხერხემალზე ზეწოლას ახდენს. ბალიშების ორგვარი არჩევანი გაქვთ — ნატურალური ან სინთეტიკური შიგთავსით. სინთეტიკური იმით სჯობია, რომ ბუმბულისაგან განსხვავებით, ალერგიას არ იწვევს.

ახლანდელი საბნების შიგთავსიც სინთეტიკური პოლიეთერითაა გაკეთებული და ბევრად მსუბუქია ტრადიციული ბუმბულის, მატყლისა თუ ბამბის საბნებზე.

ცნობილია, რომ ორთოპედიულ საწოლზეც კი გაგვიჭირდება დაძინება, თუ ცუდი ფიქრები გვეძალება.

ჯანსაღი ძილი რომ დაგვეუფლოს, დადებითი ემოციებია საჭირო.

პირქუში აზრებისგან თავის დაღწევაში ისევ და ისევ საძინებლის მყუდრო ატმოსფერო დაგეხმარებათ. ამიტომ აუცილებლად შეიძინეთ ლამაზი თეთრეული.

ფერის ამორჩევა გემოვნების საქმეა. ისე, შეიძლება ფენ-შუის რჩევებსაც მიუგდოთ ყური, რომლის მიხედვითაც თეთრეული, ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის უნდა გქონდეთ შერჩეული.

მაგალითად, ვნების აღმძვრელია ვარდისფერი ან წითელი თეთრეული, ჰარმონიას მწვანე ფერი გაგრძნობინებთ, შავი ზეწარი და ბალიშისპირი წარმოსახვას გაგიღიზიანებთ და იდუმალებათა სამყაროში ჩაგძირავთ.

ისევ მოდურ ტენდენციებს დავუბრუნდეთ — დღეს აქტუალურია მოჩითული თეთრეული — მცენარეული და ეთნომოტივებით. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კუბოკრული ან მაქმანიანი სტილი მოდიდან გამოვიდა. საძინებელი სწორედ ის ადგილია, სადაც თითოეულს შეუძლია სხვათა შეხედულების გაუთვალისწინებლად, ის ნივთები შემოიკრიბოს, რომელთა ხილვა და შეხება სიამოვნებს.

რაც შეეხება თეთრეულს, სასურველია იგი მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი იყოს — ბამბის, სელის ან აბრეშუმისა. უფრო ხშირად ბამბას იყენებენ, იშვიათად — სელს და თითქმის აღარ ხმარობენ აბრეშუმს.

რატომ? გრილი აბრეშუმი სასიამოვნო ხელშესახებია და რომანტიკული პაემნის დროს სასურველ განწყობას შეგიქმნით. მაგრამ სჯობს ნაკლებად იხმაროთ — აბრეშუმის ზეწრები მალე იჭმუჭნება და იოლად ცურდება ლეიბიდან. კიდევ ერთი მინუსი — აბრეშუმის თეთრეული ძვირია. ამიტომ, ისევ და ისევ ბამბის თეთრეული არჩიეთ.

დასასრულ, თუ საძინებლის ზემოთ ჩამოთვლილი აქსესუარებით მოწყობამ თქვენს უძილობას არაფერი უშველა, მაშინ ყურსაცობი და თვალსაკრავი უნდა შეიძინოთ და მერე მეზობლის ხვრინვაც კი, ვერაფერს დაგაკლებთ.

***დენგი №27***

## წყალი არა მარტო სიმხნევე, ჯანმრთელობაცაა...



ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმი 60% წყლისაგან შედგება. ამიტომაც, წყლის ნორმალური რაოდენობა, არა მარტო ჯანმრთელობის ერთ-ერთი პირობაა, არამედ ერთ-ერთი სამკურნალო საშუალებაც.

წყლით მკურნალობა — მკურნალობის ერთ-ერთი უძველესი მეთოდია. ჯერ კიდევ 4000 წლის წინ გამოიყენეს წყალი დასაბანად ინდუსებმა, შემდეგ იუდეველებმა, სკვითებმა, ბერძნებმა და რომაელებმა. წყლის სიკეთეზე წერდნენ ავიცენა და ჰიპოკრატე.

დღესაც წყლით მკურნალობა არა მარტო ნატუროპათიის, არამედ ოფიციალური მედიცინის შემადგენელი ნაწილია.

ვინც ვერ ახერხებთ ზღვაზე გაგრილებას და ვერც მოდაში შემოსულ სოლარიუმში სიარულს, შეგიძლიათ წყლის სამკურნალო პროცედურები შინ ჩაიტაროთ.

ზღვის მარილის აბაზანები ბრწყინვალედ ხსნის დაღლილობას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აღგიდგენთ ძალას.

აბაზანას დაამატეთ ზღვის მარილი, ჩაწექით და შესანიშნავად იგრძნობთ თავს.

სიცხეში მინერალური წყალი გამოგადგებათ ოფისშიც და შორეულ მგზავრობაშიც.

ცივი და ცხელი წყლის შხაპი — ერთ-ერთი უძველესი და შემოწმებული მეთოდია, რომელიც დილით გამოგაფხიზლებთ, დაგიბრუნებთ შრომის უნარსა და ხალისს.

ცივი და ცხელი წყლის შხაპის მონაცვლეობა აუმჯობესებს კანის სისხლით მომარაგებას, აძლიერებს იმუნურ სისტემას. პროცედურა უნდა დაამთავროთ ცივი წყლით, რათა კანის ფორები და სისხლძარღვები შევიწროვდეს.

ვისაც არ გააჩნია საამისო პირობა, ან ეზარება ამ პროცედურის ჩატარება, არის მარტივი მეთოდიც: დაასველეთ პირსახოცი ცივ წყალში და დაიზილეთ (დაიწყეთ ფეხებიდან) ტანი, სიგრილე და ხალისი გაგყვებათ მთელი დღე.

ვისაც წვივების ვენების ვარიკოზული გაგანიერება (ან ამ დაავადების სიმპტომები) აწუხებს, ვურჩევთ: აბაზანა აავსეთ ცივი წყლით, ჩადექით შიგ და იარეთ.

დასასრულ, არ დაგავიწყდეთ სიცხეში წყალი სვათ არანაკლებ 1,5-2 ლ-სა, მაგრამ გაითვალისწინეთ ექიმის დანიშნულება.

წყლის უკმარისობაა ზაფხულში კანის მთავარი პრობლემა. თუ ორგანიზმს არ ჰყოფნის სითხე, ეს მაშინვე აისახება სახის კანზეც. ამიტომაც, ზაფხულში კანს სჭირდება დამატენიანებელი კრემები, რომლებიც შეიცავენ აუცილებელ ვიტამინებს, ხილის მჟავებს, მინერალურ ნივთიერებებს. გარდა ამისა, ისინი აკავებენ კანში ტენს და ხელს უშლიან მის აორთქლებას.

სხვათა შორის, მარტო მშრალი კანიდან კი არ ორთქლდება სითხე, არამედ ცხიმიანიდანაც, ყველაზე მშრალი ადგილებია: წვივები, იდაყვები, ფეხის ტერფები, რომლებიც ხშირად „წყურვილის“ გამო გვექერცლება და გვექავება.

ისიც ამძიმებს სიტუაციას, რომ ამ ადგილებს ცუდად ეკიდება მზე, მგრძნობიარეა ზღვისა და ქლორიანი წყლის მიმართ და გვიან შემოდგომამდე გვექერცლება. ამიტომაც, კანის დატენიანება საჭიროა ყოველი წყლის პროცედურის შემდეგ — ჩვეულებრივი შხაპით.

***ზდოროვიე***

# ორსულობა 30 წლის შემდეგ

ბევრი ქალი, რომელიც 30 წლის მერე პირველი ბავშვის მოლოდინშია, ხშირად შიშობს ორსულობის მიმდინარეობის შესახებ. ჰგონია, ასაკთან ერთად ორსულობა გართულებებით მიმდინარეობს. ეს შიში სრულიად უსაფუძვლოა, თუკი ქალი ჯანმრთელია. სხვა საქმეა, თუ ქალს რომელიმე ქრონიკულად მიმდინარე დაავადება აღენიშნება (რაც 30 წლის შემდეგ საკმაოდ ხშირია), თუმცაღა, ამ დროსაც სრულიად შესაძლებელია ნორმალური ორსულობა და კეთილსაიმედო გამოსავალი.



ამ შემთხვევაში მართლაც უფრო ხშირად ვითარდება ორსულობის დროს გართულებები. ამისათვის ქალმა დროულად უნდა მიმართოს ქალთა კონსულტაციას. ეს 1 თვის ან 1,5 თავზე უნდა მოხდეს და გაითვალისწინოს ექიმის ყველა რჩევა.

ქალთა კონსულტაციას დროულად იმ ქალებმაც უნდა მიმართონ, რომლებიც საკუთარ თავს სრულიად ჯანმრთელად თვლიან. ზოგჯერ დაავადება სრულიად უსიმპტომოდ, ჩუმად მიმდინარეობს, ქალი არც კი ეჭვობს პათოლოგიის შესახებ და მისი გამოვლინება ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ხდება.

ყველა ორსულმა რეგულარულად უნდა იაროს ქალთა კონსულტაციაში. პირველ ტრიმესტრში (3 თვე) — ყოველთვიურად, მეორე ტრიმესტრში — 2 კვირაში ერთხელ.

რეგულარული ვიზიტი ექიმს საშუალებას აძლევს, აკონტროლოს ქალის ორსულობა. 30 წლის შემდეგ ორსულობის დროს არასასურველია ჭარბი წონა. სხეულის მასა ორსულობის დროს ასახავს ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობას. სხეულის მასის სწრაფი ზრდა მანიშნებელია შესაძლო გართულებებისა. ამ ფონზე ხშირად ვითარდება ორსულთა გვიანი ტოქსიკოზი, დამახასიათებელი შეშუპებებით, მაღალი არტერიული წნევით, ცვლილებებით შარდში, რომელიც თირკმლებში მიმდინარე ცვლილებებზე მიუთითებს. ამ დროს, როგორც წესი, სტაციონარში მკურნალობა ხდება აუცილებელი.

დაბოლოს, არსებობს პირდაპირი კავშირი ქალის სხეულის მასასა და ნაყოფის მასას შორის. რაც უფრო მატულობს ორსულის წონა, მით უფრო იმატებს ნაყოფის წონა. და როდესაც ნაყოფი 4 კგ-ზე მეტია, მშობიარობა, განსაკუთრებით პირველი, მძიმედ მიმდინარეობს.

ორსულობის დროს ქალის სხეულის მასის წონამ 10-12 კგ-ით უნდა მოიმატოს. მაგრამ თუკი ორსულობამდე ქალის სხეულის მასა ნორმაზე მცირე იყო, დასაშვებია 12 კგ-ზე მეტის მომატება.

სხეულის მასის მომატების თავიდან ასაცილებლად ორსულობის დასაწყისიდანვე ქალმა უნდა დაიცვას კვების რეჟიმი. ორსულობის პირველ 2-3 თვეში შესაძლოა განვითარდეს ადრეული ტოქსიკოზი, რომლის დროსაც აღინიშნება გემოს ცვლილება, გულისრევის შეგრძნება, ზოგჯერ ღებინება. მერე ვითარდება ნორმალური, ზოგჯერ მომატებული მადა. ამ დროს ქალმა თავი უნდა შეიკავოს ზედმეტი საკვების მიღებისგან.

ზოგიერთი ორსული თვლის, რომ რაც მეტ ხილს, წვენებსა და კომპოტს მიირთმევს, მით უკეთესია. ამიტომ ცვლის ხილით სადილსა და ვახშამს. ეს არ შეიძლება! ტკბილი ხილი, წვენი და კომპოტი შეიცავს დიდი რაოდენობით ადვილად ასათვისებელ ნახშირწყლებს, რაც ხელს უწყობს სწრაფად გასუქებას. ხილი უნდა მიირთვათ ყოველდღე, არა უმეტეს 300 გრამისა და ისიც დამატებითი სახით, სადილისა და ვახშმის შემდეგ.

ძალიან ტკბილი და მარილიანი კერძი წყურვილს აღძრავს. ხოლო ორსულმა 5-6 ჭიქაზე მეტი არ უნდა დალიოს, ამაში იგულისხმება პირველი და მესამე კერძი, ასევე ჩაი და რძე.

ის ქალები, რომლებსაც ანემია აქვთ, ხშირად დიდი რაოდენობით მიირთმევენ გარგარის ჩირს, ბროწეულსა და თხილს. ეს არ იძლევა სასურველ ეფექტს. ეცადეთ, რაციონში უფრო ხშირად ჩართოთ რკინის შემცველი პროდუქტები, როგორიცაა ხორცი, ბარდა, ლობიო, კომბოსტო, ოხრახუში, სხვადასხვა მარცვლეული.

სხვა რეკომენდაციები არ განსხვავდება 30 წლის მერე ორსულებისთვის.

თუკი უძილობა გაქვთ, არ მიიღოთ დასაძინებელი საშუალებები. ძილის მოსაწესრიგებლად ექიმს მიმართეთ. უპირატესობა მიანიჭეთ საღამოობით სეირნობას (გაატარეთ დიდი დრო სუფთა ჰაერზე) — სეირნობა სასიამოვნო უნდა იყოს დედისთვის, რაც ბავშვზეც დადებითად იმოქმედებს.

***მაია მუხიგული***


სისხლში შაქრის საზომი აპარატები
სერტიფიცირებულია
სიახლე!!!
კომპლექტი: აპარატი; 50ც. ტესტ-ჩხირი; ავტოკალამი.
159 ლარად + 25ც. ტესტ-ჩხირი საჩუქრად!
შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

# მადლი ეფინა მარჯვენაზე...



იმ ადამიანთა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ ერის სახეს, მის დიდებას, რომელთა მხრებიც საიმედო საყრდენია მომავალი თაობებისათვის, არის თანამედროვეობის დიდი ქართველი დასტაქარი, აკად. მიხეილ ჩაჩავა.

მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში გულის, ფილტვების, საყლაპავის, კუჭის, სანაღვლე გზების, ელენთის, სწორი ნაწლავის, ძვალ-სახსართა ტუბერკულოზის ქირურგიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები.

პროფ. მ. ჩაჩავა ნახევარი საუკუნის მანძილზე ღირსეულად ეწეოდა ექიმი-ქირურგის, მეცნიერის და პედაგოგის საპასუხისმგებლო და საპატიო ტვირთს. კეთილშობილი მკურნალის, მეცნიერის, პედაგოგის და ბრწყინვალე პიროვნული თვისებების შერწყმით იგი გამორჩეულ ადამიანთა რიგში იყო.

მან იცხოვრა ულრმესი სიყვარულის გარემოცვაში. წავიდა და დატოვა სიყვარული საზოგადოების ყველა ფენაში. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ რუსთაველის თეატრში დიდი სიყვარულით აღნიშნა მისი დაბადებიდან 100 წლისთავი.

სავსე დარბაზი, მოღიმარი სახეები, ტკბილი მოგონებები — ყოველივე ეს ჩვენს ტკივილიან დროში მეტად უჩვეულო იყო.

საღამოზე აჟღერდა ვივალდის „წელიწადის დრონი“ საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის შესრულებით. ჩვეული ოსტატობით ხიბლავდა დარბაზს ორკესტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი ლიანა ისაკაძე — ბატონი მიხეილის რძალი.

მიხეილ ჩაჩავას ვაჟის — თამაზ ჩაჩავას ლექსების ციკლი ბრწყინვალედ წაიკითხეს მსახიობებმა — მარინა კახიანმა და მურმან ჯინორიამ წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ტაძრის მგალობელთა მაღალპროფესიული გუნდის თანხლებით.

სიყვარულს აფრქვევდა ბატონი მიხეილი და ასევე სიყვარულით პასუხობდა უმრავლესობა.

რა თქმა უნდა, მის გარშემოც იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გულს ტკენდნენ დიდ პიროვნებას. სწორედ პროფ. მიხეილ ჩაჩავას მიმართ განხორციელებული ერთ-ერთი საწყენი და სამარცხვინო ფაქტი გაიხსენა კიდევაც პროფესორმა გ. ტატიშვილმა მოხსენებაში, რომლითაც გაიხსნა საიუბილეო საღამო...

— მიხეილ ჩაჩავას პიროვნების მთელი სიდიადე ვიგრძენი მაშინ, როდესაც დიდჩინოსანმა კაცუნებმა უსამართლოდ გამთელეს. მაშინ სრულიად უცნობს, დამწყებ ქირურგს დილის 5 საათზე დამირეკა ჩემმა სათაყვანებელმა პროფესორმა, ღირსეულად „შეამკო“ ჩემი დამჩაგვრელები და იმედის მინავლული ნაპერწკალი ბრძოლის ცეცხლად მიქცია.

...ახალგაზრდობაში ბატონი მიხეილი თურმე თვალის ექიმობაზე ოცნებობდა. მის ამ ოცნებას ხორცი შეასხა მისმა შვილიშვილმა მიხეილ ომიაძემ, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ცნობილი ოფთალმოლოგია.

რაც მეტი დრო გავა, მით უფრო დიდებულად გამოჩნდება ერის წინაშე ღვაწლმოსილი უსაჩინოესი ქირურგის, ბატონ მიხეილ ჩაჩავას სახელი.

***სულხან ქემოკლიძე***

# მარტოობა აძლიერებს სტრესს!..

XX საუკუნის 30-იან წლებში გამოჩენილმა კანადელმა მეცნიერმა, ფსიქოლოგმა და ენდოკრინოლოგმა ჰანს სელემ შეიმუშავა სტრესის თეორია. ამ სიტყვამ, რომელიც „დაძაბულობას“ ნიშნავს, მკვიდრი ადგილი დაიკავა სამედიცინო ენციკლოპედიასა და ჩვენს ლექსიკაში.

## რა არის სტრესი?

ეს არის ორგანიზმის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ დამცველ რეაქციათა ერთობლიობა, რომელიც წარმოიშობა ბევრი სტრესული ფაქტორის საპასუხოდ. პოტენციური სტრესული ფაქტორები, რომელთა წყალობითაც ინტენსიურად გამომუშავდება სტრესის ჰორმონები — ადრენალინი, ჩვენს ცხოვრებაში საკმაოდ ბევრია, როგორიცაა სამსახურში ზედმეტი დატვირთვა, ნებისმიერი ემოცია, კონფლიქტები, უძილობა, დავალებები, გარემო, ქალაქის ხმაური და მოუსვენრობა, ოჯახური უსიამოვნებები და ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებიც კი...

## ყველა დაავადება ნერვიულობის ბრალია!

ყოველ ჩვენგანში არის სტრესის ოპტიმალური დონე, რომელიც განისაზღვრება ადამიანის ემოციური მდგრადობით, ცხოვრებისეული გამოცდილებითა და მემკვიდრეობითობით. აი, როგორ გამოიყურება სტრესების მიმართ ადამიანის რეაქციის საერთო მოდელი: თავდაპირველად დგება ე.წ. შოკის ფაზა, როდესაც ადამიანმა უნდა შეაფასოს სიტუაცია, მისი საშიშროების ხარისხი, ჩამოაყალიბოს თავისი ქცევის ახალი სტრატეგია, მოიკრიბოს ძალა. მეორე ფაზაა — წინააღმდეგობის ფაზა. ამ დროს ორგანიზმი იკრებს ძალას, ამ პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თითოეული ჩვენგანის შესაძლებლობებზე და ყველაზე ძლიერი და ამტანი ადამიანის წინაშეც კი დგება მესამე ფაზა — გამოფიტვისა, როდესაც თვითშეგრძნება და შრომის უნარი პროგრესულად მცირდება, რაც საბოლოოდ ჯანმრთელობის გაუარესებაში გამოვლინდება; უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ სტრესი წარმოადგენს ძალიან ბევრი დაავადების მიზეზს, როგორიცაა: გულ-სისხლძარღვოვანი, ინფექციური, ენდოკრინული, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, შარდკენჭოვანი, ნერვული სისტემის დაავადებანი და ა.შ.

## ნუ გეეჭვებათ, გავუმკლავდებით!

უამრავი ფარმაკოლოგიური პრეპარატის გარდა, არსებობს სტრესთან ბრძოლის სხვა ეფექტური ხერხებიც.

პირველი — სვით მეტი სითხე, რადგანაც სტრესის ფიზიოლოგიური შედეგია ორგანიზმის გაუწყლოება. უმჯობესია დაუმტკბარი ხილის წვენები, რადგან სტრესი ყველაზე მეტად აზიანებს გულს, საჭიროა იმ ცხიმების შემცირება, რომელსაც შეიცავს ხორცი, ყველი, არაჟანი, კარაქი, მიირთვით რაც შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული, დაღერღილი პური და მარცვლეული, რაც შეიძლება ნაკლები შაქარი და მარილი. აუცილებელია B ჯგუფის ვიტამინების მიღება და კონტროლი წონაზე.



ფიზიკური ვარჯიშები ამაღლებს სისხლში ენდორფინების დონეს, რაც კარგი გუნება-განწყობილების საფუძველია; არ შეიკავოთ თავი ემოციებისაგან, საჭიროა გათავისუფლდეთ მისგან, მაგალითად, ვიტიროთ, რომელიც არა მარტო მოგვიხსნის დაძაბულობას, ახლობლების თანაგრძნობასაც მივიღებთ.

ღრმად ჩაისუნთქეთ ცხვირით და ამოისუნთქეთ პირით. ჩასუნთქვისას დაითვალეთ 6-8-მდე, ამოსუნთქვისას კი 8-12-მდე, შეეცადეთ მოიწესრიგოთ ძილი და, რაც მთავარია, გახსოვდეთ, რომ თქვენ არა ხართ მარტო, თქვენ გვერდით არიან ადამიანები, რომელთაც სჭირდებით, დაივიწყეთ უსიამოვნებანი და დაეხმარეთ მათ... ფილოსოფიურად მიუდექით ცხოვრებას, ისწავლეთ ცხოვრებისაგან ყველა სიამოვნების მიღება, იყავით შორსმჭვრეტელი, და ბოლოს, არ დარჩეთ მარტო — მარტოობა აძლიერებს სტრესს!

***ლიზა №30***

# წითურა საშიში სენია

ბევრს წითურა საშიშ დაავადებად არ მიაჩნია. სინამდვილეში კი, იგი სახიფათო და მძიმე შედეგების მომტანია. განსაკუთრებით საშიშია, როცა წითურით მომავალი დედები ავადდებიან. სისხლში მოხვედრილი ვირუსები აღწევს ნაყოფამდე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. „ტრია და გრეტა“: — სიყრუე, გულის მანკი და თვალის დაზიანება. ბავშვი ხშირად იბადება კატარაქტით, ბადურის დაზიანებით, არაიშვიათია ტვინის ნაკლებ განვითარებაც, ძვლების სისუსტე, ელენთისა და სხვა ორგანოების დაზიანება. ყველაზე საშიშია ფეხმძიმობის პირველი ოთხი თვე. ასეთ შემთხვევაში (40-60%) ნაყოფი იღუპება ან აუცილებელია აბორტი. ამ დროს წითურა მსუბუქად მიმდინარეობს. ამ რთული პრობლემის მოხსნა შესაძლებელია აცრით. ვაქცინაციით გამომუშავებულ იმუნიტეტს ქალი 20-25 წელს ინარჩუნებს. უკეთესია აცრა მოზარდობის ასაკში.

ფეხმძიმობის პერიოდში აცრა დაუშვებელია, როცა წითურა ბავშვობაში ემართებათ, იმუნიტეტი მთელი სიცოცხლის მანძილზე მოქმედებს. წითურა ახლოა მწვავე რესპირაციულ ვირუსულ დაავადებებთან. იგი ჰაერის გზით (დაცემინება, დახველება) გადადის მეორე ადამიანზე. წითურის გამონაყარი ძალიან ჰგავს ქუნთრუშისას. მათი გარჩევა ურთიერთისაგან ძალიან ჭირს.

***მირ ნოვოსტეი №26***

# რას გვეუბნება სისხლის ჯგუფი

1. თითქმის ყველას უყვარს ხსნადი ყავა, შებოლილი ხორცის ნაწარმი, კეტჩუპი და სხვ. ეს ნუგბარი არასასურველია ნებისმიერი სისხლის ჯგუფის მქონე ადამიანებისათვის. ზეითუნის ზეთს კი ამერიკელი დიეტოლოგი პიტერ და ადამო ყველას სთავაზობს.

2. იაპონელი მეცნიერის პორშიტაკი ნომის თეორიით, სისხლის ჯგუფი განსაზღვრავს ადამიანის ხასიათს. ეს თეორია იმდენად პოპულარულია იაპონიაში, რომ სწორედ სისხლის ჯგუფის მიხედვით ხდება ადამიანის მიღება სამსახურში. მაგალითად, II ჯგუფის სისხლის მქონენი უფრო მშვიდნი და გაწონასწორებულები არიან და მათ პასუხსაგებ საქმესაც ანდობენ. III ჯგუფის სისხლის მქონენი, ნომის აზრით, ინდივიდუალისტები არიან. ზოგიერთი იაპონელი კი სისხლის ჯგუფის მიხედვით მეგობარსაც კი ირჩევს.

3. ამერიკელი ნატუროპათები გვირჩევენ, სპორტის სახეობაც სისხლის ჯგუფის მიხედვით შევარჩიოთ. მაგალითად, I ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანს ურჩევენ ივარჯიშონ ძალისმიერ სახეობაში, II ჯგუფისამ — იოგასა და ცურვაში, III ჯგუფისას კი ტურისტული მოგზაურობაც კი ეკრძალებათ, IV ჯგუფის ადამიანისთვის რეკომენდებულია მედიტაცია.

4. სისხლის ჯგუფის მიხედვით შეიძლება დადგინდეს, თუ რომელი დაავადებებისადმი აქვს მიდრეკილება ადამიანს.

***სობესედნიკი №29***

## ნაურუ აღარ ცნობს ტაივანის დამოუკიდებლობას

ჩინეთის გაზეთი „ჟემინ ჟიბაო“ იტყობინება, რომ ტაივანის პრეზიდენტმა, ქალბატონმა ჩენ შუი ბიანმა თავისი უპრეცედენტო განცხადებით უფრო დაძაბა ურთიერთობა კუნძულსა და მატერიკს შორის. მან თქვა, — თუ უახლოეს დროში პეკინი არ დაიწყებს ჩვენთან მოლაპარაკებას ურთიერთობის მოსაგვარებლად, ჩვენ ჩვენი გზით წავალთო.

ამ განცხადებამ კუნძულელები შეაშფოთა, — ვაითუ, ტაივანის პრობლემის გადასაჭრელად ჩინეთმა ძალა გამოიყენოსო. ტაივანზე სულ ახლახან გამოაქვეყნეს ეროვნული თავდაცვის ანგარიში, რომელშიც ნათქვამია, რომ 2005 წელს ჩინეთს ექნება 600 რაკეტა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში კუნძულის წინააღმდეგ გამოიყენებს. ანგარიშში ისიც არის ნათქვამი, რომ ჩინეთი თავდაცვას 60-80 მლრდ დოლარს ახმარს. ანალოგიური ციფრებია მოყვანილი პენტაგონის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაშიც. თავად ჩინეთი იფიცება, — თანხა მეტისმეტად არის გაბერილი, ამ საქმეს 20 მლრდ დოლარზე მეტს არ ვახმართო.

ციფრებში ამგვარი განსხვავება პეკინს იმის საბაბს აძლევს, რომ ვაშინგტონი დაადანაშაულოს — სულ ტყუილია, რომ ამბობთ, სამხედრო მუქარა ჩინეთიდან მოდისო. ჩინეთი ასევე უარობს, რომ თითქოს ირანი ჩინეთის 9 კომპანიიდან იძენდეს სამხედრო აღჭურვილობას და აგრეთვე კომპონენტებს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად.

რამდენიმე დღის წინ ჩინეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას წყნარი ოკეანის პატარა კუნძულ-სახელმწიფო ნაურუსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე. ნაურუ იმ 28 ქვეყანას შორისაა, რომლებმაც



ალიარეს ტაივანის დამოუკიდებლობა. შეთანხმებაზე ხელის მოწერა იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ნაურუ საერთაშორისო სამართლის ობიექტად მხოლოდ დიდ ჩინეთს მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით, განაწყენებულმა ტაივანმა მეორე დღესვე ოფიციალურად გაწყვიტა ურთიერთობა ნაურუსთან. ტაივანი ვარაუდობს, რომ პეკინმა სანაცვლოდ ნაურუს 1,4 მლრდ დოლარი გადაუხადა.

***იტოგი №30***

## ინგლისელები მთავარ ტერორისტს მალავენ

უსამა ბინ ლადენის ევროპელი ელჩი, ფანატიკოსი ფუნდამენტალისტი აბუ კატადი ოჯახთან ერთად არხეინად ცხოვრებს ინგლისში და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო დაზვერვის შიშით მას თავიდან ბეწვსაც ვერ ჩამოუგდებენ, — ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა ბრიტანეთის მეთაურმა პრესამ. აბუ კატადი „ალ-ქაიდას“ ტერორისტული დაჯგუფებების სულიერ წინამძღოლად ითვლება. მას მთელი ევროპისა და აშშ-ის პოლიცია ეძებს. თუმცა, ისიც გაირკვა, რომ კატადი არა მარტო ბინ ლადენის თანამოაზრეა, არამედ ბრიტანული დაზვერვის MI-5-ის უშტატო აგენტიც ბრძანდება და ამიტომაც უფრთხილდებიან. იორდანიაში აბუ კატადს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ვაშინგტონი ფიქრობს, რომ ის 11 სექტემბრის ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორია. საფრანგეთის სპეცსამსახური ცდილობს ინგლისიდან მის გატყუებას და დაპატიმრებას აფეთქების ორგანიზატორობისათვის ტულონის სარაკეტო საწვავის ქარხანაში. ფიქრობენ, რახან აბუ კატადმა ოჯახიანად დიდ ბრიტანეთში მოიკალათა, ეს იმას ნიშნავს, რომ „ალ-ქაიდა“ აქ არანაირ დივერსიას არ მოაწყობს. მაგრამ თუ ინგლისმა იგი აშშ-ს ან ევროპის ნებისმიერ ქვეყანას გადასცა, ლონდონისა და მანჩესტერისგან ქვა ქვაზე არ დარჩება და ქვეყანაში დაიწყება ისლამისტთა აჯანყებები.

კატადის ნაკვალევს გერმანიის დაზვერვაც მიჰყვება, რომელიც მას ადანაშაულებს ტუნისში სინაგოგის აფეთქებაში, სადაც იმყოფებოდნენ გერმანელი ტურისტები. გერმანელებმა აღმოაჩინეს ვიდეოჩანაწერი — აბუ კატადი ხვდება ამერიკული „ბოინგის“ გამტაცებლებს. აბუ კატადი ბრიტანელი მოჯაჰედების თავკაციც ყოფილა, მაგრამ ბრიტანეთის დაზვერვა არ აპირებს მის გაცემას.

***დეილი მეილი***

## დეტონატორი სადამისათვის



„სადამ ჰუსეინს დღეს არა აქვს ბირთვული იარაღი, მაგრამ 2005 წლისათვის დანამდვილებით ექნება, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კი კარგა ხანია თავის სამხედრო არსენალში გააჩნია“, — განაცხადეს აშშ-ის სენატში ცნობილმა სამხედრო ექსპერტებმა. თუმცა გადაჭრით არ უთქვამთ, რა გზას სჯობს დაადგნენ — შეებრძოლონ სადამს თუ ახლანდელი „შეკავების“ პოლიტიკა გააგრძელონ. სენატორებმა იმსჯელეს იმაზეც, რომ ვაითუ, ერაყზე დარტყმა გახდეს დეტონატორი სადამის გასააქტიურებლად და აიძულოს იგი, გამოიყენოს ბოლო კოზირი — მასობრივი განადგურების იარაღი ისრაელისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების წინააღმდეგ, ან ეს იარაღი გადასცეს ტერორისტულ ორგანიზაციებს — „ალ ქაიდას“ ან „ჰესბოლაჰს“.

სენატორ ჯ. ბაიდენის აზრით, ვაშინგტონს ჯერჯერობით არა აქვს იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ერაყი აშშ-ის ან ისრაელის წინააღმდეგ ნამდვილად გამოიყენებს ამ მრისხანე იარაღს. სენატორთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ „ამჟამად ერაყი უშუალოდ შეერთებულ შტატებს არ ემუქრება, მაგრამ მასობრივი განადგურების იარაღი შეიძლება ფარად გამოიყენოს საკუთარი თავის დასაცავად. თუმცა სენატორების წინაშე სხვა საკითხიც წამოიჭრა — თუ ამერიკელები ახლა არ მიიღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დაარტყან თუ არა ერაყს, ვაითუ დაიგვიანონ, რადგან სავარაუდოა, რომ ჰუსეინი თავის ქვეყანაში დამკვირვებლებს დროის მოგების მიზნით არ უშვებდეს, რათა მოასწროს თავისი გეგმების განხორციელება. ეს კი სერიოზულად დაემუქრება ამერიკის უსაფრთხოებას.

ამერიკელთა სამხედრო ექსპერტები იმ აზრისანი არიან, რომ ერაყზე დასარტყმელად საჭიროა ძალიან სერიოზული მომზადება. 250-300-კაციანი საექსპედიციო კორპუსის მომზადებას კი რამდენიმე თვე მაინც დასჭირდება. გარდა ამისა, ერაყში ზაფხულსა და შემოდგომაზე ცხელა და ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს გაუჭირდებათ მასობრივი განადგურების იარაღისაგან თავის დასაცავად აირწინაღების გამოყენება.

სენატორების მიერ ამ საკითხების განხილვა იმის დასტურია, რომ ამერიკის ხელმძღვანელობას სურს ერაყზე დარტყმა საერთო სახალხო განსჯის საგნად აქციოს. როგორც ჩანს, პრეზიდენტმა ბუშმა მხოლოდ კონცეპტუალური გადაწყვეტილება მიიღო სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის აუცილებლობაზე, მაგრამ მისი შესრულების თაობაზე პასუხისგება სურს კანონმდებლებსაც გაუზიაროს. არც ისაა გამორიცხული, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამას ერაყის წინააღმდეგ აქტიური სამხედრო მოქმედებების დაწყების წინ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მისაძინებლად აკეთებდეს.

***ვაშინგტონ თაიმსი***

## ეჯევითს ვადამდელი არჩევნებისა ეშინია

თურქეთის პარლამენტის საკონსტიტუციო კომიტეტმა უახლოეს დღეებში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება 3 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნების ჩატარების კანონიერების თაობაზე. ქვეყნის პრემიერი, დემოკრატიული მემარცხენე პარტიის ლიდერი ბიულენთ ეჯევითი შეეცადა, ქვეყანა შეეშინებინა: მან განაცხადა, 3 ნოემბერს ვადამდელი არჩევნების ჩატარება ევროკავშირში ანკარის შესვლის იმედს დაასამარებს, ეკონომიკას წელში გაწყვეტს და საბოლოოდ, თურქეთის დაშლას გამოიწვევსო.

იმ გზას, რომელსაც, ეჯევითის აზრით, შესაძლოა კატასტროფა მოჰყვეს, თურქეთი მაისში დაადგა, როცა მძიმედ დაავადებული 77 წლის პრემიერი საავადმყოფოში მოხვდა. რამდენიმე დღის განმავლობაში არ ქვეყნდებოდა ინფორმაცია მისი მდგომარეობის შესახებ, დაიწყო ქვეყნის საწარმოთა აქციების გაიაფება და თურქული ლირის გაუფასურება. ამ ფონზე პირველად ალაპარაკდნენ მთავრობის მეთაურის გადადგომასა და ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. ინიციატივა მოდიოდა ოპოზიციური პარტიიდან, რომელსაც მოგვიანებით მმართველი და სხვა პარტიების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. ცხადია, თითოეულ მათგანს საკუთარი პოლიტიკური ინტერესი ამოძრავებს და ეჯევითის გარდა, ყველას ხელს აძლევს ვადამდელი არჩევნები. პრემიერის პირმშომ, მემარცხენე დემოკრატიულმა პარტიამ, სრულიად დაკარგა პოპულარობა. გამოკითხვის თანახმად, მას ამომრჩეველთა მცირე ნაწილი უჭერს მხარს. ამდენად, ვადამდელი არჩევნები ეჯევითს კარგს არაფერს უქადის, მისი პარტია 10%-იან ბარიერსაც კი ველარ გადალახავს. ამიტომაც გადაწყვიტა თანამემამულეების შეშინება. მისი აზრით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ დღეს მუსლიმანურ ქვეყნებში ლიდერები ისლამისტი რადიკალები ხდებიან. და ეს თურქეთს კარგს არაფერს მოუტანს. გარდა ამისა, შემოდგომაზე აშშ-მა შეიძლება წამოიწყოს სამხედრო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ და, ეჯევითის ვარაუდით, ვაშინგტონი ერაყელ ქურთებს ქვეყნის ჩრდილოეთით საკუთარი სახელმწიფოს შექმნის ნებას მისცემს. თურქეთი ველარ აღუდგება წინ ქვეყნის აღმოსავლეთში მცხოვრები 12 მილიონი ქურთის სეპარატიზმს.

***ნოვიე იზვესტია №134***

## სამი პრინცი დაიღუპა, მეფემ ქვეყანა დატოვა

უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ საუდის არაბეთის მეფის ოჯახი პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად იქცა. ბოლოხანს მმართველი დინასტიის წევრებს შორის დაპირისპირებამ ზღვარს მიაღწია. ამის დასტურია მეფის ოჯახის რამდენიმე წევრის



მოულოდნელი სიკვდილი. პირველი მსხვერპლი 43 წლის პრინცი აჰმედ ბენ სალმანი გახდა. იგი გულის შეტევით გარდაიცვალა ერ-რიადის საავადმყოფოში. აჰმედი სამეფოს ყველაზე დიდი მედიამაგნატი იყო. მის მედიაიმპერიაში შედიოდა არაბულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გაზეთი „აშ-შირაქ ალ აუსათი“. პრინცის გარდაცვალების შემდეგ საუდელებმა გაიხსენეს, რომ ასევე უეცრად გარდაიცვალა მისი უფროსი ძმა — პრინცი ფაჰდიც.

მუსლიმანური ტრადიციის მიხედვით, პრინცი აჰმედი გარდაცვალების დღესვე უნდა დაეკრძალათ. მრავალრიცხოვანი ნათესავები მაშინვე ერ-რიადისკენ დაიძრნენ. გზაში ავტოკატასტროფაში დაიღუპა აჰმედის ერთ-ერთი ბიძაშვილი, 41 წლის პრინცი სულთან ფეისალ ბინ თურქი. პრინცები ერთად დაკრძალეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი საუდის სამხრეთში, რიმაჰის უდაბნოში, მეფის ოჯახის კიდევ ერთი წევრი, 25 წლის ფაჰდ ბინ საუდ ალ კაბირი გარდაიცვალა. წერდნენ, — უდაბნოში წყურვილმა დაახრჩოო. ახლანდელი მეფე ფაჰდის სეხნიას, მის ერთ-ერთ ძმისშვილს პრინც ფაჰდის, ჩანს მეფობის პრეტენზია ჰქონდა. ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ იგი, ისევე, როგორც დანარჩენი პრინცები, თავიდან მოიშორეს.

1953 წლიდან, როცა გარდაიცვალა სახელმწიფოს დამაარსებელი მეფე აბდელ აზიზ იბნ საუდი, ქვეყანას მისი ვაჟი ფაჰდი მართავდა. 1995 წლიდან ინსულტგადატანილი ფაჰდი ფაქტობრივად ძმამ, აბდალამ, შეცვალა. სწორედ მაშინ დაიწყო კლანური დაპირისპირება საუდის ელიტაში. 82 წლის მეფე ქვეყანას დიდი ხანია არ მართავს, სამკურნალოდ შვეიცარიაში იმყოფება. ერ-რიადში აღარ მალავენ, რომ მეფე უკან აღარ დაბრუნდება და სიცოცხლის დარჩენილ დღეებს ჟენევის ტბის მახლობლად, თავის მამულში დალევს. ავადმყოფი მეფისთვის საშინელი დარტყმა იყო ვაჟის, აჰმედისა და ახალგაზრდა პრინცების დაღუპვა. ამბობენ, რომ საუდის არაბეთს ფაჰდის სიცოცხლეშივე ეყოლება ოფიციალური ახალი მეფე — აბდალა, რომელიც თავიდან იშორებს შესაძლო მეტოქეებსო.

***კომერსანტი №134***

## ლიბერიის ტრაგედია

ლიბერიის ქალაქ ტუბმანბურგის მახლობლად საშინელი შეტაკება მოხდა მთავრობის ჯარებსა და ამბოხებულებს შორის. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, სამთავრობო ჯარებმა შეძლეს გაეთავისუფლებინათ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქალაქი, რომელიც სამი თვე მეამბოხეების ხელში იყო. თვითმხილველთა თქმით, ქუჩებში ეყარა უამრავი დახოცილი. ქვეყნის პრეზიდენტმა ჩ. ტეილორმა განაცხადა, — ვფიქრობ, ამბოხებულთა რიგებში იყვნენ 1989-1996 წლების სამოქალაქო ომების მონაწილეები და ახლანდელი ოპოზიციონერებიცო.

სამი წელია ლიბერიის მთავრობას იარაღით ხელში ებრძვის ოპოზიცია. შეტაკებების შედეგად ყოველდღე იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები. მათმა რიცხვმა რამდენიმე ათასს გადააჭარბა. დიდ ქალაქებში პოლიცია აპატიმრებს ამბოხებულებთან კავშირში ეჭვმიტანილებს. ერთი თვის წინ პრეზიდენტმა ტეილორმა



მთელ ლიბერიაში საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. მის ბრძანებულებაში ნათქვამი იყო, — ამ ზომის მიღება გადამაწყვეტინა იმან, რომ ამბოხებულები დედაქალაქ მინროვიისკენ მოიწევენო.

განუკითხაობის გამო ქვეყანას ათასობით ადამიანი ტოვებს. მარტო მეზობელ გვინეაში 250 ათასამდე ლიბერიელი წავიდა, მათი უმეტესობა ქალები და ბავშვებია, რომლებიც მძიმე პირობებში ცხოვრობენ.

ლიბერიაში ომი არ წყდება და, როგორც ჩანს, დიდხანს არც შეწყდება. ტუბმანბურგის გათავისუფლების შემდეგ პრეზიდენტმა ტეილორმა განაცხადა, — მალე სხვა ქალაქებსაც გავწმენდთ ამბოხებულებისგან და ცოცხლად დარჩენილებს აქედან გაქცევას ვაიძულებთო.

***ვლასტი №30***

## მოკლედ

**გაეროს** გადაწყვეტილებით, ჰუმანიტარული დახმარება შეუწყდება ჩრდილოეთ კავკასიას, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციის მეთაურის ნ. დავიდოვიჩის მოტაცების გამო.

შემოდგომიდან **რუსეთის** სატელევიზიო მაუწყებლობა OPT სახელს შეიცვლის, მას ერქმევა „პირველი არხი“.

რამდენიმე დღის წინ **ვაშინგტონის** ცაში ამოუცნობი მფრინავი ობიექტი გამოჩნდა. სამხედრო რადარებმა უჩვენეს პატარა თვითმფრინავი, რომელიც ელვისებურად მიფრინავდა. დედამიწიდან დასმულ შეკითხვაზე ობიექტს არ უპასუხია, ამიტომ ჰაერში ორი საპატრულო გამანადგურებელი F-16 ავიდა, მაგრამ ამო თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა.

**დონეცკის** შახტში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა 20 მეშახტე, დაიჭრა — 51.

**მოსკოვის** შემოგარენის ტორფიანი ტყეების დიდი ნაწილი ხანძარმა გაანადგურა. რუსეთის დედაქალაქის მცხოვრებთ ალბათ კარგა ხანს მოუწევთ ქალაქის თავზე ჩამოწოლილი კვამლის ატანა. ეკოლოგები გლობალურ კატასტროფას არ ელიან, მაგრამ ფაქტია, რომ ნამწვი გაზების კონცენტრაცია მოსკოვის ზოგიერთ რაიონში ნორმას 2-3-ჯერ აჭარბებს.

ჩრდილოეთ **საფრანგეთში**, ქალაქ ნოელს-გოდოს მახლობლად, გაიტაცეს სატვირთო მანქანა, რომელშიც 8,6 ტ. ვერცხლის ზოდები ეწყო. მისი ღირებულება დაახლოებით 1,27 მლნ დოლარია... დამნაშავეები ჯერ არ უპოვიათ.

**პაკისტანის** ქალაქ ლაჰორის მეჩეთიდან მოიპარეს მოციქულ მუჰამედის სანდლები, რომელიც მინის ვიტრინაში იყო ჩაკეტილი. მძარცველებს სხვა საკულტო ფასეულობებისათვის ხელი არ დაუკარებიათ. ამ მეჩეთში ყოველდღე დაახლოებით 3 ათასი ადამიანი შედის.

**აშშ-ის** თითქმის მთელ ტერიტორიაზე საშინელი ხვატია. პაპანაქება სიცხემ რკინიგზის ლიანდაგების დეფორმაცია გამოიწვია. ჩიკაგოდან ვაშინგტონში მიმავალი სამგზავრო მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. მძიმედ დაშავდა 11 ორსართულიანი ვაგონის 200-მდე მგზავრი.

**ისრაელის** ჯარის ქვედანაყოფები აგრძელებენ მსხვილმასშტაბიან ოპერაციას პალესტინის ქალაქ ნაბლუსში, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე.

**რუსეთის** ფედერაციის გენერალურმა პროკურორმა ვლ. უსტინოვმა განაცხადა, რომ დამთავრდა კრეისერ „კურსკის“ კატასტროფის მიზეზების გამოძიება. კატასტროფა მოხდა ბარენცის ზღვაში, 2000 წლის 12 აგვისტოს, 11 საათსა და 28 წუთზე. 650მმ კალიბრის ტორპედო აფეთქდა დასაშვები აპარატის შიგნით.

# ბილდერბერგელების საიდუმლო

## „ცერეუსა“ და „კაგებეს“ საქმიანობა თამაშად მოგეჩვენებათ...

**„კვირის პალიტრის“ მიერ მოპოვებული ინფორმაცია „ბილდერბერგელების კლუბის“ შესახებ ალბათ საქართველოში არსებული პრობლემების შედეგად გაჩენილ უამრავ კითხვას გასცემს პასუხს, თუმცა ბევრ უპასუხო კითხვასაც წარმოშობს და უფრო მეტად გაამყარებს ჩვენში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ შორის მიმავალ მიზნებს ემსახურებიან და ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რათა საქართველო დადგეს ფეხზე...**

სულ ცოტა ხნის წინ საქართველოში მიმდინარე დაძაბული წინასაარჩევნო პროცესების დროს ერთი მეტად ცნობილი პიროვნება მეუბნებოდა, — ქვეყანაში თუ რამე არეულობაა, კანონზომიერი მოვლენა არ გეგონოს, ყველაფერი მსოფლიოს ზეხელისუფალთა მიერ არის დაგეგმილი და თანაც, მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში, რათა „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით იოლად შეძლონ ერების დაქუცმაცება-დასუსტება და მსოფლიოს გაერთიანება ერთი ხელის ქვეშო...




ამ, ერთი შეხედვით დაუჯერებელ ვერსიას, მაშინ ყურადღება არ მივაქციე და ალბათ არც ახლა გავიხსენებდი, მაგრამ შემთხვევით შევიტყვე მასონური ორგანიზაციების მსგავსი „ბილდერბერგელების კლუბის“ შესახებ. მსოფლიოში კიდევ 2-3 ასეთი ორგანიზაცია არსებობს თურმე. თუმცა მათ შესახებ დაწვრილებით ინფორმაციაზე, ჯერჯერობით, ხელი არ მიგვიწვდება. როგორც ამბობენ, ეს ორგანიზაციები ბევრად უფრო აქტიურად და მასშტაბურად მოქმედებენ, ვიდრე მათსავით მსოფლიოს გაერთიანების მსურველი მასონები. საქმეში ჩახედული პირების თქმით, „ცერეუსა“ და „კაგებეს“ საქმიანობა, თურმე, ბავშვურ თამაშადაც კი მოგეჩვენებათ „ბილდერბერგელებისა“ და სხვა მსგავსი მძლავრი საიდუმლო გაერთიანებების საქმიანობასთან შედარებით. ინკოგნიტო რესპონდენტის მიერ მოწოდებული ექსკლუზიური და ალბათ ყურადსაღები ინფორმაცია „ბილდერბერგელების კლუბის“ შესახებ თითქმის გასაგებს ხდის, თუ რატომ ჰყავს მსოფლიოში უამრავი მოწინააღმდეგე გლობალიზაციის პროცესს. რატომ იმართება მსოფლიოს გაერთიანების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო მანიფესტაციები და ამგვარი „დახურული“ ორგანიზაციების საქმიანობას რა გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოზე.

### „ბილდერბერგელების კლუბი“ აშშ-ის დაზვერვის სამსახურის მეშვეობით შეიქმნა

„ბილდერბერგელების კლუბი“ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დახმარებით შექმნილა. საოცარია, თავად საიდუმლო ორგანიზაცია რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული იატაკქვეშა კლუბის შექმნით, რომელსაც სახელწოდება 1954 წლის 29-31 მაისს, ჰოლანდიის ქალაქ ოსტერბეკში, ბილდერბერგის სასტუმროში ჩატარებული პირველი გაერთიანებული ევროამერიკული შეხვედრის დროს მიუღია. კლუბის პირველ ხელმძღვანელად ნიდერლანდების პრინცი ბერნარდი, ხოლო პირველ მდივნად — ამერიკელი მზვერავი, დიპლომატიურ წრეებშიც „რუხ კარდინალად“ წოდებული დოქტორი ჯოზეფ რეტინჯერი აურჩევიათ. „რუხი კარდინალი“ სწორედ ამერიკის დაზვერვის არხებითა და მათივე ფინანსური საშუალებებით სარგებლობდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კლუბის საქმიანობაში. ამიტომაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა ევროპის გავლენიან წრეებში. კლუბის წევრების შეხვედრები ადრე, ძირითადად, ევროპაში იმართებოდა, ბოლო წლებში კი შეერთებულ შტატებსა და კანადაში გადაინაცვლეს. საგულისხმოა, რომ უაღრესად გასაიდუმლოებული შეხვედრების ადგილის და კლუბის წევრების უსაფრთხოების დაცვაზე მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლება და ადგილობრივი პოლიციაა პასუხისმგებელი. ხშირ შემთხვევაში, მათ შეერთებული შტატებისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საიდუმლო სამსახურებიც ეხმარებიან. არავინ უწყის, ასე რატომ ფრთხილობენ „ბილდერბერგელები“, ვისი ეშინიათ მსოფლიოს მბრძანებლობაზე პრეტენზიის მქონეთ?! შეკრების მონაწილეებს თან ახლავთ საკუთარი მზარეულების, ოფიციანტების, სატელეფონო ოპერატორებისა და პირადი მცველების მთელი არმია.

### საიდუმლო შეხვედრას ბილ კლინტონი ესწრებოდა

კლუბის შეხვედრები არაოფიციალური ხასიათისაა, სადაც ჟურნალისტები არ დაიშვებიან. მშვიდ ატმოსფეროში „ბილდერბერგელების“ მიერ მიღებული რეზოლუციებისა და დასკვნების შინაარსი ყველასათვის უცნობი რჩება. დამსწრეები კრებაზე საიდუმლო მოსაწვევი ბარათებით ცხადდებიან. თუმცა, იმის დასტურად, რომ „ყოველივე დაფარული გაცხადდება“, აქედან გამოჟონა მეტად მნიშვნელოვანმა ინფორმაციამ: როგორც ამბობენ, 1991 წელს „ბილდერბერგელების კლუბის“ შეკრებას ესწრებოდნენ (რა თქმა უნდა, სრულიად საიდუმლოდ) ბილ კლინტონი, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ჯეიმს ვულფენსონი, აშშ-ის თავდაცვის მდივანი უილიამ პერი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი სტენლი ფიშერი და სხვა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი პერსონები. არავინ იცის, მათი იქ ყოფნის მიზეზი, არიან თუ არა ისინი კლუბის წევრები, ან მერამდენედ იყვნენ შეხვედრაზე. თუმცა ამ ინფორმაციის მომპოვებლები მიიჩნევენ, რომ ჩამოთვლილი პირები, ისევე როგორც კლუბში გაწევრებული მეფეები, კანცლერები, პრემიერ-მინისტრები, ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმომადგენლები, ბანკირები, მასმედიის უმსხვილეს საშუალებათა მფლობელები, მდიდარი მრეწველები: დევიდ როკფელერი, ჰენრი კისინჯერი, ჯერალდ ფორდი, ჯორჯ სოროსი (ბოლო ხანს საქართველოში მისი სახელის ირგვლივ ატეხილი ხმაურის შემდეგ ეს უდავოდ საინტერესო ინფორმაციაა), რიჩარდ ოლბრუკი, რობერტ მაკნამარა, სტროუბ თელბოთი... „ბილდერბერგერების“ კლუბის წევრები არიან.



### მათი მიზნები

უკვე ცნობილია, რომ „ბილდერბერგელების კლუბში“ დებატების შედეგად მიღწეული გადაწყვეტილებები არსად ფიქსირდება, არ იწერება და მიღწეული კონსენსუსი (რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, უთანხმოება იქ არ არსებობს) ღია საზოგადოებისთვის უცნობი რჩება. კლუბი ახორციელებს მსხვილ ფინანსურ და სამთავრობო დონის ცვლილებებს მსოფლიო მასშტაბით, სადაც არ ცნობენ ცალკეული ქვეყნების ინტერესებს, ადგენენ ფულად ტარიფებს, არჩევენ პოლიტიკურ ფიგურებს, რომელთაც ამა თუ იმ სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციაში სხვადასხვა ხარისხის ძალაუფლებას ანიჭებენ. გარდა ამისა, კლუბს მსოფლიოს ქვეყნებში ჰყავს თავისი აგენტურა ჯანდაცვის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სასოფლო-სამეურნეო პრობლემატიკის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად და მერე პრობლემატიკის მოგვარების მიზნით(?) აქტიურად იწყებს მოქმედებას პრობლემურ ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ „ბილდერბერგელების კლუბი“ დახურულ ორგანიზაციათა ტიპს მიეკუთვნება (ან, იქნებ, სწორედ ამიტომაც), იგი უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაზე. მათი დევიზი ხომ სწორედ ესაა — „სამყაროს მომავლის დაგეგმვა დახურულ კარს მიღმა“, რაც ალბათ მრავლისმთქმელია და პირდაპირ გამოხატავს კლუბის წევრების მიზანს.

### ბილდერბერგელების საიდუმლოს ბევრი ჟურნალისტი შეეწირა

კლუბის კრიტიკული განხილვა კატეგორიულად იკრძალება პრესაში. ლონდონის გავლენიან და პრესტიჟულ „ფაინენშელ თაიმსში“ მოღვაწე ცნობილმა ჟურნალისტმა გორდონ თეზერმა აღნიშნა: „თუ „ბილდერბერგელების კლუბი“ არ არის კონსპირაციული, მაშინ აშკარად ადგილი აქვს განზრახ ქმედებას, რომ კონსპირაციულობის იმიტაცია შექმნან“. ამ ფრაზამ თეზერის კარიერა განსაზღვრა — იგი სამსახურიდან დაითხოვეს. გარდა ამისა, სხვა ჟურნალისტების დაპატიმრების ფაქტებიცაა ცნობილი. უამრავი მცდელობა, ნათელი მოეფინათ ბილდენბერგელების საქმიანობისთვის, უმეტესწილად, მარცხით მთავრდებოდა.

### „ბილდერბერგელების კლუბი“ — საფრთხე თუ სიკეთე საქართველოსთვის

„კვირის პალიტრის“ მიერ მოპოვებული ინფორმაცია „ბილდერბერგელების კლუბის“ შესახებ ალბათ საქართველოში არსებული პრობლემების შედეგად გაჩენილ უამრავ კითხვას გასცემს პასუხს, თუმცა ბევრ უპასუხო კითხვასაც წარმოშობს და უფრო მეტად გაამყარებს ჩვენში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ შორის მიმავალ მიზნებს ემსახურებიან და ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რათა საქართველო რეალურად გამოვიდეს კრიზისიდან, დადგეს ფეხზე და არ იყოს მხოლოდ იაფფასიანი უცხოური საქონლის ბაზარი, სატრანზიტო დერეფანი და ა.შ. ამ ინფორმაციების გაცნობის შემდეგ ალბათ უფრო გამყარდება ეჭვი — რატომ იცავენ უცხოური ორგანიზაციები ასე თავგამოდებით საქართველოში მომრავლებულ სექტებს. ხომ არ არის ეს მიზანმიმართული ქმედება, რომლის შედეგად ჩვენი სახელმწიფოებრიობის გადამრჩენი მართლმადიდებლური რელიგიის დაკნინება და საბოლოოდ მისი გაქრობა სურთ, რასაც ალბათ უეჭველად მიაღწევენ, თუ ჩვენში გამეფებული თევზივით პირში წყლის ჩაგუბების სინდრომი არ მოიშლება. ამიტომ უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ ქართველებად დავრჩეთ და ჩვენკენ მომართული საფრთხე ავირიდოთ, ვისწავლოთ ქართველობის გაფრთხილება და დაფასება, ავაღორძინოთ თვითშეგნების სული.

*ეკა ლომიძე*

**გახდომა (გარანტიით)**

გინდათ უპრობლემოდ გახდომა? მაშინ მოგვმართეთ და თქვენ ყოველგვარი დიეტის გარეშე, ჩვენთან ინდივიდუალურად დამზადებული მცენარეული ფხვნილების საშუალებით, გახდებით 4-ჯერ უფრო ტანადი.

მის: რუსთაველის გამზ. 28, მე-13 მოზრდილთა პოლიკლინიკა, კაბ. №26 (ოპერის პირდაპირ)
☎ 92-16-52 (10-18 სთ-მდე კვირის გარდა)

**600-750 მმ. დიამეტრის ნაზურო-ნატენი ხიმინჯების გაკეთება**

სიღრმე (0-25)მ. ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.

☎ 899-16-09-10

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 3 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1900 |
| ევრო | 2,1607 |
| ინგლ. ფუნტი | 3,4243 |
| რუსული რუბლი | 0,0694 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3201 |

„ტოპსერვისის“ ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**
ფერები: თეთრი, ნაძვის ტექსტურით, მუქი მუხა...
**ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია**
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091



შპს „გეოკორი“
აწარმოებს
**ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად**
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

**ტილის ლოსიონი**

100%-იანი ნატურალური, მცენარეული ლოსიონი ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სინთეტიკური პრეპარატებისაგან.

თქვენი ბავშვებისათვის არატოქსიკური, უსაფრთხო, ნატურალური არჩევანი — ტილის ლოსიონი

მის: რუსთაველის გამზ. 28, მე-13 მოზრდილთა პოლიკლინიკა, კაბ. №26 (ოპერის პირდაპირ)
☎ 92-16-52 (10-18 სთ-მდე კვირის გარდა)

# ახალი რუბრიკა: ტელეფონით ჩაწერილი მხიარული ამბები

## ქართველი დრამატურგების დამცველი ჯემალ აჯიაშვილი „ურიის ვალით"



***ამჯერად ჩვენი ახალი რუბრიკის სტუმარია მწერალი და დრამატურგი ჯემალ აჯიაშვილი, რომლის მთელი შემოქმედება ერთგვარი ხიდია ქართველ და ებრაელ ხალხთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა.***

***ბატონი ჯემალი ჩვენს თხოვნას, მოეთხრო ორიოდე მხიარული ამბავი საკუთარი ცხოვრებიდან, ცოტა არ იყოს, გაოცებული შეხვდა. ასე, სახელდახელოდ, რა უნდა გითხრათ, მცირე დრო მომეცით, აი, საღამოს მაინც დამირეკეთო...***

***ჩვენ კი, ამოსუნთქვის საშუალება არ მივეცით და... სხვა გზა არ იყო, „ტელეფონით დატყვევებულმა" მწერალმა ორი მხიარული ამბავიც გვიამბო და ზედაც თავისი საყვარელი ანეკდოტი მოაყოლა, რომელთაც სიამოვნებით ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.***

### კურიოზი პირველი, ანუ ვინ ვის იცავს...

ნეტარი დრო რომ იყო, მწერალთა კავშირიდან ხშირად მივდიოდით ბიჭვინთის ცნობილ დასასვენებელ სახლში, მარტო ზაფხულობით კი არა, ზამთარშიც. აქაური მივლინებები მართლაც შემოქმედებითი იყო. ერთ ასეთ ზამთარსაც ბიჭვინთაში ვარ, ჩემთან ერთად თბილისიდან ერთი-ორი მწერალი თუ ისვენებდა (ნაირა გელაშვილი, თამაზ ჩხენკელი...), ძირითადად მეშახტეები იყვნენ რუსეთიდან და კიდევ... რუსი დრამატურგები.

სასადილოში ჩვენი მაგიდის პირდაპირ სწორედ ეს რუსი დრამატურგები ისხდნენ. შევამჩნიე, ერთ-ერთი მათგანი დამინახავდა თუ არა, თვალს ჩამიკრავდა. გაოცებულმა რამდენჯერმე საკუთარი გარეგნობა „შევამოწმე", ხომ არაფერი მჭირს, რაიმე უწესრიგოდ ხომ არ მაცვია-მეთქი, მაგრამ საეჭვოს ვერაფერს წავაწყდი. ის ჩემი ცოდვით სავსე კი, დამინახავდა თუ არა სასადილოში შემოსულს, წამოდგებოდა და თვალს ჩამიკრავდა. ასე გაგრძელდა ლამის მთელი კვირა და მე ისე შევეჩვიე რუსი დრამატურგის თვალის ჩაპაჭუნებას, რომ დავჯდებოდი თუ არა სასაუზმოდ, სასადილოდ თუ სავახშმოდ, მისი მაგიდისკენ გავიხედავდი და ველოდი, როდის ჩამიკრავდა თვალს.

... ერთ მშვენიერ საღამოს ნომერში ვიღაცამ კარზე დამიკაკუნა. გავაღე და ჩემ წინ სწორედ ის უცნობი რუსი დრამატურგი იდგა. ეტყობა, ცოტა დაელია კიდეც, გულაჩუყებული გადამეხვია და მხარზე ჩამომეყრდნო.

— რაშია საქმე?! — დავინტერესდი.

— ისევ თქვენ, ქართველმა დრამატურგებმა უნდა გვიშველოთ რუს დრამატურგებს!!

— როგორ უნდა გიშველოთ?!

— როგორ და რუსეთში შეგვჭამეს ამ ებრაელმა დრამატურგებმა, სულ მაგათ პიესებს დგამენ, სულ მაგათ სცენარებს იღებენ... ჩვენ აღარავის ვახსოვართ!..

— ნუ გეშინია, მეგობარო, რუსები ბევრნი ხართ. თქვენ მაგ ებრაელ დრამატურგებს რუსეთში მიხედეთ, მე კი საქართველოდან დაგიჭერთ მხარს, აქ მე მივხედავ ებრაელ დრამატურგებს, აქაც ბევრნი არიან!..

არადა, რა იცოდა იმ რუსმა დრამატურგმა, რომ ქართველ დრამატურგთა შორის მაშინ მარტო მე ვიყავი ებრაელი...

### კურიოზი მეორე, ანუ ვალს გასტუმრება უნდა!

ისევ იმ ნეტარ დროს დავუბრუნდეთ. მწერალთა კავშირში ვმუშაობდი. მორიგი წიგნი წარვადგინე მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, რომლის თავმჯდომარეც ბატონი ოთარ ნოდია გახლდათ.

საერთოდ, ასეთი წესი იყო კოლეგიაში — როცა წიგნს ჩავაბარებდით დასაბეჭდად, თუ იგი მთლიანად არ იყო დამთავრებული, ჰონორარის 25%-ს ვიღებდით, ხოლო თუ წიგნი ბოლომდე იყო მიყვანილი — 60%-ს.

იმხანად მაინცდამაინც არ მილხინდა, მომჭირნედ ვცხოვრობდი (ისე არც ახლა მილხინს...), ამიტომ შევეცადე, წიგნი სრულყოფილად ჩამებარებინა და ჰონორარის 60% ამეღო, მაგრამ მთელი ჩემი მონდომება ლამის წყალში ჩამეყარა, როცა ბატონმა ოთარმა ჰონორარის 25% გამომიწერა.

გავაპროტესტე — ჩაწიკწიკებული, სასტამბოდ გამზადებული წიგნი მოგიტანეთ და 60%-ს ვითხოვ ჰონორარს-მეთქი.

— ამას ვერ ვიზამ, ჩემო ჯემალ, შენ რომ ახლა 60% მოგცე, ყველა ასე მოითხოვს!.. — გაასავსავა ხელები ოთარმა.

— მე ძალიან მიჭირს ახლა! — ვცადე გაბრძოლება.

— რა გაგჭირვებია?

— ვალი მაქვს!

— ვალი ვის არა აქვს, დაიბეჭდება შენი წიგნი, აიღებ ჰონორარს და გაისტუმრებ... — იპოვა გამოსავალი ოთარმა.

— მე ურიის ვალი მაქვს! — მოვიშველიე არგუმენტი.

ოთარს სახე შეეცვალა („ურიის ვალმა" გაჭრა და მეც შვებით ამოვისუნთქე).

— მართლა ასე რთულად თუ იყო საქმე, ადრე ვერ მითხარი? — „მითანაგრძნო" სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ და სასწრაფოდ გამოიძახა მთავარი ბუღალტერი, ხანში შესული, სათნო ქალბატონი, რომელმაც რომ გაიგო, რომ „ურიის ვალი" მქონდა, ლამის ლოყები დაიხოკა და სასწრაფოდ გამომიწერა ჰონორარის 60%.

ასე გადამარჩინა „ურიის ვალმა" (რომელიც აღარც კი მახსოვს, მქონდა თუ არა მაშინ...).



### ჯემალ აჯიაშვილის საყვარელი ანეკდოტი

ებრაელი რიონს მიაქვს.

— ისედაც მოგყვები, დაგენაცვლე, ქვებზე რაღას მახათქუნებ, ისედაც მოგყვები!..

***ჩაიწერა ელენე სალარიძემ***

## ცხოვრებისეული კურიოზები

### საგოლე მომენტი



ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი კახა მოდებაძე დადარდიანებული, განსაცდელში ჩავარდნილი კაცის გამომეტყველებით ტკეპნიდა რკინიგზის სადგურის ბაქანს. ამის მიზეზი კი ნამდვილად ჰქონდა. მორიგი სტუდენტური ცუღლუტობისთვის (შეყვარებულს აუდიტორიაში პირველად რომ აკოცა, მაშინ „შეუსწრო" ერთმა შინაბერა ლექტორმა, ქალბატონმა ციცინომ), ვიდრე მშობელს არ მიიყვანდა, ლექციებზე აღარ უშვებდნენ...

ამ ყოფაში იყო, რომ ბაქნის თავში თანასოფლელსა და მეზობელს, ყარამანს მოჰკრა თვალი. სხვა დროს, ალბათ, თვალს აარიდებდა, რადგან ბავშვობაში ყარამანის გოგოსაც აკოცა ერთი-ორჯერ და ძველი ცოდვებისთვის მეზობელი ალმაცერად უყურებდა... თანაც, კახას მარტო ყარამანი კი არა, მთელი სამეზობლო აკლებული ჰყავდა თავისი დაუდგრომელი ხასიათით...

სხვა გზა არ იყო (მამამისისთვის რომ ეთქვა, ინსტიტუტში გიბარებენო, ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა!) და ჩვენი ონავარი სტუდენტი ყველაფერში გამოუტყდა მეზობელს, ბოლოს კი სთხოვა, — მამაჩემის ძალიან მეშინია და იქნებ მის მაგივრად შენ გამომყვე ინსტიტუტშიო...

ყარამანს თვალწინ დაუდგა მეზობლის მამლაყინწა დონ-ჟუანის „საგმირო საქმეები", მაგრამ არაფერი შეიმჩნია და დათანხმდა. თან გულში ფიქრობდა, ახლა კი ჩაგიგდე ხელშიო... რადგან, მანამდე, რამდენჯერაც საცემად გაეკიდა თავისი ქალიშვილის „კავალერს", იმდენჯერ გაწბილებული დარჩა — კახა ისარივით მიჰქროდა და წონით ცენტნერს გადაცილებული ყარამანი რას დაეწეოდა. თანაც ბიჭი სწორედ მარდი ფეხების გამო ჩაირიცხა ფიზკულტურის ინსტიტუტში.

დეკანმა მშობლად მიჩნეულ ყარამანს მისი ვაჟიშვილის „ვაჟკაცობანი" რომ მოახსენა ქალბატონი ციცინოს „აკომპანიმენტის" თანხლებით, ყარამანმა ერთი კი გაიფიქრა, ახლა დამიდგა საგოლე მომენტიო და მოულოდნელად ისეთი უთავაზა გვერდით მდგომ „ძნელადაღსაზრდელ" ბიჭს („ძველი ვალის" პასუხად), კახას ბღავილი ორი სართულით ზემოთ მჯდარ რექტორსაც მისწვდა...

— მამაჩემი მომეყვანა, არ მერჩიაო!.. — გულში მწარედ ნანობდა ყარამანის მკლავებიდან რის ვაივაგლახით (მთელი რექტორატი დაეხვია გამშველებლად) თავდაღწეული „ცელქი მიჯნური"...

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## შემთხვევით მოხმენილი

ლაღიძის წყლებში:

— თუ შეიძლება, წყალი, სიროფის გარეშე...

— რომელი სიროფის გარეშე?..





ქუჩაში:

— უკაცრავად, „დინამოს" სტადიონთან როგორ მოვხვდები? — ჰკითხა ჩემ წინ მიმავალმა კაცმა შემხვედრს.

— ძალიან მარტივად! — და გაიარა...

***გაიგონა და ჩაიწერა ლ.გ-მა***

## ხართ თუ არა მშიშარა

### ტესტი

**პაროდიის კუთხე**



**1. წევხართ და უეცრად გრძნობთ მიწისძვრას. თქვენ:**

ა) შეშინებული წამოვარდებით და დაიყვირებთ: „ვაი, მგელი!" — +15$^0$C.

ბ) მაგრად დაუბრახუნებთ კედელზე თქვენს ახალდაქორწინებულ მეზობლებს. — +6$^0$C.

გ) ყველაფერს სიზმარს მიაწერთ. — -2$^0$C.

**2. სასაფლაოზე ხართ და შემოგაღამდათ. თქვენ:**

ა) დაიწყებთ ანდერძის წერას. — +17-18$^0$C.

ბ) ჩუმად გამოხვალთ, ისე, რომ ვინმე არ გააღვიძოთ. — +5$^0$C, ზოგან წვიმა.

გ) დარეკავთ შინ და თქვენიანებს ეტყვით, რომ დაგაგვიანდებათ. — -4$^0$C.

**3. თქვენს შვილს დააგვიანდა სკოლიდან მოსვლა. თქვენ:**

ა) სასწრაფოდ გაამრავლებთ ბავშვის ფოტოს და გააცხადებთ პოლიციაში. — +21$^0$C.

ბ) მიაკითხავთ შვილს „პოკერ-კლუბში". — +6,5-7,5$^0$C.

გ) კარს ღია დატოვებთ და დაიძინებთ. — 0$^0$C.

**4. ზაფხულია, მაგრამ „გაზაფხულივით მოგეპარნენ". თქვენ:**

ა) შეგეშინდებათ და სიმღერას შეაწყვეტინებთ. — +24$^0$C.

ბ) მოულოდნელად „მოპარულ" სტუმარს სთხოვთ, რომ „თქვენში დარჩეს". — +10$^0$C.

გ) მშვიდად განაგრძობთ მერცხლის ბუდის კეთებას. — +1$^0$C.

**5. ტელეფონით გატყობინებენ, რომ თუ ფულს არ მიიტანთ დათქმულ ადგილას, მოგკლავენ. თქვენ:**

ა) შეგეშინდებათ და შემოხაზავთ „ა" ვარიანტს. — +17$^0$C.

ბ) არ შეგეშინდებათ და შემოხაზავთ „ბ" ვარიანტს. — +9$^0$C.

გ) რატომღაც შემოხაზავთ „გ" ვარიანტს. — +2$^0$C.

**6. 48-ე სართულზე ხართ და ამ დროს მოფრინავს თვითმფრინავი. თქვენ:**

ა) შეგეშინდებათ ისე, როგორც შეეშინდა ბევრს. — +28-29$^0$C.

ბ) იმედიანად დადგებით ლიფტის რიგში. — +20$^0$C.

გ) დაურეკავთ მეგობარს და სთხოვთ სასწრაფოთ გათხოვოთ პარაშუტი. — +17$^0$C.

დ) იკითხავთ: „კი მაგრამ, დღეს რა დღეა?" — +15$^0$C.

ე) ე ე ე ე... — +12-13$^0$C.

ვ) გაიღვიძებთ. — +8$^0$C.

ზ) დაიძინებთ. — +7$^0$C.

თ) მოიფიქრებთ სხვა რამეს, ოღონდ ცოტა ჩქარა, თუ შეიძლება, დრო ძალიან მცირე გაქვთ. — +1$^0$C.

### დაითვალეთ გრადუსები (ქულები):

**1. თუ თქვენ დააგროვეთ +60$^0$C-ზე მეტი ტემპერატურა, ძალიან მშიშარა ყოფილხართ, მაგრამ არა უშავს, შიშს კაცი არ მოუკლავს. ისე, მთლად მასეც არ შეიძლება, ყველაფერი გულთან მიგაქვთ. თუმცა, თქვენ რა უნდა გითხრათ, მე თვითონაც ზუსტად თქვენნაირი ვარ...**

**2. თუ თქვენ დააგროვეთ 0$^0$C-დან +60$^0$C-მდე, — გაიღიმე, გაიღიმე, გაიღიმე პატარა, შენთანა ვარ, ნურაფრის ნუ გეშინია... ისე, მეცნობი ძალიან, სად სწავლობდი ან სად ცხოვრობ, იქნებ, საერთო ახლობლებიც გვყავს. ჰო, მართლა, ერთი 5 ლარი ხო არ გექნება ზედმეტი?**

**3. თუ თქვენ დააგროვეთ 0$^0$C-ზე დაბალი ტემპერატურა, მაშინ ახლა აქედან ყველა მივდივართ ჩემთან და არ დამიწყოთ ახლა, ვერ წამოვალ და რამე... კაი პრასი მაქვს და ჩავუჯდეთ, მოვილხინოთ. ისე, მაინცდამაინც ტესტი თუ არ შეავსე, ისე ვერ უნდა ვნახოთ, კაცო, ერთმანეთი?! ჰე, ჰე, ჰე!..**

***ტესტი თქვენთვის სასურველ ტემპერატურაზე მოამზადა ზაქრო ინწკირველმა***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# კობა დავითაშვილი «მოქალაქეთა კავშირის» დატოვებას «განიცდის»...

**— კობა დავითაშვილმა ამ ბოლო დროს საგრძნობლად დაიკლო წონაში. იქნებ გვითხრათ, რის ბრალია ეს — ბატონი კობა ავადაა თუ „მოქალაქეთა კავშირის“ დატოვებას განიცდის და ამიტომ ჭამის მადა აქვს დაკარგული.**

***ირაკლი მჟავანაძე***



კითხვაზე პასუხობს თავად **კობა დავითაშვილი**.

— დიახ, „მოქალაქეთა კავშირის“ რიგების დატოვებას „განვიცდი“ და „ავადაც“ გახლავართ. აღარც ჭამის მადა მაქვს და 25 კილოც დავიკელი.

დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვებით ბევრი ირონიის მოყვარული ადამიანი გავახარე. ისე, თუ სერიოზულად გაინტერესებთ, უბრალოდ, წონაში დაკლება მოვინდომე და დავიკელი კიდეც. იმასაც გეტყვით, რომ შეჩერებას არ ვაპირებ და სულ მალე ისეთ „ფიგურას დავიყენებ“, ახალ პარლამენტს რომ შეეფერება...

# ტატუირება და მოდა

**— ჩემს მეგობარ გოგონას ძალიან მოსწონს ტატუირება. სიმართლე გითხრათ, მაშინებს მისი გატაცება. თვითონ კი მიმტკიცებს, რომ ეს ძველი ტრადიციაა და ტატუირებას ადამიანები საუკუნეების მანძილზე მისდევენ.**

***ზვიად ბასიაშვილი***



— თქვენი მეგობარი მართალია. ტატუირების ტრადიცია უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე არქიტექტურა, მუსიკა ან თუნდაც თავად მოდა. სწავლულებს მიაჩნიათ, რომ ტატუირება მსოფლიო კულტურის ნაწილია. ეს კულტურა დროთა განმავლობაში ხან გაქრებოდა, ხან კი კვლავ აღდგებოდა ხოლმე.

უძველესი ტომები ტატუირებას რელიგიური რიტუალებისას მიმართავდნენ. მაგ. ფარაონთა ქურუმები — საკუთარი ღირსების წარმოსაჩენად; ახალ ზელანდიასა და პოლინეზიაში ტატუირებულები წმინდანებად იყვნენ შერაცხულნი გადატანილი ტანჯვის გამო. ბერძნები, რომაელები, ჩინელები კი დამნაშავეებსა და მონებს დაღავდნენ.

ტერმინი „Tattoo“, როგორც კანზე ნახატის გადატანის პროცესის აღმნიშვნელი, ჯერ ინგლისში გაჩნდა, ხოლო შემდეგ სხვა ევროპულ ქვეყნებშიც. ტატუირების ევროპაში გავრცელება კი ასე მოხდა:

1771 წელს კაპიტანმა კუკმა პირველად მიაღწია ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სანაპიროებამდე. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა თან ჩამოიყვანა იქაური აბორიგენი, რომელსაც მთელი სხეული ტატუირებული ჰქონდა. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველებზე, რასაც მოჰყვა ტატუირებით გატაცება ჯერ მეზღვაურებსა და დაბალი წოდების ადამიანებს, ხოლო შემდეგ — წარჩინებულთა შორისაც.

ტატუ ამშვენებდა ინგლისის მეფეს გეორგ V-ს, ბერძენ დედოფალ ოლგას, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს, ცნობილ ჯაშუშს — მატა ხარის. ამერიკაში ტატუირება გასული საუკუნის მიწურულს გავრცელდა. საქართველოში კი, თუ გასულ საუკუნეში „ტატუირების აკადემია“ ციხეებში არსებობდა, დღეს ამ „დაწესებულებამ“ ესტრადაზე გადმოინაცვლა — თინეიჯერების საყვარელი მომღერლები ტატუირებული ფიგურებით იწონებენ თავს. ახალგაზრდობაც გაიტაცა ამ „ახალმა მოდამ“...

# დაისვენეთ საქართველოს კურორტებზე, ოღონდ...

**— გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა კურორტის სამკურნალო თვისებებზე. გვირჩიეთ, სად დავისვენოთ.**

***ნანა როინიშვილი***

კითხვაზე პასუხობს **ნანა კალანდია**, კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის მთავარი ექიმი

საქართველოს ტერიტორია კლიმატის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი მდიდარია როგორც კლიმატური, ისე ბალნეოლოგიური კურორტებით.

მთის კლიმატი ასთმის საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდება. ბაკურიანსა და შოვში წარმატებით მკურნალობენ ასთმით დაავადებულებს. მთის კლიმატი განსაკუთრებით ეფექტურია ტუბერკულოზისა და ფილტვის ბრონქული დაავადების სამკურნალოდ. ამ დაავადებათა სრული განკურნება კურორტული ფაქტორების გარეშე გაძნელებულია.

მთის კლიმატი ხელს უწყობს ორგანიზმის იმუნური სისტემის გააქტიურებას, ინფექციებისადმი გამძლეობის მომატებას. წარმატებით მკურნალობენ სასუნთქი ორგანოების დაავადებებს აბასთუმანში, ცემში, სურამში, ბახმაროში...



ზაფხულის თვეებში ბავშვის მთაში გაყვანა ხელს უწყობს მის გაკაჟებას, საერთო გაჯანსაღებას და ხანგრძლივი დროით იცავს სხვადასხვა დაავადებისგან. ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტურია ბახმარო, შოვი, წაღვერი, სურამი, ცემი, კოჯორი, მანგლისი, წყნეთი და სხვ.

ბორჯომში, შოვსა და უწერაში წარმატებით მკურნალობენ კუჭ-ნაწლავის დაავადებებს (ქოლეცისტიტი, გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა წყლულოვანი დაავადებები), საირმე კი თირკმლის, შარდსასქესო ორგანოების მკურნალობისთვისაა სასარგებლო.

ხოლო რაც შეეხება ზღვის სანაპიროს სუბტროპიკულ კლიმატს, იგი განსაკუთრებით ეფექტურია ჰიპერტონიული და გულის იშემიური დაავადებების სამკურნალოდ, რისთვისაც გამოიყენებოდა ისეთი ზღვისპირა კურორტები, როგორიც არის სოხუმი, გაგრა, ბიჭვინთა (დღესდღეობით საქართველოს მოქალაქეებს შემორჩათ ქობულეთი), რომელიც განსაკუთრებით სასარგებლოა ჰიპერტონიით დაავადებულთა და ინფარქტგადატანილთათვის. კურორტ ურეკის და გრიგოლეთის ზონაში მაგნიტური სილა განსაკუთრებული შემადგენლობისაა. მაგნეტიტის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორის ანალოგი მსოფლიოში არ მოიპოვება. იგი ეფექტურია პერიფერიული ნერვული სისტემისა და სახსრებით დაავადებულთათვის, განსაკუთრებით, ბავშვებისათვის. აქვე დავძენ, რომ მთის კურორტი ისევე, როგორც ზღვისა, საკმაოდ საშიშია და ჯანმრთელობისთვის, გამოუსწორებელი საფრთხის მომტანი, თუ არასწორად შეირჩევა კლიმატი. აუცილებელია ექიმი-კურორტოლოგის ინდივიდუალური რეკომენდაცია. არც მოზრდილს და არც მშობლებს არ ვურჩევ ერთპიროვნულად შეარჩიონ დასვენების ადგილი, თუ მათ აღენიშნებათ რაიმე დაავადება. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ჯანმრთელ ადამიანს, თუმცა ზომიერება და გარკვეული რეჟიმი სხვადასხვა კურორტზე მაინც აუცილებელია.

# ყოველ სადარბაზოში ასობით «ვამპირი» ბუდობს

**— სადარბაზოში, ნაგვის ბუნკერთან, ასობით მწერი ირევა. ვიცი რომ მათი კბენით ინფექცია გადადის. გთხოვთ დაწვრილებით მოგვითხროთ რა დაავადების გავრცელება შეუძლიათ მათ. ვფიქრობ ზაფხულში ეს ყველას პრობლემაა.**

***მაკა ლომიძე***

კითხვაზე პასუხობს **გუგული გუგუშვილი**, პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, — სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო ინსტიტუტის ტრანსმისიულ სნეულებათა, ეპიდემიოლოგიისა და სამედიცინო ენტომოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

— ზაფხულში სისხლისმწოვი მწერები, წელიწადის სხვა დროისგან განსხვავებით, გაცილებით სწრაფად მრავლდებიან და აქტიურები არიან. შევეცდები მოკლედ გესაუბროთ საქართველოში გავრცელებულ სისხლისმწოვ პარაზიტებზე.



**კოღო** — საქართველოში გავრცელებულია 8 სახეობა. აქედან დაავადების გადამტანი 7-ია. ყველაზე საშიში გახლავთ მალარიის ჩვეულებრივი კოღო, რომელიც ყველგანაა გავრცელებული (ზღვის დონიდან 0-2200მ-ის სიმაღლეზე). მეორე, არანაკლებ საშიში სახეობა — ტროპიკული მალარიის გადამტანი — ჭრელი კოღო, ამ ბოლო დროს საქართველოში თითქმის გაქრა.

კოღო აქტიურია შებინდებიდან გარიჟრაჟამდე. იგი კვერცხით მრავლდება ძირითადად წყალსატევებში. გარემოს ტემპერატურის +24-30$^0$C-ის შემთხვევაში ისინი გაცილებით სწრაფად მრავლდებიან. დაახლოებით ერთ კვირაში კვერცხის დადებიდან — კოღო ზრდასრულია. ზაფხულში იგი ათჯერაც ახერხებს გამრავლებას. ცოცხლობს დაახლოებით 30-45 დღე.

**ქინქლა** — ბევრს ამ მწერზე მცდარი წარმოდგენა აქვს. იგი არ გახლავთ ქალაქის ბინადარი. ისინი მრავლდებიან და ბუდობენ დიდი მდინარის, ჩანჩქერის, ჟანგბადით მდიდარ წყლებთან, ასევე ტყის ზონაში, სადაც მაღალია ტენიანობა. გავრცელებული სისხლმწოვი გახლავთ **მოსკიტი**. ისინი მრავლდებიან მღრღნელების სოროებში, იშვიათად ნაგავსაყრელებზე. საკმაოდ საშიშები არიან. მათ ნაკბენს შეუძლია ლეიშმანიოზის გამოწვევა.

ელექტრონათურას დახვეული მწერი **წიალა** გახლავთ. ის დაჭაობებულ წყალში მრავლდება, ისევე, როგორც კოღო.

**რწყილი** — შავი ჭირის გადამტანი პარაზიტია, თუმცა დღეს ამის საშიშროება მინიმალურია. ყველა ცხოველს და ადამიანსაც კი თავისი სახეობის პარაზიტი რწყილი ჰყავს. ცხოველის რწყილი ადამიანსაც ესხმის თავს, მაგრამ მასთან არ ჩერდება. ადამიანის რწყილი კი მრავლდება შალის ქსოვილში, ფარდაგებში, ხალიჩებში. ცხოველისა — სოროსა თუ გამოქვაბულში.

**ტკიპი** — იგი მრავლდება როგორც ღია ცის ქვეშ (მცენარეულ საფარქვეშ), ისე გარეული ცხოველისა თუ ფრინველის ბუდესა და სოროში. ტკიპი ბაქტერიული და ვირუსული დაავადებების გადამტანია. მაგ. ციმბირსა თუ ურალში, შუა აზიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ძალზე საშიში სახეობის ტკიპი ბინადრობს (შავი ჭირის მიკრობების და ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსის გადამტანი). იგი, სხვა მწერებისგან განსხვავებით, კბენისას ადამიანის კანში ხორთუმის მეშვეობით ანესთეზინს უშვებს და ლოკალურად აყუჩებს თავის ნაკბენს. ათი ტკიპი რომ დაეკრას ადამიანს, მან შესაძლოა ვერც კი იგრძნოს ეს.

**ბაღლინჯო** — ჩვენთან გავრცელებული ეს პარაზიტი დაავადების გადამტანი არ არის. იგი იკვებება ძირითადად ადამიანის სისხლით. აქტიურია ღამის საათებში. საქართველოში მისი მომრავლება განპირობებულია მიგრაციის პროცესებით და საზღვარგარეთიდან, განსაკუთრებით თურქეთიდან, ირანიდან და შუა აზიიდან შემოტანილი ავეჯისა და ტანსაცმლის დიდი რაოდენობით.

*არ მინდა დაგაფრთხოთ, მაგრამ ნებისმიერი სისხლისმწოვი საშიშია. იგი სისხლს წოვს ადამიანსაც და ცხოველსაც. ამიტომ სრულიად შესაძლებელია დაავადების გადამტანი იყოს.*

# ქეთა თოფურია აგვისტოში მოსკოვში იმღერებს

**— გავიგეთ, რომ ქეთა თოფურია მოსკოვში მიემგზავრება. ამბობენ, რომ იგი ალა პუგაჩოვამ მიიწვია. სად უნდა იმღეროს ქეთამ მოსკოვში?**

***ნინო დოლიძე***



კითხვაზე პასუხობს ქეთა თოფურიას დედა — ქალბატონი ნატა.

— არ არის მართალი, ალა პუგაჩოვას არ მიუწვევია ქეთა მოსკოვში. ჩვენ კი რუსეთის დედაქალაქში 5 აგვისტოს ვაპირებთ გამგზავრებას, მაგრამ სხვა მიზეზის გამო. ქეთა კონცერტზე მიიწვია ნიკოლაი კარაჩენცოვმა, რომელიც „კინოსა და თეატრის ესტრადის ვარსკვლავების“ ფონდის პრეზიდენტია. კონცერტი გაიმართება გემზე, რომელიც იმოგზაურებს მდინარე „მოსკოვზე“. და გაიმართება იგი... მხოლოდ მთავრობის წევრებისთვის. კონცერტს ჩაიწერს რუსეთის ყველა წამყვანი სატელევიზიო არხი — „OPT“, „HTB“ და „PTP“.

ჩვენ გახლდით მოსკოვში გასული წლის დეკემბერშიც. ნოდარ ნიკოლაიშვილის მიწვევით, რომელიც მოღვაწეობს რუსეთში. სწორედ ის არის „რუსებისა და ქართველების მეგობრობის ჰიმნის“ ავტორი, რომლის პრეზენტაციაც ამ კონცერტზე გაიმართება. თუმცა სიმღერა და კლიპი უკვე ჩაწერილია და მასში ყველა ცნობილი რუსი თუ ქართველი მომღერალი მონაწილეობს, მათ შორის ქეთაც. გარდა ამისა, დეკემბერში „OPT“-ს სტუდიაში ჩაიწერეს ქეთას სიმღერა. ხოლო რაც შეეხება მდინარე „მოსკოვზე“ გამართულ კონცერტს, ქეთა მაყურებლის წინაშე წარსდგება ერთი რუსული და ორი ქართული სიმღერით.

# უდანაშაულობის პრეზუმფცია

**— გთხოვთ, განგვიმარტოთ ცნება „უდანაშაულობის პრეზუმფცია“.**

***ნაირა დემეტრაძე***

კითხვაზე პასუხობს **მედეა დემეტრაშვილი** — იურიდიული ფირმის დირექტორი.

— პრეზუმფცია (ლათ. praesumptio) ნიშნავს — ფაქტის, მოვლენის ნამდვილობის ვარაუდს, რომელიც ძალაშია ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართალში ადამიანის უფლების, მისი პატივის და ღირსების დამცავი სამართლებრივი მექანიზმია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი ასე განმარტავს დემოკრატიის ამ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს:

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.
2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.
3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ეს იმას ნიშნავს, რომ არავის არ აქვს (მათ შორის სამართალდამცავებს) უფლება დაადანაშაულოს ადამიანი სხვადასხვა ქმედების ჩადენაში მანამ, სანამ სასამართლოს მიერ არ იქნება გამოტანილი განაჩენი მისი ბრალეულობის შესახებ.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

CMYK

## მილოცვა

**მიმოზა, დავით მიმინოშვილებს!**

გილოცავთ პირველ სიხარულს – პატარა ბექას შეძენას! კარგი ვაჟკაცი გაზრდილიყოს. სიყვარული ნუ მოგიშალოს ღმერთმა. გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. გკოცნით

*დეიდები*

## მადლობა

მადლობა უანგარო დახმარებისათვის, ხაშურის რაიონის დაცვის პოლიციის უფროსს, ბატონ **ზურაბ ძულიაშვილს**, ბიზნესმენ **ილია ბარბაქაძეს** და ბატონ **ვაჟა ნოზაძეს.** მადლობა ღმერთს, კიდევ ჰყავს საქართველოს თქვენნაირი მამულიშვილები.

*ქვემო ჭალის საშ. სკოლის პედკოლექტივი. მოსწავლეებისა და მშობლების სახელით, გ. მეჯაძე*

## ბინები

3-ოთახიანი ბინა მიშენებით, 2(8), გარემონტებული, ორი სველი წერტილით, ცენტრალური, ავტონომიური გათბობით და მუდმივი ცხელი წყლით. მის: მგალობლიშვილის ქ. №33, ბინა №30. ტელ: 37-78-73; 899 92-34-10. ქეთი; 899 56-40-69. აჩიკო

4-ოთახიანი, თუხარელის პროექტის, სუფთა ბინა, 2 ლოჯიით, ტელეფონით, ბ/აირით, სარდაფით, კაპიტალური ავტოფარეხით. მის: დ/დიღომი, II მ/რ, 4(14). ტელ: 53-30-38; 877 47-27-86

4-ოთახიანი ბინა (ს/ფ 1500კვმ), საუკეთესო ხედებით, ელიტარულ 7-ბინიან კორპუსში. მე-6 სართულზე, რუსთაველის გამზირიდან 20 მეტრში, მეცნიერებათა აკადემიასთან. ა/ფ – კორპუსის I სართულზე. კორპუსს გააჩნია საკუთარი, იზოლირებული ეზო. ასეთი ვარიანტი იშვიათია თბილისში!!!. ს/ფ $80.000. ტელ: 877 42-42-50; 899 57-03-82. ზაზა

1-ოთახიანი, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა ბორჯომში, ქალაქის ცენტრში, 45კვმ, სარდაფით. ტელ: 2-19-09 (ხაშური). თამარი

თბილისიდან 35 კმ-ის დაშორებით (საგურამოდან 10 კმ) ბურიანში 800 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული). ფასი $800. ტელ: 23-07-65

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

ახალი, მრავალპროფილიანი კორპორაცია იწვევს ალღოიან და კომუნიკაბელურ ექიმებს, იურისტებს, ინჟინრებს, ეკონომისტებს, ბუღალტრებს, ექთნებს, ქიმიკოსებს, ფიზიკოსებს, პედაგოგებს, ინტერნეტისა და კომპიუტერის მცოდნე ადამიანებს. შემოსავლები მაღალია. ტელ: 893 33-18-86; 52-44-10; 34-67-71

ამერიკა-იტალია-საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ საოფისე სამსახურს, მზარდი ანაზღაურებით. ხელფასი გამომუშავებით, თვეში – $300-500, აშშ სტანდარტებით. ვიწვევთ 17-40 წლამდე ასაკის ადამიანებს. მის: რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46; 899 15-89-92. თიკა

## მომსახურება

დასვენება: ესპანეთისა და თურქეთის კურორტებზე, შეღავათიან ფასად, სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში; აჭარაში – ბათუმი, ქობულეთი, სარფი, კვარიათი, გონიო, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მალთაყვა; ასევე, ბაკურიანში, ბორჯომში – კვებით და კვების გარეშე, სასტუმროებსა და კერძო სექტორებში. მის: ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21. ტურ. კომპანია „Dilaplus". http://dilaplus.gol.ge. ტელ: 98-69-51; 899 54-00-79

გთავაზობთ ეპილაციას, ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, გალიზიანების გარეშე, მორჩენის გარანტიით, – 1 სთ – 5 ლარი; თმის მოცილებას სახეზე და ტანზე მცენარეული დეპილატორით. მიღება წინასწარი ჩაწერით. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით! მის: მ „300 არაგველი". ტელ: 77-50-32. გულიკო

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი პირველივე სეანსზე. ისარგებლეთ – დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არაბაიის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებს და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და მეუბლებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეკერვა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, ხამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 95-97-12. ვალერი

პიანინოს, როიალის, ავეჯისა და სხვადასხვა ტვირთის გადაზიდვა სპეციალური აწყობილი, საქართველოს ფარგლებში, გნებავთ, ჩვენივე მუშა-მტვირთავებით. ტელ: 32-69-14; 899 57-00-28. ალეკო (ნებისმიერ დროს)

სახურავების, მანსარდების თუნუქით, კრამიტით, შიფერით, მეტალოკრამიტით გადახურვა, მოწყობა, შეღებვა, მასალების მომარაგებით, გარანტიით, იაფად. ტელ: 95-05-56; 39-44-61; 899 58-98-51

დიდი გამოცდილების მქონე, თბილისელებით დაკომპლექტებული კომპლექსური ბრიგადა ასრულებს: ბინების, აგარაკების, ა/ფარეხების, აივნების მიშენება-დაშენება (მანსარდი); ლესვა გაჯით; ელვაყვანილობა, კაფელი, მეტლახი, შეკიდული ჭერი, საღებრო პარკეტი, ბუხარი. მაღალი ხარისხი, დაბალი ფასები, გასაღების ჩაბარებით. ტელ: 76-97-61; 899 146-120 (20 სთ-ის შემდეგ)

კერძო პირებს, ოჯახებს და ჯგუფებს გთავაზობთ დასვენებას კურორტ ქობულეთში. განთავსება კერძო სექტორებში, სამჯერადი კვებით, კაფე „ივერიაში" (ფეჩნარში). 1 აგვისტოდან საგზურის ღირებულება – 10 დღე – 150 ლარი. ცნობებისათვის მობრძანდით: თბილისი, დავით აღმაშენებლის 113/115, (ეზოს ბოლოში, სამკურნალო ცენტრი „ფანასკერტელი"), კაბ №31. ტელ: 69-18-38 (ბინა); 91-18-38 (სამს); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

ტურისტული ფირმა „ქართი" გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დასვენებას ქობულეთში, კერძო კომპლექსში (ფასი 100 ლარი), ათი დღე; სასტუმრო-პანსიონატში (ფასი 140 ლარი), ათი დღე – კარგი პირობებით, 3-ჯერადი კვებით, ზღვასთან და პარკთან ახლოს. კმაყოფილები დარჩებით. მის: აღმაშენებლის №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89; 899 90-67-52. ირინა ჯანაშია, ნონა ღადუა

## მკურნალობა

მეჭეჭებისა და ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან. მის: ზურაბ ჭავჭავაძის (ყოფ. შეროზიას, შესახვევი დავით აღმაშენებლის №99-თან) ქ. №10. „თვალის დისპანსერი". კაბ. №2. ტელ: 95-30-26 (სამს); 39-00-70; 39-25-75 (ბინა); 899 56-96-61

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

პოლიკლინიკის დირექტორ ლომთათიძეს მოწვეული ჰყავს რუსეთსა და ისრაელის კლინიკაში ნამუშევარი მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც მკურნალობენ: საჯდომი ნერვის ანთებას, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ართროზს, ოსტეოქონდროზს, ასთმურ ბრონქიტს, სქოლიოზს, პარალიზებას, ყურებში შუილს, ნევროზს, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაზრდას, ტროფიკულ წყლულს, წითელ ქარს, მეჭეჭებისას მოშორებას, ბუასილს, თმის ბუდობრივ ცვენას, არითმიას, სტენოკარდიას, მანკს, ინფარქტგადატანილ ავადმყოფებს; დაგაკლებინებთ წონაში. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: აღმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29

ვმკურნალობ ჩინური აკუპუნქტურის მეთოდით: ოსტეოქონდროზს, სახსრებისა და ნერვის ყველა სახის ანთებას, ნევროზს, უნებლიე შარდვას, ალერგიას და სხვა დაავადებებს. ნემსოთერაპია იძლევა განკურნების მაღალ ეფექტს, ყოველგვარი წამლის გარეშე. მე-9 საავადმყოფო, ნერვული განყოფილება. გიული ექიმი. ტელ: 22-68-04 (სამს); 23-10-48 (ბინა)

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი ძაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: სახსრებს, ოსტეოქონდროზს (მარილებს), პოლიართრიტს, ართროზს, ბრონქიალურ ასთმას, დისკს, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ფრონტიტს, ჰაიმორიტს (ფრონტიტი და ჰაიმორიტი იკურნება 6-8 დღეში სრული გარანტიით). მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ)

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ევლინა ლოლაძე*. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ევლინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

## განათლება

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფ-შემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახური); 96-22-89 (ბინა.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

საქართველოს საერთაშორისო (ქართულ-ბრიტანული) ურთიერთობების, ფინანსების და სამართლის ინსტიტუტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამედიცინო (სტომატოლოგია) – $300; 2. იურიდიული – $150; 3. ჟურნალისტიკა – $150; 4; უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) – $150; 5. ეკონომიკური (ფინანსები და საბანკო საქმე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საბაჟო და საგადასახადო საქმე, ტურიზმი და კურორტების ბიზნესი) – $150. გაიცემა სახელმწიფო დიპლომი. წარჩინებული სტუდენტები გაიგზავნებიან სტაჟირებაზე ინგლისში. მის: ქუთათელის (ყოფ. შჩორსის) ქ. №3, საბურთალოზე, შრომის სასახლის წინ, №102 სკოლა. ტელ: 37-22-40; 22-89-88; 899 57-19-44

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და კოლეჯი აცხადებს მიღებას ქართული და რუსული სექტორების დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა; 2. უცხო ენები; 3. ეკონომიკური. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან მე-3 კურსზე. კოლეჯში ფუნქციონირებს იგივე ფაკულტეტები. ფასი 220-300 ლარი. გათვალისწინებულია შეღავათები. მის: თოფურიას №12 (ვაჟა-ფშაველას III და IV კვარტალებს შორის), 128-ე საშ. სკოლა. ტ: 32-82-60; 32-06-97; 30-51-30 (საღამოს)

ბიოტექნოლოგიური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას სპეციალობებზე: I. საკვები პროდუქტების და ნედლეულის სანიტარული ექსპერტიზა (სერტიფიცირება, სტანდარტიზაცია, კონტროლი საბაჟოზე), ექიმ-ექსპერტის კვალიფიკაციით; II. ვეტერინარია – ვეტექიმის კვალიფიკაციით. მიღება 11-14 სთ. მის: კრილოვის ქ. №15, IV სართ. ტელ: 95-95-72

## იყიდება

ცხვარიჭამიაში, პიონერთა ბანაკ „მერცხალთან", 1000 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით. ფასი $1.000. ტელ: 23-07-65

სასწრაფოდ, 2500კვმ მიწის ნაკვეთი, სასტუმრო „უმბის" მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგისტრალთან ახლოს. ტელ: 23-32-70. მანანა

ძველებური გერმანული ვიტრინკა-გორკა, ზედა მხარე სამმხრივი ბროლის მინებით, ქვედა მხარე 2-კარიანი დახურული. ფასი 150$. ტ: 23-07-65

მე-18 ს-ის, ლიმონის ხისგან დამზადებული მაგიდა-ბიურო. ტელ: 23-32-70. მანანა

მარჯნებისა და ნიჟარების კოლექცია. ტელ: 23-32-70

სამშენებლო-სარემონტო ფირმების საყურადღებოდ: სარეალიზაციოდ გვაქვს ლესვისათვის, ჭერზე და კედელზე გასაკრავი მცირეუჯრედიანი, ნებისმიერი ზომის უჟანგავი მავთულბადე. ტელ: 899 14-28-16

## შევიძენ

დიდი რაოდენობით თხევად ქლორს და კით-ქლორს, სასმელი წყლის და კანალიზაციის სისტემების სადეზინფექციოდ. აგრეთვე, მტკიცე მედეგობის უჟანგავ („ნერჟავეიკა") მავთულს, Ф2,5 – Ф5მმ-მდე. ტელ: 899 14-28-16

## სხვადასხვა

გაინტერესებთ სასიყვარულო პრესა? – იკითხეთ ყველგან სასიყვარულო პრესის ლიდერი – გაზეთი „სიყვარულის სამყარო". გაზეთის რედაქციის ოფისში ფუნქციონირებს გაცნობისა და დაოჯახების კლუბი. მობრძანდით, ჩვენ დაგეხმარებით დაოჯახებაში. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ, ოთ. №210. (შესასვლელი ჭოველიძის №2-დან). ტ: 93-49-72; 899 56-32-59

## ხსოვნა

### ეკა ტყეშელაშვილის მონატრება



25 წელი სამუდამო სამყოფელში „მოგილოცეთ", ამქვეყნიდან შენი მოულოდნელი წასვლით დაზაფრულებმა. მას აქეთ ოთხი წელი გავიდა, იმ ტკივილს კი არაფერი შველის, შენი მონატრება რომ ჰქვია. ბრძენს უთქვამს, ჭირმა შეჩვევა იცისო... როგორ შევეჩვიოთ უშენობას, შვილო. ვცოცხლობთ მე და მამაშენი, მაგრამ ეს სიცოცხლე შენთან მოსვლის მოლოდინი უფროა, ვიდრე სიცოცხლე. როცა რამეს ვაკეთებ, ვცდილობ ისე გავაკეთო, შენ რომ მოგეწონოს, თითქოს შენს შექებას ველი. სულ შენთან ვარ, შენს სურათებს, შენს ნაქსოვ-ნაქარგებს, შენს საფლავს ვეფერები... ერთადერთ იმედად შენი მოსახელე ძმისშვილი – პატარა ეკა მყავს, შენი წასვლის შემდეგ რომ მოევლინა ქვეყანას... ხშირად მგონია, რომ შენს ბავშვობას ვეფერები. ისიც ისეთი თბილი და მოსიყვარულეა, როგორიც შენ იყავი. მამიდას შენს ფოტოებს ეძახის. შენი ბავშვობის თოჯინებზე ამბობს – მამიდამ მაჩუქაო... შენს საფლავთან რომ მომყავს, ციცქნა ხელებს აფარებს ანთებულ სანთლებს, ქარმა არ ჩააქროსო. 7 აგვისტოსაც მოვალთ შენს საფლავთან, ვილოცებთ შენი სულისთვის შენი დაბადების დღეს, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ სიხარულით გვავსებდა. ახლა კი, ახლა მოგონებებილა შეგვრჩა და სავედრებელი უფლისადმი, რომ მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ნათელ სულს, ეკა...

*შენი დედიკო, ლენა ქიმუცაძე-ტყეშელაშვილი*

### ლალის მოგონება



გავიდა გაუსაძლისი ხუთი წელი ტკივილით, სევდით. შენი სული ზეცაში გაფრინდა ჩემი მკლავებიდან. თითქოს გუშინ იყო ის სითბო, სიყვარული, რომელიც თან გდევს ოჯახის წევრებს, „საქნერგოს" სამმართველოში შენს მეგობრებსაც. გვენატრები, გვენატრები, ისევ გვიყვარხარ ჩვენო ლამაზო დაიკო ლალი. გაფრენილ სულს ვავედრებთ ღმერთს და წმინდა სანთლებს გინთებთ. ნათელში გვიმყოფოს შენი კეთილი სული. მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა.

*გულისტკივილით: მარგო, ელეონორა, მეგი, რუსუდან ვაჩეიშვილები*

### გურამ მითაიშვილის მონატრება



8 აგვისტოს შენი ცხოვრების ნახევარ საუკუნეს უნდა შეგებებოდი. დღეს ჩვენ უშენობის მეათე წელს ვხვდებით. შენი ცხოვრების ისეთ ადრეულ გაზაფხულზე მოგმადლა ღმერთმა და ღვთის ისეთ უსაზღვრო სიყვარულს გაზიარა, სხვები მხოლოდ ხანდაზმულობაში თუ აღწევენ და ისიც გამორჩეულნი. ღვთის სამსახურში ყოფნაც მოასწარი. წამოჩიტული შვილების ხილვა კი არ გეწერა. უხილავი ჭვრეტის უნარი ღვთის მადლი იყო. შენი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს ხალისიანი ვაჟკაცი სახლიდან გადიოდი, ახლობლებს ემშვიდობებოდი: – რა ვიცი, რა ხდება და ჩემს თოთოებს ლუკმა არ დააკლოთო. ჩვენგან შეუცნობელი წახვედი, შენი სულის სიმაღლეს არათუ ვერ შევწვდით, თვალიც ვერ შევავლეთ. სიკვდილიც ნაადრევი გქონდა, შვილო... შენდამი უსაზღვრო სიყვარული, შენთან დაშორების გაუნელებელი ტკივილი დრომ მისხლითაც ვერ შეამცირა. ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო პირნათელო შვილო.

*უბედური მშობლები*

### ნიკა ცუცქირიძის მონატრება



1 აგვისტო შენი დაბადების დღეა. უშენოდ შევხვდით ამ დღეს. დღეს, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარდა. შენი უახლოესი ადამიანები უკლებლივ იკრიბებოდნენ ჩვენთან. იყო გაუთავებელი სიცილი, მილოცვა, მხიარულება, რომლის მოთავე შენ იყავი ყოველთვის. წლევანდელი შენი დაბადების დღე კი ნაღვლიანი და დიდი მწუხარებით იყო სავსე. უშენოდ აღვნიშნეთ შენი 27-ე წლისთავი. ჩვენო განუმეორებელო, ჩვენო დიდო ტკივილო, როგორ გიყვარდა ყველა, როგორ გვინაწილებდი სითბოს და სიხარულს. შენ გვერდით ყველა ხალისიანი ვიყავით. ძალიან ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი, არც ვაპირებთ, რადგან შენ ყოველთვის ჩვენ გვერდით გხედავთ. შენ რაც გაგეხარდებოდა, იმას ვაკეთებთ ყოველთვის. არასოდეს დაგვივიწყებთ. ჩვენო უანგარო, გულიანო, ალალო და უღალატო ნიკუშ (მოფერებით ასეც გეძახდით)... თავს ვხრით შენ წინაშე და მოკრძალებით, დიდი სიყვარულით, მოფერებით და უზომოდ დიდი გულისტკივილით გილოცავთ დაბადების დღეს.

*შენი კობა*

### მერაბ გაბუნიას გახსენება



9 აგვისტო შენი ოჯახის ტრაგედიის დღეა, მერაბ! ერთი მტანჯველი წელი გავიდა. რამხელა ფიქრი, დარდი და მწუხარება მოგვიტანე მოულოდნელად. რატომ, შვილო, რატომ? დღემდე გამოცანად დარჩა შენი ნათესაობისთვის. ნუთუ არ დაგენანა მოხუცი მშობლები, საყვარელი მეუღლე, პატარა შვილი და ერთადერთი და? თავმოყვარეობამ გადაძალა ჩვენი სიყვარული? გვენატრები, გვენატრები სიგიჟემდე. თურმე რამდენის ატანა შეძლებია შენს მოხუც მშობლებს. მთელი 44 წელი ერთი წლითაც არ დავშორებივართ ერთმანეთს. რამდენი სასაუბრო გვაქვს შენთან, ჩვენო სიყვარულო, უსაზღვრო ტანჯვავ და მწუხარებავ. ყველა ერთად ვლოცულობთ შენთვის. უფალს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი სული. შენ ბევრი სიკეთე გიკეთებია და დაგიფასდება. მერაბ, მშვიდად იყავი შენს ახალ სამყოფელში, რომლითაც თანამშრომლებმა დაგასაჩუქრეს. შენი პატარა ნინო გელოდება ყოველდღე, ჩვენც გელოდებით, მაგრამ ვაი რომ, არასოდეს მოხვალ. ვცდილობთ, სანამ ცოცხლები ვართ შენი მშობლები, ნინოს არაფერი მოვაკლოთ. როცა გაიზრდება შენი შვილი, სიამაყით იტყვის შენს აშენებულ სახლებზე: „ჩემი მამიკოს აშენებულია". ბოლო სახლზე კი – ამას შეეწირაო. რატომ, რატომ, რატომ, მერაბ?

*შენი ოჯახი*

### ხათუნა დონდუას



კიდევ ერთხელ მოდის 7 აგვისტო – შენი დაბადების დღე. დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ უშენოდ განვლილი 3 წელი ვერ აღმოჩნდა მკურნალის როლში შენი საკუთარი ოჯახისა და მეგობრებისთვის. ხათუნა დონდუა არა მარტო თავის საყვარელ ოჯახს დააკლდა, არამედ მთელ საქართველოს. შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად ჩაიფერფლა მრავალი შენი აუხდენელი ოცნება და ნატვრა.

*შენი I-არხელები*

### ლევან რამიშვილის ხსოვნას



ჩვენო საყვარელო ლევან, მესამედ ვხვდებით უშენოდ შენი დაბადების დღეს. 8 აგვისტოს 64 წელი შეგისრულდებოდა. სამი ტკივილიანი წელი ვცოცხლობთ უშენოდ, ამას თუ სიცოცხლე ჰქვია. ვერ ვეგუებით უშენობას, ჩემო სიცოცხლევ. შენს სიკვდილს ვერ ვეგუებით. ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ, გვაკლიხარ! შენი დაკარგვით გამოწვეულ სიცარიელეს ვერაფერი ავსებს. ვიცი, შენი სული წუხს მოხუცი დედის გამო, რომელიც შენ ასე გიყვარდა და რომლის ცხოვრების აზრიც მხოლოდ შენ იყავი, არ ვიცი, როგორ იტანს ამდენ ტანჯვას. მისი ფიქრი მხოლოდ შენ დაგტრიალებს და შენთან შეხვედრის იმედითღა ცოცხლობს. მუდამ ვილოცებთ შენთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი მოსიყვარულე სული და დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

*შენი დედა, და, დეიდა, დისშვილები*

### ჯემალ შამუგიაშვილის ხსოვნას



29 ივლისი შენი დაბადების დღე იყო, ჩემო ჯემალ. მეორედ შევხვდით უშენოდ ამ დღეს. რა ბედნიერი ვიქნებოდით ერთად რომ გვეზეიმა შენი დაბადების დღე, შენს შვილებთან და ახლობლებთან. შენი წასვლით მიყენებულ ტკივილს ვერავინ და ვერაფერი მოაშუშებს. უშენოდ არაფერია ჩვენი სიცოცხლე. ვცოცხლობ მხოლოდ შენი შვილებისათვის და შენი მიზნების შესასრულებლად. ენატრები ყველას, შენს შვილებს აკლიათ მამის სითბო და ალერსი. დრო არ ყოფილა მკურნალი, ეს ტყუილია. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები. ვერ ვეგუებით უშენობას. გჯეროდეს, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. შენმა ამ ქვეყნიდან წასვლამ სულიერად გაგვანადგურა, ვერ ვეგუებით იმ აზრს, რომ შენ მიწაში წევხარ. ვიტანჯებით უშენობით. შენ შემდეგ ჩაკვდა ყველაფერი და ყოველგვარი სიხარული. ისღა დაგვრჩენია, მოვუაროთ შენს წმინდა საფლავს, პატივი ვცეთ შენს სპეტაკ სულს და ღმერთს შევევედროთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ცოლ-შვილი*

### მზია დიდიას ხსოვნას



შვიდი მწარე წელი შესრულდა 3 აგვისტოს, რაც შენ წახვედი ჩვენგან სამუდამოდ. სულით ჩვენთან ხარ, შვილო, მზია... შენი სახე თვალწინ მიდგას, მენატრები ძალიან. გელოდები, თითქოს ყოველდღე უნდა დამიბრუნდე. შენს საყვარელ ქმარ-შვილზე ნუ იდარდებ... თუმცა, უშენობას ძალიან განიცდიან. შენი სტუდენტი შვილები კარგად სწავლობენ, ქეთინო რუსთაველის სახელობის სტიპენდიანტია. ნეტავ მოსწრებოდი, შვილო, სულ მათზე რომ ფიქრობდი. გაგიმართლეს, კარგი შვილები გყავს, მაგრამ შენ უღალატე... ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი წმინდა სული. ჩვენ კი ვილოცებთ შენთვის, ჩემო უიღბლო შვილო.

*შენი უბედური მშობლები*

მეუღლე თემურ ჩიქოვანი, შვილები ნინო, გიორგი. ძმა ამირანი, და ლალი მეტრეველები. მაზლი თამაზ ჩიქოვანი. რძლები ციცო დვალიძე, ნუნუ მაჭავარიანი, ლალი ჩიქოვანი, ქეთინო მერაბიშვილი, სიძეები ვახტანგ პაპავა, ნიკა შენგელია, ძმისშვილები მადონა, მზია, მამუკა მეტრეველები. დისშვილი შორენა პაპავა. მაზლისშვილები თამუნა, ლადო, ვალერი, დათო ჩიქოვანები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ნათელა ირაკლის ასული მეტრეველი-ჩიქოვანი**

*პანაშვიდი:* 4, 5 აგვისტოს, 17 საათზე;
*დაკრძალვა:* 6 აგვისტოს, 15 საათზე.
*მისამართი:* ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტ. კორპ. 10

მშობლები დავით და ქეთევან იოსელიანები, დაძმა რუსუდან, ბექა იოსელიანები, ბებია ვენერა ხოჭოლავა-იოსელიანისა, მამიდა რუსუდან იოსელიანი ოჯახით, დეიდა ლამარა ცხაკაია ოჯახით, ბიძა ტატაჩი ლომია ოჯახით, მამიდაშვილები ზაზა და დავით შენგელიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ნოდარ (ნუკრი) დავითის ძე იოსელიანის**

გარდაცვალებას.

*პანაშვიდი:* 4, 5 აგვისტოს, 17 საათზე;
*გამოსვენება:* სამშაბათს, 6 აგვისტოს, 16 საათზე.
*მისამართი:* ნუცუბიძის მე-3 მ/რ, I კვარტ. მე-10 კორპ. მე-7 სართ. ბინა №27

მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ *ცირა შავდიას*, მეუღლის

**გიორგი (გოგიტა) ნიქაბაძის**

გარდაცვალების გამო.

# ბუნებასთან მრთად



ამინდი რომ მოქმედებს ადამიანის განწყობაზე, ეს სრული ჭეშმარიტებაა. ისიც არ იწვევს კამათს, რომ ადამიანსა და ამინდს შორის უწყვეტი კავშირია. ამასთან, მისნებს მიაჩნიათ, რომ ადამიანებსა და ამინდს შორის არსებობს უკუკავშირი: თუ ჩვენი საქციელი მის „სურვილებს“ არ ესადაგება, ბუნება არ მოგვამარაგებს ენერგიით. ბრძენნი გვირჩევენ, ვიცხოვროთ ბუნებასთან ჰარმონიულად, მაგრამ როგორ?

**მზიანი, ნათელი დღე** სინათლისა და ბედნიერების ამინდია, მაგრამ ასეთ ამინდში ადამიანში ინდივიდუალიზმი ბობოქრობს, ძნელია თავის მოთოკვა, ძნელდება შენი ბედის სხვის ბედთან დაკავშირება.

**ნათელი ვარსკვლავიანი ღამე**. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ჭვრეტა სიხარულის მომგვრელია, ადამიანის სული განიწმინდება და თითქოს შორეული კოსმოსის საიდუმლოებას სწვდება. ბოროტი ადამიანები ვერ ეგუებიან ვარსკვლავიან ცას, ნათელი ღამე მათზე ცუდად მოქმედებს, ზომაზე მეტად ემოციურნი ხდებიან. ვარსკვლავიანი ღამე კარგია სამკითხაოდ, სიზმრების ასახსნელად, პირადი ბედნიერების მისაღწევად, უნაყოფობისაგან განსაკურნებლად.

**ძლიერი ქარი** ცვლილებების გამომწვევია. ბუნებას ცვლილებები სწყურია ისევე, როგორც ადამიანს. ქარში ადამიანის ორგანიზმი და გონება „ნაგვისაგან“ თავისუფლდება. ამგვარი ამინდი კარგია კომპლექსებისაგან გასათავისუფლებლად, წარსულის ტვირთის მოსახსნელად. კარჩაკეტილი ბედის გასახსნელად.

**მოქუფრული, ნისლიანი ამინდი**. მისნები თვლიან, რომ ამ დროს ზეცა უკმაყოფილოა ადამიანის საქციელით — არ არის სიყვარული მოყვასისა და ყველაფრისა, რაც გარშემო სუფევს. ამგვარ ამინდში ჩვენი წინაპრები კოცონებს ანთებდნენ ღმერთების გულის მოსაგებად. ქუფრი და ნისლი ძნელი გადასატანია, სუნთქვა ჭირს, სიცოცხლე ჩამკვდარია, არ ჩქეფს მზის ენერგია, ადამიანებს ყველაფერში ხელი ეცარებათ.

**წვიმა** ბუნების ცრემლებია. ცრემლი კი ტკბილიც არის და მწარეც. წვიმა ძლიერად მოქმედებს ასტრალურ სხეულზე. ამიტომ წვიმიან ამინდში სიფრთხილეა საჭირო.

***ტაინაია ვლასტ №13***

# ჩვენი დროის იანუსი...



საოცარი შემთხვევა მოხდა უგანდაში. ადგილობრივი არისტოკრატის ცოლმა ორსახიანი ჩვილი შვა — მეორე სახე კეფაზე ჰქონდა — პატარა, მოჭმუჭნილი, თხელი თმით დაფარული, ბრმა და მაიმუნის მსგავსი. მეცნიერებს არ გაჰკვირვებიათ ეს, რადგან უგანდაში მიღებულია ნათესავებს შორის ქორწინება. შეიძლება მახინჯი ბავშვი სისხლის აღრევის მსხვერპლი იყო.

მშობლებმა უარი თქვეს პატარა მონსტრზე და მასზე ზრუნვა ინგლისელმა ბიოლოგებმა იკისრეს, სახელიც კი დაარქვეს — პოლი. ბიჭი იზრდებოდა და თითქმის არაფრით განსხვავდებოდა თანატოლებისგან. ანომალიური გადახრები ორგანიზმში არ შეინიშნებოდა. ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა მეორე, „კეფისმიერი“ სახე, რომელიც თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. როცა პოლი ხარობდა, მეორე სახე ტიროდა და საზარლად გმინავდა. როცა ერთი ნაღვლიანი იყო, მეორე იცინოდა...

კეფის სახე ვერ ხედავდა, თუმცა მშვენივრად გრძნობდა ზურგიდან ადამიანის მოახლოებას, თანაც დიდი მანძილიდან. პოლს ყნოსვა დაკარგული ჰქონდა ბავშვობაში გადატანილი ავადმყოფობის გამო, სამაგიეროდ, „მახინჯს“ იდეალური ყნოსვა გააჩნდა.

სრულწლოვანებას რომ მიაღწია, პოლმა ერთ დიდ რესტორანში დაიწყო მუშაობა. რესტორანი მაშინვე პოპულარული გახდა, ყველას უნდოდა უჩვეულო ოფიციანტის ნახვა.

ექიმები პერიოდულად ამოწმებდნენ „იანუსს“ და მივიდნენ საინტერესო დასკვნამდე — თურმე ტვინის უკანა ლებნები და პატარა ტვინი უკანა სახის „განკარგულებაში“ იყო. ხანდახან ის აკონტროლებდა დანარჩენ ტვინს, განსაკუთრებით ფსიქიკური ზემოქმედების დროს. მაშინ კი თვინიერი ყმაწვილის ხასიათი რადიკალურად იცვლებოდა... ერთხელ რესტორნის ბარს სულ ლაწალუწი აუტეხა. რასაკვირველია, პოლს ყველაფერს აპატიებდნენ მისი „ორიგინალურობის“ გამო — ის ხომ რესტორანს დიდ შემოსავალს აძლევდა!

სამწუხაროდ, ახალგაზრდა კაცმა უბედური სიყვარულის გამო თავის მეორე „მეს“ პირში რევოლვერი ჩაუდო და ისროლა...

***ნლო №29***

## „საზალდო–სალაღო“ გვერდის პასუხები

I. მე-2 და მე-6 კატები

II. **რებუსი**
ვირის წიხლი მეტკინა, კი არ მეწყინაო;

III. მელია;

IV. პირველ რიგს — მე-3 სურათი,
მეორე რიგს — მე-6,
მესამე რიგს — მე-2.

V. 1) — დ; 2) — გ;
3) — გ; 4) — ა).



ასე მითხრა ბატონმა ვლადიმერ სერგეევმა, რომელიც დიდი ხანია რუსეთის მოქალაქეა, სულში თავს ქართველად გრძნობს, რადგან დედა ჰყავს ქართველი – მარიამ აბაკელია. ძალიან უყვარს თავისი ქართველი ნათესავები და ცდილობს, ორ წელიწადში ერთხელ მაინც მოახერხოს მათთან სტუმრობა.

# – ტყუილია, იური გაგარინი ცოცხალი არ არის, მხ მისი სული ვერ ისვენებს!



**სამწუხაროდ, იგი დაიღუპა... ამისი თვითმხილველი ბევრია. მისი სული ვერ ისვენებს და დროდადრო რეალურ სამყაროში ბრუნდება.**

— მე საქართველოში დავიბადე 1954 წელს. მაშინ ჩემი მშობლები გაშორებულები იყვნენ. დედას ეგონა, აღარსად წავიდოდით ზუგდიდიდან. ხომ იცით, იშვიათად მიჰყვება ქართველი ქალი რუსს ცოლად. ახლობლები საყვედურობდნენ: „რუსი ყველა ლოთია, სიცოცხლეს გაგიმწარებსო!..“ მამაჩემი ლოთი კი არა, მაღალი დონის ინჟინერი იყო, პროფესორია და ახლაც მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ პენსიაზეა. აგარაკი გვაქვს მოსკოვთან ახლოს, ყველაფერს ურჩევნია იქ, ეზოში ფუსფუსი, მაგრამ არ უშვებენ პენსიაზე, — კიდევ სჭირდები ჩვენს ინსტიტუტსო! მეც მამის მოწაფე ვარ, მალე სადოქტოროს დავიცავ...

ექვსი წელი ვცხოვრობდით მე და დედა ზუგდიდში. მამა თანახმა იყო, ჩვენთან ერთად ეცხოვრა ამ პატარა ქალაქში, რადგან მისთვის ცოლ-შვილზე ძვირფასი არავინ იყო. დედა მეორედ „გაიპარა“ მამასთან ერთად...

სკოლაში უკვე მოსკოვში შევედი. ორი უმცროსი და მყავს, ორივენი ექიმები არიან. მე მფრინავობა მინდოდა, მაგრამ ჯანმრთელობამ არ შემიწყო ხელი და რადგან ვერ შეველიე ბავშვობის ოცნებას, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საავიაციო და კოსმოსური ტექნოლოგიების სპეციალობაზე გავაგრძელე სწავლა.

პრაქტიკას საინტერესო და სტრატეგიულ ობიექტებზე გავდიოდით, მათ შორის ბაიკანურის კოსმოსურ ცენტრშიც... ღამის დარაჯი გვიყვებოდა ხოლმე — ზოგჯერ ნაბიჯების ხმა მაღვიძებს, თუმცა კი თვალით ვერავის ვხედავ, ზოგჯერ ნივთებიც გადაადგილებულია, თან უბრალო ჭანჭიკები კი არა, ზოგჯერ უზარმაზარი უროები და დანადგარებიც „დაეხეტებიან“, ყველაზე ხშირად კი ნათურები იწყებს უნებლიე ციმციმსო...

> იშვიათად მიჰყვება ქართველი ქალი რუსს ცოლად... მამაჩემი ლოთი კი არა, მაღალი დონის ინჟინერი იყო, ექვსი წელი ვცხოვრობდით მე და დედა ზუგდიდში. მამა თანახმა იყო, ჩვენთან ერთად ეცხოვრა ამ პატარა ქალაქში, რადგან მისთვის ცოლშვილზე ძვირფასი არავინ იყო. დედა მეორედ „გაიპარა“ მამასთან ერთად...

დარაჯი ცენტრის დაარსებიდან მუშაობდა იქ. მე 1973-74 წლებში გავიცანი. საოცრად მშვიდი კაცი გახლდათ სტეპან ვასილიჩი. ერთხელ ისეთი უცნაური რამ მოხდა, უმალ დავიჯერეთ, რომ ეს სასწაული იყო. დილით მოხუცი გაფითრებული დაგვხვდა: „წუხელ, აი, იმ აპარატში შუქი აინთო (თვითმფრინავის საცდელი აპარატის მოდელი იყო). მივედი გამოსართავად. და როგორ გგონიათ, ვინ იჯდა მართვის პულტთან?! თავად იური გაგარინი. გამიღიმა და მითხრა: „გააფრთხილე ბიჭები, არ აფრინდნენ ამ მოდელით, სუსტი ძრავა აქვს და ვერ გაუძლებს დატვირთვასო!.. პირჯვარი გადავიწერე — ხომ ვიცოდი, გაგარინი მკვდარი იყო, ძალიან შემეშინდა: გაქრი, სატანავ-მეთქი, — შევყვირე. შუქი თავისით ჩაქრა და „კაციც“ გაქრა...

მაშინ ასეთ რამეებზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა: საბრალო მოხუცს ლაპარაკი აუკრძალეს და სამუშაოდან გაშვებით დაემუქრნენ. ხილვის გამხელის უფლება არც მას შემდეგ მისცეს, რაც ის აპარატი გამოცდის დროს მართლა ჩამოვარდა და ორი ბიჭის სიცოცხლე იმსხვერპლა: სტეპან ვასილიჩი საკუთარი ნებით წავიდა სამსახურიდან, ისე დაფრთხა, კოსმოსური ცენტრისკენ გამოხედვაც არ უნდოდა. ბიჭებს ცნობისმოყვარეობა გვკლავდა, მაგრამ მომხდარზე ხმამაღალ ლაპარაკს ვერ ვბედავდით მას შემდეგაც კი, რაც საწვრთნელი ვარჯიშების დროს ერთ-ერთმა ეკიპაჟმა ჰაერში უცხო თვითმფრინავი შენიშნა, რომლის შესახებაც დედამიწაზე შეტყობინება გამოგზავნეს, მაგრამ თვითმფრინავი აეროპორტის რადარებმა ვერ დააფიქსირეს. ბიჭები ირწმუნებოდნენ, წამით თვითმფრინავი გაგვისწორდა, თითქმის გვერდით მოგვყვა და მისი ილუმინატორიდან... იური გაგარინი გვიღიმოდა, ხელიც დაგვიქნიაო!..

მერე ერთმა ცნობილმა კოსმონავტმა უარი თქვა კოსმოსში გაფრენაზე — მან აშკარად დაინახა კოსმოსური ხომალდის ახლოს მოძრავი ადამიანის ფიგურა, ახლოს მისულმა იური გაგარინი შეიცნო. შიშით სისხლი გაეყინა, პირჯვარი გადაიწერა და მოჩვენებაც გაქრა!..

პრესაში ახლაც იბეჭდება ხოლმე მასალები, ვითომდა იური გაგარინი ცოცხალია და ხან ამერიაკში ნახულობენ, ხანაც გერმანიაში!..

სამწუხაროდ, იგი დაიღუპა და ამისი თვითმხილველი ბევრია. ეს — მისი სული ვერ ისვენებს და უფლის ნებით, სასჯელად თუ რაღაცის ჯილდოდ, დროდადრო რეალურ სამყაროში ბრუნდება.

ასეთი ჭორიც დადიოდა: ვითომდა კოსმოსური მოგზაურობიდან დაბრუნებულ გაგარინს მეგობრებისთვის უთქვამს: იქ, ზემოთ ღმერთი ვნახე... ვერ გეტყვით, რა მითხრა, მაგრამ ვიცი, არ გვაპატიებს ადამიანებს ახალი ბაბილონის გოდოლის მშენებლობის მცდელობას, კოსმოსში არ აგვიშვებსო!..

გაგარინი დაიღუპა.

სხვა დროსაც ბევრი უცნაურობა ახლდა კოსმოსში ყოველ გაფრენას, მაგრამ რა ხდებოდა იქ და რატომ იყო აკრძალული კოსმონავტებისგან სრული ინფორმაციის მოპოვება, ვერაფერს გეტყვით, ფაქტია, რომ კოსმოსი დღემდე შეუსწავლელია და რაღაც ძალა არ უშვებს ადამიანებს „ზღვარს მიღმა“... ვნახოთ, რა იქნება და რა მოხდება მომავალში, იქნებ უფალმა გაგვიხსნას კოსმოსის კარი და შეგვიშვას მის უსასრულო სივრცეებში.

**— მორწმუნე ხართ?**

— რა თქმა უნდა. ზენაარის არსებობაში წუთითაც არ შემპარვია ეჭვი. არა მხოლოდ მე, ყველა კოსმონავტი უსაზღვროდ მორწმუნე იყო, რადგან მათ ბევრად მეტი ნახეს და იცოდნენ... რა — ვერ გეტყვით, მათ სიკვდილის შიშითაც ვერ ათქმევინებდით რამეს, იტყოდნენ და... იური გაგარინის მსგავსად „გაქრებოდნენ“...

**— იური გაგარინის სიკვდილი არ იყო ბუნებრივი?**

— ოო, ეგ უკვე არაა ჩემი გასარჩევი, არც თქვენ გირჩევთ ზედმეტ ცნობისმოყვარეობას...

ვლადიმერ სერგეევს მისი ბიძაშვილის ოჯახში შევხვდი, სადაც ქართული სუფრა იყო გაშლილი და თამადამ ულტიმატუმი წამომიყენა: ან სტუმარი დაგვანებე და ან სუფრა დატოვეო!...

სტუმარიც დავუთმე მათ და ლხინიდანაც წამოვედი. არა, პროტესტის ნიშნად კი არა — იური გაგარინის ფენომენსა და კოსმოსზე ფიქრებმა აღარ დამატიეს ოთხ კედელში...

***ინგა ჯაყელი***

# ჩვენ გვწერენ — ახალი „ათენა“

გახსოვთ, ალბათ, როგორ გაჩნდა სიბრძნის ბერძნული ღვთაება ათენა.

დიადმა ზევსმა გადაყლაპა ათენაზე ფეხმძიმე დედამისი. ცოტა ხნის შემდეგ საშინლად ასტკივდა თავი ღმერთების მეუფეს და მჭედლობის ღმერთს, ჰეფესტოსს, უბრძანა, — თავი გამიპე, ვნახოთ, შიგ რა არისო.

ჰეფესტოსი მამის ბრძანებას როგორ გადაუხვევდა. ჩაარტყა თავში ურო და იქიდან გადმოვიდა მზესავით ლამაზი, ფარითა და მახვილით აღჭურვილი ათენა-პალადა...

ახლა გიამბობთ ერთ უცნაურ ამბავს:

**ნატა ჩემს თვალწინ გაიზარდა. ჭკვიანი, ლამაზი ქალიშვილი დადგა. თითქმის უნაკლოს, დაბადებიდან თავზე მოზრდილი, დაახლოებით 10 სმ-იანი კოპი აჯდა. ჯერ ჰემატომა ეგონათ, მერე, რომ არ გაიწოვა, მშობლებმა — ბარემ ამოვკვეთოთო, მაგრამ ექიმებმა უარი თქვეს — ცუდ ადგილას არის და ოპერაცია სარისკოაო.**

**ნატას არ აწუხებდა ეს კოპი, ხანდახან ცივ ამინდში თუ წამოსტკივდებოდა. მერე გოგონამ გერმანიაში განაგრძო სწავლა. ერთ დღეს თურმე ისე ასტკივდა კოპი, რომ სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს. ექიმების გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა — ნატას თავში თავისი ტყუპისცალი, 12 სმ სიგრძის და ჰყავდა!. საოცარი ის იყო, რომ ციცქნა გოგონას თურმე, პაწაწინა გული უცემდა.**

***ნინო მჭედლიძე***

# სატრანსფერო კრიზისი ქართველებსაც გადასწვდა



მალე განახლდება ევროპის ქვეყნების ეროვნული პირველობები და ქართველი გულშემატკივრის მზერა ტრადიციულად ევროპისკენ იქნება მიპყრობილი — ვინ, სად და როგორ გამოიჩენს თავს, ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ქართული ფეხბურთის საერთაშორისო იმიჯი.

იმიჯით კი თავს ნამდვილად ვერ მოვ-იწონებთ, რადგან ლეგიონერების უმრავლესობა ისეთ კლუბებში არ თამაშობს, რომ ვიამაყოთ. ერთადერთი, „ფრაიბურგში“ ქართველთა სიმრავლე გვეამაყებოდა და ეს გუნდიც ჩამოქვეითდა მეორე ბუნდესლიგაში.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე ამ ფაქტმა მეტად დაამწუხრა, მაგრამ მისი უმთავრესი საფიქრალი მაინც ლევან კობიაშვილის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობაა.

ეს არც არის რთული ასახსნელი — ქართველ ფეხბურთელს ერთბაშად იწვევდნენ, „ინტერი“, „ბაიერნი“, „ბაიერი“ და „კაიზერსლაუტერნი“, მაგრამ მაინც „ფრაიბურგში“ დატოვეს. სწორედ რომ ასეა — იმ დროს, როდესაც ევროპის სატრანსფერო ბაზარზე დიდი არეულობა დაიწყო და მოთამაშეთა ფასი მნიშვნელოვნად დაეცა, კობიაშვილის საფასურად გერმანელებმა 3,5 მილიონი მარკა მოითხოვეს. ამ დროს ცნობილია, რომ დღეისათვის ევროპაში თავისუფალი აგენტების არნახული რაოდენობა — 800 ფეხბურთელია და დასახელებული არც ისე მცირე თანხის გადახდასაც არავინ რისკავს.

მომხდარმა კობიაშვილი მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესში ჩააგდო და ფრაიბურგში ჩასული ჩივაძე მის დამშვიდებას შეუდგა. მოახერხებს თუ არა ლევანი ოფიციალური სანაკრებო შეხვედრებისთვის შოკიდან გამოსვლას, ძნელი სათქმელია.

საერთოდ, ჩივაძე უამრავი პრობლემის წინაშე დადგა: დღეისათვის ნაკრების ორივე ძირითადი გამთამაშებელი, გიორგი ქინქლაძეცა და გოჩა ჯამარაულიც უკლუბოდ არიან.

გიორგი ქინქლაძე არ აპირებს „დერბისთან“ ერთად ინგლისის პირველ დივიზიონში თამაშს, მაგრამ მასაც, კობიაშვილის მსგავსად, გუნდთან კონტრაქტის მოქმედების ვადა არ ამოუწურავს. თანაც, სიმართლე ვთქვათ — ბოლო ორი წელია გიორგი ვერ აჩვენებს ისეთ ფეხბურთს, პრემიერლიგის გუნდების ინტერესი რომ გამოეწვია. წარსულის დამსახურებებს ქინქლაძეს კი არა, აგერ, რივალდოსაც არ უხსენებს „ბარსელონა“.

გოჩა ჯამარაულთან დაკავშირებით სხვა ვითარებაა: „ციურიხთან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ გოჩა მცირე ხნით ისევ შვეიცარიაში თამაშობდა, ზაფხულში კი ახალი გუნდის ძიებას შეუდგა. მსურველი ნამდვილად ბევრი გამოუჩნდა — „დანდი“, „ფრაიბურგი“, მოსკოვის „დინამო“, „აინტრახტი“, „სენტ-გალენი“ და „ალანია“.

უცნაური ისაა, რომ ქართველი ნახევარმცველისთვის ყველა მათგანის წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა. არადა, მოსკოვის „დინამოში“ ვიქტორ პროკოპენკოს დანიშვნის შემდეგ გუნდს ამბიცია მოეძალა და სახელოვანი წარსულის დაბრუნებას ცდილობს. გოჩასთვის, რომელიც მალე დაასრულებს კარიერას, ახლა უკვე მთავარია, როგორ აიწყობს ცხოვრებას, ანუ რომელ გუნდში უკეთეს პირობებს შესთავაზებენ და საბოლოო არჩევანს ალბათ ამბიციურ კლუბზე გააკეთებს.

სამწუხაროდ, გოჩას მოთხოვნები ვერც ერთმა კლუბმა ვერ დააკმაყოფილა:

— კარგი გუნდია მოსკოვის „დინამო“, მაგრამ რუსეთში თამაში დიდად არ მხიბლავს. ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო უარისა. თანაც მოსკოველებმა თავდაპირველად შეთანხმებული პირობების გადახედვა რომ მოინდომეს, მივხვდი, მათთან სერიოზულ დალაპარაკებას აზრი არც ჰქონდა. მესამე მიზეზი კი მხოლოდ ექვსთვიანი კონტრაქტის შეთავაზება იყო. მე სამწლიანი კონტრაქტი მსურდა და არა ექვსი თვის შემდეგ კიდევ ახალი კლუბის ძიება.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“ მოწვევას, ჯამარაული ამაზე სერიოზულად არც ფიქრობს, ისევე, როგორც ვლადიკავკაზის „ალანიაზე“. არადა, დრო მიდის, გოჩა კი ცდება და ძნელი სათქმელია, რას მოიფიქრებს ჩივაძე ორი გამთამაშებლის არყოფნაში. ასეა თუ ისე, მათზე უკეთესი ფლეი-მეიკერი დღეს საქართველოს არ ჰყავს.

უგუნდოდ დარჩა ჯამარაულის ყოფილი თანაგუნდელი მიხეილ ყაველაშვილიც. რატომღაც მისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა „ციურიხში“ დარჩენა. ჩვენი ინფორმაციით, ყაველაშვილს ახლა თურქეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი კლუბი იწვევს.

ტრავმამ გადაუწურა ინგლისში გადასვლის იმედი „სკონტოს“ კაპიტან ალეკო რეხვიაშვილსაც. გადასვლას ვინ ჩივის ან 21 აგვისტოს თურქეთის ნაკრებთან მის უთამაშებლობას, შესაძლოა, ალეკო შვეიცარიასთან უმნიშვნელოვანესი შეხვედრისთვისაც ვერ მომჯობინდეს, ეს მატჩი 7 ან 8 სექტემბერს ბაზელში უნდა გაიმართოს (თარიღზე ჯერაც დავა მიმდინარეობს).

ჩივაძე უკმაყოფილო დარჩა „ალანიას“ ქართველი თავდამსხმელების თამაშითაც. ნაკრების მწვრთნელი საგანგებოდ გაემართა ვლადიკავკაზში და მიუხედავად დემეტრაძისა და აშვეთიას მიერ „ალანიაში“ გამოვლენილი შედეგიანობისა და „ზენიტთან“ სწორედ მათი დამსახურებით მასპინძელთა გამარჯვებისა, ბატონი ალექსანდრე აცხადებს: „ასეთი მომზადებით ნაკრებში მათი მაღალ დონეზე თამაში ძნელი წარმოსადგენია!“.

ტრავმირებულია იაშვილი, ჯანაშიამ წონაში დაიკლო, მაგრამ საუკეთესო ფორმისგან ჯერაც შორს არის.

ორიოდე დღის წინ კახა კალაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ძმის გათავისუფლებამდე არ მოირგებს შინდისფერთა მაისურს.

ჩივაძეს ბოლო ერთ კვირაში მხოლოდ ვალერი აბრამიძე მოჰგვრიდა შვებას — „ტორპედოსა“ და ნაკრების მცველმა მოსკოვის „სპარტაკთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. რომანცევს იმედი აქვს, რომ ფიზიკურად ძლიერი და არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე ქართველი გაუმართლებს და ერთი წლის წინ ნათქვამი, — ქართველებს ახლოსაც არ გავიკარებო, — აღარც ახსოვს.

და მაინც, ესეც ვერ შეცვლის საერთო ვითარებას. ნაკრების ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეთა უგუნდობა, ფორმის დაკარგვა და ზოგიერთის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ამ ციკლშიც ქვეყნის ნაკრების სტარტი წარუმატებელი იქნება.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ!

# რატომ ვერ გახდა ნემსაძე ევროპის ჩემპიონი?



*გია ნემსაძეს ფეხბურთის სპეციალისტები უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. 17 წლის ბიჭი 1988 წელს იმდროინდელ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს და საკმაოდ იოლად გაუშინაურდა გუნდს.*

*სამი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის იუნიორთა და ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახლდათ. პირველი ქართველია, ვინც იტალიასა და შოტლანდიაში ითამაშა. პრემიერ ლიგაში მისმა ჩინებულმა თამაშმა „დანდის“ ხელმძღვანელებს ქართველებისადმი გაცხოველებული ინტერესი აღუძრა: ზურაბ ხიზანიშვილისა და თემურ ქეცბაიას შოტლანდიაში გადასვლა სწორედ გიას წყალობით მოხდა.*

*საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე მოხვედრა აქვს დაგეგმილი:*

— თუკი ნაკრების ყველა წევრი ჯანმრთელად იქნება, შეიძლება ირლანდიასა და რუსეთთან ბრძოლა. ჩივაძის მოსვლით გუნდი დალაგდა, დაპირისპირებები და უსიამოვნებები წარსულს ჩაბარდა. გუნდი ნორმალურად ათამაშდა და სახეც დაიბრუნა. სამწუხაროდ, წლების მანძილზე მიზეზთა გამო გუნდი თავის შესაძლებლობებს სრულად ვერ ავლენდა.

ახლა ზოგს სჯერა და ზოგსაც უჭირს დაჯერება, მე არც მეეჭვება — თუკი სლოვენიამ მოახერხა დიდი ტურნირების ფინალში გასვლა, ჩვენც არ უნდა გაგვიჭირდეს იგივე. ხომ ნახეთ, ძირითადი შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელის გარეშე სამხრეთ აფრიკას 4:1 მოვუგეთ. ასეთი შედეგი შემთხვევითი არ გახლავთ.

ახლა საუკეთესო შანსი მოგვეცა და ხელიდან არ უნდა გავუშვათ. რომელი ფეხბურთელი არ ფიქრობს წარმატებაზე? იქნებ ახლა შევძლოთ აქამდე შეუძლებელი. წარუმატებლობის კონკრეტული მიზეზების დასახელებას კი მოვერიდები.

— **რატომ?**

— საქართველო პატარა ქვეყანაა, ჩემი ნათქვამით ვიღაცას გულს ვატკენ და რად მინდა? ისე, მიზეზი უამრავია და რაღაცრაღაცებში საკუთარ თავსაც ვადანაშაულებ.

— **თავს რაღაში ადანაშაულებ?**

— როდესაც რუსეთისგან გამოყოფის შემდეგ ოთხი წლის მანძილზე იზოლირებულები ვიყავით, იმ დროს უცხოეთში გასვლის და ნაკრების ჩამოყალიბების იმედი აღარც მქონდა. საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობის გარეშე კი ფეხბურთელის დაოსტატება შეუძლებელია. ამის გამო საქმეს გულს ველარ ვუდებდი, შეიძლება ითქვას, გული ავიცრუე.

ძალზე გვიან მიგვიღეს ფიფაში და ეს ოთხი წელი დიდი დრო აღმოჩნდა საიმისოდ, რათა დაკარგული დამებრუნებინა. ძლივს მოვახერხე ძველებურ „ტალღაზე გადართვა“, რადგან იზოლაციის წლებმა მეც და ჩემი თაობის ბევრ ფეხბურთელს დაღი დაგვასვა. თავიდანვე ევროპელებთან თამაშის საშუალება რომ გვქონოდა, დღეს ქართული ფეხბურთიც და ნაკრებიც სხვა დონეზე იქნებოდა.

— **როგორც მახსოვს, დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ევროპისა და მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გამოსვლის შესაძლებლობა წაგართვა.**

— ასე იყო. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ჯგუფში ჰოლანდიის, ნორვეგიისა და კვიპროსის ნაკრებები დაამარცხა. მე ყველა შეხვედრა ჩავატარე, მაგრამ მაშინ გამოცხადდა დამოუკიდებლობა და გუნდს ფინალურ ეტაპზე ვეღარ დავეხმარე. არადა, ის გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა. ასე დავკარგე ევროპის ჩემპიონის ტიტული, მაგრამ იმ დროს საქართველოს იმ ტიტულზე მეტად, ჩემი აქ ყოფნა სჭირდებოდა. მე ჯერ ქართველი ვარ და შემდეგ ფეხბურთელი — ეს ოჯახში ბავშვობიდანვე ჩამინერგეს.

— **შოტლანდიურ ამბავსაც გკითხავ. ერთხანს სერიოზული მოლაპარაკება წამოიწყო „სელტიკის“ მენეჯერმა შენი გადაბირების სურვილით, ტრანსფერი საბოლოოდ ჩაიშალა?**

— რამდენიმე დღის წინ „დანდის“ თავკაცებს ამ საკითხზე ვესაუბრე. გული მწყდებოდა, რომ ასეთ სერიოზულ გუნდში გადასვლის შანსი ჩამიშალეს. იცით, ალბათ, რომ „დანდიმ“ ჩემს სანაცვლოდ დიდი თანხა მოითხოვა. მოულოდნელად გავიგე, რომ „სელტიკი“ ჩემი გადაყვანით ისევ დაინტერესებულია და ეს ძალიან მახარებს. ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე დიდი ხანია ვოცნებობ და იქნებ ახლა მაინც მომეცეს საშუალება. თუ ეს ვერ მოხერხდება, „დანდიში“ თამაშიც არ არის მიუღებელი.

— **ვიცი, რომ „დანდი“ ქეცბაიას ფულს ვერ უხდიდა. შენი საქმე როგორღა იყო?**

— საქმე ისაა, რომ თემურს მისთვის შესაფერის საკონტრაქტო პირობებს ვერ სთავაზობდნენ, მე კი ხელშეკრულება ორი წლის წინ გავიფორმე. მაშინ „დანდის“ არ უჭირდა და ბიუჯეტში ჩემი ხელფას-პრემიებიც გათვალისწინებული იყო. თემური კი ძვირად ღირებული ფეხბურთელია. გული დამწყვიტა მისმა წასვლამ. ის არა მარტო „დანდისთვის“, ნაკრებისთვისაც უდიდესი ძალაა.

— **ნაკრების წევრებს ფინანსური პრეტენზიები თუ აქვთ?**

— მერწმუნეთ, ფულით არ ვზომავთ ნაკრებში თამაშს. ასე რომ ყოფილიყო, ქეცბაია და ცხადაძე რუსეთის ნაკრებში ითამაშებდნენ. ბევრჯერ, ძალიან გამჭირვებია, მაგრამ მოედანზე გასულს ყველაფერი მავიწყდებოდა. ასეა ახლაც, პრობლემები მოედანს მიღმა რჩება.

— **აბა რითი განსხვავდება მდიდარი და ღარიბი ქვეყნის ფეხბურთელი?**

— მოედანზე მიტანილი ცოდნით, გამოცდილებითა და სავარჯიშო პირობებით. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩვენთან ომი რომ არ დაწყებულიყო, ნაკრები უკეთესი და უფრო მდიდარიც გვეყოლებოდა. არც ცვეიბა, თეთრაძე და თედეევი ითამაშებდნენ რუსეთის ნაკრებში. ისინი კი მართლაც დიდ ძალას წარმოადგენდნენ.

**ლაშა დუმბაძე**

# „ტორპედოს“ ლიგის კარი ნაადრევად მიუხურეს

ქუთაისის „ტორპედომ“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოღვაწეობა დაამთავრა, რაც ოფიციალურად 7 აგვისტოს გაფორმდება ჩეხურ „სპარტასთან“ საპასუხო შეხვედრის გამართვის შემდეგ. საქართველოს ჩემპიონმა პრაღაში სამი უპასუხო გოლი გაუშვა და მესამე ეტაპზე გასვლის ისეთი შანსი დაიტოვა, როგორსაც თეორიულიც კი ძნელად ეთქმის. გულშემატკივარს ამ მატჩის ყურების საშუალება ჰქონდა. „ტორპედოს“ თამაშის შემხედვარე (თუ ამას თამაში ჰქვია), ისიც საკვირველია, წინა ეტაპზე ფარერების ჩემპიონს როგორ აჯობეს ქუთაისელებმა. კაცმა რომ თქვას, ახალი და მოულოდნელი არაფერი მომხდარა, როგორც წესი, საქართველოს ჩემპიონი, „ტორპედო“ იქნება თუ „დინამო“, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპს ვერ „გადაახტა“, მეორე ეტაპიდან ჩემპიონთა ლიგამდე კი იმხელა ნაბიჯია, „ტორპედოსნაირები“ რომ კიდევ კარგახანს ვერ გადადგამენ.

## ჩემპიონთა ლიგა

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები. 31 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპარტა | (ჩეხეთი) | 3:0 | ტორპედო | (საქართველო) |
| ჟილინა | (სლოვაკეთი) | 1:1 | ბაზელი | (შვეიცარია) |
| სკონტო | (ლატვია) | 0:0 | ლევსკი | (ბულგარეთი) |
| დინამო | (უკრაინა) | 4:0 | პიუნიკი | (სომხეთი) |
| მაკაბი | (ისრაელი) | 4:0 | ბელშინა | (ბელარუსი) |
| ლილესტრიომი | (ნორვეგია) | 0:1 | ჟელეზნიჩარი | (ბოსნია) |
| ჰამარბი | (შვედეთი) | 1:1 | პარტიზანი | (იუგოსლავია) |
| შერიფი | (მოლდოვა) | 1:4 | გრაცერი | (ავსტრია) |
| ბრიუგე | (ბელგია) | 3:1 | დინამო | (რუმინეთი) |
| ვარდარი | (მაკედონია) | 1:3 | ლეგია | (პოლონეთი) |
| ბრონდბიუ | (დანია) | 1:0 | დინამო | (ალბანეთი) |
| მარიბორი | (სლოვენია) | 2:1 | აპოელი | (კვიპროსი) |
| ზალაეგერსეგი | (უნგრეთი) | 1:0 | ზაგრები | (ხორვატია) |
| ბოავიშტა | (პორტუგალია) | 4:0 | ჰიბერნიანსი | (მალტა) |

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ეh3-b3!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს **ორ** სვლაში.



. მოზაიკა . მოზაიკა . მოზაიკა .

## სერ სუშე ლავრენტი ბერიაც იყო



დიდ ბრიტანეთში დედოფალ ელისაბედ მეორის ტახტზე ასვლის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, ინგლისელ მსახიობს, დევიდ სუშეს რაინდის წოდება მიანიჭეს და ახლა მას „სერ"-ს უწოდებენ.

დევიდ სუშემ სახელი აგათა ქრისტის რომანების ეკრანიზაციაში გამომძიებელ ერკიულ პუაროს როლის შესრულებით გაითქვა.

იგი უფრო თეატრის მსახიობია, შექსპირის თითქმის მთელი რეპერტუარი აქვს ნათამაშები. ერთ-ერთ ტელეფილმში კი თვით შექსპირის როლი განასახიერა. სხვათა შორის, კომედიაში, „წითელი ბერი", ლავრენტი ბერიაც კი ითამაშა და 1983 წელს ამ როლისთვის მარსელის ფესტივალზე პირველი პრემიაც დაიმსახურა.

პუაროს როლის განსახიერებაზე როცა დათანხმდა, თითქმის 6 თვე ბიბლიოთეკაში ათენ-ალამებდა — ბელგიის ისტორიას სწავლობდა. მერე პედაგოგი დაიქირავა, რათა სასურველი ბელგიური აქცენტით ელაპარაკა ინგლისურად.

მსახიობი თანაბარი ოსტატობით თამაშობს სხვადასხვა ხასიათის როლებს. მაგალითად, შარშან, დეკემბერში, ბროდვეიზე მიუზიკლ „ამადეუსში" სალიერი ითამაშა. სერ დევიდ სუშე საოცრად მორწმუნე და თავმდაბალი კაცია, ერთგული მეუღლე, რაც მისი პროფესიის ხალხისთვის, ამ ბოლო დროს, მაინც დიდი იშვიათობა გახლავთ.

**ნიუ ზუიქი**

## „იშვიათი" დაავადება



ოსკაროსან ჰოლი ბერის მეუღლე, მუსიკოსი ერიკ ბენეტი ამ ბოლო დროს მეტისმეტი სექსუალურობისგან განკურნებით არის დაკავებული. ამბობენ, ჰოლი დაემუქრა ქმარს, რომ აუცილებლად გაშორდება, თუ ეს უკანასკნელი „ნორმაში" არ მოიყვანს თავის „იმას". ჰოლიმ არც კი მოუსმინა ქმრის თავის მართლებას, რომ ბევრი ცნობილი მუსიკოსი: სტივენ ტაილერი, როდ სტიუარტი, მიკ ჯაგერი იმავე „სენით" იყვნენ შეპყრობილი. ჰოლიმ ქმარს აპატია წინანდელი ღალატი (და არა ერთი), მაგრამ აღარ აპირებს ახლებთან შეგუებას, ამიტომაც ერიკმა სასწრაფოდ კლინიკას მიაშურა, სადაც მიხედავენ მის „იშვიათ" დაავადებას.

**7 დღე №30**




## ნატალი პორტმანი: — ყველაზე ცნობილ ქალიშვილთა სიაში



ახლახან მას 21 წელი შეუსრულდა, ე.ი. ვარსკვლავი სრულწლოვანია და ამერიკის კანონების თანახმად, შეუძლია ალკოჰოლური სასმელის შეკვეთა ბარში. მაგრამ იგი არ სვამს და ჯერჯერობით სექსზეც უარს ამბობს. მას ნატალი პორტმანი ჰქვია. უფრო სწორად, მას სურს ასე მიმართონ, ცხონებული ბებიის პატივსაცემად. ქალიშვილის ნამდვილი სახელი არავინ იცის. ჰარვარდის უნივერსიტეტის რექტორატმაც კი, სადაც გოგონა სწავლობდა. დედმამა ხმას არ იღებს, ისინიც თავს ყველას აცნობენ პორტმანებად. ნატალი ამბობს, რომ მეტი საიდუმლო არ აქვს.

გოგონა იერუსალიმში დაიბადა 1982 წელს, 9 ივლისს. გინეკოლოგისა და მსახიობის ერთადერთი ქალიშვილი გახლავთ. 4 წლის ასაკიდან დადის საბალეტო სტუდიაში და ფიგურული სრიალის სექციაში. 6 წლის ასაკიდან ყოველდღე, საუზმობისას, იღებს მოკლე პოლიტინფორმაციას. საღამოობით მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს კითხულობს. მისი ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტებია ჭადრაკი — ლოგიკის განსავითარებლად, უცხო ენები — თავისუფალი ურთიერთობისთვის. მშობლიური ივრითის გარდა, იცის ინგლისური, ფრანგული და იაპონური. გოგონა კი არა, მეცნიერია. როცა ოჯახი ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად, მამა ძილის წინ ყოველ საღამოს უყვებოდა შემთხვევებს თავისი მდიდარი სამედიცინო პრაქტიკიდან. რა გამოვიდა აქედან? რა და — გოგონა — სრულყოფილება, ჰარვარდის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი, მწვანეების საზოგადოების აქტიური წევრი, ჩამოყალიბებული ვეგეტარიანელი, იასირ არაფატის მოწინააღმდეგე. ბრიტნი სპირსთან და ლილი სობესკისთან ერთად ის შედის ამერიკის ყველაზე ცნობილ ქალიშვილთა სიაში. დახვეწილი მანერები, მკაცრი ელეგანტური კოსტიუმები, არავითარი თუთუნი და ალკოჰოლი — საკვირველია, რა ესაქმება ასეთ ქალბატონს შოუბიზნესის ბინძურ სამყაროსთან?

სიმართლე თუ გსურთ, იგი არც ფიქრობს იქ დიდხანს გაჩერებას. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფსიქოლოგობას აპირებს. საქმე ისაა, რომ „ლეონის" შემდეგ მას არ ჰქონია არც ერთი ხეირიანი როლი. თუმცა, ბევრი შეთავაზება იყო, მათ შორის ჯულიეტას როლი ფილმში „რომეო და ჯულიეტა", მაგრამ, ნატალიმ უარი თქვა ლეონარდო დი კაპრიოსთან გადაღებაზე, ვინაიდან სცენარი ამორალური მოეჩვენა: „არ მინდა მონაწილეობა ახალგაზრდების გარყვნის საქმეში"...

**პარი მატჩი**

## დედის გვარს ჰკიდეს ასო „ს" და მივიღეთ ჰოლივუდელი ბანდერასი



მალაგაში ყველას პირზე ბანდერასის სახელი აკერია. აქ ის ნამდვილი გმირია.

მამამისი, ხოსე დომინგეს-უფროსი, საიდუმლო პოლიციის აგენტი იყო. ერთხელ აგენტ დომინგესს ხვდა პატივი, ყოფილიყო მცველი თვით ევიტა პერონისა, რომელიც ესპანეთს ეწვია... და რას იფიქრებდა, რომ წლების შემდეგ მისი ვაჟი ეკრანზე ევიტას საყვარელს განასახიერებდა.

ხოსე ანტონიოს დედის, ანა ბანდერას წინაპრები კეთილშობილ არაბულ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. მამა შვილების აღზრდაში არ ერეოდა და ოჯახში ყველაფერს დედა განაგებდა, რომელიც მორწმუნე კათოლიკე იყო.

ბავშვობაში ხოსე ანტონიო დიდი სილამაზით არ გამოირჩეოდა, არც მაცდუნებელი მზერა ჰქონია, დიდ ინტელექტსაც არ ასხივებდა. თავიდანვე თეატრისკენ გაურბოდა თვალი.

17 წლისა ჩაირიცხა ადგილობრივ თეატრალურ დასში. მისი პირველი მაყურებლები პოლიციელები და მაწანწალები იყვნენ.

20 წლის ანტონიო მადრიდში გადაბარგდა. ჯიბეში 120 დოლარი ედო, გულში დამოუკიდებლობის სურვილი ენთო, თვალებში კი ეშმაკუნები უხტოდნენ.

ოფიციანტობის, ბარმენობის და შვეიცარობის შემდეგ ესპანეთის ეროვნული თეატრის დასის მსახიობი გახდა. წელიწადიც არ იყო გასული, მისმა პირველმა როლმა კინაღამ გადაიყოლა დედამისი. ვიღაცას დაურეკავს — შენი შვილი დედიშობილა ვნახე სცენაზეო. დონა ანა წავიდა მადრიდში, ეწვია თეატრს. ნახა სპექტაკლი და მას შემდეგ აღარც მიბრუნებულა იქ. ანტონიოს პირველი როლი მხოლოდ სულის გაშიშვლებას კი არა, ფიზიკურ სიშიშვლესაც მოითხოვდა. არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ხოსეს კარიერა, კინორეჟისორებს რომ არ მიექციათ ყურადღება.

კინოში დებიუტიც სკანდალური გამოდგა, რადგან მისი გმირი მოხუც ქალს აცდუნებდა. ესპანურ კინოში პირველად, გათამაშდა ეროტიკული სცენა 60 წლის ქალსა და ყმაწვილ კაცს შორის. და ეს კათოლიკურ ესპანეთში! ეს რომ დონა ანას ენახა, გულიც გაუსკდებოდა, მაგრამ კიდევ კარგი, ფილმი ვიდეოზე დარჩა.

პედრო ალმოდოვარმა ანტონიოს „ესპანური კინოს ახალი საოცრება" უწოდა და უთხრა, — შენი ტორეადორული გვარით შორს ვერ გაფრინდებიო. ამიტომ დედის გვარს მიუმატა დაბოლოება „ს". ასე მოევლინა მსოფლიო კინოს ანტონიო ბანდერა-ს-ი.

ერთ-ერთ ფილმში პედრომ ანტონიოს სთხოვა, მამაკაცისთვის ეკოცნა ტუჩებში. ანტონიომ ესპანური არაყი გადაკრა და მთელი ჯგუფის მხარდაჭერით ეს მოახერხა. ამ ფილმმა კვლავ აახმაურა ესპანური საზოგადოება და ჯერ კიდევ ადრე აგორებული ჭორი ანტონიოს „ცისფერობის" შესახებ, სულ გააბუქა. რამდენ ქალთანაც არ უნდა ენებივრა, გარშემო ყველა მის არატრადიციულ ორიენტაციაზე ლაპარაკობდა. ბანდერასს უკვირდა: — თუ მკვლელს ვთამაშობ, არავინ ამბობს, რომ მკვლელი ვარ, საკმარისია გეი ვითამაშო, მაშინვე ყველა ჩემი ორიენტაციით ინტერესდებაო.

ის უამრავ ქალს ხვდებოდა. მხოლოდ ერთმა, დამწყებმა მსახიობმა ანა ლესამ მოახერხა მისი მოხიბვლა.

ფილმ „სურვილის კანონის" ნიუ-იორკულ ჩვენებაზე ბანდერასი ვარსკვლავთა წრეში მოხვდა და აღმოაჩინა, რომ მათი თანასწორი იყო.

ჰოლივუდის ფილმში „ფილადელფია", ის კვლავ გეის თამაშობდა, ტომ ჰენქსის გმირის საყვარელს. შემდეგ იყო ვამპირის როლი ფილმში „ინტერვიუ ვამპირთან". გადაღებებს შორის, შესვენებებზე ის, ბრედ პიტი და ტომ კრუზი ტბის გარშემო ძვირფასი „ფერარებით" დაგრიალებდნენ — ტომს თავისი ჰქონდა, ბრედს საყვარელმა აჩუქა, ანტონიოს კი მდიდარმა ესპანელმა ძმაკაცმა ათხოვა. ბანდერასს უამრავი მეგობარი გაუჩნდა. ის ყველგან სასურველი სტუმარი იყო.

ანა ლესა არ შორდებოდა ქმარს ანტონიოს ძალისხმევის მიუხედავად, მას არავინ სთავაზობდა როლებს. ქალი თანდათან ბუდიზმმა გაიტაცა. დღედაღამ ლოტოსის პოზაში იჯდა გატრუნული. ბოლოს, ანტონიოს მობეზრდა მასთან ყოფნა და რამდენიმე სკანდალისა და 8 მილიონის ფასად ანას გასცილდა. შემდეგ ამბობდა: — მე აღარ შემეძლო ცოლის ნაცვლად ლოტოსის ყვავილის ყურება. კათოლიკე ვარ და ეს შეურაცხმყოფდა... და საერთოდ, მე ფართო მოედნები მხიბლავს და არა ვიწრო ქუჩებიო.

1996 წელს მან მელანი გრიფიტი შეირთო ცოლად. ბევრს ლაპარაკობენ, — რა აქვს საერთო ამ წყვილს, მელანი ხომ ლამის დედად ეკუთვნის ანტონიოსო. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, როცა მამაკაცი ქალში დედასაც ხედავს, ქალი კი მასში — შვილს, ეს ქორწინება უფრო მყარი და ხანგრძლივიაო. რაც არ უნდა იყოს, ისინი თავს ბედნიერად გრძნობენ.

ახლახან აფრიკელ ბავშვთა მხარდამჭერმა ორგანიზაციამ მელანისა და ანტონიოს ფოტოგრაფირება და შემდეგ მათი ავტოგრაფებით დამშვენებული ფოტოების გაყიდვა გადაწყვიტა...

მირეკეს მათ სახლში „ფლეიბოის" გოგონები და დაიწყეს გადაღება. მელანის რატომღაც აღარ მოუნდა პოზირება და სადღაც წავიდა, თუმცა მუდმივად ურეკავდა ქმარს. მორიგი „შემოწმებისას" ან-



ტონიოს ერთი მოდელი ეღლაბუცებოდა და მანაც უცნაურად ჩაიცინა. მელანის ქმრის სუნთქვაც კი შესწავლილი ჰქონდა და მიხვდა, რაც ხდებოდა. სასწრაფოდ გაქანდა შინ, გოგოები თმით ითრია, იმპრესარიოს კი ბუდას ბრინჯაოს ქანდაკება გაუქანა.

აი, ასეთი „ცეცხლოვანი" სიყვარულია მათ შორის და ბანდერასი ბედით კმაყოფილი ჩანს — შესანიშნავი კარიერა, მრავალშვილიანი (რა მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა თავისი არ არის) ოჯახი და მუდამ გვერდში მდგომი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) დედის, მეუღლისა და „პირადი მცველის" ფუნქციების შემსრულებელი ლამაზი ცოლი.

**ოგონიოკი №29**

# ტაქსი შეყვარებულებისთვის

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გამოჩნდა ტაქსი, რომელიც მხოლოდ შეყვარებულებისთვისაა განკუთვნილი.

მისი ცნობა შორიდანაც იოლად შეიძლება — სახურავზე მანათობელი წარწერა „ტაქსის“ გარდა, არის კიდევ ერთიც — „სიყვარული“. ტაქსიში ის შეყვარებულები სხდებიან, ვისაც რომანტიკულ გარემოში განმარტოება სურთ. მდიდრულ და მყუდრო სალონში მუსიკა იღვრება, ბარში კოქტეილები დგას. მძღოლი სამ მარშრუტს შემოგთავაზებთ: რომანტიკულს — ძველი ქალაქის ქუჩებში; სწრაფს — ვისლის სანაპიროზე და მესამეს — მოგზაურობა არსაით — შეყვარებულებს არ ეცოდინებათ, საით წაიყვანს ტაქსი.

ჯერჯერობით ასეთი ტაქსი ერთადერთია. მაგრამ პროექტის ავტორი შვედი პაულა ფონ სეტი დარწმუნებულია, რომ მისი ჩანაფიქრი პოპულარობას მოიპოვებს და ქალაქში შეყვარებულების ტაქსები გამრავლდება.

***გარდიანი***



# კიდევ კარგი, იქ არ ყოფილა

ეტყობა, ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თავის დროზე ძალზე გაანაწყენა რაღაცით ერთ-ერთი ბრიტანელი. ამის დასტური ეს ფოტოც გახლავთ.

სამხატვრო გალერეაში მიბრძანებულმა დამთვალიერებელმა ერთ-ერთ დარბაზში „რკინის ლედის“ ქანდაკება რომ დაინახა, ჯერ კრიკეტის ჯოხით მიდგა და სულ „გვერდები აუჭრელა“, მერე კი გულცივად წააცალა თავი.

კიდევ კარგი, „რკინის ლედი“ იქ არ ყოფილა.

***ნიუ ზუიქი***

# მკერდი — მშვიდობის სამსახურში

ისრაელში სულ უფრო მატულობს ორთოდოქს ებრაელთა რიცხვი. ისინი თავიანთ ცოლებს არა მარტო სხეულის ყველა გოჯის დაფარვას აიძულებენ, არამედ თავისაც, რისთვისაც არსებობს სპეციალური პარიკები. თითქოს ორთოდოქსების ჯინაზე ერთ პარასკევ დღეს თელ-ავივის ქუჩებში გაიმართა ლესბოსელთა და ჰომოსექსუალისტთა დემონსტრაცია, სადაც მკერდმოშიშვლებული ქალები ველური როკვით პროტესტს უცხადებდნენ საკუთარი მთავრობის დამპყრობლურ პოლიტიკას და ამერიკის პრეზიდენტ ბუშს.

სამწუხაროდ, არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანების ძალისხმევა ამაო გამოდგა, რადგანაც მშვიდობის საქმეს ვერ წაადგა. პირიქით, ამბობენ, რომ სამოქალაქო ომი პალესტინელებსა და იუდეველთა შორის კიდევ უფრო გამძაფრდებაო.

***შტერნი №28***

# ქლიავი — ცალი 67 000 დოლარად

ჩინეთში, გუანდუნის პროვინციაში ხარობს ქლიავის იშვიათი ჯიში, რომლის ერთადერთი, 18,8-გრამიანი ნაყოფი აუქციონზე 555 ათას იუანად (67 ათასი დოლარი) გაიყიდა. ერთი ქლიავისათვის ამხელა ფასი იმან განაპირობა, რომ იგი 400-წლოვანმა ხემ მოისხა. ხე წელიწადში მხოლოდ რამდენიმე ნაყოფს ისხამს. ცინის დინასტიის მმართველობის დროს ქლიავის ამ ჯიშს მხოლოდ იმპერატორის ოჯახის წევრებს მიართმევდნენ ხოლმე.

აუქციონზე შესულ თანხას 400 წლის ხის მოსავლელად გამოიყენებენ. შარშან ასეთივე ქლიავი 55 ათას იუანად (დაახლოებით 7 ათასი დოლარი) გაიყიდა და გინესის წიგნშიც შევიდა. წლევანდელი მოსავლის ფასი უკვე გინესის წიგნსაც გასცდება ალბათ...

***ეხო პლანეტი №29***

# ფეხბურთის ნოსტალგია



ბრაზილიაში ფეხბურთით მართლა სერიოზულად დაავადდნენ. მაგალითად, ბრაზილიური „ფლეიბოის“ მორიგი ნომერი ქვეყნის ქალთა საფეხბურთო ნაკრებს მიეძღვნა. ფოტოებზე სექს-ტრუსებში გამოწყობილი გოგონები ფეხბურთს თამაშობენ. ეს ყოველივე ბრაზილიელი კაცების გულს ფრიად ესალბუნება; არც არის გასაკვირი, მათ უყვართ ფეხბურთიც და შიშველი ქალებიც.

გოგონები წუხან, რომ ფეხბურთის თამაშში მამაკაცების მსგავს წარმატებას ვერ მიაღწევენ, არადა ქვეყნის სიამაყედ გახდომა სურთ. ჰოდა, კიდეც გამოუვიდათ — ჟურნალს უკვე ათასობით თხოვნა მიუვიდა მსოფლიოს გაზეთებიდან ფეხბურთელ ქალებზე რეპორტაჟის უფლების შესყიდვის შესახებ.

***ოგონიოკი №29***



# შტეფი გრაფმა „მაიკროსოფთი“ დაამარცხა

ცნობილი ჩოგბურთელი შტეფი გრაფი კომპანია „მაიკროსფთს“ პორნოგრაფიაში ხელშეწყობას სდებს ბრალად.

ბრალდების თანახმად, კომპანიის ხელმძღვანელობა წინ არ აღუდგა ინტერნეტში ყალბი ფოტოს გავრცელებას. საიტში ფოტოზე შტეფი გრაფის თავი ვიღაც თოფ-მოდელის ტანზეა დამონტაჟებული. ფოტოს მოხსნა საიტიდან ჯერ კიდევ გასულ წელს მოითხოვა ჩოგბურთელმა. კომპანიამ თხოვნა შეუსრულა, მაგრამ თავისი კლიენტის თაღლითობაზე პასუხისმგებლობა არ აიღო. მაშინ გრაფმა სასამართლოს მიმართა, რადგან ფოტო „მაიკროსოფთის“ საიტზე იყო და კომპანიასაც პასუხი უნდა ეგო. მოსამართლეებმა ჩოგბურთელის საჩივარი მართებულად მიიჩნიეს და ვერდიქტი მის სასარგებლოდ გამოიყენეს. თუმცა, „მაიკროსოფთს“ რა სასჯელი დაედება, ეს არ გაუხმაურებიათ.

***ჩასტნაია ჟიზნ №12***

# ნაპოვნია მეწამული ბრილიანტი



ბრილიანტის ერთ-ერთ სამეცნიერო ინსტიტუტს უცნობმა მამაკაცმა უნიკალური ძვირფასი ქვა — 5-კარატიანი მეწამული შეფერილობის ბრილიანტი ჩააბარა შესაფასებლად. ინსტიტუტის დირექტორმა ჯეი დი ბოულსმა პრესას განუცხადა, რომ ამგვარი ბრილიანტი ჯერ არსად უპოვიათ.

ალმასების უმრავლესობას მოყვითალო, თეთრი ან ცისფერი შეფერილობა აქვს. მსოფლიოში ცნობილია მხოლოდ 10 წითელი ბრილიანტი, მაგრამ არც ერთს არა აქვს ისეთი ინტენსიური შეფერილობა, როგორიც ახალ ნაპოვნს. წითელი ბრილიანტის ერთი კარატი დაახლოებით 4 მლნ დოლარი ღირს, ახალნაპოვნი გაცილებით მეტი ეღირება. როგორც ბოულსი ვარაუდობს, მეწამული ბრილიანტი ლათინურამერიკული წარმოშობისა უნდა იყოს. იგი მდინარე ამაზონის აუზში დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინ უნდა იყოს აღმოჩენილი.

***ვოკრუგ სვეტა***

# ევროპა დაგვიკეტეს!

მუსლიმანებისთვის ტურიზმის ერთადერთი სახეობა, რომელსაც შარიათი არ კრძალავს — ისლამური მარშრუტია.

— უცხოეთში შარიათით ნაკურთხი მიზნის გარეშე წასვლა რელიგიისა და სულის შეურაცხყოფაა, — განაცხადა მექაში ერთ-ერთმა შეიხმა, — არ უნდა გაემგზავროთ სასეირნოდ იქ, სადაც შეიძლება ჭაობმა ჩაგითრიოთ, — დასძინა მან ქარაგმულად. რა თქმა უნდა, იგი ევროპას გულისხმობდა.

ქადაგებამ ერთგვარად გამოხატა საუდელების განწყობა — მათი უმრავლესობა ხომ ზაფხულობით აშშ-სა და ევროპაში მიემგზავრებოდა. ამჯერად კი 11 სექტემბრის ტერაქტებთან დაკავშირებით, ევროპის ქვეყნებში გასვლა გაძნელებულია სავიზო რეჟიმის გამკაცრების გამო.

***ეხო პლანეტი №27***

# ბიჭუნა, რომელიც არაფერს ჭამს



ლონდონელი უილიამ ტვიდი 9 წლისაა და მას დღემდე არაფერი უჭამია. საკვები მისთვის სასიკვდილოა. ერთხელ ნამცხვრის პაწაწა ნატეხი შეჭამა და რეანიმაციაში მოხვდა, მეორედ — ოთხ მარცვალ ბრინჯს გაუსინჯა გემო და ერთი კვირა საავადმყოფოში გაატარა.

ეს დაავადება იმდენად იშვიათია, რომ სახელიც არა აქვს. ამავე სენით იტანჯება ერთი შვედი.

ყოველთვის, როცა ბიჭუნა რაიმეს შეჭამს, გაურკვეველი მიზეზის გამო, გადამამუშავებელი ბაქტერიები სისხლში ხვდება და იგი იწამლება. ექიმები ვერაფერს ამბობენ. უილიამს კვებავენ თხევადი საკვებით, რომელიც ყოველდღამე, 12 საათის განმავლობაში წვეთობით შეჰყავთ მის ორგანიზმში. საკვების შედგენილობას ექიმები განსაზღვრავენ. უილიამ ტვიდი თანატოლებისაგან თითქმის არ განსხვავდება. სიმაღლე 123 სმ-ია და წონა 26 კგ. შინაგან ორგანოებში ცხიმის დაგროვების გამო 2 წლისას ამოაჭრეს ნაღვლის ბუშტი, 7 წლის ასაკში შეწყვიტა მოქმედება სწორმა ნაწლავმა. სულ 9 წლის განმავლობაში ბიჭუნამ 35 სერიოზული ოპერაცია გადაიტანა.

— მართალია, მე ისეთი არ ვარ, როგორიც ყველა, მაგრამ შემიძლია ველოსიპედით სეირნობა. ძალიან მინდა, თუ ექიმები მომარჩენენ, ინგლისის ფეხბურთის გუნდთან ერთად სადილობა, — ამბობს ბიჭუნა. დაბადების დღეზე დედის მიერ გამომცხვარ ტორტზე აქრობს სანთლებს და სევდიანად უყურებს, როგორ მიირთმევენ მას სტუმრები.

***მირ ნოვოსტეი №29***

# „მისტერიების პარკი“

ჩაძირული ატლანტიდის პოვნა, უცხოპლანეტელთა ხომალდის ეკიპაჟის წევრობა, სთოუნჰენჯის ზუსტი ასლით დატკბობა — ყოველივე ეს შესაძლებელი გახდება უახლოეს მომავალში, „მისტერიების პარკში“, რომლის მშენებლობა შვეიცარიაში მიმდინარეობს. პროექტი 60 მლნ ევრო დაჯდა. მისი სულისჩამდგმელია ცნობილი შვეიცარიელი მწერალი და მკვლევარი ერიხ ფონ დენიკენი. მისი აზრით, კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველა ამოუხსნელი ფაქტის მიღმა უცხოპლანეტელები არიან.

პარკის მშენებლობა გაისად, მაისში დასრულდება. პროექტს ოპონენტებიც ჰყავს — ისინი შიშობენ, რომ „მისტერიების პარკი“ ეზოტერიკის და ამო-ს ფანატიკოსების მასობრივი თავშეყრის ადგილად იქცევა, ეს კი მორწმუნე შვეიცარიელების რელიგიურ გრძნობას შეურაცხყოფს. თუმცა, ერიხ ფონ დენიკენი საზოგადოებრიობას ამშვიდებს, — პარკის ადმინისტრაცია დამთვალიერებლებს თავს არ მოახვევს ამოუცნობი მოვლენების ახსნას — პირიქით, ისინი ამ მოვლენების ახსნის სხვადასხვა ვერსიას გაეცნობიანო.

***იტოგი №26***

# მადმუაზელს გენერლობა სურს

ფრანგული არმია, რომელიც პროფესიონალი სამხედროებითაა დაკომპლექტებული, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა და ფემინიზებულია. პირადი შემადგენლობის საშუალო ასაკი მამაკაცებისთვის 33 წელია, ქალებისთვის კი — 29.

ფრანგ ქალებს ბოლო დროს ძალიან იზიდავთ სამხედრო პროფესია და თუ 1991 წელს არმიაში ქალების სულ 7%-ს ითვლიდნენ, დღეს ამ მაჩვენებელმა 10,1%-ს მიაღწია. ამასთან, მაჩვენებელი სულ უფრო გაიზრდება, რადგან შარშან ყოველი მეხუთე ახალწვეული სუსტი სქესის წარმომადგენელი ბრძანდებოდა.

რიგითი ჯარისკაცის ხელფასი ფრანგულ არმიაში 1,2 ათას ევროს შეადგენს (პლუს კვება და ბინა), გენერლისა კი — 5,5-დან 8 ათას ევრომდეა. გასაკვირი არ არის, რომელიმე მადმუაზელს რომ გენერლობა მოუნდეს.

***ტრუდ 7 №130***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში მოლიერის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ | ა | რ | მ | ო | ი | წ | ყ | ე | ნ | თ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ჩ | ნ | ი | ზ | ი | ი | ი | ი | ე | დ | ი | ა | ო | დ | ლ | რ | ი | თ | ი | რ | ო | ე |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**ჩ.** შემჭკნარი ყურძენი; **ვ.** მორგუნოვი, ნიკულინი და ....; **ე.** ადამიანის გრძობა, განცდა, სულიერი მღელვარება; **ნ.** მოძღვრება, რომელიც შიშველი სხეულის კულტს ქადაგებს; **თ.** სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის; **ა.** ნახევარკუნძული, რომელზეც იტალია მდებარეობს; **ნ.** თავის თავზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის ეპითეტი; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ.** სულელი, ბრიყვი, უმეცარი; **თ.** ლევ ტოლსტოის ტიტული; **ა.** ამერიკისა და ევროპის ქალაქებში ფართო ქუჩა, რომლის გაყოლებაზეც ხეებია დარგული; **დ.** ქვეყანა, რომლის პრინციც იყო ჰამლეტი; **ა.** აშშ-ის შტატი; **რ.** სახელმწიფო აფრიკაში; **მ.** რედიარდ კიპლინგის ნაწარმოები; **ო.** ჩრდილოეთ ამერიკაში მდებარე ხუთი დიდი ტბიდან ერთ-ერთი; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **წ.** დაბა თბილისის მახლობლად; **ყ.** მონღოლთა ურდოს მმართველი; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დიადემა; ა. ალდაგი; ი. ილაჯი; ს. სიმენსი; ვ. ვაიკულე; ე. ეტაპი; ნ. ნინუა; ე. ელიტა; კ. კასკადი; ვ. ვაგონი; ი. იპონი; რ. რენუარი; ი. ინერცია; ს. საბრინა; პ. პრალა; ა. ასმათი; ლ. ლიუბეკი; ი. იაშინი; ტ. ტატამი; რ. რეესტრი; ა. ალბიონი; ს. სეზანი; თ. თხემი; ა. ანძა; ნ. ნელსონი; ე. ემისია; რ. რვეული; თ. თართი; ა. ალიონი; დ. დრამა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ადამიანის გონება მუშტებზე ძლიერია.**

# მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის კვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას 50 ლარის გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №30 (304) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

ზაფხულის ხვატმა რეიტინგის რესპონდენტთა რაოდენობაზეც საგრძნობლად იმოქმედა. თემას — „გართობა" 486 მკითხველი გამოეხმაურა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 179-მა ქალმა და 305-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა არის დასვენების ჟამს თქვენი საუკეთესო გასართობი საშუალება?"**

ჩვენი მკითხველების აზრით, ტელევიზორი გართობა-დასვენების შეუდარებელი საშუალებაა, რესპონდენტთა 41%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური 9 ქულით. მინიმალური ქულა მკითხველთა 2%-მა მიაკუთვნა. **7,36** საშუალო ქულით „ტელევიზორი" პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე „ჟურნალ-გაზეთებია", საშუალო ქულაა 6,69. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულა სწორედ ჟურნალ-გაზეთებს ხვდა წილად — მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,6%) დაუწერა მას 1 ქულა.

მკითხველთა 14%-სათვის კი გართობის საუკეთესო საშუალება მუსიკაა. 5,89 საშუალო ქულით „მუსიკა" მესამე ადგილზეა.

ჩვენს მკითხველებს, როგორც ჩანს, დასვენების ჟამს ფილმის ან სპექტაკლის ყურება, აზარტული თამაშები და ინტერნეტი მაინცდამაინც არ იზიდავთ, სამაგიეროდ, დღევანდელობას (პოლიტიზებულ ცხოვრებას) მხარს ღირსეულად უსწორებენ და გასართობ და საინფორმაციო საშუალებებს ერთმანეთთან აიგივებენ.

სულ ბოლო ადგილზე ინტერნეტია — მკითხველთა 40%-მა შეაფასა იგი მინიმალური ქულით. საშუალო ქულაა 2,77, რაც, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ ინტერნეტით სარგებლობის საშუალება საქართველოში ჯერ კიდევ ყველას არა აქვს.

საინტერესოა, რომ ყველა ასაკისა და სქესის რესპონდენტთათვის პირველი სამეული უცვლელია. რაც შეეხება ქალებს, მათ კროსვორდები წიგნებზე მეტად, ხოლო ფილმები და სპექტაკლები კი სპორტულ სანახაობაზე ბევრად უკეთესადართობენ.

მამაკაცებთან კი სულ სხვაგვარი სურათია — მათთან მეოთხე ადგილზე „სპორტული სანახაობაა", მეხუთე-მეექვსე ადგილებს კი „წიგნი" და „ფილმი, სპექტაკლი" ინაწილებენ.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი კი თბილისელი, 30 წლის **ნ.ვ. პატარიძეა**. მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „აზარტულ თამაშებს" ორის ნაცვლად ოთხი ქულა (მეექვსე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „სპორტულ სანახაობას" კი პირიქით — ოთხის ნაცვლად — ორი (მერვე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 7 აგვისტოს, 17 საათზე.

## №31 (305) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგში

№31 (305) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 7 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 8 აგვისტოს 13 საათამდე.

© თბილისი

**თემა №31 (305) — ქალბატონები**

**მოუზიზნეთის ამ წარმომადგენელ ქალბატონთაგან რომელი იმსახურებს თქვენს სიმპათიას ყველაზე მეტად?** დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№31(305) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მაკა ასათიანი | |
| 2 | მაია ჯაბუა | |
| 3 | ეკა კახიანი | |
| 4 | ლელა წურწუმია | |
| 5 | ცისანა ხუფიაშვილი | |
| 6 | თიკა ფაცაცია | |
| 7 | გოგოლა კალანდაძე | |
| 8 | ია ფარულავა | |

მკითხველის რეიტინგი

დაასახელეთ ყველაზე პოპულისტი ქართველი პოლიტიკოსი

✓ ____________

### მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

ივლისის თვის ადამიანი საქართველოში

| | | |
|---|---|---|
| [illegible] | | |
| 2-3. | ლიანა ისაკაძე | 9 % |
| [illegible] | | |
| 4. | ნიკა ჯანჯღავა | 8 % |
| [illegible] | | |
| 6.-7. | თემურ ხაჩიშვილი | 6 % |
| [illegible] | | |
| 8. | გიორგი სანაია | 4 % |
| [illegible] | | |
| 9-10. | ბასილ მკალავიშვილი | 3 % |

მკითხველთა 11%-ს გაუჭირდა თვის ადამიანის დასახელება, 3%-მა კი განაცხადა, რომ ამ ტიტულს არავინ იმსახურებს.

მართალია, ათეულში ვერ მოხვდნენ, მაგრამ დასახელდნენ ასევე, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლები, პრეზიდენტი, ინგა გრიგოლია, რობერტ სტურუა...

***მკითხველის რეიტინგში 302 რესპონდენტი მონაწილეობდა.***

### მკითხველის პრემია

1. ეკა მახარაშვილი — „20 წელი ეროსის გარეშე" — 129 ხმა
2. მარინა ბაბუნაშვილი — „მე ვარ გიორგის დედა..." — 65
3. ვაჟა გავაშელი — „იმ ღამით ტყეში საშინელი ამბები დატრიალდა..." — 44
4. მარინა მამისაშვილი — „მე ვიყავი ბანკის შავი ფულის მატარებელი „კამიკაძე" — 35
5. ზურაბ მჭედლიშვილი — „თუ აფხაზები მზად არიან სრულად ამოწყდნენ დამოუკიდებლობისათვის, მაშინ გავიყოთ აფხაზეთის მიწა" — 29



თქვენი პრემიის — 50 ლარის მფლობელი ჟურნალისტი **ეკა მახარაშვილია.**

*მკითხველის პრემიის ლაურეატის გამოვლენაში 386 მკითხველი მონაწილეობდა.*

# ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი ©

**პოპულარული ადამიანების ბავშვობის ფოტოებით უნდა ამოიცნოთ ისინი და უპასუხოთ კითხვას — „აბა, ვინ ვარ ახლა მე?" თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები", გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.**



**ზურაბ ჟვანია — ხომ ვამბობდი, მიცნობთ-მეთქი..**

გადაღებულია ლეჩხუმში, სოფელ დერჩში. ზურიკო 5 წლისაა. ფოტო მოგვაწოდა ბატონი ზურას მეუღლემ ნინო ქადაგიძემ

„ფოტოანტიკვარის" მონაწილეთაგან ამ ფოტოში ზოგმა გურამ პეტრიაშვილი, ნიკა ტაბატაძე, კობა დავითაშვილი, სოსო პავლიაშვილი, დუტა სხირტლაძე, ავთანდილ მარგიანი „შეიცნო". უმრავლესობამ კი — 45-მა რესპონდენტმა სწორად ამოიცნო პატარას ვინაობა — ეს ბიჭუნა დღეს ყველასათვის კარგად ნაცნობი **ზურაბ ჟვანიაა.**





ზაალ სულაკაურის მეგობრული შარჟი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________

— ბურთი ყოველთვის მიყვარდა...
მერე ბურთზე უფრო შემიყვარდა...
არა, არა... ეგ რომ გითხრათ, მიხვდებით

## ფოტო განწყობისთვის



— გეფიცი ხომ არ ხარო!
fits forms minges...

## წინა სკანვორდის პასუხები



8/VII ახალი მთვარე
მაგნიტური დღეები:
VIII — 10-დან – 12 სთ-მდე
VIII — 20-დან – 22 სთ-მდე

## დეპარდიე სიყვარულის სახელით ხდება

53 წლის გურმანი დეპარდიე 117 კგ-ის იწონის. ამიტომ, დიდი ხანი არ არის, რაც მის სადილს, რომელიც შედგებოდა 6 თავი კერძისა და 3 ბოთლი ღვინისაგან, რაღაც საცოდავი „სალათუშკა" ცვლის, რომლის შემდეგაც მსახიობი სასეირნოდ მიდის თავის საყვარელ ქალთან — კაროლ ბუკესთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად ამ 44 წლის სიცილიელისათვის ჟერარს მოუწია თავისი ცხოვრების სტილის მკვეთრად შეცვლა. ვერც გულზე გადატანილმა ოპერაციებმა და ვერც ექიმების გაფრთხილებამ ვერ მიიყვანეს მსუნაგი დეპარდიე ამ გადაწყვეტილებამდე. ტემპერამენტიანმა იტალიელმა მანდილოსანმა კი განუცხადა: — ჟერარ, ან გახდები, ან მიგატოვებ. აქ დეპარდიე ჩაფიქრდა და გადაწყვიტა, რომ ქალის სიყვარული უფრო სასიამოვნოა, ვიდრე განუწყვეტლივ ჭამა...



ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:ათანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიტაძისა (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კი „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მევობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; ვაჟა-ფშაველას გამზ. - ვეფხვ... დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; წულუკიძის ქუჩაზე; II მკ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).
„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

## (31) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№31 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 8 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## ამერიკული კროსვორდი (ასოციაცია)

ამერიკულ კროსვორდში ამოცნობილი სიტყვა უნდა ჩაწეროთ ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად კითხვების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. თუ ერთ რიგსა ან სვეტში რამდენიმე კითხვაა (ამ შემთხვევაში ასოციაციური წყვილი), იმავე რაოდენობის პასუხი ჩაიწერება მათთვის განკუთვნილ უჯრათა ერთობლიობაში ასოციაციური წყვილის რიგითობის მიხედვით.

ციხე-სიმაგრე, რბილი ლითონი
მარტო კაცი, მაგარმერქნიანი ხე
მხატვარი, ხვეი
ქვის ფილა, მაკარტნის ქალიშვილი
კორეა, ავტომობილი
... სენ-ლორანი, ... მონტანი
კათოლიკე, წირვა; დავითი, უდაბნო
იტალია, ფესტივალი
ნოტი, ვერტმფრენი; ფრანგი გრაფიკოსი, პურეულის სალეწი
არწივი, ფრენა; წმინდანი, ქალაქის უბანი
ოსირისის ანტიპოდი, პარტია ჩოგბურთში
სატყორცნი იარაღი, ვეშაპი
სახელმწიფოები, კონფლიქტი
რკინა, კარადა
კაპიტანი ნემო, ფრანგი ფანტასტი
პოლიტიკური გაერთიანება, სანოტო ნიშანი
მსახიობი, ჯინსი






### ბრძენს უთქვამს...

„ყოველი დღე პაწია ცხოვრებაა;
ყოველი გამოღვიძება — პატარა დაბადება;
ყოველი დილა — პაწია სიჭაბუკეა და
ყოველი ძილი — პაწია სიკვდილი"

„ის კი არ არის ჭკვიანი, ვისაც კეთილს ბოროტისაგან გარჩევა შეუძლია, არამედ ის, ვინც ორი ბოროტისაგან უმცირესის ამორჩევა იცის".

* * *

პამელა ანდერსონმა კრისტინა ორბაკაიტე გაიცნო... ყურადღებით დააკვირდა და:
— სილიკონი ცხვირში? არადა, ორიგინალურია...



* * *

მამალი სოფლიდან ქალაქში ჩავიდა. ხედავს ერთ-ერთი სუპერმარკეტის ვიტრინაში ქათმები შამფურზე იბრაწებიან. მამალი გაოცდა:
— ღმერთო ჩემო! სოფელში აღარავინ არის დასაჩინჩლი და ესენი კი, აქ შიშვლები კარუსელზე „კატაობენ"..!



ფირმა „ზერმუხა"
ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა"©
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".